

# საგაერთაშორისო საქართველოს საქართველოს საქართველოს

ISSN 0132-1307

საქართველოს  
საქართველოს

# 5

# 1983

180  
1983

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
პროპაგანდის განყოფილება



# ს ა ზ ჭ ლ თ ა ხ ე ლ ტ ვ ნ ე ჯ ა

5/ 1983

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
ქოველთვიური ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
ნოღარ გურაბანიძე

სარედაქციო კოლეგია:  
ბაბაქი ბაგრძაძე,  
მასტანო ბერიძე,  
ნოღარ გურაბანიძე,  
ჯუმაბარ თითოგირა  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
ვასილ კიკნაძე,  
ნოღარ მგალობლიშვილი,  
ჯურაბ ნიშაბაძე,  
გივი ორჯონიძე,  
ნათელა ურუშაძე,  
რევაზ ჩხეიძე,  
ანტონ ფულუკიძე,  
ნიკო შავვაზაძე,  
ნოღარ ჯანაბერიძე.

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
ძორაოგრაფია  
ტელევიზია

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 6  
ტელ. 95-10-24, 95-13-24.

მხატვრული რედაქტორი პავლე შევჩენკო  
ნომრის მხატვარი ალექსი ბალაბუევი

საქართველოს კვ ცენტრალური  
კომიტეტის გამოცემლობა,  
თბილისი, 1983.



თმატრის მოკალაქმოზრები მოწოდება . . . . .	3
<b>ჭურბ მთხიანიშვილი —</b>	
მტაცე, კრინციული კოვიცია . . . . .	12
<b>როქანა ახვერდიანი —</b>	
ზრიგოლ ზაბარინი საქართვილოში . . . . .	16
<b>კ. სტანისლავესი —</b>	
აზრები თმატრზე . . . . .	23
<b>გივი მალუღარი —</b>	
ღირღოსტატი . . . . .	30
<b>რთარ თაქთაქიშვილი —</b>	
სათაქვანო შვარალი . . . . .	34
<b>ვახტანგ ტაბლიაშვილი —</b>	
მოგონებები ღირღ შვარალიზე . . . . .	38
<b>ვასილ კიქნაძე —</b>	
კონსტანტინე ზამსახურღინს ერთი კიქნის ზამო . . . . .	42
ზანოზაზა . . . . .	54
<b>გივი ბერიძე —</b>	
არქიტექტორთა კაღრღინის მოგზაღბა: პროღღებები ღა მოსაზრებანი . . . . .	55
<b>ანზორ ერქოშიაშვილი —</b>	
ზაღღური სიღღღინის სწავღღინსათვის . . . . .	60
ჩვენი მოგოზრობა მარღღული უნღა იქოს . . . . .	67
<b>ზაირ აზღური —</b>	
„ის, რაღ მახსოვს“ . . . . .	74
<b>ღეიღა თაბუკაშვილი —</b>	
ორი მხატვრის ზამოღენს . . . . .	79
<b>ღამარა ღოღონაძე —</b>	
მარბი ზარათაშვილი . . . . .	91
<b>ნინო ოქროსკვარიძე, იწოღღა ქურღაძე —</b>	
ღირღინის მხატვარი . . . . .	95
<b>გივი ორღონიძე —</b>	
ღღღარ უნღღღღინს სარღ ფიღში . . . . .	90
<b>გიორგი გვანარია —</b>	
ახალი ზღინს ღასაწინი . . . . .	109
<b>გიორგი ღოღიძე —</b>	
კინოღღრამატორღინს ზახსენება . . . . .	119
<b>არწოღღ გეღეკორი —</b>	
ზუნება — სკულპტორი . . . . .	123
<b>ირაკლი კიციშვილი —</b>	
ტომ-კლარჯღეთის ხუროთმოღღღება . . . . .	127
<b>აკაკი გეწაძე —</b>	
სიწვარღღის ხაწვანბი (პიესა) . . . . .	132
ქრონიკა . . . . .	156

გარეკანის პირველ გვერღზე: ნათო ფაღღღანიშვილი — ნინო.  
 გარეკანის წესაღ გვერღზე: ბიწე-შენღრინი „კარმენ-სიღიღა“. კარმენი — სსრკ  
 სხაღღო არტისტი, ღენინური პრემიის ღაღრღეღა მიაღ პღისეკიღა.  
 გარეკანის მეოთხე გვერღზე: პიტერ პაულ რუბენი — გარღღამოსნა, ღეღღღი.

საქართველოს კა ცენტრალური კომიტეტი  
 გამომცემღღის სტაზა,  
 თბიღისი, ღენინის ქ. № 14, ტღღ. 98-98-59.



ქართულ ლენინიანას კიდევ ერთი შთამბეჭდავი ქმნილება შეემატა: საქართველოს კომპარტიის შენობასთან აღიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლი.

მონუმენტი საზეიმოდ გაიხსნა მიმდინარე წლის 5 აპრილს. ფაუნის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანხ. ე. ა. შევარდნაძემ მალალი შეფასება მისცა ძეგლის ავტორთა — მოქანდაკეების მიხეილ ყიფიანისა და ლევან ფოფხაძის არქიტექტორ ვახტანგ აბრამიშვილის შემოქმედებას და, ამასთან, აღნიშნა:

„ჩვენ სულთა და გულით ვულოცავთ დიდ შემოქმედებითს წარმატებას ამ ახალი შესანიშნავ ნამუშევრის ავტორებს და იმათ, ვინც ასე ოსტატურად შეასხა ხორცი გრანიტში მათს შთანაფიქრს, — მომე უკრაინიდან ჩამოსულ ქვაზე კვეთის შესანიშნავ ოსტატებს სერგი ტიმოფეევის მეთაურობით. გვინდა განაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ ძეგლის მასალადაც გამოყენებულია უკრაინული მიწის წიაღიდან მოპოვებული საუცხოო წითელი გრანიტი — ხალხთა მეგობრობისა და ურღვევი ამობის შენადნობი — ლენინის იდეების ცოცხალი განსახიერებაა.“

ლიბერატორისა და ხელოვნების მოღვაწენო, კულტურის მუშაკებო! მაღლა ატარათ კომუნისტური იდეალოზის, პარტიულოზისა და ხალხუროზის დროუა!

შეჰმენით ჩვენი დიადი სამუოზლოს დირსი ნაწარმოებები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის საპირველიანიო მორფოლოგიადან

# თეატრის მოქალაქეობრივი მონოღება

84471

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყოველ ეტაპზე კომუნისტური პარტია დიდი გულისხმიერებით, პრინციპულობით, ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებით განიხილავდა თეატრალური ხელოვნების კარდინალურ საკითხებს, ანიჭებდა თეატრს განსაკუთრებულ როლს მასების კომუნისტური და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველსავე წლებში, ვ. ი. ლენინის ინიციატივით მიღებული იქნა ისტორიული მნიშვნელობის დადგენილებანი და დეკრეტები ქვეყნად თეატრალური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

თეატრების ნაციონალიზაცია, მათზე სახელმწიფოებრივი ზრუნვა, კულტურული შემკვიდრებისადმი სათუთი დამოკიდებულება, აკადემიური თეატრების მიჩნევა ეროვნული კულტურის განუყოფელ ნაწილად, ახალი სარეპერტუარო პოლიტიკის შემუშავება — აი, ის იდეოლოგიური და საერთო კულტურული ფუნდამენტი, რომელზეც აღმოცენდა და განვითარდა საბჭოთა თეატრალური ხელოვნება, რომლის წარმატებანი დღეს საყოველთაოდაა ცნობილი.

იმ დღიდან მოყოლებული, როცა პეტროგრადისა და მოსკოვის მოედნებზე საერთო-სახალხო თეატრალური სანახაობანი გაიმართა, როცა მრავალათასიანი მყურებლის წინაშე პერსონიფიცირებული და სიმბოლური სახეებით გათამაშდა მსოფლიო ისტორიული დრამა რევოლუციის გამარჯვებისა კაპიტალზე, საბჭოთა თეატრი ასახავდა და ასახავს ჩვენი დიდი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებს, სოციალურ და პოლიტიკურ ძვრებს, საზოგადოებისა და ადამიანის განვითარებისა და სრულყოფის პროცესს, იდეოლოგიური ბრძოლის პანორამას.

საბჭოთა თეატრის პოზიციის სიმტკიცისა და მისი წარადგომლობის გამო-მუშავებაში უდიდესი, გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენს პარტის კოლე-

საქართველოს  
ხელისუფლება

ტიკამ იდეოლოგიის სფეროში, მისმა შეურიგებელმა ბრძოლამ კაპიტალისტური სამყაროს ანტიუმანიზმის წინააღმდეგ.

თეატრალური ხელოვნება, განსხვავებით ხელოვნების სხვა მრავალი დარგისაგან, კოლექტიური ხელოვნებაა და იგი, ბუნებრივია, კოლექტიურ ძალთანხმევას მოითხოვს. თუ დასში არ იგრძნობა შემოქმედებითი ატმოსფერო, პარტიული სულისკვეთება, ერთიანი მიზნისაკენ სწრაფვა და ამ მისწრაფებაში თვითეული წევრის შემჰიდროვება, ჩვენ არ გვექნება არც სპექტაკლი და არც თეატრი.

თეატრის მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, მუსიკოსები, დეკორატორები, სცენის და მრავალი სააპქროს მუშები, სხვანი და სხვანი, თავიანთი ცხოვრების უმეტეს ნაწილს თეატრში ატარებენ, დღედაღამ ერთად არიან, ერთად შრომობენ, ფიქრობენ, ოცნებობენ მომავალ სპექტაკლზე.

თუ მაგალითად, ამა თუ იმ მხატვრულ კინოსურათზე მოუშვავე შემოქმედებითი კოლექტივი (რაოდენ მრავალიცხოვანი და მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს იგი) მუშაობის დასრულების შემდეგ იშლება, იფანტება, რათა შემდგომ სულ სხვადასხვა კინოსურათების გადამღებ ჯგუფებში განაწილდეს, თეატრში, მისი სპეციფიკის გამო, ეს შეუძლებელია. სადაც ასეთი რამ ხდება, იქ თეატრი კვდება. პირველ შემთხვევაში, მიზანი კონკრეტულია (ერთი კარგი, მაღალმხატვრული ფილმის გადაღება). აქ, თეატრში, არ არის საკმარისი ეს კონკრეტული მიზანი, იგი უფრო ფართო ხასიათისაა და, კარგი სპექტაკლის შექმნის გარდა, ითვალისწინებს პერსპექტიულ მიზანს — ერთიანი კოლექტიური ორგანიზმის შექმნას, ერთიანი შემოქმედებითი და იდეოლოგიური მიზნებით გაერთიანებას.

თეატრი, უპირველესად, იდეოლოგიური ბრძოლის იარაღია. მისი ემოციური შემოქმედების ძალა განუსაზღვრელია. იგი შემოქმედებს კოლექტიურ გრძნობას და გონებაზე, ადამიანთა საზოგადოების განწყობილებაზე. იგი სასურველი მიმართულებით წარმართავს (ცხადია, როცა პირუთვნელ სიმართლეს მაღალმხატვრულად ამბობს) საზოგადოების სულიერ ცხოვრებას, ფიქრსა თუ ოცნებას. ამდენად, სცენაზე გამოსული მსახიობი არა მარტო ხელოვანია, არამედ საზოგადო მოღვაწეა, საზოგადოების რჩეულია. შემთხვევითი არ არის, რომ მსახიობი, არტისტი მთელი თავობის მაგალითი გამხდარა. მას უყურებენ არა მარტო სცენაზე, არამედ ტელეეკრანებზე, ქუჩებში, საზოგადოებრივ შეკრებულობაზე ადგილებში, მას უსმენენ რადიოთი. ამგვარად, არტისტი გასცდა სცენას, იგი უშუალოდ ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა. სულ საზოგადოების თვალწინ ტრიალებს იგი და, ამის გამო, განუსაზღვრელად გაიზარდა მისი აუდიტორია. ამიტომაც, სცენის შემოქმედი სამაგალითო უნდა იყოს ყველასათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, რომელიც შინაგანად ყოველთვის მიელტვის არტისტულ სამყაროს.

არტისტი-მოღვაწის სახეს, მის პიროვნებას განსაზღვრავს ის, თუ რას და როგორ ემსახურება იგი, რა არის მისი იდეალი, რისკენ მოუწოდებს იგი საზოგადოებას — ერთი სიტყვით, როგორია მისი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი რწმენა. კეშმარტ არტისტთა კოლექტივი ქმნის თეატრალურ დასს, ამ დასის სპექტაკლები — თეატრს. ამ დიდ საზოგადოებრივ და ეროვნულ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თეატრში კომუნისტური სულისკვეთების განმტკიცებას, კომუნისტური იდეოლოგიის ერთგულებას. ამაზე ზრუნვა კი თეატრის პირველადი პარტიული ორგანიზაციის უმთავრესი ამოცანაა.

საბჭოთა თეატრს, მათ შორის, ცხადია, ქართულ თეატრს, დიდი წარმატებანი აქვს. მრავალეროვანი საბჭოთა თეატრი გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებითაც, რეპერტუარის სიმდიდრით, პრობლემების სიმწვავეთ, ეროვნული თავისთავადობით. მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი დრო თავისი

სპეციფიკით ხასიათდება, ყოველ დროს თავისი პრობლემები მოაქვს თან, რომლებიც გადაჭრას მოითხოვენ.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა ის იყო მთელის ფრონტის მეთაური იშალა ბრძოლა ჩვენს რესპუბლიკაში ლენინური ნორმების განმტკიცების მიზნით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დიდად მნიშვნელოვანი დადგენილება (1973 წ.) „რესპუბლიკის დრამატული თეატრების რეპერტუარის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, სადაც მეცნიერული სიზუსტით იყო განსაზღვრული ქართული თეატრის ამოცანები ახალ ვითარებაში. დადგენილებაში განსაკუთრებულად იყო ხაზგასმული თანამედროვე საბჭოთა და ქართული დრამატურგიის მნიშვნელობა სარეპერტუარო პოლიტიკის ფორმირების საქმეში, დადებითი გმირის პრობლემის მნიშვნელობა, რევოლუციურ-რომანტიკული თემის აღორძინების აუცილებლობა. ამ დადგენილების საფუძველზე ბევრი რამ გაკეთდა ქართულ თეატრში და, ჩვენდა სამაყობო უნდა ითქვას, რომ ამ ათწლეულის მანძილზე მრავალი ღირსშესანიშნავი სპექტაკლი შეიქმნა, როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე რეპერტუარიდან, როგორც რუსული, ისე მოძველებული დრამატურგიის საფუძველზე. თემატურად და ქანობრივად გამდიდრდა ქართული დრამატული თეატრის აფიშა, უფრო ნათლად გამოიკვეთა წამყვანი თემა — ჩვენი თანამედროვე ცხოვრების დადებითი ტენდენციები, ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის.

მთელი რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის დიდად მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სარაიონო და საქალაქო თეატრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში, მრავალი საორგანიზაციო, მატერიალურ-ტექნიკური საკითხის გარდა, დიდ ყურადღება ეთმობოდა თეატრების პროფესიული დონის ამაღლებას, სარეჟისორო და სამსახიობო კადრებით უზრუნველყოფას, რეპერტუარის იდეურ-მხატვრული დონის შემდგომ გაუმჯობესებას, პარტიული ხელმძღვანელობის ფორმების დახვეწას. დადგენილებაში განსაკუთრებული პრინციპულობით იყო აღნიშნული პასუხისმგებლობის მასშტაბი და მუშაობის ის მთელი კომპლექსი, რომელსაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები უნდა ვასძღოლოდნენ, ამავე დროს, რელიეფურად იყო გამოკვეთილი თეატრის პარტორგანიზაციის როლი და მნიშვნელობა ყოველდღიურ საქმიანობაში, რეპერტუარის ფორმირებაში, სამხატვრო საბჭოების პრინციპიალური პოზიციის განმტკიცებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს ორივე დადგენილება დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩვენი თეატრების შემოქმედებითი თუ ორგანიზაციული საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. ისინი არა მარტო იმას მოწმობენ, თუ როგორ ცხოვლად და დანტრეკებული საქართველოს კომპარტია დრამატული ხელოვნების განვითარებით, არამედ, ესეც უმთავრესია, ცხადყოფენ მოვლენების წინასწარი კვრეტის, პერსპექტივის შეცნობის, ანალიზის, პოლიტიკური, კლასობრივი შეფასების დიდ უნარს.

კომუნისტური პარტიის მუდმივ ზრუნვას თეატრალურ ხელოვნებაზე ნათლად ადასტურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ სულ ახლახან მიღებული დადგენილება „ბებლორუსიის იანკა კუპალას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“, სადაც ფორმულირებულია საბჭოთა თეატრის კონკრეტული ამოცანები დღევანდელ პირობებში: „თეატრის რეპერტუარში უნდა იყოს უფრო მეტი სცენური ნაწარმოები, რომლებშიაც პარტიული და ხალხურობის ლენინური პრინციპების საფუძველზე ნათლად და დამაჯერებლად იქნება ასახული ჩვენი თანამედროვეობა, ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების უწყვე-

ტობა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ბირთვული ომის წინააღმდეგ“.

ეს დადგენილება კიდევ ერთხელ აღსატურებს პარტიის განუწყვეტელ ზრუნვას საბჭოთა ხელოვნების განვითარებისათვის, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მისი კავშირის განმტკიცებისათვის.

რეალისტური ხელოვნების საფუძველზე განვითარებული საბჭოთა თეატრი მოწოდებულია, რათა პარტიული პოზიციებიდან ასახოს საბჭოთა საზოგადოების განვითარების უმთავრესი პრობლემები, გახსნას თანამედროვე ადამიანის ხასიათის ტიპიური ნიშნები.

დადგენილებაში სრული სიცხადითაა ხაზგასმული, რომ ყოველი სცენური კოლექტივის მიერ თავიანთი სოციალური ფუნქციის შესრულებაში, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ ტრიბუნად ქცევას, სცენური საშუალებებით კომუნისტური იდეალების, მაღალი ესთეტიკური გემოვნების დამკვიდრებას, უდიდესი როლის შესრულება ეკისრებათ პარტიულ ორგანიზაციებს. კომუნისტების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს შემოქმედებითი პრაქტიკის საკითხები, ფიქრი და მოღვაწეობა ყველა იმ მუშაკისა, რომლებიც სპექტაკლის შექმნაში ლებულობენ მონაწილეობას.

დასამალი არ არის, რომ თეატრის პარტიული ორგანიზაციები არ თამაშობენ აქტიურ როლს რეპერტუარის ფორმირებაში, სამხატვრო საბჭოების მუშაობაში, სარეპერტუარო გეგმების შესრულებაში. სამწუხაროდ, ხშირად, რეპერტუარის შედგენისას პრინციპული, იდეურ-მხატვრული მოსაზრებით კი არ ხელმძღვანელობენ თეატრის მესვეურნი, არამედ კონსერვატიული მოსაზრებებით, „სალაროს ინტერესებით“, ზოგიერთი მსახიობის თუ რეჟისორის პრეტენზიებით, და, რაც უარესია, „ადგილობრივი ძალების“ (უპირველესად სარაიონო თეატრებში) დაწოლით. რეპერტუარის შედგენისას არ არის მთელის სიგრძე-სიგანით გათვალისწინებული თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი და მატერიალური შესაძლებლობანი. ეს იმიტაც დასტურდება, რომ კულტურის სამინისტროთა კოლეგიებს ხშირად უხდებოდა დასადგმელად დამტკიცებული პიესების ხშირი ცვლა, რაც, ცხადია, არასასურველ ზეგავლენას ახდენს შემოქმედებითს ატმოსფეროზე — ირდევია გეგმები, პიესები ერთი სეზონიდან მეორეში გადადიან, არათანაბრად იტვირთება დასი. ამ საქმეს ძალიან სერიოზულად უნდა მიხედოს თეატრის პარტორგანიზაციამ და იგი თავისი საქმიანობის ძირითად შემადგენელ ნაწილად უნდა აქციოს, მაგრამ თეატრის პარტორგანიზაცია ვერ მოახდენს ზეგავლენას თეატრის შემოქმედებით, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, თუ იგი თავის რიგებში არ აერთიანებს ყველა იმას, ვინც წარმართავს თეატრის მუშაობის ყოველ კომპონენტს. ამ მწვავე საკითხზე თავის დროზე წერდა ჩვენი ჟურნალიც.

სკკ ცკ-ის დადგენილებაში აღნიშნულია ის გავლენა, რასაც იანკა კუპალას სახელობის აკადემიური თეატრის პარტორგანიზაცია ახდენს შემოქმედებით ცხოვრებაზე, კოლექტივის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შედეგებზე, სპექტაკლების ხარისხის ამაღლებაზე, ახალგაზრდობის პროფესიულ ზრდაზე, თეატრში შემოქმედებითი და მორალური კლიმატის გაუმჯობესებაზე და ამავე დროს, ნათქვამია, რომ ეს გავლენა უფრო ეფექტური იქნებოდა, თუ თეატრის პარტიული კომიტეტის ბურო აქტიურად ჩაერეოდა სარეპერტუარო პოლიტიკაში, საჭირო რეაგირებას მოახდენდა ცალკეულ ნაწარმოებთა და რეჟისორულ გადაწყვეტათა იდეურ-მხატვრულ ბუნდოვანებებზე, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის ფაქტებზე.

მხატვრის ნიჭიერება და პასუხისმგებლობა — ნათქვამია დადგენილებაში — განუყრელი ცნებებია, მაგრამ კომუნისტ-შემოქმედის ორგზის მეტი მოეთხოვება, ვინაიდან იგი პასუხს აგებს არა მარტო თავის პირად წვლილზე ხელო-

ენებაში, არამედ კოლექტივში საქმის საერთო ვითარებაზე, ნაწარმოების ხარისხზე. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მაღალი მომთხოვნელობითაა გამაზვილებული ყურადღება შემოქმედებითი კოლექტივების პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკურ და მორალურ პასუხისმგებლობაზე, იდეურ-აღმზრდელითი, იდეურ-მხატვრული დონის, ორგანიზატორული მუშაობის ქმედითობის ამაღლებისათვის. ყოველივე ამან თავისი გამოხატულება უნდა პიროვნის ყოველი თეატრის საქმიანობაში — დაწყებული პიესის შერჩევიდან, მისი განსხვავების ხარისხით დამთავრებული, დაწყებული პოლიტიკური და პროფესიული სწავლების — განსაკუთრებით ახალი თაობის მომზადებისას — ორგანიზაციით, დამთავრებული შემოქმედებითი მომთხოვნელობის ზრდით. ამ საკითხთა სფეროში შემოდის აგრეთვე დასის ფორმირება, მსახიობთა დასაქმება (რაც ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი დრამატული და მუსიკალური თეატრების უმწვეველი პრობლემაა), სამხატვრო საბჭოების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციითა საქმიანობა. თეატრის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს კოლექტივში კარგი ზნეობრივი ატმოსფეროს შექმნა, ბრძოლა პრემიერობის, ეგოიზმის, მხატვრული დიქტატორული პრეტენზიებისა და სხვა ეთიკური ნორმების დარღვევის წინააღმდეგ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვით პარტიული მუშაობის ფორმების სრულყოფას. ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას ფორმალიზმი, უთავბოლო ლაქლაქი, უფრო მეტად კონტროლი უნდა დაწესდეს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, აქტიურად იქნას გამოყენებული ადმინისტრაციულ კონტროლის უფლება.

სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს აყენებს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის წინაშე. თეატრების შემოქმედების მიმართ მომთხოვნელობის ზრდასთან ერთად, აუცილებელია მათზე განუწყვეტელი ზრუნვა. რეპერტუარის იდეოლოგიური მიმართულების ღრმა შესწავლა და განზოგადება, სცენის ოსტატების მოზიდვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განაპირობებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, ზედმიწევნით ზუსტი იდეური კრიტერიუმების გამომუშავებას.

კარგი სპექტაკლი თეატრის მუშაობას უდიდესი იდეოლოგიური მნიშვნელობის ფაქტორად აქცევს. სწორედ ეს გარემოება უნდა გვქონდეს მხედველობაში, როდესაც სცენის მოღვაწეთა საქმიანობას ვაფასებთ, როცა ვეხებით იმ ადამიანთა შრომას, რომელნიც მოწოდებულნი არიან იმისათვის, რომ კომუნისტების მშენებელთა სულიერი მოთხოვნილებანი რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილონ.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების სულისკვეთებით იყო სწორედ გამსჭვალული ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელთა შეხვედრა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შემოქმედებით მუშაკთა ჯგუფთან.**

თეატრის კომუნისტების მთელი კოლექტივის საქმიანობის მოავარი ორიენტირი გახდა სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ბელორუსის იანკა კუპალას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“, რომელშიც აისახა საერთო პარტიული ზრუნვა ჩვენი საბჭოთა ხელოვნებისათვის. ამ შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვაში სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანხ. ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელთა და ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ტრადიციულ დამკვიდრებულ

მეგობრული შეხვედრების მნიშვნელობა, რომლის მიზანია, სერიოზულად და ობიექტურად განიხილოს კარდინალური შემოქმედებითი პრობლემები და ორგანიზაციული ამოცანები, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა და რომელთა განუხრელ შესრულებას მოითხოვს დრო, ცხოვრება, თანამედროვეობა. „შეუბრავად უნდა ვეძებოთ ახალი... მეთოდები და ფორმები—თქვა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა — და ყველა ადამიანი მიეცეთ შესაძლებლობა უფრო ფართოდ დაეწაფოს ყოველივე საუკეთესოს, რასაც თითოეული ჩვენი ხალხის კულტურა იძლევა“. ეს მითითება მთლიანად და სავსებით ეხება ყველა მუშაკს, რომლებიც პასუხს აგებენ ჩვენი თანამედროვის ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებისათვის, მისი სულიერი გამდიდრებისათვის.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება ყოველთვის იყო ჩვენი ხალხის, პარტიის, ხელისუფლების ზრუნვის საგანი. ვანა ამ ზრუნვის ნათელი დადასტურება არ არის თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე აღდგენილი და განახლებული სათეატრო შენობა, შესანიშნავი დარბაზებითა და სცენით, ხმისა და განათების საუკეთესო აპარატურით აღჭურვილი სცენა და სარეჟიტეციო დარბაზები, თეატრის დასის, გუნდის, ორკესტრის, ბალეტის მსახიობთა შემოქმედებისათვის საშურველი პირობები?! დიახაც არის! მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო წლებში თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო სწორი სარეჟიტურაო პოლიტიკის წარმართვა, თეატრში ქვეშაირი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა. ეს ნაკლოვანებანი თეატრის ყველა კომპონენტს დაეტყო — დაწყებული საბალეტო დასიდან, დამთავრებული თეატრის ორკესტრით. ცხადია, ამგვარი ვითარება ერთგვარ შემფოთებას იწვევდა ჩვენს მუსიკალურ საზოგადოებრიობაში, ასევე მსმენელთა და მკითხველების ფართო წრეში. კრიტიკული შენიშვნები გაისმოდა როგორც კომპოზიტორთა კავშირის, ისე თეატრალური საზოგადოების პლენუმებზე, კულტურის სამინისტროს კოლეგებზე, მაგრამ სასურველი კონკრეტული შედეგები არ ჩანდა. ცხადია, ქართული კულტურის საერთო აღმაშენების ფონზე ჩვენი უპირველესი მუსიკალური ცენტრის ამგვარი ინერტულობა თვალშისაცემ კონტრასტს ქმნიდა. საჭირო იყო ენერგიული და ქმედითი ზომების მიღება და აი, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება „თბილისის ლენინის ორდენოსანი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, სადაც ღრმად არის გაანალიზებული თეატრის შემოქმედებით-ორგანიზაციული მუშაობის ძირითადი ნაკლოვანებანი, დასახულია არსებული ხარვეზების დაძლევის გზები და შემოქმედებითი, იდეურ-აღმზრდელი მუშაობის პერსპექტივები. „თბილისის ლენინის ორდენოსანი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — ნათქვამია დადგენილებაში — მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქართული საბჭოთა პროფესიული მუსიკალური ხელოვნების იდეურ-მხატვრულ ღონეს.

მაგრამ დღესდღეობით თეატრის შემოქმედებითი საქმიანობა არ შეეცაბა-მება სკკპ XXVI ყრილობის მიერ საბჭოთა ხელოვნების წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს, მშრომელთა იდეურ-ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის თანამედროვე ამოცანებს. თეატრის ხელმძღვანელობასა და პარტიულ ორგანიზაციას არ გამოუტანიათ დასკვნები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთგზისი მითითებიდან... თბილისის თეატრის პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შესძლო დაერაზმა კომუნისტები მის წინაშე დასახული პასუხ-

საგები ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, შეესრულებინა პარტიული კრებებსა და პარტიული ბიუროს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები. ალექსევა კომუნისტა მიერ პარტიული და შემოქმედებითი, საწარმოო და საზოგადოებრივი პლინის დარღვევები“.

დადგენილებაში ნათლადაა ფორმირებული საოპერო თეატრის მუშაობის უმთავრესი ნაკლოვანებანი: რეპერტუარის არასაკმარისი სისრულე და სიღარიბე, თანამედროვე ავტორთა, საქართველოს და მოკმე რესპუბლიკების წამყვან კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებების, რუსული და მსოფლიოს კლასიკის თხზულებათა დადგმის ეპიზოდურა ხასიათი.

აქედან ნათელია, რომ თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა, როგორც საოპერო, ასევე ბალეტის სფეროში არ იყო სწორად და გამიზნულად წარმართული.

განხორციელებულ დადგმათა მეტი წილი თავისი მხატვრული ხარისხით ვერ აკმაყოფილებდა და არ შეესაბამებოდა მაყურებელთა გაზრდალ მოთხოვნას.

აქედან ნათელია, რომ ადგილი ჰქონდა სუსტ სამხატვრო ხელმძღვანელობას, შემოქმედებითი და სწორებითი დისციპლინის დარღვევისადმი კომპრომისულ დამოკიდებულებას.

თეატრის ხელმძღვანელობა არ ეწეოდა მიზანმიმართულ მუშაობას მაყურებელთან, იგი არსებითად კარგავდა მსმენელსა და მაყურებელს.

ამითაც ცხადია, რომ თეატრმა დაკარგა კავშირი რესპუბლიკის შრომითი კოლექტივებთან, ძალიან შეხუსტდა მისი საზოგადოებრივი შემოქმედება.

საქართველოს კვ ცენტრალურმა კომიტეტმა თეატრის ხელმძღვანელობას დაავალა გარდაქმნას მთელი შემოქმედებითი და სამეურნეო საქმიანობა, რათა უფროდ შეასრულოს საბჭოთა ხელოვნების წინაშე სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანები, გადააქციოს თბილისის ლენინის ორდენოსანი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი მაღალპროფესიულ სამხატვრო ორგანიზაციად, რომელიც შემოქმედებითად შესასამს ხორცს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრინციპებს; აქტიურად მიიზიდოს თეატრში საბჭოთა კავშირის საოპერო და საბალეტო ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატები; პრაქტიკაში დანერგოს თეატრის შემოქმედებითი მუშაკების გაგზავნა ქვეყნის წამყვან კულტურულ ცენტრებში, მათი გამოცდილების შესწავლისა და მუდმივი თანამშრომლობის მოგვარებისათვის.

და აი, ამ დადგენილების მიღებიდან გავიდა სამ თვეზე ოდნავ მეტი და რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი შეხვდნენ თეატრის შემოქმედებით მუშაკთა ჯგუფს.

ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა („ბელორუსიის იანკა კუპალას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“) და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების („თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“) დიდი პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ მდიდარ ისტორიულ ტრადიციებზე, დასის შემადგენლობის სიძლიერეზე, იმ დიდ შემოქმედებით პოტენციალზე, რომელიც გვკარანახობს განსაკუთრებული გულმოდგინებით მივლდეთ სცენაზე კლასიკური და თანამედროვე რეპერტუარის საოპერო და საბალეტო ნაწარმოებთა დადგმის, დაგეგმვისა და განსახიერების საკითხებს. კვლავ გამახვილდა ყურადღება თეატრის როგორც მიმდინარე, ასევე პერსპექტიულ რეპერტუარ-

ზე, მაყურებელთა მოზიდვის პრობლემაზე, სპექტაკლებში ახალ შემსრულებელთა ჩაბმისათვის მიზანსწრაფული მუშაობის, მსახიობთა არათანაზომიერი დასაქმების, ახალგაზრდა კადრების აღზრდის საკითხებზე. ითქვა, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გადაუღებელი ამოცანაა, ეროვნული სარეპერტუარო ფონდის გამდიდრება, თანამედროვეობის ამსახველი, ქეშმარიტად მაღალმატერულ ნაწარმოებების შექმნა, ზრუნვა ქართული სპექტაკლების საღადგამო და საშემსრულებლო ტრადიციების განახლებისათვის.

სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „ბელორუსიის იანკა კუპალას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“ — შექმნე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თბილისის საოპერო თეატრის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, აღინიშნა, რომ თეატრის პირველადი პარტიული ორგანიზაცია მისი პოლიტიკური, იდეოლოგიური, ზნეობრივი და ხელმძღვანელი ძალაა და სწორედ ეს არის არსი პასუხისმგებლობისა, რომელიც ეკისრებათ პირველადი პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებს. ესოდენ განმსაზღვრელი როლი დაუღალავ და ყოველდღიურ შრომას, თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გაძლიერებას მოითხოვს.

საოპერო თეატრში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: სპექტაკლების მაღალი იდეურ და მხატვრულ დონეზე მომზადების მიზნით პარტიული ბიუროს სხდომებზე გულახდილი, პრინციპული ბჭობაა ხოლმე დამდგმელ ჯგუფთან სპექტაკლის მომავლის შესახებ.

და ბოლოს, აღინიშნა, რომ თეატრის კოლექტივს, მის ახალ ხელმძღვანელობას ძალზე ბევრი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი წარმმართველი როლი ეკუთვნით თეატრის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებს. პარტიული ორგანიზაციების ენერგიულობაზე დიდად არის დამოკიდებული იმ დადგენილების შესრულება, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო თეატრის შესახებ.

ჩვენი თეატრის მუშაკებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ხელოვნება იდეოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომ ჩვენი თანამედროვის სულიერი და ზნეობრივი კულტურის ამაღლება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სკკ ცენტრალური კომიტეტის ზემოთხსენებული დიდმნიშვნელოვანი დადგენილება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი რესპუბლიკის დრამატული თეატრებისა და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის თაობაზე მთელი თეატრალური ფრონტის სამოქმედო პროგრამად იქცეს, კონკრეტული საქმიანობით კვლავ განმტკიცდეს და გაძლიერდეს სოციალისტური რეალიზმის ყველა ღირსშესანიშნავი მონაპოვარი.

პარტიის პოლიტიკის მასებთან ცოცხალი შემოქმედებითი კავშირის მრავალი ღირსშესანიშნავი მაგალითი იყო ნაჩვენები ქ. თბილისში გამართულ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომლის თემა იყო „პირველადი პარტორგანიზაციების როლის ამაღლება მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის სრულყოფაში“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სკკ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტის, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაკები, მეცნიერი საზოგადოებათმცოდნეები, საბჭოთა არმიის პოლიტიკური მუშაკები.



ამ კონფერენციამ კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა პირველადი პარტი-ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა სახალხო-სამეურნეო და კულტურულ-სპორტულ მშენებლობის ყოველ უბანში, მათი მზარდი პასუხისმგებლობა პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუოდ შესრულებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა თავის მოხსენებაში „მშრომელთა აქტიურობის განვითარება, დისციპლინის განმტკიცება, მუშაობის სტილის სრულყოფა პირველად პარტიულ ორგანიზაციათა აქტუალური ამოცანები“ — ხაზი გაუსვა იმ ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობეს პირველადი პარტიორგანიზაციების როლის ამალღება. ამ ფაქტორთა შორის პირველად მოხსენებულია ჩვენი ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები — ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული ტემპები, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო ნაყოფიერად გამოყენების საჭიროება, მუშაობის თვისობრივი მაჩვენებლების წინა პლანზე წამოწევა.

ძირითად რგოლებზე დაყრდნობის გარეშე დღეს ვერც სოციალური განვითარების ამოცანებს გადავწყვეტთ წარმატებით. პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ სრულყოფას „დაბოლოს, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ პარტიულ ორგანიზაციაზე პირდაპირ არის დამოკიდებული სოციალისტური საზოგადოების მზარდ აღმზრდელობით შესაძლებლობათა რეალიზაცია, პიროვნების მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების, კოლექტივისტური, პატრიოტული და ინტერნაციონალური შეგნებისა და ქცევის ჩამოყალიბება“.

ჩვენი შემოქმედებითი დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები თავიანთ მუშაობაში უნდა ხელმძღვანელობდნენ სწორად იმის შეგნებით, რომ სახელოვნო და კულტურული დაწესებულება აღმზრდელობით ფუნქციას უნდა ასრულებდეს და ამისათვის ყველა შესაძლებლობათა რეალიზაცია უნდა მოხდეს.

საქმისაღში შემოქმედებითი მიდგომის, შემოქმედებითი სტილისა და ნოვატორული მიდგომის აუცილებლობაზე შთაბეჭდავად ილაპარაკა თავის შესავალ სიტყვაში — „უფრო ავამაღლოთ პირველადი პარტიორგანიზაციის ავტორიტეტი, უფრო მკიდროდ დაეუკავშიროთ ერთმანეთს ცოცხალი სიტყვა და ცოცხალი საქმე“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ: „პარტია გვასწავლის შემოქმედებითის მიდგომას საქმისაღში, ამკვიდრებს მუშაობის შემოქმედებითს, საქმიან სტილს, მოითხოვს უაღრეს კონკრეტულობასა და უაღრეს საგნობრიობას კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში.“

მაგრამ შემოქმედებითი სტილი და შემოქმედებითი მიდგომა ერთბაშად როდი წარმოიშევა. ისინი ყალიბდება, ვითარდება და მკვიდრდება მხოლოდ შემოქმედებითს ატმოსფეროში, ნამდვილი შემოქმედების ვითარებაში, ყველა კომუნისტის ყველაზე აქტიური მონაწილეობით, პირველადი პარტიული ორგანიზაციის წარმმართველი როლის პირობებში, როცა თითოეულის წინაშე დგება რეალური, კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანები. მხოლოდ მაშინ მოვიშობებთ თვედან ყოველივე დრომოკმულს, ყოველივე მოძველებულს.

ამავე დროს თვით შემოქმედებითი ატმოსფეროც მუდამ არის ძიების, საყვარელი საქმისაღში ნოვატორული მიდგომის ნაყოფი.“



**9 მაისი  
დიდ სამაგულო  
ოფეი  
საბჭოთა ხალხის  
გამარჯვების  
ღღაჟა!**

**მგვიცა, პრინციპული პოზიცია**

ზურაბ შოშიტაიშვილი

საპარტაშორისო საზოგადოებრიობა უკვე კარგა ხანია შეეჩვია იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობის ყოველი ოფიციალური განცხადება თუ საჯარო გამოცხადება მსოფლიოს პოლიტიკური წრეებისა და სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში ექცევა. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ან. ი. ვ. ანდროპოვის პასუხი გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საგარეო საქმეთა მინისტრის ან. ა. ა. გრომიკოს პრეს-კონფერენცია.

საიდუმლოებას არავისთვის წარმოადგენს ის სამწუხარო ფაქტი, რომ უკანასკნელ პერიოდში დაიძაბა და გაუარესდა საერთაშორისო კლიმატი. საქმეში ჩახედული ადამიანისთვის არც ის წარმოადგენს საიდუმლოებას, თუ ვის მიუძღვის ამაში ბრალი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის უპრეცედენტო მასშტაბებში წარმოებულმა სამხედრო სამზადისმა პლიუს მილიტარისტულმა საერთაშორისო პროპაგანდამ და მებრძოლმა ანტისაბჭოურმა კურსმა, თავისი ნევატიური კვალი დაამჩნია ჩვენს პლანეტას. თითქოს „მიღწეულით“ არ კმაყოფილდებოდნენ, კვირა არ გავა, რომ თეთრი სახლის მესვეურებმა ახალი სამხედრო დოქტრინით

ან ფართო მასშტაბის მილიტარისტული პროექტი არ „გამდინდროს“ საერთაშორისო ქრონიკები. სწორედ უკანასკნელი გარემოება ჰქონდა მხედველობაში ამხ. ი. ვ. ანდროპოვის, როდესაც „პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა — „ამ ბოლო დროს ვაშინგტონიდან პირდაპირ ღვარად მოედინება სიტყვების ნაკადი, რომელიც ეძღვნება ერთ რამეს — საომარ მზადებას, სამხედრო პროგრამებს, ახალ სახეობათა იარაღის შექმნას“. ამავე დროს, როგორც პრეზიდენტმა რეიგანმა, ასევე მისმა უახლოესმა მრჩეველებმა კარგად იციან, რომ ჩვენს თანამედროვეობაში, როდესაც ასეთი ფართო ფორმები მიიღო მსოფლიო ხალხების ანტიმილიტარისტულმა და, ამავე დროს, ანტიამერიკულმა მოძრაობამ, მილიტარისტულ კურსს კარგი შენიღბვაც ესაჭიროება. აი, სწორედ ამ უკანასკნელ მიზანს ემსახურება მითი „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ თაობაზე, გაუთავებელი და უსაფუძვლო ლაპარაკი საბჭოთა „ძღვეულობისილებზე“ და ამერიკის შეერთებული შტატების „ჩამორჩენილობაზე“. ამასაც თავისი მიზანი და კონკრეტული დანიშნულება აქვს. ვაშინგტონის ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ამერიკის შეერთებულ შტატებში აზრთგანწყობილებაზე. მართლაც, გავიხსენოთ, რომ რეიგანის 23 მარტის საჯარო გამოსვლა დაემთხვა ამერიკის სენატში ახალი საფინანსო წლისათვის მთავრობის ბიუჯეტის პროექტის განხილვას. როგორც ცნობილია, ადმინისტრაციის ახალი ბიუჯეტი 280,5 მილიარდ დოლარს ითვალისწინებს სამხედრო დანიშნულებისათვის, რაც სამხედრო ხარჯების 10-პროცენტთან წლიურ მატებას უდრის. ადმინისტრაციისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა კანონმდებელთა განწყობილება და ანტისაბჭოურ მილიტარისტულ რიტორიკას უნდა გაეადვილებინა უპრეცედენტო სამხედრო ბიუჯეტის დამტკიცება. როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, არც ისე ადვილი აღმოჩნდა იგივე ამერიკელი კანონმდებლების აზრთგანწყობილებაზე ზეგავლენა. წარმომადგენელთა პალატამ ხმათა დიდი უმრავლესობით დაიწუნა მთავრობის პროექტი და მოიწონა ე. წ. ალტერნატიული პროექტი, რომელიც ძირითადად იმით

განსხვავდება მთავრობის ვარიანტისაგან, რომ 10-ის ნაცვლად სამხედრო ხარჯების 4-პროცენტთან ზრდას ითვალისწინებს. უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის პროექტი უკვე სენატის საბიუჯეტო კომისიამაც დაიწუნა.

გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში ამხ. ი. ვ. ანდროპოვის ღრმად დასაბუთებულმა არგუმენტებმა ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით წარმოაჩინა საერთაშორისო წრეების წინაშე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული კურსი, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო ვითარების გამწვავებასა და ბირთვული ომისათვის მზადებას. თეთრი სახლი ყოველნაირად ცდილობს გაამართლოს საკუთარი გამალებული შეიარაღება, რათა გახდეს მსოფლიოს გაბატონებული სამხედრო სახელმწიფო. „ამასთან იმ მისწრაფებაში, — აღნიშნავს ამხ. ი. ვ. ანდროპოვი, — რომ დაასაბუთონ ეს შეგვიძონისტური პრეტენზიები, მიმართავენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის იმდენად მოურიდებელ დამახინჯებას, იყენებენ იმდენად უწმინდურ ხერხებს, რომ, გულახდილად მოგახსენოთ, გეზადება კითხვა — რა წარმოდგენა აქვს პრეზიდენტს სხვა სახელმწიფოებთან საქმიანი ურთიერთობის სტანდარტებზე?“

რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკის მთავარი მიზანია შეიარაღების (განსაკუთრებით კი ბირთვული შეიარაღების) პარიტეტის დარღვევა.

ცხადია, საბჭოთა კავშირი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს იმას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხედრო უპირატესობას მიაღწიონ სსრ კავშირთან შედარებით, ვინაიდან ამჟამად არსებული პარიტეტის დარღვევა სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის როგორც ჩვენს ქვეყანას, ასევე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვისუნარიანობას, უკანასკნელ მომენტს განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა, როდესაც თავის პასუხებში ახსნა რეიგანის ახალი, ე. წ. „თავდაცვითი“ კონცეფციის არსი. ერთი შეხედვით, მართლაც, რომ „უმტკივნეულო“ საკითხს შეეხო პრეზიდენტი — საკუთარი ქვეყნის რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის გაძლიერებას, მაგ-

რამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი საკითხი ეხება არც მეტს, არც ნაკლებს — ბირთვული უპირატესობისა და პირველი უპასუხო ბირთვული დარტყმის პოტენციალის მოპოვების ცდას. რატომ? გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1972 წელს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა მიიღეს იმ დასკვნამდე, რომ რაკეტსანიანალმდეგო თავდაცვითი სისტემათა გაფართოება პირველი დარტყმის პოტენციალისაკენ სწრაფვის ტოლფასოვანია და, ამრიგად, საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას. ამიტომაც იყო, რომ ე. წ. „ოსვ-1“ (1972 წლის ხელშეკრულება) სწორედ რაკეტსანიანალმდეგო თავდაცვითი სისტემების შეზღუდვას ითვალისწინებდა. ახლა კი რეიგანი ფაქტურად უარს აცხადებს ამ ხელშეკრულებაზე და ფართო რაკეტსანიანალმდეგო თავდაცვითი სისტემის შექმნის გეგმებს ადგენს, თანაც თეთრი სახლის ახალი გეგმა უკვე კოსმოსის გლობალურ მილიტარიზაციასთან არის დაკავშირებული. ბუნებრივია, რომ საბჭოთა მხარე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დატოვებს უპასუხოვად ყოველივე ამას.

თეთრი სახლის ხელმძღვანელობა, რომელიც წლითწლით ზრდის სამხედრო ბიუჯეტს და ქმნის ახალ სახეობათა შეიარაღებას, დემაგოგიურად ავრცელებს ჭორს „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ შესახებ და ევროპელ მოკავშირეებს მოუწოდებს გააძლიერონ შეიარაღება და ხელი არ შეუშალონ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე ახალი ამერიკული ბირთვული იარაღის განლაგებას. სწორედ საომარი მზადების, სამხედრო პროგრამების, ახალ სახეობათა იარაღის შექმნის თაობაზე ილაპარაკა პრეზიდენტმა რეიგანმა ა. წ. 30 მარტის გამოსვლაშიც.

ვაშინგტონი ჭორს ავრცელებს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები ჩამორჩება საბჭოთა კავშირს სამხედრო დარგში და ამ საბაბით იგი ცდილობს კონგრესს მიადლების უზარმაზარი სამხედრო ბიუჯეტები ქვეყანაში ღრმა ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. რეიგანის მიერ წამოყენებული ე. წ. „ახალი თავდაცვითი კონცეფცია“ აშკარად დაარღვევს რაკეტსანიანალმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ 1972 წლის ხელშე-

კრულებას, გააძლიერებს გამალბულ შეიარაღებასა და მნიშვნელოვნად გაზრდის ბირთვული ომის წარმოქმნის საფრთხეს. მსოფლიოს პოლიტიკურმა წრეებმა, თვით ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობამ და ბევრმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ჯეროვნად შეაფასეს საბჭოთა კავშირის პრინციპული პოზიცია, მისი მშვიდობისმოყვარე კურსი. ამავე დროს, საშუაოდ და უპასუხისმგებლოდ მიიჩნევენ პრეზიდენტ რეიგანის მილიტარისტულ გეგმებს. ლონდონის „ტაიმსი“ აღნიშნავდა, რომ „ამერიკის ადმინისტრაციის მეთაურის გამოსვლამ უფრო შეაშფოთა, ვიდრე დააწყნარა ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირენი. მსოფლიოს ხალხები მოუწოდებენ გამალბული შეიარაღების შეწყვეტისათვის და არა ახალი მიმართულებით მისი გაძლიერებისათვის“.

ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ კარგა ხანია რაც დაამტკიცა, რომ ბირთვულ-რაკეტულ ხანაში არ არსებობს მშვიდობიანი თანარსებობისა და თანამშრომლობის ალტერნატივა. ასეთ დასკვნამდე დასავლეთ სამყაროში უკვე ბევრი მივიდა. აღსანიშნავია, რომ თვით ნატოს ბლოკის წევრთა შორისაც კი აღარ არსებობს სრული თანხმობა და ერთსულოვნება. განა ნატოს დამაარსებელნი როდესმე იფიქრებდნენ, რომ დადგებოდა ისეთი დრო, როდესაც პატარა პოლანდიაც კი ჭირვეულობას დაინწყებდა და პრაქტიკულად თვით ვაშინგტონის გეგმებსაც კი ეჭვის ქვეშ დააყენებდა? ანდა საბერძნეთის მთავრობა საჯაროდ გამოვიდოდა ნატოს გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ?

ამასწინათ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რეიგანმა განცხადება გააკეთა, რომელიც შეიცავდა წინადადებას საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების საკითხში ე. წ. „შუალედური შეთანხმების“ შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ანხ. ა. ა. გრომიკომ საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე პირდაპირ აღნიშნა, რომ „შუალედური ვარიანტი“ საცხებთ მიუღებელია საბჭოთა კავშირისათვის, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს ინგლისისა და საფრანგეთის საშუალო სიშორის ბირთ-

ვულ საშუალებებს, დასავლეთევროპისა და ავიაშიზიდებზე ბაზირებული ბირთვული იარაღის მატარებელ ასობით ამერიკულ თვითმფრინავს, ამასთან, გულსხმობს აზი-ჩინათი განლაგებულ საშუალო სიშორის საბჭოთა რაკეტების ლიკვიდაციას, რომლებსაც ევროპასთან არავითარი კავშირი არა აქვს. როგორც ამხანაგმა გრომიკომ აღნიშნა, მხოლოდ ეს უკანასკნელი მოთხოვნაც კი საკმარისია იმისათვის, რათა ჩაიშალოს ჟენევის მოლაპარაკება. მართლაც, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის მთელ აზიურ ნაწილს ემუქრება ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღი ოკინავიდან, სამხრეთ კორეიდან, დიეგო-გარსიიდან, სპარსეთის ყურიდან და სხვა ადგილებიდან, ჩვენ გვეკრძალება საკუთარი საშუალო რადიუსის ბირთვული პოტენციალი ჩვენი ქვეყნის აზიურ ნაწილში. რასაკვირველია, მშვენივრად იციან ვაშინგტონშიც, რომ ეს წინადადება პრინციპულად მიუღებელია ჩვენთვის, მაგრამ მთავარი მათთვის არა პროგრესის მოლაპარაკებაში, არამედ პროპაგანდისტული ეფექტი.

რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი ადამიანი რწმუნდება კაპიტალისტურ სამყაროში, რომ გამალეპული შეიარაღება და იმპერიალისტური წრეების აგრესიული კურსი პირდაპირი და მთავარი მიზეზია საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაართულებისა. ამიტომაც არის, რომ თითქმის ყველგან ძლიერდება ბრძოლა განიარაღებისათვის, ამიტომაც არის, რომ ასეთი ფართო გამოხმაურება და საყოველთაო მხარდაჭერა აქვს ჩვენი ქვეყნის ყოველ ახალ სამშვიდობო ინიციატივას.

ანტიმილიტარისტულმა სამშვიდობო მოძრაობამ უკანასკნელ ხანს საყოველთაო ეროვნული მასშტაბი მიიღო. თვით ბურჟუაზიულმა „ტაიმმაც“ კი ერთ-ერთ ნომერში ბირთვული ომის საწინააღმდეგო მოძრაობისადმი მიძღვნილ წერილს ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი გამოთქმა — „არ არსებობს ძალა ძლიერი იდეალზე, რომლის დროც დადგა“ — წარუმძღვარა ეპიგრამად და სწორედ დროდამდგარი იდეა უწოდა ანტისაომარ მოძრაობას, რომლის მთავარი მიზანია თვალის აუხილოს მილიონობით ადამიანს და ნათლად დაანახოს ბირთვული ავანტიურის რეალური საშიშ-

რობა. როგორც თვით ამერიკელივე მომხილველები აღნიშნავენ, თეთრი სახლის სტრატეგთა უკანასკნელ აქცენტებზეა ეს პრეზიდენტ რეიგანის საჯარო გამოსვლები თუ ახალი პროპაგანდისტული სიტრუე-ბროშურა „საბჭოთა სამხედრო ძლიერება“, ერთი მთავარი დანიშნულება აქვთ, — გაანელონ ანტისაომარი, ანტი-ამერიკული მოძრაობა. ამ აქციითა შედეგზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ამერიკისა და დასავლეთ ევროპაში ჩატარებული ე. წ. სააღდგომო სამშვიდობო სელები. როდესაც ინგლისში გრიმენ-კომონის ბაზის მიდამოებში 23 კილომეტრზე გაიჭიმა ანტირაკეტული დემონსტრაცია, ამერიკის შეერთებულ შტატებში რელსებზე წვებინ ბავშვებიანი დედები, რათა გზა გადაუეცონ „სიკვდილის მატარებელს“, ცხადი ხდება, რომ ხალხებს სწორად ესმით თუ დღეს ვინ ემუქრება საყოველთაო მშვიდობას.

ანტისაომარ, სამშვიდობო მოძრაობას, ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნება ეს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა თუ იტალიაში, სტიმულს აძლევს, გარკვეული გაგებით აერთიანებს სწორედ საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკა. როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალზე რთულ პირობებში მიმდინარეობს მშვიდობისმოყვარეთა ბრძოლა დაძაბულობის განმუხტვისა და განიარაღებისათვის. საკუთარ პოზიციათა ერთ მტკაველსაც არ თმობს რეაქცია სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის გარეშე და მაინც ჩვენ ოპტიმისტურად შევეყრებთ მომავალს, ვინაიდან ყველას თვალწინ იზრდება და მტკიცდება მშვიდობის ძალები. ფრანგ კომუნისტთა ორგანომ „იუმანიტემ“ მშვიდობასა და განიარაღებისათვის მებრძოლთა „სასიცოცხლო ელექსირი“ უწოდა საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს და, მართლაც, ყველა საბჭოთა ინიციატივა ძალას, ენერჯიასა და ოპტიმიზმს მატებს მსოფლიო ანტისაომარი მოძრაობის თითოეულ მონაწილეს.



# გრიგოლ გაგარინი საქართველოში

როქსანა ახვერდიანი

შმსანწმნაგმა რუსმა მხატვარმა, არქიტექტორმა და ხელოვნების მკვლევარმა გრიგოლ გაგარინმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა XIX საუკუნის 40-50-იანი წლების თბილისის ცხოვრებაში და საგულისხმო წვლილი შეიტანა რუსულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა განვითარებაში. საქართველოში გაგარინის მოღვაწეობა გაშუქებული აქვთ ი. ბოგომოლოვს და სხვა მკვლევართ, განსაკუთრებით დაწვრილებით ამ საკითხებს ეხება ვ. შადური თავის შრომებში. ცალკე კი ამ თემისადმი მიძღვნილი ნაშრომი არ არსებობს.

გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინი 1810 წლის 29 აპრილს დაიბადა. მამამისი, თავადი გ. ი. გაგარინი, გამოჩენილი დიპლომატი, ვაჟის დაბადების პერიოდში იტალიაში მსახურობდა, ფართოდ განათლებული პიროვნება და ხელოვნების დიდი მოყვარული იყო. დედა ე. სამოილოვა, ასევე, ლიტერატურითა და ხელოვნებით დაინტერესებული ქალი გახლდათ და მათი სახლი იტალიაში რუსული მხატვრული ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრი იყო საზღვარგარეთ. აქ თავს იყრიდნენ რუსი მხატვრები, არქიტექტორები, მოქანდაკეები... ახალგაზრდა გრიგოლ გაგარინი განსაკუთრე-

ბით დაუმეგობრდა გამოჩენილ რუს ფერმწერალს კ. ბრიულოვს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებით განვითარებაზე.

1832 წელს მამასთან და ძმასთან ერთად გაგარინი სამშობლოში მიეკვზავერება. ახალი შთაბეჭდილებანი აისახა მხატვრის მრავალრიცხოვან ნახატებში. პეტერბურგში მან გაიცნო პუშკინი, რომლის თხზულებები დაასურათა 1833-1834 წლებში. შემორჩენილი ნახატები მოწმობენ გაგარინის დიდ გატაცებას პუშკინის შემოქმედებითა და მისი პიროვნებით. სხვა მხატვართაგან განსხვავებით, გაგარინი სრულიად ახლებურად მიუდგა ნაწარმოებთა დასურათებას. ღრმა რეალიზმით გამოირჩევა არა მხოლოდ ილუსტრაციები, არამედ კარიკატურებიც, რომლებსაც ამ პერიოდში ქმნიდა მხატვარი.

1834 წელს გაგარინი რუსეთის დიპლომატიური მისიით ჯგუფთან ერთად კონსტანტინოპოლში მიემგზავრება. ამ პერიოდის მის ნახატებში ლაკონიური გრაფიკული ენით აღიბეჭდა აღმოსავლეთის ცხოვრება.

1839 წლიდან სამშობლოში დაბრუნებული მხატვარი ახლოს ეცნობა უბრალო რუსი ხალხის ცხოვრებას. ყაზანში მგზავრობისას

მის მიერ შესრულებული ჩანახატები საფუძველად დაედო ვ. სოლოგუბის წიგნის „ტარანტასის“ დასურათებას. ეს ნახატები, რომლებსაც მაღალი შეფასება მისცა ბელონსკიმ, გამოირჩევა სოციალური სიმახვილითა და ღრმა რეალიზმით.

უფრო მოგვიანებით გაგარინმა დაასურათა სხვა გამოცემებიც — პოეტების — რასტოპჩინას და მიატლევის ლექსების წიგნები (1843). ყველა ამ ნამუშევარმა მხატვარს რუსული რეალისტური გრაფიკული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის სახელი მოუპოვა.

„ტარანტასზე“ მუშაობის წლებში გაგარინი ლერმონტოვსა და მის თანამოაზრეებს დაუახლოვდა, — წვერი გახდა „თექვსმეტთა წრისა“, როცა 1840 წელს ლერმონტოვი კავკასიაში გასახლეს, მწერლის სხვა მეგობრებთან ერთად ისიც თან გაჰყვა მას. ლერმონტოვთან ერთად შეასრულა მან მთელი რიგი აკვარელური ჩანახატები, რომლებშიც მთელი ძალით გამოვლინდა მისი მომწიფებული სახვითი ოსტატობა.

კავკასიაში გაგარინი კულტურული ცხოვრების შუაგულშია. თბილისში იგი ახლოს ეცნობა ალექსანდრე ჰავკავაძის ოჯახს, ქმნის პოეტის შვილის — დავით ჰავკავაძის პორტრეტს. თბილისშივე მხატვარი ხატავს მაიკო ორბელიანს. ამ პორტრეტსა და ქალთა სხვა პორტრეტებში ხაზგასმულია მოდელთა კდემამოხილება და მომხიბვლელობა, ხაზგასმულია არა მხოლოდ მათი ვარვარული იერის, არამედ სულიერი სამყაროს სიმშვენიერე.

ამავე პერიოდში გაგარინმა შექმნა ნაცნობ ოფიცერთა და ჯარისკაცთა, ყაზახთა და მთიელთა პორტრეტები. შთამბეჭდავად გადმოსცა მათი მძლავრი, მოქნილი ფიგურები, ვაჟკაციური სახეები, ღირსების გრძნობა, გონიერება.

რეალისტური ოსტატობით ასახა მხატვარმა თბილისის ყოფის სურათები ჩანახატებსა თუ მრავალფიგურიან კომპოზიციებში. ნიღბების წრეში გამოხატა ხალხური მომღერალის სათარა, დასვენება ბანებზე, სცენები დღე-ღამეში. 1840-იან წლებში შესრულებულ ნამუშევრებს შორის გამოირჩევა მოზრდილი ნახატი, რომელზეც მოცეკვავე ქალები თბილისის ფონზე არიან გამოსახულნი.



ვ. გაგარინი

აკვარორტრეტი

გაგარინის ნამუშევართა შორის დიდი ადგილი უკავია ნახატებს, რომლებიც ლაშქრობის დროს არის შესრულებული და საომარ ადგილებს, ჯარისკაცთა დასვენებას ან კავკასიის ბუნებას აღბეჭდავს. ამ ნამუშევრებში გაგარინი გვევლინება ნატურიდან ხატვის დიდოსტატად.

1841 წლის ზაფხულში მთიელებთან შეტაკების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის გაგარინა ორდენით დააჯილდოვეს, შემდეგ კი ისევ პეტერბურგს გაიწვიეს, სადაც ჰუსარად განაწესეს.

კავკასიაში გაგარინი მეორედ 1847 წელს ჩავიდა გვარდიის პოლკოვნიკის ჩინით. ბრძოლებში მონაწილეობდა და კვლავ ბევრს ხატავდა. შექმნა მთელი სერია თბილისის ცხოვრების ამსახველ ნახატებისა, ქალთა პორტრეტები, ფანქრით, აკვარელით, ზეთის საღებავებით შესრულებულმა ამ ნაწარმოებებმა შეადგინა დიდი მოცულობის ალბომები „მშვენიერა კავკასია“ და „კავკასიური სამოსი“, რომლებიც 50-იან წლებში პარიზში გამოიცა შესავალი ტექსტით.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე გაგარინა თბილისის კულტურული ცხოვრების შუაგულში მოექცა — ასრულებდა სხვადასხვა შემოქმედებით სამუშაოს ქალაქის არქიტექტურული ამოცანების განხორციელებისას. 1850-იან წლებში იგი აქტიურ მონაწილეობას



ქართველი ქალი

იღებდა სახაზინო თეატრის აღმშენებლობაში. მხატვრის ესკიზების მიხედვით და მისივე პირადი მეთვალყურეობით შესრულდა თეატრის შინაგანი მოსაპირკეთებელი სამუშაოები. ამავე ხანებში იგი ასრულებს საწარმოო ხასიათის ფაბრიკების პროექტებს. ეს ის ფაბრიკებია, რომლებიც მოსაპირკეთებელ მასალებსა და იაფადღირებულ მშენიერი დეტალებს ამზადებდნენ საზოგადოებრივი შენობებისა და ეკლესია-ტაძრების ინტერიერებისათვის. დგილობრივი ხელისუფლება გაგარინს ავლებდა აგრეთვე გადაეხედა სხვადასხვა ედგილას მშენებარე სახაზინო შენობათა გეგმებისა და ფასაღების პროექტებისათვის.

იტალიელი არქიტექტორის სკუდიერის პროექტით აგებული თბილისის თეატრის ინტერიერი მაღალი გემოვნებით გააფორმა გაგარინმა. ვ. სოლოგუბი თავის სტატიაში ამ თეატრის შესახებ წერდა, რომ გაგარინი „ერთგული დარჩა თავისი მხატვრული რწმე-

ნისა, კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა მისი ხელოვნება. თბილისში დასახლებულმა თავისი სახელი უკვდავყო არა მხოლოდ ილუსტრაციებით, არა პორტრეტებით, არამედ თვალსაჩინო ძეგლებით. სწორედ მან მოხატა ტფილისის ახალი თეატრი გადამუშავებულ არაბულ სტილში“ (გაზეთი „ავაზი“, 17/IV—1851.). მეორე წერილში გაგარინზე სოლოგუბი აღნიშნავდა მხატვრის ორ დადამსახურებას — ალბომის „მშენიერი კავკასიის“ გამოცემასა და თეატრის მოხატულობის შექმნას: „პირველით მან განსწავლულ ევროპას გააცნო კავკასია როგორც იგი სინამდვილეშია, მეორეში — შექმნა უჩვეულო მომხიბველი სამყარო ულამაზესი ფანტაზიისა“... (В. Сологуб. Сочинения, т. V, 1855, стр. 375);

თეატრის ფოიე მოხატული იყო ევრიპიდეს, ესქილეს, სოფოკლეს, შექსპირის, მოლიერის, გოლდონის, გოეთეს, გრიბოედოვის გამოსახულებებით. პლაფონი აღმოსავლურ სტილში

იყო გადაწყვეტილი, ლურჯთან და თეთრთან შეხამებული ოქრო, „უნატიფესი ორნამენტი ფერადოვანი პაზმონიით გამოირჩეოდა. პირველი იარუსის ლოჯები ლარნაკებში ჩაწყობილი ყვავილებით იყო მოხატული. ფარდაზე გამოსახულ, კვერცხლებქვე მდგარ ქალღმერთს ერთ ხელში მახვილი ეჭირა, მეორეში სასწორი. გვერდით ერთ მხარეს რუსულ სამოსში გამოწყობილი გოგონა ეჯდა, მეორე მხარეს ქართველი. ფარდის ცალ მხარეს მოსკოვის კრემლი იყო დახატული, მეორე მხარეს — ტფილისი, მისი მეჩეთებითა და ეკლესიებით. ფარდა სიმბოლურად გამოხატავდა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას.

1874 წელს თეატრი დაიწვა. გაგარინისეულ აღმომში „ბიზანტიური, ქართული და ძველრუსული ორნამენტები და არქიტექტურული ძეგლები“ (გამოიცა ორჯერ — 1897 და 1903 წლებში) მოთავსებულ ნახატებში ნათლადაა წარმოსახული თეატრის შიდა ხედი. შემდგომში 1887-1888 წლებში გაგარინმა შექმნა ახალი თეატრის პროექტი, რომელიც ამავე აღმომშია მოთავსებული და, ასევე, აღმოსავლური სტილითაა გადაწყვეტილი. პროექტი ამ დიდებული, ლამაზი ნაგებობისა, სამწუხაროდ, აღარ განხორციელებულა.

ვ. შაღურის ცნობით, ამავე ხანებში ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დარბაზში გაგარინმა ააგო პატარა სცენა და შექმნა დეკორაციები. „ნაშთის სეზონში ამ სცენაზე ყოველკვირეულად დგამდნენ სპექტაკლებს

ლარბითათვის. აქვე დაიბადა აზრი იმის შესახებ, რომ შეიძლებოდა დადგმოლიყო სპექტაკლები ქართულ ენაზე. ეს იდეა 1850 წლის 2 იანვარს განხორციელდა — სწორედ ამ სცენაზე პირველად აჩვენეს გიორგი ერისთავის „გაყრა“, რომელმაც სათავე დაუდო ქართულ დრამატურგიასა და პროფესიულ თეატრალურ ხელოვნებას.

ტფილისში გავარინი აქტიურად იყო ჩამოშლილი მხატვრულ ღონისძიებებში, ხელშეწყობდა თეატრალური დადგმების მხატვრულ მხარეს, თვითონ აფორმებდა სპექტაკლებს.

გავარინი ღრმა ინტერესით ეცნობოდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურას, — ხუროთმოძღვრებას, ფრესკებს, ორნამენტის ხელოვნებას, მინიატურას და სხვ. იგი არა მარტო პრაქტიკოსი მხატვარი იყო, არამედ ხელოვნების განვითარების კვლევით დაინტერესებულიც. ჩვენ მივაკვირეთ ტფილისში 1856 წელს გამოცემულ წიგნს „მოკლე ქრონოლოგიური ცხრილი ბიზანტიური ხელოვნების ისტორიის შემსწავლელთათვის“. ეს წიგნი, რომელიც უკვე მაშინ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, გემოვნებითაა გაფორმებული და პოლიგრაფიულად მაღალხარისხოვნად გამოცემული. ჩანს, იგი თვით მხატვარმა გააფორმა.

წიგნი იწყება შესავლით, რომელშიც მკვადენდება მხატვრის თვალსაზრისი ხელოვნების რაობაზე. „თუმც კი თეორია „ხელოვნე-




ბაზრის მოედანი თბილისში

ბა ხელოვნებისათვის“ დღემდე ბევრის მიერ აღიარებულია, არ შეიძლება იგი არ მივიჩნიოთ ყალბად და ხელოვნების განვითარების შემაფერხებლადაც კი“. შემდეგ იგი ამ აზრს ანვითარებს ფერწერის შესახებ საუბრისას: „ნახატის სისწორე, ხაზისა და კომპოზიციის ცოდნა, კოლორიტის გრძნობა და ხელის გაწაფულობა, მართალია, მუდამ აუცილებელი იქნება მხატვრისათვის, მისი აზრის გამოსახატად, მაგრამ ყოველივე ეს არასოდეს არ იქნება ხელოვნების საბოლოო მიზანი, არამედ დარჩება მხოლოდ საშუალებად, ასევე როგორც რიტორიკა არ არის სიტყვიერების მიზანი, მუსიკალური ნომენკლატურა კი მუსიკის მიზანი, ხელოვნების სიცოცხლე მის აზრში მდგომარეობს, ვინაიდან ხელოვნება აზრის გამოხატულებაა“.

პროგრესულად და თანადროულად ჟღერს გაგარინის სიტყვები ხელოვნების მიზნისა და ხალხურობის შესახებ. მისი აზრით „აზრი და სტილი — ყოველი მხატვრული ნაწარმოე-

ბის საფუძველია... აზრი ანიჭებს მას სიკაცხელს, სტილი კი აზრის მარადიულობას განაპირობებს“. „ხელოვნების მიზანია მოხდენილად გამოხატოს ხალხის იდეების უბრალო და ჭეშმარიტი მხარე. ამაში მდგომარეობს ხელოვნების კავშირი საზოგადოებასთან და საზოგადოებისა ხელოვნებასთან“. ერთ ადგილას იგი ასკვნის: „ხალხის აზრის გამომხატველი და ამ აზრის ხილულ ფორმაში ხორცშესახმელად მოწოდებული მხატვარი მძლავრად ზემოქმედებს თავისი ქვეყნის საზოგადოების სულიერ და მორალურ გაკეთილშობილებაზე. მხატვრის მიზანი სინამდვილის ასახვა, ჭეშმარიტების სამსახურია. იგი ჭეშმარიტებისაკენ უნდა ისწრაფოდეს. ე. ი. მან უნდა გამოსახოს თავის თანამემამულეთა ნამდვილი გრძნობები და როცა სავსებით შეესისხლხორცება თავის ხალხს, იგი მიაღწევს მყარ წარმატებას“.

როცა ეროვნული ხელოვნების თავისებურებაზე მსჯელობს, გაგარინი ხაზს უსვამს



სიონის ეკლესიის მოხატულობა

იმას, რომ ყველა დიდი ხალხი ყველა ეპოქაში „თავის ნაწარმოებებს ანიჭებდა განსაკუთრებულობას, რაც გამოარჩევდა ადგილობრივი შემოქმედის სახეს, ერთი სიტყვით, ხალხურ სტილს, რომელსაც გამოცდილი თვალი ერთი შეხედვისათავე შეიცნობს“.

ეს ხალხური სტილი „მომდინარეობს ადამიანებისაგან, რომელთა ზნეობრივ მდგომარეობას შეუფარავი სიმართლით გამოხატავს შემოქმედი“. გაგარინი თვლის, რომ ხელოვნებაში ყველაზე ცუდი „საკუთარი ხასიათის, საკუთარი სტილის უქონლობაა, ამასთან, სხვათაგან უსუსური გადმოღებისა და წაბაძვის გზით სიარულია. მხატვარი აღნიშნავს, რომ „ეროვნული სტილის გამოგონება კი არ ხდება, იგი იქმნება ჩვევის, ტრადიციის საფუძველზე, ხალხის ისტორიის შედეგად... რაც უფრო მძლავრდება ხალხის ძალები, მით უფრო ჩქარა უბრუნდება იგი თავის ბუნებრივ მიდრეკილებებს, მიუხედავად ძალდატანებისა მისთვის არანაშანდობლივ სწრაფვათა ვალეებისაგან“.

ამ თვალსაზრისით იხილავს გაგარინი რუსეთში ხელოვნების განვითარების ისტორიას. როცა საქართველოს კულტურას ეხება, წერს, რომ ამ მიწაზე შეიქმნა ადრექრისტიანული ეპოქის მშვენიერი არქიტექტურული და ფერწერული ძეგლები. „საქართველომ ქრისტიანობაში საბერძნეთსა და რუსეთს გაუსწრო, სარწმუნოება აქ შემოიწინა პირველქმნილი ძალითა და სიწმინდით, მიუხედავად დევნისა. ამიტომაც ასე ურიცხვი რაოდენობითა მიმოფანტული დიდებული ეკლესიები“. გაგარინმა კრიტიკულად შეხედა ქართულ ხელოვნებაზე ბიზანტიური გავლენის საკითხს. უკვე მაშინ, ქართული ხელოთმოდკვრებისა და ფერწერის კვლევის საწყის ეტაპზე, მან ქართული ეროვნული ხელოვნების თვითმყოფადობა აღიარა. „ძალიან სამწუხაროა, — წერს იგი, — რომ აქამდე არ არსებობს რაიმე გამოკვლევა საქართველოს მხატვრულ ძეგლებზე, დასანანია, რადგან ყოველი წელი მათზე დამანგრეველ კვალს სტოვებს“. ამ წიგნში და მთელი შემდგომი მოღვაწეობის მანძილზე გაგარინი ქართული კულტურის მხურვალე პროპაგანდისტად გვევლინება. აღტაცებით წერს იგი უძველეს ტაძრებზე, რომლებშიც უძველესი ქვეყნის ისტორიას ხედავს.

1855 წელს ტფილისში გამოვიდა მხატვრული ალმანახი „ზურნა“, სადაც მოთავსებული იყო ვ. გაგარინის მოგონებანი ბრიულოვზე. ეს მემუარები შეიცავს მეტად ფასეულ ცნობებს არა მხოლოდ ამ ორი მხატვრის შემოქმედებით ურთიერთობაზე, არამედ თვით გაგარინის ბიოგრაფიულ მომენტებზე. „მოგონებებში“ გაგარინი გვევლინება როგორც სიტყვის ოსტატიც, ხელოვნების თეორიაში გათვითცნობიერებული. მასში გარკვეული ადგილი ეთმობა ქართული ხელოვნების ძეგლებზე მსჯელობას, მათი მხატვრული ღირსებების შეფასებას.

გაგარინის მიერ შემუშავებული პროექტით აშენდა ალაგირის ეკლესია. ვ. სოლოგუბი ნარკვევში „ალაგირის ვერცხლ-ტყევის ქარხანა“ აღწერს მუშათა დასახლებას (აქ წარმოებდა მადნეულის მოპოვება) და აღნიშნავს: „ყველაზე უფრო გასაოცარია... ფართო მოედანზე აგებული ეკლესია ბიზანტიურ სტილში, აგებული თლილი ქვით თავად გაგარინის გეგმის მიხედვით“. გაგარინმა „ზუსტად გაიანგარიშა ძველი ტაძრების ნაწილთა შეფარდების კანონი, ძეგლებისა, რომლებიც ასე უხვადაა საქართველოს ტერიტორიაზე, ამიტომაც მიღწეა ნაგებობის ასეთ ჰარმონიას, რაც მის მთავარ ღირსებას წარმოადგენს“. (В. Сологуб, Сочинения, т. V, стр. 275).

საქართველოში გაგარინის შემოქმედებითი მოღვაწეობის მწვერვალის სიონის ტაძრის მოხატულობა. მხატვრისათვის ესოდენ საბატო ამოცანის დაკისრება შემთხვევითი როდი იყო — გაგარინი საუფუძვლიანად იცნობდა ქართულ ფრესკულ მხატვრობას, იგი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში ფართოდ განსწავლული მხატვარი.

პლატონ იოსელიანი წერდა, რომ გაგარინი საქართველოში გატაცებით სწავლობდა ბიზანტიურ ფერწერას და კანკელის მოწყობილობას ძველ ტაძრებში, ტყეებზე და ხეობებში რომ იყო აგებული, ეცნობოდა IX-X საუკუნეების ხელნაწერებს. მან ხელახლა მოხატა ტფილისის სიონის ტაძარი (პ. იოსელიანი, ქალაქ ტფილისის სიძველეთა აღწერა. 1866, გვ. 102.).

სწორედ ამ ნამუშევარში სრულად გამოვლინდა გაგარინის ტალანტი, ქართული ხელოვნების



თბილისის თავისუფლების ტაძარი

ნებისადმი მისი დიდი სიყვარული. ახლა უკვე არა ტილოს მოკრძალებული ზომება, არამედ ფრესკის ფართო სივრცეები იძლეოდა გასაქანს მხატვრის შთაგონებისა და წარმოსახვისათვის. მაგრამ იგი არ უგულვებელყოფს არც მცირე მონაკვეთებს, რომლებზეც ქართული ორნამენტის ხვეულებს აღბეჭდავს. აქ გამოიყენა მან ალბომებში ფაქიზად ჩახატული ორნამენტები.

მოხატულობაში გაგარინმა პირველად მოიხმარა სპეციალური სანთლის საღებავები, რომლებიც მანამდე მიუნხენში იყო გამოყენებული. როგორც სოლოგუბი აღნიშნავს, ეს საღებავები არ შავდება და არ ფერმკრთალდება.

მოხატულობამ თანამედროვეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. 1854 წელს ტფილისში გაიხსნა დიორამა (შესრულებული ჯერბუხის მიერ), რომელიც სიონის ტაძრის შიდა ხედს გამოხატავდა. ამას იუწყებოდა გაზეთი „კავკაზი“ (№ 29, 1854). ეს მოხატულობა დეტალურადაა წარმოდგენილი გ. გაგარინის ალბომში „ბიზანტიური, ქართული და ძველრუსული ორნამენტები და ხუროთმოძღვრული ძეგლები“.

საქართველოში ცხოვრების პერიოდში გაგარინის სახლი კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრი იყო. აქ თავს იყრიდნენ ქართველი და რუსი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

1855 წელს გრ. გაგარინი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ამავე წლის შემოდგომაზე ტფილისის საზოგადოებრიობამ მას საზეიმო გაცილება მოუწყო. ე. ვერდერეცკიმ მას უძღვნა ლექსი, რომელიც გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა (28/IX, 1855).

პეტერბურგის აკადემიასთან გაგარინის ინიციატივით შეიქმნა მუზეუმი, სადაც მხატვარმა თავი მოუყარა ბიზანტიური, ქართული, რუსული ხელოვნების უძველეს ნიმუშებს. ქართული კულტურის ძეგლთა პროპაგანდას გაგარინის მოღვაწეობაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა მისი სიცოცხლის ბოლომდე (1893).

ქართველი ხალხი დიდად აფასებს შესანიშნავი რუსი მხატვრის, ხუროთმოძღვრის, მკვლევარის როლს ქართველი და რუსი ხალხების კულტურულ დაახლოებასა და დამეგობრებაში.

# აზრები თეატრზე

(ჩანაწერები უბის წიგნაკებში. 1898-1936)

„სახლი თეატრის სახელწოდების ძინაზ“

მოსკოვის სამხატვრო საუკეთესოდ ხელმისაწვდომი თეატრი აღმოცენდა არა იმისათვის, რომ მოსკოვს ძველი, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს. იგი შეიქმნა იმ მიზნით, რათა განაგრძოს და განავრცოს ის, რაც ჩვენ საუკეთესოდ მივაჩნდა რუსულ სასცენო ხელოვნებაში. უველაზე საუკეთესო და მშვენიერი კი მასში არის შრეკინის ნაანდერძები — „ნიმუშები აიღეთ ცხოვრებიდან“, და ჩვენი მიზანია მხატვრული სიმართლისაკენ მომწოდებელი ეს ანდერძი საკუთარ დევიზად გავიხადოთ.

აბა წარმოიდგინეთ ადამიანი გუშინდელი დღის, წარსულის გარეშე!

თეატრში მაყურებელი ან აქტიორთან და ავტორთან ერთად ცხოვრობს. ანდა სცენას შეპყრებს — ანტიერებსეს რა ხდება იქ, შეხბარის, აღფრთოვანებულია იქ მომხდარი ამბით და სხვა. პირველ შემთხვევაში სცენაზეა ესთეტიკურ ფორმაში განსხვავებული ნამდვილი ცხოვრება. ეს არის სწორედ განცდის თეატრი. მეორე შემთხვევაში თეატრი ლამაზი სანახაობაა მხოლოდ. სასიამოვნო გართობა და მხიარული დროსტარება. ეს გახლავთ სწორედ წარმოსახვის ანდა გასართობი თეატრი. იმისთვის, რომ მივაღწიოთ მაყურებლის განცდას, უპირველესად, მსახიობმა უნდა ირწმუნოს სინამდვილე სცენაზე მომხდარი ამბისა. ამ რწმენას მხოლოდ მსახიობის მართალი განცდა მოგვანიჭებს.

სანამ მაყურებელს სჭერა სცენაზე მომხდარი ამბისა, — თეატრი ნამდვილი ცხოვრებაა. მაგრამ თუ

პუბლიკათა მოამზადა კ. ს. სტანისლავსკისა და ვლ. ი. ნემროვიჩი-დანიენკოს მეშვეობით შემსწავლელი და საგამომცემლო კომისიის ხელმძღვანელმა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა, რსფსრ ხელოვნების დონსახუტებულმა მოღვაწემ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე პროკოფიევმა.

ჩვენს ქურონალში პუბლიკაცია იბეჭდება შემოკლებით.

ბრტყალბში მოქცეული დასათაურება შემოთავაზებულია პუბლიკაციის შემდგენლის მიერ.

მაყურებელს აღარ სჭერა სცენისა, მსახიობისა და ავტორისა, თეატრი გადაიქცევა გართობად, დროსტარებად. კაცმა რომ თქვას, გართობაც არ არის ურთიერ საქმე, მაგრამ მე ასეთ თეატრზე არ ვოცნებობ. მე მხოლოდ განცდის თეატრზე ვოცნებობ. მხოლოდ ასეთ თეატრს ვესწრავდი და მხოლოდ ასეთი თეატრისთვის შემიძლია ვწილო მძიმე ტვირთი თეატრალური მოღვაწისა.

განცდის ძველი სკოლაა — სამარინი, შრეკინი. აი, ჩვენი თანამოაზრენი.

მათი ხელოვანი მიმდევრები — ეს გახლავთ სწორედ ხელოვნებაში შეზავებული წარმოსახვის თეატრი. ამ მიმართულებას მეტად მრავალფეროვანი ასორტიმენტი აქვს შტამპებისა. ამგვარად ეს არის უველაზე გავრცელებული და უველაზე დამუშავებული მიმართულება, რომლის შესწავლა და შეთვისება იოლი საქმეა. ამ გზით პიესის დადგმა საშიოდ რეპეტიციითად შეიძლება.

ახალი მიმართულება ჯერ არ არის დამუშავებული, ამიტომ არც აქვს თავისი ტექნიკა და ფსიქოლოგიური შტამპები. ამ გზით რაიმე შედეგის მიღწევა ძალიან მწიელია — ასობით რეპეტიციაა საჭირო...

„ბალს უნდა სჯაროდეს პარტისისა და მისი მშინდობანი ცოცხალ ადამიანებად უნდა მიზანდეს“.

გულწრფელობა და სისადავე — ტალანტის უძირვასესი თვისებებია. ამ თვისებათა გამო მრავალი ნაკლი შენდობა შეიძლება. უკველთვის სასიამოვნოა გვეროდეს არტისისა და მასში ცოცხალ ადამიანს ხედავდე არსებობენ მათგან განსხვავებული, სცენურა პათისისა და პოზის მოყვარული არტისტები. ესენი შორს არიან სიმართლისაგან და ამიტომ არ შეუძლიათ უბრალო, ცხოვრებისეული როლის განსახიერება კლასიკურ რეპერტუარში, რომელშიაც უმეტესწილად გამოდიან. ისინი ახერხებენ მაყურებლის მოტყუებას. რადგან ამ მაყურებელმა ცუდად იცის შუა საუკუნეთა ცხოვრება. მაყურებელთა მასს სჭერა, რომ იმ შორეულ წარსულში ადამიანები კი არ ლაპარაკობდნენ, უჯროდნენ და ტირადნენ წარმოქმადნენ, რომ ჩვეულებრივად კი არ დადიოდნენ ან უბრალოდ კი არ სხდებოდნენ, არამედ რალაცნაირად განსაკუთრებულად, რაქრული მანერულობით აკეთებდნენ ამას.



ზოგჯერ ვერც უარყოფ ამგვარი შესრულების სი-  
ლაშაზე, მაგრამ ეს ხომ თეატრალური სილაშაა და  
არა მხატვრული. არც ამ არტიტებისაგან მიღებული  
შთაბეჭდილების უარყოფას ვაპირებ, მაგრამ ესეც  
მათს პირად ტემპერამენტზეა დამოკიდებული. პოზის  
პირობითობა ყოველთვის ვნებს და ვერასოდეს ვერ  
ესმარება შთაბეჭდილებას.

ხალხს უნდა სჭეროდეს არტიტისა და მისი ქმნა-  
ლებანი ცოცხალ ადამიანებად უნდა მიაჩნდეს.

განსხვავება გრძნობის წარმოდგენის და გრძნობით  
ცხოვრებას შორის ისეთივეა, როგორც ფსევდოკლასი-  
ციასა (პათოსი, სიცრუე) და კლასიკას (სიმართლე)  
შორის.

არის პათოსი, რომელიც მოედინება ტემპერამენტის  
სიჭარბისაგან. ამგვარ პათოსს იწვევს გულწრფელი,  
ნამდვილი განცდა.

მაგრამ არის პათოსი, რომელსაც იწვევს სიმცირე  
ანდა სრული არარსებობა ტემპერამენტისა. ამის მი-  
ზეზეა გარეგნული პირობითი მანერულობა. სწორედ  
ეს არის თეატრალობა, სცენური სიყალბე.

არის ასეთი აზრი: იუფინი თავისუფლებას ანიჭებს  
მსახიობის პიროვნებას, მე კი — ესპოზ მას.

აქრეტი თეატრი არ თრგუნავს მსახიობს ისე,  
როგორც მცირე თეატრი, მე კი ვცდილობ ვემსახურო,  
მოვემარო მსახიობს, მაგრამ თეატრალური სკოლა,  
ჭერ კიდევ პირველ დებიუტამდე კლავს (მსახიობის)  
პიროვნებას, ნერგავს მასში არა ცხოვრებას, არამედ  
აქტიორული ქმედების რიტუალს.

ბარონმა კორფმა მოიწადინა უმაღლესი ქება  
ედუნა იუფინისათვის იავოს როლის შესრულებისა-  
დაც ახეთი რამ თქვა: „ვიდრე ჩემს ადგილამდე  
მოვადრევედი პარტერში, სცენაზე თვალის ერთი შევლ-  
ებაც საქარისი იყო ნივშვებდარიყავი, რომ იუფინი  
უბოროტეს პიროვნებას ასახიერებდა, ეს საოცრებაა!“

ჩვეულებრივი ხელოსანი აქტიორის თამაში — ეს  
არის პიესის კომენტარი: აქ ღირიშვია საქირო, აქ  
დრამაა, აქ კიდევ — პოეზია.

შეუძლებელია საყოთარ სულში შექმნა ნამდვილი,  
ცოცხალი, მითითლვარე ცხოვრება ყალბი, თეატრა-  
ლური განსახიერების უსიცოცხლო ზერხებით. სიყალბე  
და ხელოვნება ყოვლად შეუფუებელი ცნებებია.  
ამიტომ ის იდეალური თეატრი, რომლის გამო ვოცენ-  
ბობი, დაფუძნებული უნდა იყოს სიმართლეზე და  
არა პირობითის სიცრუეზე. თეატრი, რომელზედაც  
ვლასარაკობ, ავებული უნდა იყოს სულიერ სიმართ-  
ლეზე და მის შემოქმედება და მათურებელთა რწმენა-  
ზე.

მაგრამ მსახიობთა დიდი ნაწილი სხვაგვარად ფიქრ-  
ობს, მათ ფორმა უნდათ ფორმისათვის, მათ როლი  
სჭირდებათ გარეგნული სცენური მოქმედებისათვის.  
ბევრ რეჟისორს კი პიესა სჭირდება გარეგნულად  
ლაშაში წარმოდგენის შესაქმნელად.

დამწეები არტიტების პალიტრა ძალზე დარიბია  
საღებავებით. ისინი ერთი ტონით ზატავენ როლს,

შუქრდილების, ნახევარტონების, გადასვლების ვარ-  
ეშე. ტრაგიული და ბოროტი პერსონაჟების განსა-  
ხიერებისას მხოლოდ შავი ფერებით სარგებლობენ.  
ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე გმირების წარმო-  
დგენისას — მხოლოდ ნათელი საღებავებით. ფუნჯის  
ოსტატს რომ მათთვის მიებაძა, ფერწერული ქმნილე-  
ბის ნაცვლად გამოვიდიოდა დიდი შავი ანდა თეთრი  
ტილო, რომელზედაც ვერ გაარჩევდით სურათის ცალ-  
კეულ საჟილეებს და ეტალებს.

სცენის მაღალი ფიციარნავი ძალიან უშლის ხელს  
მსახიობის (საოცარია, მაგრამ ასეა) სწორი სცენური  
ოუთიშეგრძნების შექმნას. (ამგვარი ფიციარნავები)  
მეტრებმეტად წარმოაჩენს მსახიობს და აქედან გამო-  
ნდნარე, აძლიერებს თეატრის მოსჩვენებელ მხარეს  
აის მათურებელიც გრძნობს და მსახიობიც.

ორკეტრი ვნების მომტანი რამ არის ჩვენს ხელო-  
ვნებაში. იგი თეატრალურად აღუღვევს ადამიანს.

„შტამპების მოსკომა — სამსხენიოზო ტამენისი  
პრტ-პრტი შმთაპრპისი ამოცნაბა“.

შტამპები — გარდუვალი, აუცილებელი და მუდმი-  
ვი თანამგზავრი ყველა არტიტისა. შტამპი, ისევე  
როგორც სკოკო და ობი, აღმოცენდება ხოლმე იქ, სადაც  
როლი ჭერ კიდევ ნეღლი და უმწიფარია. საქარისია  
როლის ამგვარი უმწიფარი ადგილები ნამდვილი  
გრძნობით ვავაობით და შტამპიც მათივე გაქრება

შტამპი ის გარეგნული საშუალებაა, განცდის ის  
კომპრომისი და თავის დაღწევის ის საშუალებაა, რომელიც  
ფარულად ანახებობს და ურველითვის მზად  
არის შეცვალის ნამდვილი აქტიორული განცდა. შტამ-  
პი ურველითვის გამწადებულია ჩვენდა სამსახურად.  
ის იმ დაუჭარკელ რეგვენსა ჰვავს, რომელიც მტერზე  
უარესია.

ღაბეწილი შინაგანი განცდა — ვიოლინოსა ჰვავს.  
შტამპები — დოლს. დოლის ბრახუნში სავსებით იჯარ-  
გება ვიოლინოს ხმა.

იმდენად მძლავრი ტალანტის პატრონი იყო სალვი-  
ნა, რომ იგი ზოგჯერ თრგუნავდა ხელოსნობას თავის  
შემოქმედებაში. მაგრამ ისეთი ძლიერი რამ არის  
აქტიორული შტამპი, რომ იგი ხშირად თვით სალვი-  
ნის ტალანტსაც კი აპარცხებდა.

ხელოსანი მსახიობი დაუფიქრებლად წაატანს ხელს  
როლს და მათივე შეუდგება გამოცხოვბას. არტიტი კი  
ყოველ ახალ როლში ახალდება. მოყვარულია. ხელოს-  
ნები ასეთი სიტყვით ამოებენ მას „ეს რა მსახიობია“.  
და ვერ შეუგნიათ, რომ ჩვენ იმის გამო გვეჭარებნიან  
ისინი, რომ ასეთი გამოცდილები არიან, რომ ყველა-  
ფერი იციან და რომ სწორედ ამით ამოციკებენ —  
ისინი არტიტები კი არა, ხელოსნები არიან.

თუ თქვენ ნახავთ ცნობილი გასტროლოიორის აფი-  
შას, სადაც წერია, რომ დღეს, ორშაბათს, დღლით  
„უჩაღებში“ თამაშობს, საღამოს — „კამეტეში“, ზვალ.  
სამშაბათს, — დღლით, „სამოქალაქი სიცილიში“,  
საღამოს კი, „ოტელეში“, ოთშშაბათს, დღლით —  
„კინში“, საღამოს „მეფე ღირში“ და ა. შ. — იყო-



დეთ, რომ ეს გასტროლოგი არტისტი კი არა, მარტვე ხელოსანია, რომელიც ექსპლუატაციას უწევს უმცარს მათურებელს.

ხშირად მსახიობები მათურების წინაშე თავიანთი არტისტული განცდის ილუსტრირებას კი არ ახდენენ. არამედ პირადად ტემპერამენტისას. მათთვის უმთავრესი ის კი არ არის, რომ მათურებელმა გმირის განცდები გაიზარა. არამედ ის, რომ ხალხმა ირწმუნოს ძალიან მათი აქტიურობის ტემპერამენტისა.

ეს ხელოვნება არ არის. ამგვარი მსახიობი არტისტი კი არა, ტემპერამენტოვერა.

მათურებელსაც აქვს თავისი შტამები. მავალითად, მაღალ ნიჭიერ მსახიობად ის კი არ ითვლება, ვინც ქმნის და კარგადაც ქმნის მხატვრულ ხანებებს. ეს, უბრალოდ, კარგი მსახიობია. ტალანტი ის არის, ვინც თავზარს დაგვიყვებს, გაგვაოცებს, მაგრამ ახ ხარისხისა და თვისებებისა ეს გაოცება, ამას არავინ დაეიდებს.

საქმე იქამდე მივია, რომ კორნისა და იუენის: არ იყოს, ტალანტად თვლიან მხოლოდ შინაგან უღლოს და გენიოსებად მიაჩნიათ ისინი, ვისაც ოთხი რენტეციით შეუძლია სექტაკლის თამაში.

მარჯანოვი ლაპარაკობს ხელოვნებით მონიჭებულ სიხარულზე... ესე იგი იმაზე, როცა ყველანა დაბოიან, ცეკვავენ, მუსიკა უტრავს, შტანდარტი ხტის... ეს არის ხელოსნობის სიხარული. კემშარიტი ხელოვნება იქმნება სირუმეშა, სულის სიღრმეში, იგი მოითხოვს ჩაღრმავებას, დედაარსში ჩაწვდომას. აურზაური, სწრაფი მუშაობა, ადვილი წარმატება — ეს ხელოსნობაა.

„სიმართლე სილაშაზის ბარბუშ და სილაშაზე სიმბარტლის ბარბუშ ვერ მოგვცემს ხელოვნებას“

მრავალი წლის მანძილზე თეატრმა მათურებელშეაჩვია ათასგვარ მონაგონ ამბავს. აქ ყველაფერია შესაძლებელი და ამიტომ მათურებელი ადვილად შეგევა იმ ეპატა, რომ სცენაზე კი არ ცხოვრობენ, არამედ მხოლოდ თამაშობენ ცხოვრებას. ამგვარი რეპუტაციის არსებობაში თავად თეატრია დამნაშავე. თუ თეატრი მოინდომებს ცხოვრებასთან სიახლოვეს, ცხოვრებაც არ დაუყოვნებლად მასთან მიახლოებას. სანამ ეს არ მოხდება, თეატრი დარჩება გასართობ და ამიტომ არასერიოზულ ხელოვნებად.

რა იქნება, რომ შეიქმნას ისეთი თეატრი, რომელშიც ყველაფერი სიმართლეს და განცდის ბუნებრივ სილაშაზეს დაემორჩილება. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს გარეგნული მომხიბვლელობა უარყოფითია. პირიქით, რაც უფრო მეტი სისავსით გადმოცემთ ადამიანის სულის ცხოვრებას, მით უფრო მეტი გამომსახველი საშუალებაა საქირო სულიერი შეგრძნებათა გადმოსაცემად, მით უფრო მეტი მრავალფეროვნება სასურველი იმ გარემოცვის საჩვენებლად, რაც შეიძლება არის დაკავშირებული ჩვენს სულიერ ცხოვრებასთან.

განცდის ხელოვნების ახალი მიმართულება — სიმართლე + სილაშაზე. სიმართლე სილაშაზის გარეშე

და სილაშაზე სიმართლის გარეშე ხელოვნებას ვერ მოგვცემს. ხელოვნებას ქმნის ამ ორი მომენტის ერთობლიობა (გოგოლი, ჩესოვი, შუპკინი, კუდრინსკი). წარმოსახვის ხელოვნება — სილაშაზე + სიმართლი სიმართლე (სილიერი, გოვეუ, კოკლეინი). ხელოვნობა — სილაშაზე + სიმართლის არარსებობა, ხელოვნება ორი რეპეტიციით.

ხელოვნება, დამყარებული სიტრუტეზე, მყირე ხნით ატუყუებს ადამიანს. იგი ადაგუნება ფანტაზიას, ეალერსება თვალსა და სმენას, მაგრამ სიღრმეში ჩაწვდომის ვერ ახერხებს.

ხელოვნება, დამყარებული სიმართლეზე, — დავიწყებას არ მიეცემა, რადგან იგი იყრობს გრძნობას და გონებას.

სიმართლე ის არის, რაც ახლა წყნს არტისტის ადამიანურ (და არა აქტიორულ) ბუნებას.

„მთაბრის მიზანით — შექმნას ალბომიანი სულსისცხმობა“

შემოქმედების უმთავრესი არის ეს არის განცდის სიმართლე და ბუნებრივი სილაშაზე. აი, ეს ორი კემშარტება უნდა შეინარჩუნოს საუფადად ხელოვნებას. ეს არის სწორედ ხელოვნების სული. როგორც კი დაკარგავს ამას, ხელოვნებას სული ეცლება და მაშინ ხელთ შემოგვრჩება მხოლოდ ფორმა, გარეგნობა. რისი შექმნა ხელოსნობასაც შეუძლია, ამგვარ სწორედ ახეთი ვითარება თეატრში. თეატრმა თავისი სული დაკარგა. დადაგა ფორმის ქაოსი და ხელოსნობის შეუფლება, იქნება ლამაზი ფორმისაც. მაგრამ ჩემი გეოვნება ვერა და ვერ ეტყუება ამგვარ მოვლენებში.

ჩვენს ნოვატორებს ძალიან უყვართ გამოგონებლობა და აღმავტრად უყურებენ ბუნებრივ სიმართლეს, რადგან ეს ნატურალიზმად მიაჩნიათ. მათ სურთ სიმბარტის აქობონ ბუნების შემქმნელს და ავიწყლებათ, რომ კემშარიტად ლამაზი ის არის, რაც ბუნებისაგან მომდინარეობს.

ბუნებრივ ძალდატანება არ შეიძლება. უნდა შეგვეძლოს ბუნების გაგება, ბუნებისაგან იმის აღება, რაც მასში კემშარიტად წყენიერია. ეს არც ისე ადვილია. მხოლოდ ტალანტებს შეუძლიათ მშვენიერისა და ამაღლებულის შეგრძნება და გაგება. ვაი, მათ, ვინც მოიწადინებს ბუნების მშვენიერების თავის გუნებისად გადაკეთებას. ამით ისინი მხოლოდ ძალმომრეობას მოახდენენ ბუნებაზე და დაამახინჯებენ მას.

ჩაახიბთ ორგანული ელემენტებით სავსე რეპორტატი რაიმე არაორგანული ნივთიერება, ვთქვათ, ოსპონაქსი და ნახათ, როგორ აიზღერევა ყველაფერი და როგორ აქოთდება იქაურობა. ასევე როლის სულე, საქამისიაროლის ცოცხალ შეგრძნებებს რამდენიმე მკვდარი შტამი და აქტიორული შესრულების არაბუნებრივი პირობითობანი შეუფრით და ყველაფერი აიზღერევა მსახიობის სულში, გათახიბრდება როლის ცოცხალი სული.

„სიმბარტის სავსინი — ზნობრივი სავსინიტა“

როდესაც ამბობენ — თეატრი-სკოლა, თეატრი-აკადემია, თეატრი-ტაძარი, საშინელი ნაღველი მუფუღე-

ბა. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ როდესაც თეატრი სკოლად, აკადემიად ან ტამრად გადაიქცევა, ეს უკვე თეატრი აღარ არის, ხოლო ჩვენ არტისტები კი აღარ ვართ, არამედ პედაგოგები.

ამბობენ, თეატრი ასწავლისო. იყოს ასე. მაგრამ ჩვენ ამას ნუ ვეუბნებით. თეატრი ლოცვის სურვილს ბადებსო. მაღალია კარგი, მაგრამ მსახიობებს ნუ მის-თხოვთ მღვდლებად გადაქცევა.

ჩვენ არტისტებია ვართ. ჩვენ ვთამაშობთ იმიტომ, რომ მოთხოვნილება გვაქვს სცენაზე თამაშისა.

რატომ გალღობს ფრინველი?

თეატრი სასურაა, გართობა, სანახაობა და მადლობა დღერთს სწორედ ამანია მისი ძალა. დაე, ისწრაფონ მხიარული დროსტარებისათვის. დაე, ვეწვიონ იმის გამო, რომ სხვა საქმე არაფერი აქვთ. — ჩვენ მათ უცდინოდა და ნანახის განცდით დატვირთულებს ვავისტურებთ.

### მოჩვენებითი ბუნდები

ერთ უხეირო რეცენზიაში ჩემზე მაღლა კანკაღვი დააყენეს და ერთის წუთით ჩემს სულში რაღაც უშვავანი გრძნობა შეიზარა.

სწორი ეთიკა და ზნეობრივი სიმტკიცე დიდად ეხმარება არტისტს საკუთარი გამხრწნელი საწყისისაგან დაცვაში, საამისოდ არტისტმა, უწინარეს უკვლხისა, კარგად უნდა შეიგნოს თავისი მისიის ძირითადი ამოცანა, განსაზღვროს წმინდა ხელოვნების საზღვრები და მართებულად გაიგოს თავისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს უშთავებსი დებულებები უღვევს საფუძვლად არტისტის პროფესიულ ეთიკას.

მსახიობი უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ სცენა — ეს განსაკუთრებული, წმიდათაწმიდა ადგილია. სცენის ზღვრებს მიღმა ის სხვა კაცად უნდა იქცეს. სცენაზე ასვლისას იმის სურვილი უნდა დაებალოს, რომ მხანა-ჟლა ილაპარაკოს, ფეხის წვერებზე იაროს და მუდამ დირსულად ექაროს თავი. ერთდროს ბედწილკუთარის უწმინდეს ზღვრებს. სცენისადმი ამგვარი დამოკიდებულება ბედად დაეხმარება მსახიობის როლის შესრულებაში. — უკველთვის ექნება საზნეობა შეგრძნებები, რაც აგერიგად არის საჭირო არტისტული ზნეობისათვის. ამეთივად განწყობა მაყურებელსაც რომ დაეფუფლოს, რა ადვილი იქნებოდა თამაში!

საოცარი და საწყენია, რომ თეატრში სხვადასხვა ვითარება. მსახიობებს თეატრში შემოაქვთ საძაგელი ჩვევები და აფურთხებენ იმ წმინდა ადგილს, რომელიც მათი შემოქმედებით ბედნიერების მომტანი უნდა იყოს. საოცარი ის არის, რომ ამის შემდეგ უკვირთ კიდევ — თეატრი და შემოქმედება არავითარ ამამაღლებელ გრძნობას რომ აღარ იწვევს მათში. როგორ შეიძლება დააფურთხო საკურთხევებს და მერე იმ საკურთხეველთან ლოცვა ადავლინო.

ინევე, როგორც ცხოვრებაში არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ხიამეთათვის არსებობენ (ეგოისტები) და ადამიანები, რომლებიც სხვებისთვის არსებობენ (ალტრუისტები), სცენაზეაც არიან მსახიობები, რომლებიც სხვებისთვის (პარტნიორისთვის) იღვიან.

თქვენ ჭირ არა ხართ არტისტკა. თქვენ ჭირ მხოლოდ ქალი ხართ ჩვენს ხელოვნებაში. თქვენ არ გი-

ყვართ ხელოვნება. თქვენ თქვენი თავი გიყვართ ხელოვნებაში. თქვენ არ სწავლობთ მხატვრულ სახეობაში. თქვენ არ სწავლობთ იმას, რაც სწავლობს, თუ როგორ აჩვენოთ თქვენი თავი სცენაზე. სცენა თქვენითვის ცხოვრების არენა კი არა, მხოლოდ საკუთარ მშვენიერებათა გამოყენების საშუალებაა. თქვენ ჭირ-ჭირობით მხოლოდ აქტრისა ხართ და არა არტისტი.

### მთიას, დისციპლინა, ხასიათი პრინციპის

სცენური თვითშეგარანების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება როგორც თავად მსახიობის პირად ხასიათს, ისე თეატრში დამკვიდრებულ ეთიკას, რაც სასურველ ატმოსფეროს ქმნის ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის.

თუ მსახიობი მეტისმეტად ნატყვოყვარე, ნერვიული, გაღვიანებული და მუდამ გამწყურალია, როგორც საკუთარ თავს, ისე სხვასაც უფუძებს იმ სასურველ განწყობას, რაც აგერიგად არის საჭირო შემოქმედებისათვის.

შემოქმედებითი შრომა მხოლოდ შესაფერისი გარემოცვის პირობებშია შესაძლებელი და ის, ვინც ამგვარი ატმოსფეროს ხელისშემშლელია, დანაშაულს სჩადის საზოგადოების. ხელოვნებისა და თეატრის მთელი კოლექტივის წინაშე. აი რატომ არის თეატრში ასე აუცილებელი უმჯობესი ეთიკა და დისციპლინა.

„პარადიულია მხოლოდ ის, რაც ორბანულია“

შტამები, პირობითობა — ეს ის ბორკილებაა, რომლებიც იმონებენ მსახიობებს და თავისუფლებას არ აძლევენ მათ.

ჩემი სისტემით მომუშავე მსახიობები გაშლემბით იბრძვიან თავისუფლებას მოსაოველებად და საკუთარ თავში სპლიტ პირობითობას და შტამებს. აქველი სკოლის მსახიობები კი, პირიქით, უფრო მეტად ივითარებენ შტამებს და ამით უფრო და უფრო მაგრად იჭერენ ბორკილებს. სასაცილოა მოსმენა შტამებისა და პირობითობის ტყვეობაში მყოფი იუენისა, რომელიც მონობაში ეძებს თავისუფლებას. როგორ შეიძლება ვერწმუნოთ მის ქადაგებას მსახიობის თავისუფლებისა და აქტიურული ინდივიდუალობის თაობაზე, როგორ შეიძლება ოქროს გალიაში ვაზრდელ ჩიტს რაიმე წარმოდგენა ჰქონდეს უკიდევანო სივრცეზე. იუენის სურს თავისუფლება ბორკილებაში. მას უყვარს ეს ბორკილები და არც აქვს მათი დაშლვისთვის სურვილი.

...დიდი შეცდომა ფაქრი იმისა, თითქოს მხატვრის თავისუფლება ისაა, როცა ის იმას აკეთებს. რაც სურს. ეს თავნება, უჩიათო კაცის თავისუფლებაა. ვინ არის უკვლავზე თავისუფალი? ის, ვინც ბრძოლით მოიპოვა დამოუკიდებლობა, რადგან თავისუფლება თავისთავად არ მოდის, მას ბრძოლით მოიპოვებენ მხოლოდ.

ხელისნობა მეტისმეტად აადვილებს თეატრალურ საქმეს. მაგალითად, ევრეინოვა სპექტაკლი დადგა შუა დაბაზში. მოიგონა კურიაოული ფორმა და გარემო. მაგრამ ამ ფორმის შესატყვისი შინაარსის მაგვარად ზღელ შემოგვრჩა საერთო აქტიურობის რიტუალი, მითუმეტეს, რომ ხალხს ამგვარი რამ განუე-

ნებულ ხელოვნებად მიიჩნევა. ხალხი კმაყოფილია. — არაფერი არ აწუხებს, კმაყოფილია მსახიობიც — ხელოსნობა აქი ასე ადვილი რამაა. რეისორიც ზეიმობს. — ყველაზე რთული რამ ხომ პიესის, აქტიონის სულში ჩაწვდომაა. ეს კველაფერიც შეტამით არის შედგენილი. აქი ამბობენ კიდევ — რა ფანტაზია!

მეიერჰოლდი, რეინჰარტი, ევრაინოვი — ყველა ისინი ამგვარად მოუშობენ. სულ სხვა საქმეა მთინევენება. ისინი უშთავრებს გვირგვინებდნენ, თუმცა გარეგნულიდან მიდიოდნენ შინაგანისაკენ.

მოდა აიძულებს მსახიობს დღეს გროტესკი ითამაშოს, ზვალ კი სოფოკლე, რადგან სულ ახლანა რეინჰარტი ჩამოვიდა „იოდისობით“ ანდა ვარლამოვს მკვინდა დიდი წარმატება მავან რაღაში, სილოგუბმა კი ლექცია წაიკითხა.

წიგნში ცალკე თავი უნდა შევიდეს იმის შესახებ, რომ წარსულის ხელოვნებაშიც და სტალინიზაციაშიც მხოლოდ ის არის მარადიული, რაც ორგანულია.

მეიერჰოლდი პეტერბურგში ლექციას კიბუხლომბ თეატრალურ ხელოვნებაზე და საჭაროდ აცხადებს. რა „ნსატ“...მა მოწადა თავისი დრო, ჩაფხლო ნატურალიზმსა და ყველან რეალიზმშიო („თეატრი და ხელოვნება“, 1907, 2/XII).

### ახალ ძიებათა ქაოსი

რატომაა, რომ ყველა ეს მონაპოვრები, აღმოჩენები, ახალი მეოხლები, თეორიები და მისთ. ასე უდღეურნი არიან? რატომაა, რომ აყვავებას ვერ ასწრებენ და სულ მალე კედებიან? რატომაა, რომ ყველა ამ სიზხლეს ბავშვის სათამაშოს ბედი ელის? თვდაპირველად წაუტანებიან, მერე გულს აიკრებენ და მოგადებენ, რათა ახლა სხვა უფრო ახალ და უფრო უდღეურ ზიხლოპიპილებს წაუტანონ. რატომაა, რომ ყველა ეს აღმოჩენა კი არ ხსნის ხელოვნების მამფილ საფუძვლებს, პირიქით, ქაოსი და გაუგებრობა შეაქვს მასში? ეს ხდება იმიტომ, რომ ვინებენ არა არის, არამედ ფორმას, ვინებენ შემოქმედების ნაყოფს და არა ხელოვნების საწყისს.

პროზაზე. პარინანტი ე. „წიგნი სისხტამა“ (1909)

უშთავრები განსხვავება განცდისა და წარმოსახვის ხელოვნებას შორის ის არის, რომ განცდის ხელოვნება აქტიურია. ეს არის შინაგანი სწრაფვის ხელოვნება, რომელიც გამოიხატება გარეგნულ მოქმედებაში. წარმოსახვის, წარმოდგენის ხელოვნება — პასურია, იგი მხოლოდ კომიკურბას ახდენს გარეგნულ ფორმისას.

განცდის ხელოვნების მიმდევარი საშუალო დასი მეტის შემდეგ, ვიდრე დიდებული დასი წარმოსახვის მიმდევარი მსახიობებისა.

ჩემ სისტემას ალბათ იმას უთქვიებენ, რომ იგი უარყოფს პირობითობას და შტამის ხელოვნებაში, იმას, რომ იგი ყველგვარ პირობითობას ხელოსნობად მიიჩნევს. მე, ალბათ, რეალისტ-ნატურალისტად მომნათლავენ, იტყვიან, რომ მე ფორტრაფი ვარ, ისინი კი — კულტურის დახვეწილი აღმნაგები და ა. შ.

აი, რა სისულელეა ამბობს მეიერჰოლდი: ნატურალისტური (და ამიტომ არა უზრალოდ რეალისტური) თეატრი უარყოფს მინიშნებას, ბოლომდე შექმნილობას, სიზბის მაყურებლის შენქმედებით ინიციატივას და იმდენ უტარებს მას. მე კი, აი, რას ვიტყვი: განა მეიერჰოლდის თეატრი აიძულებს მაყურებელს შეავსოს მისი აქტიორების მიერ წარმოდგენილი ცხოვრება? არა და არა, მისი მსახიობები ყალბნი და ამიტომ უსიცოცხლონი არიან.

რატომაა, რომ მეიერჰოლდი უარყოფს სტანისლავსკის, სტანისლავსკი — იუფინს, იუფინს კი — ყველა კრებს ყველგვარს მოსპობა სურს. ხელოვნება ამოიწურაჲი რამ არის. ადამიანის სული საოცრად რთული და დახვეწილი მოვლენაა. უნდა გვიხაროდეს ყოველი ახალი მიზართულები, აღმოჩენის, ძიების ხილვა. ეს ყველაფერი კი ამდღერებს თეატრალურ ხელოვნებას, მაგრამ ხომ არ შეიძლება ახალ სინდერეტა მოპოვებისას ვსპობდეთ ადრე დაგროვილ სინდერეტებს.

„თეატრზე უნდა გოგავდეს მკრებელ და სამშუბლად დასამახსოვრებელი შთაბეჭდილებანი“.

თეატრი და მსახიობი უნდა შევხადეს არა დადგმული აიგებათა და ნაღამაზე რაღათა ჩაოდნობის მიხედვით, არა მსხუტე და ადვილად მისაღწევ წარმატებათა სიუზით, არა საქებარ სტატიათა სიმრავლით, არამედ მხოლოდ მისი მხატვრული ქმნილებების ხასის მიხედვით. ბევრი თეატრი ეა მსახიობა ამყვეენად, რომელთაც წარმატება აქვთ მოპოვებული, მაგრამ ძალიან ცუტაა ისეთი თეატრი. რომლის რებერტურარი არის ერთი, ორი ან სამი ქმნილება, რომელსაც სამუდამოდ შეეფიცა მაყურებელი და თეთულ წლობით დაღის მის სასახავად.

გსმნიათ, რომ ვინმეს აინტერესებდეს რამდენ ხანს ქმნიდა თავის ნაწარმოებს ესა თუ ის მხატვარი. მუსიკოსი, სკულპტორი, ლიტერატორი (რაფაელი, შექსპირი, ბეთჰოვენი), ერთი თუ ათი წლის მანძილზე, ვიღაც-ვიღაცებმა დაიცივიეს სახანდა აქციეს სამხატვრო თეატრის ხანგრძლივი მუშაობა სექტაკლზე, ნეშლობინისეულ სწრაფ საქმიანობას კი ებით მოხავენ. ამასთან, იმითაც ამყებენ, რომ ივანოვი მთელი სიცოცხლის მანძილზე მუშაობდა თავის ერთ-ერთ სურათზე. შექსპირი კი ათი წელი წერდა „ჰამლეტს“.

რატომაა, რომ დიდი არტისტები — დუზე, ხაღვინი და სხვ. წლების მანძილზე ქმნიდნენ რაღებს და სრულდებოთ არ შეეღოთ ორი რებეტიციით სცენაზე გამოსვლა. რატომაა, რომ ის, ვინც ორიოდ რებეტიციით აბრებებს როლის გაკეთებას, ვერასოდეს ვერ შექმნის შედეგს ასი რებეტიციითაც კი?

მსახიობები და თეატრები, რომლებიც ოცი რებეტიციით დგავენ პიესას, ვერ ასწრებენ მიხვლას ხელოვნებამდე. ისინი მხოლოდ მოსამზადებელ სამუშაოს ატარებენ და ჩერდებიან სწორედ იქ, საიდანაც ხელოვნება იწყება.

ა. ნ. ბენუა ამბობდა: ესეიგი უცებ იწერება, მხიარულად, მსხუტეად, ტანჯვის გარეშე. მაგრამ, დმერტო, რარგ მწელია ამ ესეიგუბის შემდეგ მუშაობის

დაწვება სურათზე. ესკიზი — ეს მცირე თეატრია, სურათი კი — სამხატვრო თეატრა.

მე მინახავს ასეთი რეკლამა: გამოფენილი იყო ერთი და იმავე ადამიანის ორი ფოტოსურათი — ერთი საკმაოდ რიგიანი, მეორე — პირველიდან გადაღებული — შეტისმეტად უხერხი. ამ მეორე სურათის ქვეშ იყო წარწრა: „ველოგრაფია“, რაც სწრაფად გადაღებას, სწრაფ ფოტოგრაფირებას ნიშნავს, ჩვენცა გვაქვს ასეთი ველოგრაფია, ველოშემოქმედება, ველოხელოვნება, ველოარტისტები. ამიტომ შედეგაც შესაფერისი გვაქვს.

თეატრმა უნდა მოგვეცეს ერთხელ და სამუდამოდ დასამახოვრებელი შთაბეჭდილებები.

არ არსებობენ დასრულებული არტისტები, არსებობენ მოთავებული არტისტები.

აქტიორები მუდამ იმის ზრუნვაში არიან, თუ როგორ ითამაშონ და არა რა ითამაშონ.

აქტიორებს გამოუმუშავებელი აქვთ სიყვარული დეტალებისადმი და არ გააჩნიათ მისწრაფება უშთავერსისა და უპირობადისადმი.

სცენაზე ყოველთვის უნდა მიმდინარეობდეს მოქმედება. უმოქმედობაც მოქმედებით უნდა გამოიხატოს. მაგრამ მოქმედების არჩევნისას ძალიან ფრთხილნი უნდა ვიყოთ. ყოველგვარი მოქმედება როდია კარგი, თუნდაც იგი, ეს მოქმედება, სწორი და მართალი იყოს. მოქმედებამ უნდა აღანთოს ადამიანი.

გამჭოლი მოქმედება — კომპანია.  
ჩვეულებრივ, გამჭოლი მოქმედება ვიწროდ ესმით, თითქოს ეს არის დასახული მიზნისაკენ უზბალო, სწორხაზოვანი მოქმედება... გამჭოლი მოქმედება — ეს არის ფართო მდინარე, რომელიც, რაც უფრო შორს მიედინება, მით უფრო ფართოდ ეუფლება პიესის შინაგან, გამოუღებელი თვალისათვის ფარულ ცხოვრებას. ერთი და იგივე არაა შეიძლება შესრულებდეს სხვადასხვა ტონალობაში. ასევე გამჭოლი მოქმედებაც შეიძლება სხვადასხვაგვარ ვითარებაში განსხვავდეს. რატომ არის საჭირო, რომ ლუკამ (მ. გორკის „ფსევრზე“) იცოდეს უკანასკნელი მოქმედების ნაქრები? რატომ და, მას თუ არ ეცოდინება ბოლო აქტში მომხდარი ამბავი, მსახიობმა, შესაძლოა, სასაცილო მოზუცად წარმოგვიდგინოს იგი, მაგრამ თუკი ეცოდინება, რომ მას ძალუფ სატინის სულიერი გარდაქმნა, მასინ მსახიობი შექმნის გულის მესაიდუმლის სახეს.

ზშირად პიესის ლიტმოტივი მისივე სათაურში ძვეს („რევოლუორი“, „ვაი კუხისაგან“). მაგონდება ებიზოდები ჩეხოვის ცხოვრებიდან. ჩეხოვი ვერ წერდა პიესას, სანამ სათაურს არ იპოვდა. თავიდან იყო სათაური „Вишневый сад“. ჭერ თითქოს მოსწონდა, მაგრამ მერე, მობეჭრდა, ბოლოსდაბოლოს, მიაგნო იმას, რაც უნდოდა: „Вишневый сад“: ეს უფრო პოეტური სათაურია. იჩენება და ისობა არა მხოლოდ აღლუბის ხეები, არამედ სიღამაზეც ძველებური ცხოვრებისა. ეს არის უფრო ნათლად „Вишневый сад“-შია გამოხატული.

მახსოვს. ახალგაზრდობაში, როცა ჭერ ისევე სცენისმოყვარე ვიყავი, წინასწარ ვიცოდი, — განსაკუთრებით, კომედიურ როლებში, — რომელ სცენაში გავსაქმდებოდა მაყურებელი.

ახლა უკვე რამდენიმე წელია აღარაფერი მესმის: იღინიან იქ, სადაც მე გაული მეკუმშება. მაგალითად, „ძია ვანიაში“ — „არაფერი აღარ მ'უჯარს, არავინ! იქნებ მხოლოდ თქვენი ძიძა, სხვა არავინ“. ანდა „ივანოვში“ მეოთხე მოქმედებაში: — „მომეცე ფული, იმ ქვეყნად გავსწორდებით“.

ერთი სიტყვა, ახლა ხალხი იმავე იცინის, რაც მე უნახსოვად მიმჩინია და ძალიან ზნორად გაუგებარი რჩება ვყვლავ დახვეწილი ადგილები ჩემს შესრულებაში.

კარგი, გამგებინი მაყურებელთა დარბაზ, რომელიც ზუსტად და არსებითად ახდენს რეაგირებას, მეტ სტიმულს აძლევს მსახიობს.

მე ორ ჭკუფად ვყოფ მსახიობებს: ერთნი შესანიშნავად, სასიამოვნოდ გადმოგვეცემენ ავტორისეულ აზრებს, მეორენი — ავტორთან ერთად ქმნიან და თავისი შემოქმედებით ავსებენ და ამდიდრებენ ავტორს.

### მემანქიშარი შტამპები

საშინელება ჩვენს საქმეში, როცა ძველ როლში ან მონოლოგში კარგად შინაგან არსს. ჭერ შექანიურად გაგონდება სიტყვები, უფრო სწორედ, ენა წარმოთქვამს ამ სიტყვებს გაუცნობიერებლად, მერე კი, როცა თავისთავად იქნა ფრაზა წარმოთქმული, იწყებ ამ ფრაზის შინაგანი აზრის გაგებას. სიტყვა წინ უსწრებს გრძნობას, ენა — სულს.

აი, მაგალითი იმისა, თუ რა ხდება, როცა მსახიობები მოტროულად ეკიდებიან როლს და შემოქმედებას.

დაილოგი ერთი პიესიდან:  
— ნა წლისა ვარ უკვე!  
— როგორ, უკვე ნა-ისა?  
მსახიობი შეედომით ამბობს:  
— ნა წლისა ვარ უკვე!  
მეორე მსახიობი, რომელიც ყურს არ უგდებს პარტნიორს, შექანიურად იმეორებს ჩვეულ ფრაზას:  
— როგორ, უკვე ნა-ისა?  
მეორე მაგალითი („ძია ვანიაში“).  
— ხად დაიბადეთ?  
— კონსერვატორიაში.  
— გათლდება ხად მიიღეთ?  
— სანკტ-პეტერბურგში.

### „სხსტუმროს დინასტისის“ მუშაობის...

როლების გადაღელი კითხვა თეატრის დიდ ფოიეში. მე და გზოსკაია, როგორც მშინ მეგონა, ვკითხულობთ ისე, რომ ახლავ შევიძლია სცენაზე ასვლა და თამაში. იყო რაღაც სიახლე, სასიამოვნო განცდა თავისუფლებისა და მზობრულებისა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ როლი უკვე მზადა მაქვს. პირველ რეპერტოიას გავდივარ ვიწინესკისთან და ბერკალოვთან. მოწყალებდ ვაწლებ რაბლებს და ექვიც არ მებარება, რომ ამას ვაკეთებ შესანიშნავად,

რომ როლი უყვე ხასვებით მზადა მაქვს. როგორც იყო ჩემი გაოცება, როცა ხანგრძლივი წინასწარი შე-  
მუშავებისა და მოზოდინების შემდეგ ვიშენესკომაკ და  
ბურჯალთვამაკ პირდაპირ მოხსნეს, რომ ჩემი როლი  
გაცვეთილი შტამპებით არის დატვირთული.

მე არ დავიჭრებ მათი ნათქვამი. ხასვებით დარწ-  
მუნებული ვიყავი, რომ ეს ცილისწამება ჩემს მიმართ,  
ჩემი სისტემის მიმართ, რომ ახალი საბაბია ჩემი იმ-  
ედების გასაცრუებლად. იმდენად დარწმუნებული ვი-  
ყავი ჩემს უტოდელოებაში, რომ არც კი შევიძინე  
წყენა. უბრალოდ, არ დავუტერე მათ. მერე, მარტო  
რომ დავჩინა, ყველანაირად ვცდილობდი თავი დამე-  
რწმუნებინა, რომ მე მართლაც ვიყავი, მაგრამ, ბო-  
ლოსდაბოლოს, მივხვდი, — ვიშენესკი და ბურჯალთ-  
ვი არ ტყუოდნენ. ამის შემდეგ უფრო გამიცხოველ-  
და იქვეც და ნამდვილი სიძარტისა და უბრალოების  
ჩიების სურვილიც.

„რეპროდუქტორი განუდგებამი წინ უნდა იქარგოს  
და ცოცხალივად იქით, რისთვისაც უნდა არ  
მისურვენიან“.

რევისორი ხედავს მთელ სივსას, მსახიობი კი მხო-  
ლოდ თავის როლს. აი რატომ, რომ რევისორის და  
მსახიობს სრულიად განსხვავებული შეხედულებანი  
აქვთ სივსაზე და როლზე.

რევისორმა უნდა იცოდეს როლის დიფინიციის დასმა  
და წამლის მიცემა, ხოლო საკუთარი თავის მკურნა-  
ლობა და წამლის მიღება თავად მსახიობს უნდა შეე-  
ქნას.

ანსამბლი — ეს არის ერთი კოლექტიური მიზნისა-  
კენ მიმსწრაფი კოლექტივის კავშირი. ეს კავშირი იმ-  
ულუბითი კი არა, აუცილებლად თავისუფალი უნ-  
აიოს. აი რატომ არის, რომ რევისორი მიზანს აღწევს  
არა დამინებთა და მსახიობთა იძულებით (ბრძანე-  
ბით შეუძლებელია გრძნობების გამოწვევა), არამედ სა-  
კუთარი ფანტაზიისა და მტკიცე ნებისუფის წყ-ლით.

დეკორაცია მშვენიერი ფონია ადამიანის სულის  
ცხოვრების წარმოსაჩენად. იგი იმდენად არის საჭირო,  
რამდენადაც ეხმარება უმოთარეს ამოცანას — მხატვ-  
რული ხანის დახატვას, სულის ცხოვრების, ჩვენების,  
გემოვნების, მისი მოთხოვნების ჩვენებას.

რაც უფრო თვალნათლივი და სახიერია სექტაკლის  
გარეგნობა, მით უფრო ძლიერი და შინაარსობრივად  
საინტერესო უნდა იყოს აქტიორული ნამუშევრის ში-  
ნაგანი მხარე. მკაფიო ფორმა მოთხოვნის უფრო მკა-  
ფიო განცდას. რაც უფრო რთული და თვალში საცე-  
მია ფორმა სექტაკლისა, მით უფრო უყუთესი მსახიო-  
ბებია საჭირო, რათა გარეგნულმა არ დასძლიოს ში-  
ნაგანი. დიდად ცდებიან ისინი, ვინც ცდილობს გა-  
რეგნული ბრწყინვალეობით დაფაროს აქტიორული სი-  
სუსტე. ამით ნაწარმოების შინაგანი არის, მისი სულ-  
იც იკარგება, რაც, ფაქტიურად, კლავს ლიტერატურ-  
რულ ქმნილებას.

მიზანსწინის შექმნის დროს რევისორი ერთხა და  
იმავე დროს ამ მიზანსწინას შინაგანი თვალთ უნდა  
უყურებდეს მკაფიურებლთა დარბაზიდანაც და სცენი-  
დანაც. ესე იგი, უნდა ვათავსოს იგი როგორც მა-

კურებელმა და როგორც აქტიორმა. მიზანსწინა უნდა  
ცოცხლობდეს, უნდა თამაშობდეს ანდა მოქმედდეს  
განვითარებას უწყობდეს ხელს, ესე იგი, მიზანსწინა უნდა  
განსხვავებული უნდა იყოს მაგური „თუ რის“  
შემოთავაზებული გარემოებანი.

### ფორმა და დედაბრძი

ზოგიერთის შემოქმედებაში პირველი გადასწინის  
მერებს. ზოგიერთთან, მაგალითად, თაიროვთან, ამ  
მხრივ სრული სისულელი, საოცარი არეულობაა: არ-  
სი სავსებითაა გამოირცხული (მისთვის ასტეობითა სა-  
კუთარი და კონენის წარმატება), არსის გარეშე კი  
ფორმა არც არის საჭირო. გინდაც ძალიან ლამაზი  
იყოს უშინარსო ფორმა, ადამიანს იგი ხუთ წუთში  
მიბეზრდება.

გროტესკი — უმაღლესი და უსუფთავესი ფორმა  
ხასიათობრიობისა, გაწმენილი ყოველგვარი ზედმე-  
ტობისაგან. მხოლოდ ტბიური. გროტესკი კომიკურ-  
ში — გვაძლევს კარიკატურას. გროტესკი დრამატულ-  
ში — გვაძლევს ტრაგიკულ ნიღაბს.

„ისწავლით დაკვრბ მრბბანულ კლავინბტარზე“.

სისტემა — ეს არის სვლა შთაგონებისაკენ და არა  
თავად შთაგონება.

ჩემმა სისტემამ იმ კარის მოვალეობა უნდა შეას-  
რულოს, რომელსაც შემოქმედებისაკენ მივყავართ.  
ნემბროვიჩი ასეთ რეზიუმეს უეთებს ჩემს სისტე-  
მას: მან, სისტემამ, ადამიან-აქტიორს კარი უნდა გაუ-  
ლოს გულწრფელი გრძნობებისაკენ, თანაც იმ გრძნო-  
ბებისაკენ, რომლებიც ენათესავებიან როლის მხატვ-  
რულ ხასხს.

საქიორა გაფრთხილება: დასაწყისში სისტემა ხელის  
შემწელობია, როცა სწავლბა ნაუცბათვად, ახლის  
შეტანა ერთბილადაა საჭირო. უამისოდ სისტემა სის-  
ტემისთვის იქნება.

თამაშის დროს დავიწყებულ უნდა იქნას სისტემის  
არსებობა.

თუ როლი ინტუიტურად გამოგვიდის, მაშინაც უნდა  
დავივიწყოთ სისტემა.

თუ როლი არ გამოგვიდის — სისტემა საჭიროა.  
სისტემის შესწავლა შეუძლებელია. მასზე უნდა აღ-  
იზარდონ, მისგან კულტურა უნდა იქნას შექმნილი,  
საკუთარ არსებაში უნდა გავატაროთ იგი, ჩვენს შერ-  
ბე ნატურად უნდა იქნეს სისტემა.

სისტემა — კულტურაა, გზისგამკვლევია. იგი გაცი-  
ლებით მარტივია, ვიდრე გვერინია.

უცვლანი გადასცემენ სისტემას, მე კი ორი მოწაფე  
მყავს: სულერტეკი და ვახტანგოვი. სხვები მტების-  
მეტად თავისუფლად ექცევიან სისტემას, და საკუთარ  
აბლაბუდას ჩემ სისტემად ნათლავენ. იმისათვის, რომ  
წესრიგი დამყარდეს ამ საქმეში, ვერ წიგნს. მოვით-  
ხოვ, რომ ამას იქით მხოლოდ ისინი ჩაითვალონ ჩემ  
მოწაფეებად, ვინც ჩემგან ხელმოწერილ სათანადო სა-  
ბუღის წარმოადგენს.

ჩემი სისტემის შესწავლა ბევრს შეუძლია, ვაგება —  
ცოტას. შეგარბნება კი — გაცილებით ნაკლებს.

# დიდოსტატი

გივი მალულარია

არაპირი არ არღვევს დამკვიდრებულ ყოფის ჩვეულებრივ დინებას ისე შესამჩნევად, არაფერი არ ამკლავნებს ცხოვრების არსს ისე მძაფრად, როგორც დიდა მწერლის, დიდი შემოქმედის გარდაცვალება. სწორედ ასეთ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის კონსტანტინე გამსახურდია, კაცი, რომელმაც საკუთარი თაობის მძიმე ხვედრი გაიზიარა, საკუთარი ხალხის წინაშე პირნათლად მოიხადა ვალი და ცოცხლობს სიტყვაში. ფერში, აზრში, მხატვრულ სახეებში ჩაქსოვილი სული დაგვიტოვა.

არც ის ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა დიდ გავლენას ახდენდა თანამედროვეებზე კონსტანტინე გამსახურდიას პოეზია, მოთხრობები, ესეები, რომანები, პუბლიცისტური წერილები, როგორ ეძებდა იგი გზას ქართველი კაცის გულის სიღრმეში ჩამარხული მკუმწვარებისაკენ, მაგრამ ყოველი მისი ახალი ნაწარმოები, არტისტიზმი, სტილისტური თავისებურებანი, წერისა და აზროვნების კულტურა, ქართველი ხალხის უძველეს მითოლოგიურ სულისკვეთებაში წვდომის უნარი ძალდაუტანებლად, ბუნებრივად მკვიდრდებოდა ერის სულიერ ცხოვრებაში და ქართველი მკითხველი მისგან თხზვას, თანაგრძნობასა და გამხნევებას მოითხოვდა. კონსტანტინე გამსახურდია არ ეკუთვნოდა იმ შემოქმედთა რიცხვს, ვინც ცხოვრებას განზე უდგება და უკაცრიელი უდაბნოდან ესაუბ-

რება კაცობრიობას. შემოქმედის სიბოძო, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, შრომის-მოყვარეობა და შრომისუნარიანობა მისი ხასიათის, მისი ბუნების თვისება იყო. ამასთანავე, მტკივნეულად გრძნობდა იმასაც, თუ რას მოითხოვდა მისგან დრო, რა სჭირდებოდა ხალხს, რა იყო გადასაფასებელი, რა ხელახლა დასანერგი, და შრომობდა მიზანდასახულად, თავდაუზოგავად, ჰქმნიდა დიდ ეპიკურ ტილოებს, რომელთაც ლირიზმის ფაქიზი კოლორიტით ამდიდრებდა და საკუთარ სულისკვეთებასთან ერთად მკითხველს აწვდიდა. კონსტანტინე გამსახურდია არასოდეს არ მისულა უკიდურეს პესიმიზმამდე, რადგან მომავლის იმედით სულდგმულობდა და უსასობას სასოებით მოსავდა.

რა თქმა უნდა, ერთ დროს კონსტანტინე გამსახურდიაც ენერგიით სავსე, ახალგაზრდა კაცი იყო, ნათელი, ცნობისმოყვარე თვლებით უყურებდა ცხოვრებას, სამეგრელოს მითებისა და თქმულებებით დამძიმებული, ინტერესით ეწაფებოდა განათლებას, ითვისებდა ყველაფერს, რაც მოაზროვნე საზოგადოებას და პარადად მას იმდროინდელი კაცობრიობის სულიერ განახლებად, მოდერნიზმად, პროგრესულ მოვლენად მიაჩნდა, ცხადია, იმ მწერლებისა და აზროვნების ტრატანების გავლენასაც განიცდიდა, ვისაც მაშინ ხელოვნების კორიფეებად, სიბრძნისმეტყველ ბრძენ-კაცებად თვლიდნენ და ამიტომ ცხოვრებაში

მრავალი მიხვეულა-მოხვეული ბილიკით სი-  
არული, მრავალი „იზმის“ შესწავლა მოუხდა.  
მაგრამ გავიდა დრო, იგი სამშობლოში დაბრუ-  
ნდა, დაიწმინდა მისი შინაგანი სამყარო, მისი  
მსოფლმხედველობა და, მიუხედავად ევროპუ-  
ლ კულტურის ერთმანეთზე დახვეწებული  
პლასტიკის წევგავლენისა, საკუთარი თავი  
მანც სამშობლოში, ქართული მიწის მყარ  
ნიადაგზე იზოვა, მიაგნო იმ წყაროს, რაც  
ქართველი კაცის სულთან, ქართული მიწის  
სურნელებთანაა იყო დაკავშირებული და  
საბოლოოდ ირწმუნა საკუთარი ნაჱი და მო-  
ვალეობა.

როცა ადამიანი საკუთარ თავს პოულობს,  
როცა ქვეშაირი ხელოვნებისაკენ ისწრაფ-  
ვის, მასში ძალაუნებურად იღვიძებს სურ-  
ვლი იმისა, რომ დაუახლოვდეს ადამიანებს,  
ხალხს, ყველას, ვისაც სულიერი საზრდო ა-  
ლია. მაგრამ ამგვარ მისწრაფებას მეორე  
მხარეც აქვს — ზღვართა გადაულახველობა  
მტკივნეული შეგნება. უსაზღვრობის მოუ-  
თოკელობა, ცხოვრების არასრულყოფილე-  
ბის განცდა და ამიტომ შემოქმედი ყოველი-  
ვის ცდილობს საკუთარი არსებობის ირგვლივ  
თავი მოუყაროს ყველაფერ ქამიერს, შებოქ-  
ოს დრო, შექმნას დასრულებული თუ არა,  
ცოტათი დღეგრძელი სამყარო მიიწც და ამით  
წებბრძოლოს წარმავლობას, სიკვდილს. ამ აზ-  
რით, ამგვარი იღვებით მოვიდა კონსტანტინე  
გამსახურდია ქართულ მწერლობაში, თან მოი-  
ტანა ცხოვრებისეული გამოცდილება და შე-  
უღდა როგორც საკუთარი მრწამსის, ასევე  
საკუთარი ეთიკური და ესთეტიკური შეხე-  
დულებების დღის სინათლეზე გამოტანას. ეს  
კი მისგან დროსთან, არსებულ ვითარებასთან  
საერთო ენის გამოხატვას, საკუთარა შინაგა-  
ნი სამყაროს შენარჩუნებას, ზნეობრივად  
ზრდასა და სრულყოფას მოითხოვდა. მწე-  
რალს ესმოდა, რომ ცვალებად, დიდი გარ-  
დატეხების ეპოქაში უხდებოდა ცხოვრება  
და თუ არ დაემოხდა დანაშაულს, სიბილწეს,  
მომხვეჭელობას, რასაც ბევრი არაფრად ავ-  
დებდა, თუ არ გამოიტანდა სამსჯავროზე  
მანკიერებებს, ბიწიერებას, რასაც საზოგა-  
დოების გარკვეული ნაწილი ჩვეულებრივ  
მოვლენად თვლიდა, თუ მის მოწოდებას გაუ-  
თალშობილებისაკენ, გაადამიანურობისაკენ

გულგრილობა და პირად ინტერესებზე ზრუნ-  
ვა დარდილადა, თუ იგი მივიღოდა სრულ  
ზნეობრივ რელატივიზმამდე — მაშინ მის  
მწერლობასაც აღარ ექნებოდა ფასი და ამი-  
ტომ მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეუ-  
წყვეტია ბრძოლა მანკიერი მოვლენების წი-  
ნააღმდეგ, არავის აძლევდა უფლებას ბინ-  
ძური ხელებით შეხებოდა ხელოვნების წმი-  
და ფრთებს, რადგან იცოდა, რომ ქვეშაირი  
ხელოვნება, პოეზია აღვიძებს სინდისს, ადა-  
მიანს უფრო ზრდილსა და ზნესრულს ხდის.  
კონსტანტინე გამსახურდია ჯერ თვითონ  
ზრდიდა საკუთარ თავს და მხოლოდ ამის  
შემდეგ ჰქმნიდა იმ ნაწარმოებებს, რო-  
მელთაც სახელი მოუხვეჭეს. მას არ შეშინე-  
ბია არც საკუთარ თავთან და არც სხვებთან  
ბრძოლისა, რადგან სულიერად ძლიერი და  
შინაგანად თავისუფალი კაცი იყო.

კონსტანტინე გამსახურდიამ შესძლო ყო-  
ფისეული მოვლენების იდუმალ ფერადოვან  
სამოსელში გახვევა და ლიტერატურაში წმინ-  
და ქართული ენის დამკვიდრება, მისი გამდი-  
დება, მისი გასულიერება. მას არა მარტო  
ქართული ენის ძალა და მოქნილობა უყვარ-  
და, არამედ ყოველი ქართული ასო, მისი მო-  
ხაზულობა, ყოველი ბგერა და მისი ქღერად-  
ობა. ვის უძღვრია კონსტანტინე გამსახურ-  
დიასავით ქართული ანბანისათვის, ვის  
შეუღარებია ყოველი ქართული ასოს  
მოხაზულობა ქართველი კაცის ხელით  
შექმნილი ნივთისათვის, მასავით ვის ამ-  
ოუჯიოხავს ქართულ ანბანში ქართველი ხა-  
ლხის სული და ფსიქიკა. კონსტანტინე გამ-  
სახურდიამ გაამდიდრა ქართული ენის ლექ-  
სიკა, ვაამძაფრა ენის შეგრძნების ალღო, უფ-  
რო ყურადსაღები გახდა მისი მუსიკალობა.  
კონსტანტინე გამსახურდია არა მარტო საინ-  
ტერესო მთხრობელი, შესანიშნავი მხატვა-  
რიც იყო, ყოველი მისი ესკიზი მდიდარია  
ფერწერით, ყოველი მის მიერ შექმნილი სა-  
ხე კოლორიტული, პლასტიკური და დამთავ-  
რებელია. მის თხრობასა და დიალოგებში  
ფილოსოფიური იდეები და იმგვარი ქვეტექ-  
სტები დევს, რომ მათ ამოუჯიოხავად მწერ-  
ლის შემოქმედების გაგება შეუძლებელია.  
მისი სევდა, მისი სიყვარული, მისი არტის-  
ტიზმი, რაც ყველგან და ყოველთვის თან

დაქონდა, არა მარტო მის შემოქმედებაში აღიბეჭდა ცხადად, არამედ მის ამქვეყნად მოსვლაშიც და ამქვეყნიდან წასვლაშიც.

ცხოვრების სირთულე იმაშიც გამოიხატება, არარსებით მოვლენებს შორის გამოარჩიო არსებითი, შენი დროისათვის საჭირო და აუცილებელი. კონსტანტინე გამსახურდიამ არა მარტო თავისი მდიდარი პროფესიონალური გამოცდილებით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა, არამედ ქართველი მკითხველი აზიარა ზოგად კულტურას, გამოთქვა თავისი შეხედულებები ხელოვნებაზე, საქვეყნოდ ცნობილ ისტორიულ პიროვნებებზე, ამა თუ იმ ხალხის ცივილიზაციის მნიშვნელობაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების მტიკიუნელ საკითხებზე და ამით ეთიკისა და ესთეტიკის ახალ საფეხურზე აიყვანა თავისი ხალხი, ხელი შეუწყო როგორც ხელოვნების სწორად გაგებას, ასევე ქართველობისათვის კულტურის ისეთი ძეგლებისა და ისეთი მწერლების გაცნობას, რომელთა არცნობა არ შეიძლება. ამას იგი აკეთებდა კეთილსინდისიერად, ჭეშმარიტი ოსტატის გულმოდგინებით, რადგან მისი მიზანი იყო ახალ კულტურას, ხელოვნების უახლეს მიღწევებს ღრმად გაედგა ფესვები, მყარ ნიადაგზე დაფუძნებულიყო და ერთი ხელის მოსმით ვეღარავის აღმოეფხვრა. ამასობენ, ყოველი კაცის ფასი მისი მისწრაფებით განისაზღვრებაო, კონსტანტინე გამსახურდიას მიზანი კი ის იყო, რომ ამოეკო ქართველი ხალხის ძნელბედობის ჟამს სულიერ ცხოვრებაში გაჩენილი ხარვეზები, მოხმარებოდა მას ცივილიზაციის ციკაბო მწვერვალებისაკენ სვლაში, დაეწმინდა საუკუნეების მანძილზე ამღვრული წყალი.

კონსტანტინე გამსახურდია ყოველთვის ისწრაფოდა იმისაკენ, რომ ყოფიერების რთული პრობლემები კონკრეტულ-მგრძობიარე არისი მეშვეობით გადმოეკა. ამისათვის იგი იყენებდა ასოციაციებსაც, ალეგორიებსაც და თვალსაჩინო ფორმებსაც, სწორედ ამ აზრს ადასტურებს ნათლად მისი ისტორიული რომანები, სადაც თემის სიუჟეტურად გააზრების შემდეგ, იგი თამამად იწყებს ეპოქის სოციალურ და ეთიკურ-ზნეობრივ დახასიათებას. რა თქმა უნდა, როცა იგი ისტორიულ თემებს ხელს კივებდა, სხვა მიზანსაც ისახავდა. სურდა მის თანამედროვეებს დაენახათ, რა მძიმე ბრძოლებში, რა საშინელ ვითარებაში უხდებოდა არსებობის

შენარჩუნება ჩვენს წინაპრებს, რა თვალსაჩინოა და მამა-პაპათა მიერ შექმნილ მემკვიდრეობაში რულ ფასეულობებს. ეს იყო პროტესტი გულმაგიფიყობის, წარსულის, აწმყოსა და მომავლის გათიშვის წინააღმდეგ, ეს იყო სიყვარულა მატარანუა მოხსენებული ეველა სახელოვანი მამულიშვილისა, ყველა დღემდე შემორჩენილი ჭეგლისა, მთელი ქართველი ხალხისა და ქართული მიწისა, ეს იყო მეცნიერულად ღრმად შესწავლილა, ხელნაწერებში გაკვირვებით ამოკითხული ჟამთა სიავის რომანტიკულ სამოსელში გახვევა, სითალხის ნათელი ინტონაციებით გაშუქება და ქირთამომენი ქართველი კაცის რანდული ბუნების კამომხურება. ნურავინ იფიქრებს, თითქოს კონსტანტინე გამსახურდიამ რომელიმე ქართველ მწერალზე ან ისტორიკოსზე ნაკლებად იყოდა რეალური ვითარება იმ ეპოქებისა, რომელთა აღწერაც რომანებში მოუხდა, მაგრამ თუ უპირატესობას რომანტიკული გარემოს შექმნას და გმირთა რომანტიკულ განწყობასა და ურთიერთობას ანიჭებდა, ამას იგი შეგნებულად აკეთებდა. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ როცა კონსტანტინე გამსახურდია სინამდვილეს ხატავდა, ჭერ მის მოდულიციას ახდენდა, მოდელს წინასწარ ირჩევდა და მხოლოდ ამის შემდეგ ასხამდა ზორც ჩანაფიქრს. იგი მარტოდენ ისტორიის გაგებას კი არ ეტანებოდა. — ამგვარი რამ მას საკუთარი მოწოდების მიზნად არ მიაჩნდა, — არამედ წარსულს მომავლის მაკონსტრუირებელ ძალად თვლიდა და ფიქრობდა, რომ წარსულის განუცდელად არც მომავალა არსებობს და არც ხელოვნება.

ამასობენ, რომ გონებრივად ყველაზე ნაკლებად სუსტდებიან, ყველაზე ნაკლებად იფიქრებიან ის ადამიანები, რომლებიც თავი უღებლად შრომობდნენ, ვაკაკურად ცხოვრობდნენ და მთელი სიცოცხლე ერთ დიდ საქმეს ემსახურებიან. კონსტანტინე გამსახურდია სწორედ ასეთი პიროვნება იყო, იგი ზორციელად დაილია, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ მის გონებას აზროვნების სიქცადე არ დაუყარავს.

მწერალები იბადებიან, კვებიან, მაგრამ რჩება ხელოვნება, რაც უკვე პიროვნების საკუთრება კი არ არის, არამედ ერის, — და კონსტანტინე გამსახურდიაც მთელი თავისი არსითა და შემოქმედებით ხალხს ეკუთვნის.



## სათაყვანო მწერალი

ოთარ თაქთაქიშვილი

ქონსტანტინე გამსახურდი-ას უროზა იმდენად პოეტურია, რომ მე მას ლექსად ვკითხულობ. აქედან მოდის ჩემი გატაცება ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებით, როგორცაა „მთვარის მოტაცება“, რომელიც მზრდიდა, წარმართავდა ჩემს შემოქმედებით ძიებებს. ამ რომანმა მაიძულა ხელი მომეკიდა მეგრული და გურული სიმღერებისათვის, დამემუშავებინა ისინი და მექცია ჩემი სულიერი სამყაროს ნაწილად. კ. გამსახურდიამ შემეყვარა საქართველოს ის ადგილები და კუთხეები, რომლებიც აღწერილია მის ნაწარმოებებში, კერძოდ, „მთვარის მოტაცებაში“. ამან განაპირობა ჩემი ხშირი ჩასვლები აფხაზეთში, ეტლიანი აფხაზეთის მთებში.

დაახ, „მთვარის მოტაცება“ იყო დე არის ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი წიგნი, მან უდიდესი როლი შეასრულა ჩემს,

როგორც მუსიკოსის, ფორმირებაში. ეს ის შემთხვევაა, როცა მწერალი გასწავლის შემოქმედებით გზებს, გკარნახობს არა მარტო იდეებს, არამედ საშუალებებსაც.

„მთვარის მოტაცების“ განსაკუთრებულ ადგილსა და როლს ქართულ ლიტერატურაში ის განსაზღვრავს, რომ მასში ჩვენს სინამდვილეზე ნათქვამია საოცრად მძლავრი და მძაფრი სიმართლე. შესაძლოა, ამ მხრივ რომანის ყველა ფურცელი არ არის თანაბარი მნიშვნელობისა, რაც გამოწვეულია დროის სირთულითა და წინააღმდეგობებით, მაგრამ ამ ნაწარმოების ლერძი, მისი ძირითადი არსი საოცრად მართალია და აღბეჭდილია რაინდული სულისკვეთებით. მასში სწორად არის ასახული ის სპეციფიკური თავისებურება, რომელიც დამახასიათებელი იყო საქართველოში

კლასთა შორის ბრძოლისათვის, საზოგადოების სხვადასხვა ფენის ურთიერთდამოკიდებულებისათვის. საქმე ისაა, რომ საქართველოში რევოლუციის სიძინელეს ქმნიდა გლეხოზბასა და თავადაზნაუროზბას შორის არსებული უშუალო კავშირი, რასაც მონზობს ძმათნაფიცობის ტრადიცია, რომლის მსგავსს ვერ შეხვედებით ვერცერთ ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით „მთვარის მოტაცება“ საოცარი სიმძაფრით არის დაწერილი. პოეტუროზბისა და რეალიზმის გარდა ამ ნაწარმოებს გამოარჩევს სხვა ღირსებებიც, — კონსტანტინე გამსახურდიას აქვს ისეთი მიგნებები, რომლებიც სრულიად ახალ თვისებებს ანიჭებს ამ უწარის რომანს. ასე მაგა-

ლითად, თარაში ილუპება მაშინ, როდესაც მოქმედებას იწყებს, როცა დაძლევს და გადალაზავს თავის ინერტულობას, როცა იგი რაინდული შემართებით დაიჭიმება იმისათვის, რათა ვაჟაკუცურად შეასრულოს თავისი ადამიანური მოვალეობა. თამარიც ილუპება მაშინ, როცა დგება ცხოვრების რთულ გზაზე, როცა სიცოცხლეს ანიჭებს სხვას... ეს უჩვეულო სიტუაცია, ეს კონტრასტი წარმოქმნის საოცარ დრამატიზმს, რაც კონსტანტინეს დიდი მიღწევა, დიდი მონაპოვარია.

„მთვარის მოტაცებაში“ ვერ შეხვედებით ე. წ. ცისფერ გმირს, ან შავი, ჩამუქებული ფერებით დახატულ რომელიმე პერსონაჟს. კონსტანტინეს ყოველ პერ-

სცენა თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლიდან „მთვარის მოტაცება“



სონაჟში წარმოდგენილი ჰყავს რეალური პიროვნება, ნამდვილი ადამიანი, რომელიც მას ცხოვრებაში უნახავს. ჩემს გაცეხებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა პირველად ჩავედი ოქუმში, როცა გავვეცანი იქაურ ადამიანებს და დავრწმუნდი, რაოდენ ზუსტად ჟღერს მათი ინტონაცია „მთვარის მოტაცებაში“, როგორი სიმართლით არის გახსნილი მათი ხასიათები, რომლებიც კონსტანტინეს ასე საფუძვლიანად შეუსწავლია.

დაახ, „მთვარის მოტაცება“ ფასდაუდებელი ნაწარმოებია, რომლის გადმოცემა მე მთლიანად ვერ მოვახერხე, მაგრამ ძალიან ვცდილობდი საოპერო სცენაზე ძირითადი სახეები მაინც გამომეყვანა. მივალწიე თუ არა მიზანს, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ „მთვარის მოტაცება“ ჩემთვის იქცა სკოლად, ეს ნიგინი გარკვეულ პერიოდში განაპირობებდა ჩემს შემოქმედებით ცხოვრებას, მიმართულებას აძლევდა ჩემს შრომასა და შემოქმედებით ძიებებს.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა „დიდოსტატის მარჯვენაზე“, რომელზეც მუშაობა ჯერ ისევ განუხორციელებელ ოცნებად მრჩება. ჩემის აზრით, არ არსებობს უფრო პოეტური სახე, ვიდრე შორენასი. ეს არის ბუნების წიაღში დანახული უნაზესი არსება, რომელიც, ამავდროს, აღსავსეა რაინდული სულით. ჩემთვის საოცარი მაგალითია მისი ცხოვრების თავგადასავალი, მისი ტრაგიკული დაღუპვა, მისი ერთგულება, თავისი რწმენის ბოლომდე მიყვანა. ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთები იყვნენ ჩვენი წინაპრები. ალბათ,



სსრკ დიდი თეატრის  
სპექტაკლის აფიშა

თამარ მეფეც ასეთი იქნებოდა — ძლიერი, მთლიანი, კდემამოსილი.

არსაკიძის პიროვნებაში კი კონსტანტინე გამსახურდიამ დახატა თავისი თავი, გამოხატა თავისი უსაზღვრო სიყვარული ჩვენი ძეგლებისა და ისტორიისადმი, მხატვრის თავისუფლების მოპოვებისადმი, არსაკიძეც არაჩვეულებრივად პოეტური, რაინდული, ამბულეული, სიცოცხლით სავსე სახეა.

„დიდოსტატის მარჯვენა“ იძლევა შესანიშნავ საოპერო მასალას. სავსებით ბუნებრივია კომპოზიტორ შალვა მშველიძის

არჩევანი, ის დიდი მუშაობა, რომელიც მან თავის ოპერაზე ჩაატარა. შ. მშველიძემ პირველმა შექმნა მუსიკალური ქმნილება კონსტანტინეს ნაწარმოების მიხედვით.

საოცარია გიორგი მეფის სახე. იგი ნათლად გამოხატავს იმ თავისებურებებს, რაზედაც მე „მთვარის მოტაცებასთან“ დაკავშირებით ვლაპარაკობდი. ეს არის დიდგვაროვანთა სიახლო-

ვე უბრალო ხალხთან, მეფეებიც კი მონაწილეობდნენ გლეხკაცთა ცხოვრებაში. დიახ, მეფის ბედი გლეხის ბედიც იყო, რაც გამონვეული იყო ჩვენი მცირერიცხოვნებით. დაუვინყარია, როცა გიორგი მეფე გლეხურ ტანისამოსშია გადაცმული და გლეხურად ცხოვრობს.

ეს რთული და წინააღმდეგობებით სავსე პიროვნება თავისი არსებობის მიზანს ხედავდა საქართველოს გაერთიანებაში. ამისთვის ცხოვრობდა. რა ვქნათ, რომ დიდი ადამიანური ვნებები არ შეესაბამებოდა, ეწინააღმდეგებოდა მის მეფურ უფლებებს და მოვალეობას. ამით რომანში მისი სახე კიდევ უფრო მძაფრი და შთამბეჭდავი ხდება. არ ვიცი რამდენად ზუსტია გიორგი მეფის სახე, ისტორია რა ადგილს უთმობს მას. ვიცი მხოლოდ, რომ მის შემდეგ დაიწყო საქართველოს აღორძინება, ჩვენ კი უფრო ხშირად ვიგონებთ დიდებულ მეფეებს — დავით აღმაშენებელს. თამარს, მაგრამ გიორგი I არანაკლებ საინტერესო პიროვნება იყო, რომელმაც პირველად, ნაწილობრივ მაინც, მოახდინა საქართველოს გაერთიანება, რისთვისაც გადაიტანა უზარმაზარი ბრძოლები.

რაც შეეხება ტექტოლოგიას „დავით აღმაშენებელი“ — ჩემს თავს არ მიცემე უფლებას უფრო დანვრილებით ვილაპარაკო ამ წიგნზე. ერთი რამ კი შემიძლია ვთქვა — მასშტაბურობითა და მიზანსწრაფვით ძნელად მოიძებნება რაიმე მისი ანალოგიური, ვგულისხმობ მართმადი-

სცენა სსრკ დიდი თეატრის სპექტაკლიდან „მთვარის მოტაცება“. თამარი — შ. ქასრაშვილი, თარაში — ზ. სოტყილავა.



დებლობისათვის, ქრისტიანობისათვის ბრძოლის პათოსს, მიმართულს მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ. კონსტანტინეს მიერ ეს ბრძოლა ტიტანური ძალით არის გადმოცემული. ასეთი დიდი, ასეთი დასაბუთებული რომანი არ მეგულება მსოფლიო ლიტერატურაში. თუმცა ჩემთვის „დიდოსტატი“ და „მთვარის მოტაცება“ ჯერჯერობით უფრო ახლდა. ეს რომანები უფრო მეტად მაქვს შესისხლხორცებული.

დიდი თაყვანისმცემელი ვარ კონსტანტინეს ნოველებისა, სადაც მან არაჩვეულებრივი ორიგინალობით წარმოსახა სოციალური მოტივი, დახატა უაღრესად საინტერესო და მძაფრი სახეები. ვათაყვანები კონსტანტინეს ენას, რომელიც ზედმინეკით პოეტურია, ხატოვანი. კონსტანტინე წარმოგვიდგება, როგორც ენის შემოქმედი, როგორც მეცნიერი, რომელიც ძალიან ემოციურად მუშაობს ქართულ სიტყვაზე, გრძნობს ქართული სიტყვის ძალას, რისი შემწვობითაც აღწევს საოცარ გამომსახველობას.

ფასდაუდებელია კონსტანტინეს ლვანლი. იგი ჩვენი ერის სულიერი მამაა. მისი ნიგნები იცოცხლებს, ვიდრე იარსებებს ქართველი კაცი.

მე მას მწერალთა კავშირის სხდომაზე და რუსთაველის გამზირზე ვხედავდი ხოლმე. რუსთაველის გამზირზე ფეხით უყვარდა გავლა. დინჯი სვლა და დამძიმებული ქუთუთოებიდან ქუფური გამოხედვა მეფურ იერს ანიჭებდა. პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ყოველთვის მოკრძალებით ვეპალმებოდი. მიყვარდა მისი შემოქმედება. მიყვარდა დიდი ქართველის ზეიანი გარეგნობაც.

ერთ დღეს, რუსთაველის თეატრის დირექტორმა დოდო ანთაქემ დამიბარა და მითხრა:

— კონსტანტინე გამსახურდიამ გამოთქვა სურვილი ჩვენს თეატრში დაიდგას მისი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. დამდგემლ რეჟისორად შენ გასახელებს. ჩვენ თანაზმანი ვართ. თუ შესძლებ დადგამს — ა ბურთი და ა მოედანიო.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ჩემი საყვარელი წიგნი იყო. კონსტანტინე გამსახურდიას ნდობამ კიდევაც გამახარა და კიდევაც გამაოცა. თბილისში რეჟისორები ბევრნი იყვნენ, მე რატომ დამასახელა?

თეატრის დირექტორს მოვახსენე, — დრო მომეცით, ვიფიქრებ, ვიმუშავებ რომანის სცენურ ვარიანტზე და თუ დავინახე სპექტაკლი, სიამოვნებით მივიღებ-მეთქი წინადადებას. ბატონ კონსტანტინეს მადლობის წერილი მიეწერე, ორ-სამ თვეში მზად ვიქნება თქვენთან სასაუბროდ და გეწვევით-მეთქი.

თეატრების სეზონი დაიხურა, მე მთელი შვებულება თელავში გავატარე, ინტენსიურად ვიმუშავე და დავრწმუნდი, რომ შევძლებდი ამ რომანიდან კარგი სპექტაკლის შექმნას. დოდო ანთაქეს მოვახსენე ჩემი აზრი, მაგრამ სპექტაკლის

# მოგონებები დიდ მწერალზე

ვახტანგ ტაბლიაშვილი

დადგმა, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ მოხერხდა...

ვეახელი კონსტანტინე გამსახურდიას მის „კოლხურ კოშკში“. გამოცვა ბატონ კონსტანტინეს გარეგნობამ. სადღა იყო მისი მეფური სიდიადე? შარვალი ბაწრით ნაქსოვ წინდებში ჰქონდა ჩატანებული, ჩინური მატერისის მოკლე ხალათი ეცვა, ქამრად რაღაც ნაქერი ჰქონდა შემოხვეული, ნაქსოვი ჩაჩი ეხურა თავზე. უაღრესად უბრალო საუბარში სევდაც იგრძნობოდა და იუმორიც. მახარე გამასხენდა მისი „დავით აღმაშენებელიდან“. გამახარა ამ მეტამორფოზამ, — გამიადვილა მასთან ლაპარაკი.

— მე შენ იმიტომ დავასახელებ, ვახტანგ, რომ ჩვენი ისტორია გიყვარს, პატივს სცემ ჩვენს წარსულს.

მაშ გიგანა რუსთაველის თეატრმა? რა ვქნათ?

— კინოფილმი გავაკეთოთ, ბატონო კონსტანტინე.

ბატონი კონსტანტინე ჯერ გარინდა, მერე წამოიყვია:

— მომწონს ეს აზრი! — კვლავ კარგა ხანს გაირინდა, შემდეგ კი დინჯად და მტკიცედ წარმოთქვა: — სცენარს მე დავწერ.

— დიდ პატივს დამდებთ! — მოვახსენე ბატონ კონსტანტინეს და ღრმად კი ვიყავი დარწმუნებული, რომ იგი სცენარს ვერ დაწერდა. დიდ ადამიანებს, ხშირად, ბავშვური მიამიტობა ახასიათებთ. აინშტაინი დარწმუნებული იყო, რომ კარგად უკრავდა ვიოლინოზე...

დაახლოებით ორი თვის შემდეგ ბატონი კონსტანტინე ტელეფონით დამიკავშირდა.

— უნდა გახარო. სცენარი მზად არის!

მივედი.

— მე თვითონ მომეწონა ჩემი რომანი. რამ დამაწერინა?!

— რამ გიბიძგათ, ბატონო კონსტანტინე, ამ შესანიშნავი ნაწარმოების შექმნისათვის? რომანის ბოლოსიტყვაში თქვენ ვიორგი მეფის სიყვარულზე და პატივსაცემაზე ლაპარაკობთ, რამეთუ უხარმზარ ვეშაპს — ბასილი კეისარს — შებშია იგი..

— ეს ასეა, მაგრამ ბიძგი სხვა იყო. ფრანგული (თუ გერმანული თქვა — აღარ მახსოვს) ნოველა წავიკითხე, იქ მოთხრობილია, რომ ერთმა ფეოდალმა შურისძიების მიზნით ნამუსი ახადა ერთ ქალწულს, გაუპატიურებული დილეგში ჩააგდო, ხოლო მისი საცვალთავად ციხეზე გამოკიდა მალალი ანძით. ეს იყო ბიძგი.

ბატონმა კონსტანტინემ დაიწყო სცენარის კითხვა. კითხულობდა ხალისით. იკითხა დიდხანს.

გულს შემოქეყარა. ბატონ კონსტანტინე რომანი გადაუწერიო მთელი თ. ვისი თანმიმდევრობითა და დეტალებით.

ბატონი კონსტანტინე დაიღალა. შეჩერდა.

— რას იტყვი?

ფრთხილად გამოვთქვი მოსახრება ზოგიერთი ეპიზოდის გადაადგილებასა და საერთოდ სცენარზე.

— რას ამბობ?! როგორ შეიძლება ვადგვილება? ეპიზოდების ამოღებაზე არც იფიქრო! — ამიყვირდა ბატონი კონსტანტინე. ხასიათი წაუხდა. და უცებ: — ხომ არ წავეკითხოთ მწერალთა კავშირში?

— კარგ იქნებოდა, ბატონო კონსტანტინე.

კითხვას აუარებელი ხალხი დაესწრო. სცენარს რიგრიგობით კითხულობდნენ ბ-ნი კონსტანტინე და ჭულიეტა ვაშაყმაძე. კითხვათა ორ საღამოს ვაგრძელდა. ბ-მა კონსტანტინემ თანაგრძნობა ვერ მიიღო მსმენელებისაგან.

გავიდა დრო. თბერის თეატრში, ერთ-ერთ საზეიმო საღამოზე კონსტანტინე გამსახურდია სცენაზე შემოვიდა პრეზიდენტში ადგილის დასაკავებლად. დამინახა და ხმა-მაღლა მომმართა:

— არ ხარ კარგი კაცი!

— რა დავაშავე, ბატონო კონსტანტინე?

— რატომ არ სწერ „დიდოსტატის“ სცენარს?

დავიწყე სცენარზე მუშაობა. გარდუვალი იყო რომანის მთლიანი გასცენიურება. იქნებ უფრო საინტერესო ყოფილიყო რომანის ერთი ცალკეული ხაზით დანახვა, მაგრამ ამ აზრს კ. გამსახურდია ახლოვ არ გაიკარებდა, ამაში დამარწმუნა მისმა დამოუკიდებელმა მუშაობამ სცენარზე. არა და, მისი დასტურის გარეშე ნაწარმოებს ეკრანზე გაცოცხლება არ ეწერა.


ბაშ რომანი უცვლელად გადავაეკრანზე? არა, ბევრი რამ შეიცვ-

ლება, მაგრამ უცვლელი დარჩება რომანის ძირითადი ხაზები, — ანსი, სული, ამის მისაღწევად კი საჭირო იყო რეჟისორის მყარი პოზიცია. და ჩემი პოზიცია ასეთი იყო.

ისტორიული სურათების სიუჟეტურ ღერძად და ეფექტად, უმთავრესად, ქვეყნის გარეშე მტრებთან ბრძოლები გვევლინება. ჩვენი სურათის თავისებურებას და სირთულეს იმაში ვხედავდით რომ აქ არ გვექნებოდა ისტორიული სურათების ეს სიუჟეტური ეფექტი, აქ უკნო მტრებთან ბრძოლებს არ ექნება ადგილი, აქ ქართველები ებრძვიან ქართველებს.

ჩვენი ფილმის აზრობრივი ღერძი უნდა იყოს მეფისა და ხუროთმოძღვრის დაპირისპირება. მეფის მოღვაწეობას, მის სიმართლეს

კადრი ფილმიდან „დიდოსტატის მარჯვენა“ არსაქიძე — თ. არჩვაძე.





ქადრი ფალმიდან „დიდოსტატის ნაჩვენა“. მეფე გიორგი — ო. მელენიფთხუცესი, შორენა — ლ. ბაღდრაშვილი

სა და უსამართლობას უნდა დაუპირისპირდეს ხალხის დაბალი ფენიდან გამოსული არსაკიძის შემოქმედებითი მოღვაწეობა. მეფე მართალია ცენტრალიზებულ სახელმწიფოს მტრებთან — ფეოდალებთან ბრძოლებში, მაგრამ იგი კერძო მიიღებს მაცუტრების თანაგრძნობას იქ, სადაც ვერ ფლობს საკუთარ თავს. ვერ იოკებს ვენებებს, სადაც იგი სულით ბრმა ადამიანის ტანჯვისადმი.

მეფე გიორგი გაექცევა სასახლეს, გვირგვინს, ხალხს, და საცოცხლის ამაოების შემაზრზენი შევრძნებით კვდება უსიერ ტყეში. მდაბიო არსაკიძე კი მომავლად ვიხიხავს დიდებულ სეპტაცხოველთან და სიყვარულით შეავლებს თვალს თავის ქმნილებას, როგორც დადასტურებას ადამიანის შემოქმედებითი გენიის უკვდავებისა.

დაპირისპირება ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო სიდიადისა, — უფლებამოსილი მეფისა და უფლებუბო არსაკიძისა, — გარეგნული

სიდიადე წინააღმდეგობით აღსაყვსე გვირგვინოსნისა და შინაგანი სიდიადე ღმერთთან და წარმავლობის ნისლთან მეტროლი არსაკიძისა უნდა ყოფილიყო ჩვენი ფილმის ღერძი.

ჩვენ ვგსურდა, მკაცრი ეპოქის მუქ საღებავებთან ერთად, გვეწვევებინა მაცუტრებისათვის ერისის მრავალსაუკუნოვანი კულტურა, რამაც ერთი საუკუნის შემდეგ გადააქცია იგი დიდ ზოგადკავსიურ სახელმწიფოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამყაროთა მიჯნაზე.

გარეშე მტერთან ბრძოლებას აზარტისა და სიუჟეტური სილაღის ზედაპირული ეფექტი ჩვენ შევწირეთ აზროვნების სიღრმეს, ამ რწმენით, რომ ხელოვნების ყველა ნაწარმოებს არა აქვს მაცუტრების მხოლოდ ვართობის ფუნქცია.

რეჟისორული ექსპოზიციის ჩამოყალიბებას და მის საფუძველზე სცენარის დაწერას სამი წელიწადი მოუხნდი, სცენარი პირველად ბე-

## კონსტანტინე ერთი პიესის

სო ულენტს წაეკითხე — თუ არ მოგეწონათ, უარს ვიტყვი-მეთქი გადალბაზე. ბესო ულენტს სცენარი მოეწონა და მოზრდილი დასკვნა დაწერა, დასკვნა კინოსტუდიაში წარვადგინე, სცენარი კი კოლხურ კოშკში მივიტანე და ქალბატონ მირანდას დავუტოვე. ორი დღის შემდეგ ქ-ნი მირანდა ტელეფონით დამიკავშირდა, ჩქარა მოდიო. უმალ მივედი. ქ-ნი მირანდა დამხვდა. ამ რომანის მიხედვით ვაკეთებული სცენარები უამრავი მოდის ჩვენთან და ყოველ სცენარს კოტე (ბ-ნი კონსტანტინე) აღშფოთებაში მოჰყავს ზოლმეო. თქვენი სცენარი მოეწონა, თავის კაბინეტში გიცდითო.

შევედი. ბ-ნი კონსტანტინე ყავას მიირთმევდა. ცივად ამომხვდა და ცივადვე მითხრა:

— ენა გცოდნია, ვახტანგ!

ჩემს კოლეგა დევი აბაშიძესთან და საყვარელ მეგობართან, უნიკიერეს კომპოზიტორ არჩილ კერესილძესთან ერთად ორ წელიწადს ვიღებდი ამ სურათს.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ჩემი საყვარელი ფილმია. ამ ფილმმა დამანახა ახალი გზები რეჟისურაში. ამ ფილმმა დამაახლოვა ჩვენი დროის უდიდეს მწერალთან კონსტანტინე გამსახურდიასთან. ამ ფილმით მე და ჩემმა კოლეგებმა ბატონ კონსტანტინეს განუსაზღვრელი ნდობა დავიმსახურეთ: ფილმის ნახვის შემდეგ გვთხოვა, „დავით აღმაშენებელი“ გადაიღეთო. დავბირდი, პრესაშიც იყო ამაზე თქმული, მაგრამ, ჩვენცან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მას ეს თხოვნა ვერ შეეუსრულებ.

ბატონ კონსტანტინეს ნაჩუქარი ვერცხლის ბეჭედი დღეს ჩემი ამულეტია. უიმისოდ ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შემიძლია.

თეატრალური სამყარო ხიბლავდა ყველა დიდ პოეტსა და პროზაიკოსს. თეატრის საიდუმლოებაში წვდომის სურვილი გარკვეულ ვნებად ქცევით ხოლმე. ხშირად საშუალო დრამატურგს (ან უფრო ნაკლებსაც) უფრო მეტისთვის მიუღწევია თეატრში, ვიდრე დიდ პოეტს, პროზაიკოსს. ესეც თეატრის საიდუმლოებაა, მაგრამ ვერცერთი კონფლიქტი საბოლოოდ ვერ ჩამოაშორებს დიდ მწერალს თეატრს. ამიტომ მწერლობის ისტორია თეატრთან კონფლიქტის, მასზე მეურვეობის ან თანამდგომლობის ისტორიაც არის. ნუ გამოვუდგებთ ბალზაკის, ტოლსტოის, სერვანტესის ან სხვა დიდი მწერლების მაგალითებს. საილუსტრაციოდ ქართული მწერლობის უახლესი ისტორიაც კმარა. აგერ ჩვენს გვერდით მოღვაწეობდნენ: გ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ს. ჩიქოვანი და სხვები, რომლებიც არ იყვნენ დრამატურგები, მაგრამ ყოველ მათგანს სურდა პიესის დაწერა, დაწერეს კიდევ. თითქმის არცერთი არ დაიდგა. ჩვენ ფარდის მარა-

# გამსახურდიას გამო

ვასილ კიკნაძე



დი რომანტიკოსები და რაინდები ვართ“, — ამბობდა ვალერიან გაფრინდაშვილი. ეს თითქოს, მთელი თაობის თეატრისადმი უღრმესი სიყვარულის გამხელა იყო. „ველავ მონად ვყავარ თეატრის ვარდებს“, — აღსარებასავით ისმის გალაკტიონის სტრიქონი. მერე იგი დიდ პოეზიას უძღვნის თეატრს. მან იცის, რომ „ხელთ აუღია თეატრს უზარმაზარი ქნარი“ და უკიდევანოა მისი სამყარო. აქ, ამ სამყაროშია მოქცეული ადამიანური ცხოვრების ჯოჯოხეთიცა და სამოთხეც, მისი დღეცა და ღამეც. როგორც ფრანვა სინათლის შუქს, ისე მიელტვიან პოეტები თეატრს, ხშირად რამპის იქით ვერ შეაღწევენ ხოლმე, მაგრამ მაინც მიილტვიან, უმღერიან:

სცენაზე მიღის  
ადამიანთ შური და მტრობა:  
ხან სიხარულის,  
ხან ტირილის გულღვარძლი გრძნობა —  
სანახაობა!

კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „საერთოდ თეატრისაგან შორს მდგომი კაცი ვარ და მას ვუყურებ, როგორც ქართული

კულტურის მოყვარული კაცი მხოლოდ და მხოლოდ“. ამას წერდა 1935 წელს. მანამდე კი უკვე დაწერილი ჰქონდა სტატიები თეატრზე. დაწერა პიესა, მონაწილეობდა თეატრალურ ბრძოლებში, კამათობდა. სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი დიდი მწერლისაგან.

ასე რომ, კ. გამსახურდია არ იყო „თეატრისაგან შორს მდგომი კაცი“. სტუდენტობის წლებშივე გამოხატა თეატრისადმი დამოკიდებულება, როცა ლ. მესხიშვილს იუბილუ ლიფცივიდან მიუღოცა: „აბა რომელ ქართველს არ ატოკებია გული მესხიშვილის მომხუსხველი თამაშით: რომელ ჩვენთაგანს საკუთარ სულის ღელვით არ ქცევია მუდამ მოყოყმანე ჰამლეტის სულის ტყივილი, მისი ზელოვნებით აღსაესე თამაშით განპირობებული! მისი აკოსტა, უგნურ ბრბოსაგან დაგმობილი... ვის არ ჩაუხედავს ფრანც მოორის ზღვასავით მოტივტივე, შურისძიებისაგან ნისლით პირმოქუშულ სულში, მხოლოდ მისი თამაშით ნათელყოფილში?“

გამორჩეული იყო გამსახურდიას არტის-

ტული სამყარო, მისი რომანები კი ნამდვილი საუნჯე — რომანტიკული თეატრისათვის. არც მხოლოდ რომანტიკულისა, — მრავალსტილური თეატრალური მიეგებებისათვის!

ამ ოცდახუთი წლის წინ გამსახურდიას დ. ალექსიძე და მე შევხვდით რუსთაველის თეატრში. წინასწარ გავაფრთხილეს — გამსახურდია მოვაო. ლამის რეპეტიცია გავიარეთ თუ როგორ შევხვედროდით.

— მე მინდა „დიდოსტაის მარჯვენა“ დადგათ, — მოკლედ და კატეგორიულად თქვა მან.

— დიდი სიამოვნებით, ჩვენ ეფიქრობთ თქვენს პროზაზე, შეუძლებელია ქართული თეატრი ქართული მწერლობის გარეშე, — უთხრა დიმიტრი ალექსიძემ. — დადგმას მე დავფინანსებ, — მოწყვეტით, ცივად თქვა გამსახურდიამ და რამდენიმე წუთის შემდეგ წასვლა დააპირა. იმდენად მტკიცედ თქვა, რომ შეკამათება ვერ შევებდეთ.

— არა, ფული გვაქვს, — მორიდებით შეუბრუნა სიტყვა ალექსიძემ, — უსათუოდ განვიხილავთ სამხატვრო საბუკოზე „დიდოსტაის“ საკითხს, უსათუოდ.

კ. გამსახურდიას რაღაც არ მოეწონა „სამხატვრო საბუკოს“ ხსენება. მოიქეშა, თეატრის ვასასვლელამდე მივაცილეთ. მარჯა-ნიშვილი და ახმეტელი ახენა. მოგვიანებით

შევიტყვე, რომ პიესა მიეტანა ჯერ მაკონიშვილთან, მერე ახმეტელთან. დადგმულა, ერთხანს „დურუჯთან“ და მკიდრო კონტაქტი. ერთ-ერთ წერილში „დურუჯს“ წერდა: „4 აპრილს, სლამოს 8 საათზე ხელოვნებათა სასახლეში წარმოვსტეჯამთ სიტყვას: „თეატრი“. შეძლებისამებრ ქშეგებები თქვენი კორპორაციის პოზიციას. გთხოვთ, თუ გენებოთ, ინკორპორე დავსწროთ ამ მოხსენებას, მხოლოდ წინასწარ იზრუნეთ ადგილებზე. მე შევუთვალე სასახლის კომენდატს ყველაზე უწინ კორპორაცია შეუშვას დარბაზში“. ამავე წერილში კ. გამსახურდია საყვედურობს კორპორაციას, რომ მას კორპორაციისავე თხოვნით მოხსენება უნდა წაეკითხა ექსპრესიონიზმის შესახებ, თუ „კორპორაცია შემატყობინებდა დროსა და ადგილს“, მაგრამ კ. გამსახურდიას მოხსენება არ წაუკითხავს — როგორც ჩანს, მოხდა გაუგებრობა.

კ. გამსახურდიამ გამოაქვეყნა წერილები „სათეატრო პრობლემები“, „თეატრი და ექსპრესიონიზმი“, „რეჯისორი“, „ქართული თეატრი“ და სხვ. ყველგან ჩანს თეატრის ბეღით დაინტერესებული მწერალი.

კ. გამსახურდიას დაწერილი აქვს მცირეფორმიანი პიესა — „გარსი მარადი“. პიესა დაიბეჭდა 1923 წელს ჟურნალ „ილიონში“ (№ 4), რომელიც მისი რედაქტორობით გა-



მოდიოდა. ამვე წელს გამოაქვეყნა წერილები „თეატრი და ექსპრესიონიზმი“. „ექსპრესიონიზმი შეიჭრა ევროპის თეატრში. სამი ვარსკვლავი ექსპრესიონიზმისა: ფრიც ფონ უნრუჰ, ერნსტ ტოლერ, გეორგ კაიზერ — იმვე დროს თანამედროვე თეატრის უდიდესი მსახიობებია“. ქართულმა თეატრმა გაიცნო ერ. ტოლერისა და გ. კაიზერის დრამატურგია. ქართული თეატრის სასცენო ლექსიკის განახლებაში ერთობ ფასეულია სიმბოლიზმისა და ექსპრესიონიზმის როლი. მართალია ე. გამსახურდიას, როცა წერს: „კოტე მარჩანიშვილი მოდერნიზების ლოზუნგით ავიდა ქართულ სცენაზე“. ჩვენ დაეუმატებთ — იგივეს აკეთებს ს. ახმეტელიც.

ე. გამსახურდიას „გარსი მარადი“ სიმბოლისტურ ესთეტიკას არის ნაზიარები. იგი შეიცავს სიმბოლიზმის მრავალ განშტოებას და ვფიქრობთ, რომ თავისებური რეაქციაცაა ფსიქოლოგიურ-ნატურალისტური ტენდენციებისა, რომელიც ქართულ თეატრში შეინიშნებოდა. ესთეტიკაში, მისტიკობა, იდეუმალბათა გარემოსილება, შინაგანი მარტოობის გრძნობა ადამიანთა სამყაროს მარადიულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ე. გამსახურდია ცდილობს გააფართოს ქართული დრამატურგიის თვალსაწიერი, წარმოაჩინოს ზოგადსაკაცობრიო საკითხები, დაუპირისპირდეს საყოფაცხოვრებ-

ბო, — სოციალურ დრამატურგიას. სიმბოლისმს, რომელიც ასე მკაფიოდ გამოვლინდა „ეისფერყანწელებში“, მათ შემდგომშიც კრედოში, თავისი „დრამატურგიული განშტოება“ ჰქონდა. იწერება პიესები (ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“, ნ. შიუქაშვილის „საბედისწერო დამბაჩა“ და სხვ.), რომელთაც გარკვეული სიხალე მოაქვთ ქართულ დრამატურგიაში. იგი სრულიად ემიჯნება როგორც ე. ერისთავისა და ა. ცაგარლის სკოლის, ისევე დ. ერისთავის „სამშობლოს“ და დ. კლიაშვილის ფსიქოლოგიურ პიესებსაც. ეს არ არის მხოლოდ თავისთავად განსხვავებულობა, იგი უსათუოდ მნიშვნელოვანი ნაკადია ქართულ დრამატურგიაში, რომელიც დღემდე ჭეროვნად არ არის გამოკვლევული. მან თეატრში მოიტანა მოდერნიზების სურვილი. სხვა საქმეა, რამდენად შესძლო მან თვითდამკვიდრება, რამდენად ორგანული იყო იგი ქართული რეპლისტური სამსახიობო სკოლისათვის.

ე. გამსახურდიას პიესას „გარსი მარადი“ ჰქონდა გარკვეული წინაპირობა და ფონი. იგი არ არის მხოლოდ მოდერნი გატაცების შედეგი. პიესა სავესე „აღმოუთქმელის იდუმალი წერით!“ (ვ. გოფმანი), ყოველი სტრიქონი და თითქმის ყოველი სიტყვა რაღაც გაჩინდებულს, იდეუმალს, ირეალურს მიგვანიშნებს. მისტიფიცირებულია გარსი, რომე-



ე. ბერძენიშვილი  
„ილიოსტატის მარჯვენის“ ილუსტრაციები

ლიც აზგვეთ სამყაროს. ყოვლის წარმავლო-  
ბის თავისებური ნოსტალგიაა, ამასთანავე,  
ფიქრია ადამიანის ტანჯვა-ვაებაზე, მის ჯე-  
რცმაზე. კ. გამსახურდიას პიესაში არის ღრმა  
აზრი, დიდი მწერლური ფიქრი კეთილისა და  
ბოროტის მარადიულ კიდილზე.

იმის გამო, რომ „გარსი მარადი“ არსები-  
თად უცნობია თანამედროვე ფართო მკით-  
ხეელისთვის, შევეცდებით ვრცლად წარმო-  
ვადგინოთ იგი. პიესა არაა დიდი მოცულო-  
ბის. ეს მისტერია დრამატული პოემასავით  
იკითხება. მისტერიას აქვს თავისებური „ეპი-  
გრაფი“: „ნიშნება ძველთაგან ენაა ღმერ-  
თების“. შემდეგ ავტორის განცხადება: „ამ  
მისტერიის სცენაზე ჭადგმა აჭბალულია  
ავტორის დაუკითხავად“. შემდეგ: „ძღვნა  
ნ — ...ს. თქვენ სრულ სახელს მე არ ვახსე-  
ნებ: რადგან სავნის პირდაპირი ხსენება ყო-  
ველთვის საშიშია, თქვენი ადამიანური სა-  
ხელი არც კი გამოჰხატავს იმ ძვირფასს სა-  
ხეს, — რომელიც ჩემს ხსოვნაში სინატი-  
ფის მთიებითაა გარემოსილი. თქვენ ისედაც  
გაიგებთ, რომ ეს პოემა თქვენ გეკუთვნით,  
როგორც ყველაფერი, რაც ჩემს სამყაროსა-  
დმი დამოკიდებულებას გამოხატავს. თქვენ  
ისედაც გაიგებთ, რომ ბევრი, ბევრი რამ  
ჩემთვის ძვირფასი და საყვარელი მიითურო  
ნისლით უნდა იქნეს შემოსილი; ასე სათუ-  
თად ვინახავ მე თქვენს ძვირფას სახელს. ამ  
წამში მგონია, რომ გიყურებთ ცხადივ  
და გეზახებთ, ჩემს ბნელ თვალბიან  
ღმერთს. მიიღეთ ეს მცირე ნობათი ჩემი  
ცხოვრების შუაგზიდან. ნეტავი იმ დროს,  
როცა ქვეყანა სიზმარი მეგონა და ლექსი  
ღმერთისა დიდის.

სატახტო ქალაქი. 1923.15.1

კონსტანტინე გამსახურდია

ამ წინათქმის შემდეგ დასახელებულია მო-  
ქმედი პირნი:

მგზავრი

ბნელი

12 მონაკრე

მისანი

ციხის უკროსი

გუშავნი

მთის ხულები

ტუსალები.

მოქმედები: დასასრულამდის ფარდა არ ჩამოცუკას!  
კოსტოუმება დროის ელფერის გარეშე.

პროლოგი

ნაპირი დაღუპულთა

სინათლე მურუფინი. ფარდის გაღმა მონჩანს ზღვის-

პირი რუხი, მაღალ ხეზე კაცი წევს. მარჯვნივ  
ფონზე შავი, მაღალი ხის ქვარი. გამოდიან მარჯვ-  
ნით ექვსი თეთრსამოსიანი, მარცხნით ექვსი მონაპირე  
მოსიანი მონაპირენი (მონაპირეებს აცვარს მონაპირე  
ფალი, ბერძნული ტოგას მსგავსი სამოსები).  
მონაპირენი. (ცეკვით ყველანი ერთად. ტურე-  
ზე ხელის მიტანით, სუუ, სუ... უ. უ. სუ, უ. უ.  
უ. ს. უ. უ... (მონაპირენი ცეკვავენ ლოდზე  
მწოლარის გარშემო).

პირველი: (გამოდის ფერხულიდან. — უახლოვე-  
ბა მინარეს) ახალი კაცია!

მეორე: მინარე.

პირველი. მას ენისმრება...

მეორე. ხომალდები, რომელნიც არახოდეს მოვ-  
ლენ.

მესამე. ხომალდები, რომელნიც ჯერ არ მოხულან!

მეოთხე. აფრები, რომელნიც არახოდეს გამოჩ-  
დებიან.

მეხუთე. კანდელები, რომელნიც არახოდეს გაა-  
ნათებენ.

მექექსე. გემები, რომელნიც ახლა ზღვაურს ებრ-  
ძვიან.

მეშვიდე. გემები, რომელნიც უნდა დაიღუპონ.

მერვე. გემები, რომელნიც ჩვენთან მოაღწევენ.

მეტხრე. მას შემდეგ, რაც დაიღუპებიან.

მეთათე. რადგან ეს არის ნაპირი დაღუპულთა.

მეთერთმეტე. არა, — ნაპირი გადარჩენილთა  
(პაუზა).

პირველი: მას ენისმრება (მცირე პაუზა) ჩამქ-  
რალი ვარსკვლავები...

მეორე: დიდი ხანძარი, ქვეყანა რომ უნდა გადაწ-  
ვას...


მესამე: დიდი გრიგალი გემების დაღუპული..

მეოთხე: დიდი გვალვები ჩეჩილების მომსყრე-  
ლი.

სცენა მარჯანიშვილის თეატრის  
სპექტაკლიდან „მოთარის მოტაცე-  
ბა“. ხათუნა — დ. კვიციანი. კაც  
ზვამბია — ი. ტრიპოლსკი.

მეექვსე: მას ესწმირება.  
 მეშვიდე: დედაკაცი წითელ მხეცზე მჭდომარე.  
 პირველი: მას უნახავს...  
 მეორე: სისხლიანი ცისკრები.  
 მესამე: დაღალული კაცია...  
 მეოთხე: მან ომები გადაიხადა...  
 პირველი: მან იხილა...  
 მეექვსე: მთა განწმენდისა...  
 მეშვიდე: სინათლე უფსკრულდება...  
 მეორე: სილატაე სათნობათა...  
 პირველი: ის იხილავს...  
 მეორე: ჭვარცმულის, მეორეჭერ ჭვარცმას.  
 მესამე: (გამოდის წრიდან, უახლოვდება მძინარეს)  
 ეს ახალი კაცია...  
 პირველი: (დააჩერდება მძინარეს სახეზე) არა, იგი ხანშია შესული!  
 მეორე: (გამოდის წრიდან, დააჩერდება სახეზე მძინარეს) რა სათნო სახე აქვს.  
 მესამე: (გამოდის წრიდან, უახლოვდება მძინარეს, დააჩერდება სახეზე). რამდენი ნაოკი აქვს!  
 მეოთხე: (გამოდის წრიდან, უახლოვდება, დააჩერდება სახეზე) რამოდენა შუბლი აქვს.  
 პირველი: ლამაზია!  
 მეორე: როგორც ჭრისტ გეთაშანიის ბალში.  
 მეათე: როგორც იოჰანე ნათლისმცემელი ლანგარზე.  
 მეთერთმეტე: როგორც ბუდდა უდაბნოში.  
 მეექვსე: იგი ჭვაროსანია სინათლისა და ცეცხლისა!  
 პირველი: იგი მდიდარი იყო.  
 მეორე. მას გემები ჰყავდა.  
 მესამე: მე მისი მეხელაური ვყოფილვარ.  
 მეექვსე: ის ახლაც მდიდარია.  
 მეორე: რადგან არაფერი აქვს...  
 მესამე: არც ცეცხლისთვის...  
 მეოთხე: არც მეკობრეებისთვის.  
 მეხუთე: არც ყაჩაღებისთვის.

მეექვსე: არც დასარიგებელი.  
 მეშვიდე: არც წასართმევი.  
 მეორე: არც შესაწირავი.  
 მეცხრე: არც გასაკიბავი,  
 პირველი: იგი მდიდარია.  
 მეათე: ცოდებით.  
 მეთერთმეტე: შედლომებით.  
 მეორმეტე: სიბრძნით.  
 პირველი: ის მწერალი იყო.  
 მეორე: არა, — მეცნიერი.  
 მესამე: მან უამრავი წიგნები დაწერა.  
 მეოთხე: წიგნები, რომელნიც არავის დაჰკირვეთა.  
 მეხუთე: წიგნები, რომელთაც ჩრჩილი შესჯამს.  
 მეექვსე: მას ლამაზი ცოდები ჰყავდა.  
 მეშვიდე: ისინი დაიბოცნენ.  
 მეორე: რადგან მისი სიყვარული ვერ აიტანეს.  
 მეცხრე: მე ვნახე, მან ცეცხლზე გადაიარა ფეხ-შიშველა.  
 მეათე: და ცეცხლმა იწილა უდაბნოს ასპიცივით.  
 მეთერთმეტე: მე მინახავს იგი ლანდებთან მოლაპარაკე.  
 მეოთრმეტე: მან დაახრო ჩემი პატარა და ტაძარში ლოცვის დროს, მას ისე დახდევნ ქალწულები, როგორც ატეხილი ფაშატები წითელ ულაყს.  
 (სცენის გაღმოდან მოისმის შორეული, მარტოხელა ზარის ხმა. ყველანი შეკრთებიან და გაოცების ნიშნად ხელებს ზეით ასწევენ. მგზავრი იღვიძებს, თვალების ფშვნეტით ლოდზე წამოჭდება, შეკურებს. გაოცებით მის ირგვლივ წრეში მდგარ მონაპირეებს).  
 მგზავრი: ვინა მხართ თქვენ?  
 პირველი: მონაპირენი (პაუზა)  
 მგზავრი: (ბნულ პანტომზე ხელს იშვერს) ვინაა ეს კაცი?  
 პირველი: ბნელსა ჰკითხეთ.  
 მგზავრი: ბნელი ვინდა?





პირველი: ეგერ რომ დავს.  
 მგზავრი: რა ჰქვინ მას?  
 პირველი: არავინ იცის.  
 მგზავრი: საიდან მოვიდა?  
 პირველი: ის მუდამ აქ იყო (მგზავრი განკვირებით შეხედავს ბნელ პანტომა)  
 მგზავრი: ბნელი მაღალია...  
 პირველი: ქრისტეზე უფრო.  
 მეორე: რადგან მას შეშეცნება აქვს და სიყვარული აკლია.  
 მესამე: ქრისტე მხოლოდ სიყვარულმა მოიყვანა მიწაზე.  
 მეოთხე: მიწას სიყვარული ვერ მოერევა.  
 მეხუთე: მიწა სიყვარულზე დიდია.  
 მეექვსე: ბნელი დიდია.  
 მეშვიდე: ბნელი უსაზღვროა.  
 მეცხრე: ბნელი უგარსია.  
 მეთხუთმეტი: ბნელი სრულყოფილია.  
 მეოთხმეტე: არავინაა სრულყოფილი (პაუზა).  
 მგზავრი: რა უნდა მას?  
 პირველი: რა უნახავს მას?  
 პირველი: რაც არავის უნახავს.  
 მგზავრი: რა იცის მან?  
 პირველი: რაც არავინ იცის.  
 მგზავრი: რა ახსოვს მას?  
 პირველი: რაც არავის ახსოვს.  
 მგზავრი: რა არ იცის მან?  
 პირველი: თუ ვინ იყო ღმერთი.  
 მგზავრი: მუ ვიცი ვინ იყო ღმერთი.  
 პირველი: შენ სად ნახე ღმერთი?  
 მგზავრი: ღმერთი დამეხიშმრა.  
 პირველი: როგორია ღმერთი?  
 მგზავრი: ღმერთი ღრმაა, როგორც ეს ზღვა

(ხელს აშერს ზღვაზე) ვრცელი, როგორც ის ფირამენტი ვარსკვლავებისა.  
 (უჩვენებს ვარსკვლავიან ცაზე). ვარსკვლავიანი პირველი: როგორი თვალები აქვს ზემოთმხიშმრა მგზავრი: ზღვის კორალების ფერისა.  
 პირველი: ისინი ანათებენ?  
 მგზავრი: როგორც ოცენაში ჩამქრალი მზეები (პაუზა)  
 თორმეტივე მონაპირე ერთად: როგორც ოცენაში ჩამქრალი მზეები (პაუზა)  
 ბნელი: (დაბალი ხმით) როგორც ოცენაში ჩამქრალი მზეები.  
 (სცენის გადართობა შორეული ხმა: „როგორც ოცენაში ჩამქრალი მზეები“).  
 მგზავრი: (წისკვლეულად ეშვადება)  
 პირველი: (წინ გადაღობება) გზა საითყენ?  
 მგზავრი: ჩემი თავის სანახვად.  
 პირველი: რად არ დისვენებ ჩენთან?  
 მგზავრი: სურვილი აღარ მაქვს.  
 მეორე: ვაი, იმას, ვისაც სურვილი აღარ აქვს!  
 მესამე: აქ სურვილიანები ამოდიოდნენ აქამდის.  
 მგზავრი: ვინ გაიარა აქ?  
 პირველი: მილიონებმა — უსაზღვროების ნაპირზე.  
 მგზავრი: უსაზღვროებიდან?  
 პირველი: ჯვაროსნები.  
 მეორე: შეშანდლები.  
 მესამე: მერიხადენნი.  
 მეოთხე: წინამძღონი.  
 მეხუთე: ნათლისმცემელი.  
 პირველი: მაცხოვარნი, რომელნიც ჯვარზე უნდა გასულიყვნენ.  
 მგზავრი: ვინაა ჩავა უსაზღვროებაში?  
 პირველი: რჩეული. შენც უსაზღვროებას დაუბ-



კადრები ფილმიდან „მთავრის მოტაცება“.  
 თარაში — ვ. ფალანგლიშვილი,  
 თამარი — ი. კვიციანი.  
 არსაკანი — ო. მელინიშვილი,  
 ხათუნა — ე. ანდრონიკაშვილი.

რუნდები დაბოლოს.

მგზავრი: თუ მიწას?

პირველი: მიწას, დედა მიწას!

თორმეტივე მონაპირენი: დედა მიწას, დედა მიწას, დედა მიწას. (მგზავრი მიდის, ყველანი მღელმღელ ვასცქრიან ხის ჭვრისკენ მიმავალ მგზავრს).

მარადმოუსვენარი სული მგზავრისა მოგზავრობს, ეძებს მის წინაშე დასმულ კითხვებზე პასუხს. მეორე სურათში იგი მიდის მაღალ მთიან ადგილას. ხის ჭვარი მოსჩანს. მწვერვალზე ზის მისანი, იმართება დილოზი მგზავრსა და მისანს შორის. პროლოგზე უფრო მცირეა იგი და მას პირველი სურათი ეთმობა („მისანი!“). მგზავრი ეკითხება მისანს. მისანი პასუხობს, რომ იგი ყველას იცნობს, ვინც „ბნელეთთან ყოფილა“. მგზავრი ჩაფიქრდება: „ძნელია ბნელეთთან ყოფნა, ძნელია მარტო სვლა, ძნელია მარტოსულობა“. მისანი განუმარტავს მგზავრს, რომ ადამიანებთან მისვლაა საჭირო, მაგრამ ვერც შენ ეტყვი მათ უჯანასკნელ სიმართლესო. მგზავრს სჯერა, რომ ადამიანებს ეტყვის: მათი ღმერთი მოკვდა, მათ ოქროებს წონა დაეკარგა, მათი თავისუფლება საპყრობილეში ფასდება. მათი უბიწოება — საროსკიპოში. მათი გონიერება საგიჟეთში“. მისნის აზრით, „სიმართლეს კაცი ვერ ზიდავს, სიმართლეს ქვეყანა ვერ აიტანს“. მგზავრს

სურს ამიღიდეს ადამიანებზე, როგორც ბეკაცი. როგორც წინასწარმეტყველი, მისანი კი ურჩევს ადამიანებთან მივიდეს მარტოსულობაში, როგორც „თანასწორი, როგორც მეტეუზე, ან მზედარი“, რადგან ყველა „ამ გზით მოსულა მათთან, ვისაც მათი მოქცევა ნდომებია“, თუმცა „ისიც ჭვარს აცეკვს“.

მგზავრა: მათი სიტყვა ზომ დარჩა? მათი სინათლე ზომ ნათლობს? სინათლეს ვერაინ აიტანს ჭვარზე.

მისანი: სინათლეს მემანდლე უნდა. სიტყვას — ძალა.

მგზავრი: მე მინდა მემანდლე ვიყო, სიტყვის ძალა ვიყო.

მისანი: სიტყვა მკედარია უსაქმოდ.

მგზავრი: მე მინდა საქმე ვიყო.

მისანი: მაშინ სიტყვა წაგერთმევა: სინათლეს ვერ მოჰფენს.

მგზავრი: მე მინდა შანდალი ვიყო.


მისანი: მაშინ ვერ გაანათებ, მემანდლე უნდა მონახო, მარტო შანდალი ვერ გაანათებს. შანდალს ანთება უნდა, შანდალს ტარება უნდა. შანდალს ნათელი უნდა.

მგზავრი: მე მინდა ეგ ნათელი ვიყო.

მისანი: მაშინ უნდა დაიწვა.

მგზავრი: მე მინდა სინათლის ჭვაროსანი ვიყო.

მისანი: ჭვარი არ დაგავიწყდეს, თორემ შენვე მოგატანიებენ, როგორც იესოს მოატანიეს თავისი ჭვარი (პაუზა). ყოველ წინასწარმეტყველს იღლაში უნდა ჰქონდეს თავისი ჭვარი, სხვა გზა არაა.



მ გ ზ ა ვ რ ი: მაჩვენე გზა ადამიანებისაკენ.

მ ი ს ა ნ ი: ყველა გზები შენშია.

მგზავრისა და მისნის დიალოგში დასმულა გმირისა და ხალხის ურთიერთობის მარადიული პრობლემა. გმირი (ამ შემთხვევაში მგზავრი) ცდილობს ხალხს სიკეთე მოუტანოს, გაიგოს ხალხის სულის საიდუმლოება, მისანი აფრთხილებს, რომ სურვილის აღსრულება მხოლოდ წამების გზით შეიძლება. ჭვარს აცვამენ სიკეთისათვის, რათა შემდეგ თაობებმა თაყვანი სცენ მას. მეორე სურათი უფრო მისტიფიცირებულია. უფსკრულიდან ისმის ხმა, რომელსაც პასუხობს ნათელი. იგი მხოლოდ ერთსადაიმევე სიტყვას იმეორებს: „მე ვარ სარანგა ღამისა“. უფსკრულის მომხილი ლაკონიურია, სხარტია, მაგალითად: „ღამეების სიბნელეში ვიშვით“ ან „დავიღევით ღამეების შიშით“ და ა. შ. მათ დიალოგს მოსდევს „მთის სულების ქორო“. ქოროს ცამეტსტრიქონიანი ტექსტი აქვს. „ნათელი სად ხარ, სად“, „ნათელი დაგეძებთ, გელით“. შემდეგ უფსკრულიდან მოისმის მგზავრის ხმა, იგი თანდათან შემოდის ქოროს სანახაობაში. მგზავრი მიმართავს ნათელს: „ვინ ხარ?“ ნათელი: „მე ვარ სარანგა ღამისა“. მგზავრი: „მამ შენ გზას მიჩვენებ“. გიჩვენებო — პასუხობს ნათელი. მგზავრი კვლავ ეძებს იმით, ვინც მას უკანასკნელ სიმართლეს ეტყვის. ნათლის აზრით, უკანასკნელ სიმართლეს ის იტყვის, ვინც უპირველესი იყო.

მ გ ზ ა ვ რ ი: ვინ იყო პირველი და უკანასკნელი.

ნ ა თ ე ლ ი: უზენაესი.

მ გ ზ ა ვ რ ი: მამ უზენაესი მეტყვის სიმართლეს.

ნ ა თ ე ლ ი: უზენაესი არასოდეს არ ლაპარაკობს.

მ გ ზ ა ვ რ ი: მამ ღმერთი დადუმებულა.

ნ ა თ ე ლ ი: ღმერთი დადუმდა, როცა კაცმა ლაპარაკი ისწავლა.

მ გ ზ ა ვ რ ი: მამ ვინ მეტყვის უკანასკნელ სიმართლეს.

ნ ა თ ე ლ ი: ანა ზევით გაიგებს.

მგზავრი გზას აგრძელებს. მიდის მთაზე, სადაც „აბსოლუტური სითეთრეა“. მგზავრა და ნათელი მწვერვალზე არიან. ცივა. „სადაც უმაღლესი შეგნებაა — იქ უდიდესი სიცივეა — შეგნება და სიცივე ტყუიბი დებია“. ვარსკვლავთა სამყარო. კოსმიური სივრცე. ისმის ვარსკვლავთა ხმა. ისმის სიბნელის ხმა, რომელიც მგზავრს აუწყებს, რომ „ადამიანია უკანასკნელი“ და მათ უთხარი სიმართლეო. მეოთხე სურათს თავისი დეკორატიული ჩანახატიც ახლავს. დახატულია ოთხკუთხედი, სადაც

არის „კარი“, „ფანჯარა“, „ციხის უფროსის ოთახი“, „კამერა“, „ნარები“. ეს უკვე რელისტური სურათია. მგზავრი ადამიანებმერემოშია. ციხეში პატიმრებია. ციხის უფროსი მაგდას უზის, ქაღალდებს ალაგებს. ყვირთელი სათვალეები უკეთია. ისმის გუშაგის ხმა.

— ტუსალი ნომერი 113.

პ ა ს უ ხ ი: აქ ვარ.

გ უ შ ა გ ი: ტუსალი — 114.

პ ა ს უ ხ ი: აქ ვარ.

ასე გრძელდება რამდენიმე ნომრის გამოძახება. შემოჰყავთ სამი ახალი ტუსალი, ციხის უფროსს მოახსენებენ, რომ არ აღიარებენ დანაშაულსო. ერთ-ერთი ტუსალი მგზავრია. გაიშარტება ციხის უფროსთან დიალოგი.

მ გ ზ ა ვ რ ი. მე მგზავრი ვიყავი და ვუთხარი ადამიანებს უკანასკნელი სიმართლე.

ც ი ხ ი ს უ ფ რ.: მაინც?

მ გ ზ ა ვ რ ი: მე ვუთხარი ადამიანებს, რომ მათი ღმერთი მოკვდა. მათ ოქროს წონა დაეკარგა. მათი თავისუფლება საპურობილეში ფასდება — მათი უბიწოება — საროსიკაოში, მათი გონება — საგუფთოში.

ც ი ხ ი ს უ ფ რ.: (ოდნავ იღიმება) მმ, ღმერთი მოკვდა? (შეხედავს მრისხანედ ტუსალს. მასაც ისევე გაღურაზავენ კარებს, როგორც პირველ ორს. კამერაში მგზავრი უპერანგო ტუსალის გვერდით ჩამოვდება).

უ პ ე რ ა ნ გ ო ტ უ ს ა ლ ი (მგზავრს) ააა, ახალი კაცი! (ათვალიერებს მგზავრს) პაუზა.

უ პ ე რ ა ნ გ ო: შენ რატომ?..

მ გ ზ ა ვ რ ი: მე ვუთხარი ადამიანებს, რომ მათი ღმერთი მოკვდა...

სეენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „ნოვის მინდია“. მინდია — ე. მახარაძე.

უპერანგო: კიდევ ერთი უღანაშაული!  
 ტუსალები (ნარებიდან) აა... კიდევ ერთი უღანა-  
 შაული.  
 უპერანგო: აბა, კიდევ სთქვი მგზავრო, რა უთხა-  
 რი ადამიანებს?  
 მგზავრო: მე ვუთხარი ადამიანებს, რომ მათი  
 ღმერთი მოკვდა...  
 უპერანგო: ღმერთი მომკვდარა!  
 ტუსალები: (ფეხზე წამოკვივიან, ნარებზე შესდ-  
 გებიან. გაოცებით. ხმამალა ყველანი ერთად)  
 ღმერთი მომკვდარა, ღმერთი მომკვდარა!..  
 უპერანგო: მაშ რევნ დანაშავე არა ვყოფილ-  
 ვართ თუ ღმერთი მოკვდა (თავის შეზობელს)  
 შენ რა დააშავე?  
 შეზობელი: დედა მოკვალი.  
 შემდეგი: შემდეგს: შენ რა დააშავე?  
 პასუხი: როსკიო შემომაკვდა.  
 შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე.  
 პასუხი: ცელესია გაქურდე.  
 შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე.  
 პასუხი: მცირეწლოვანი გავაუპატიურე.  
 შემდეგი შემდეგს: შენ?  
 პასუხი: ქრთამი ავიდე.  
 შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე.  
 პასუხი: ქარხანა გადავწვი.  
 შემდეგი შემდეგს: შენ?  
 პასუხი: მეც იმას ვეხმარებოდი...  
 ასე იმეორებენ იგივეს შემდეგი ტუსალები... ბო-  
 ლოს ასე გრძელდება კითხვა-პასუხი:  
 უკანასკნელი — შენ რა დააშავე.  
 პასუხი: მე არ ვარ დანაშავე.  
 მგზავრო: არავინაა დანაშავე.  
 ყველა ტუსალი: მაშ ვინაა დანაშავე?  
 მგზავრო: ვინც დანაშაული მოიგონა.  
 უპერანგო: არავინაა დანაშავე.  
 მგზავრი ასწავლის ტუსალებს, თუ დაამტე-

რევი ნარებს, არავინ იქნება დანაშაველი. იმ  
 ტვრევენ. ბნელდება. „როცა ბნელა, არავინაა  
 დანაშავე“. უპერანგო ტუსალი მგზავრს მგ  
 მართავს: „შენ ხარ დანაშავე, შე იულა. ღმე-  
 რთის გამყიდველი“.

მგზავრო: არც იულაა დანაშავე, რომ ღმერთი გა-  
 ბუსა. აუღას ღმერთი რომ არ გაეყიდა, ღმერთს  
 არ დააფანტდნენ. ადამიანები ვაქრებია, მხო-  
 ლოდ ძვირად ნაყიდ საქონელს აუასებენ.

(ისმის ბორკილების ჩხრიალი).

ხმები: ვაიმე, ბორკილები.


მგზავრო: ვინც ბორკილებს დაიწვიებს, ის თა-  
 ვისუფალია.

ხმები: როგორ გავითავისუფლოთ, მგზავრო, თა-  
 ვი? ყველამ იპოვოს თავისი თავი.

(იღეწება ბორკილები, ტუსალები კარებს მისც-  
 ვეღლებიან).

ამტვრევენ ურღულებს. მოღის ანგელოსი უფლი-  
 სა და ის ეხმარება. მათ თავზე სინათლის შარა-  
 ვანდელი დგება, მგზავრი მოუწოდებს: „მომყევით  
 სინათლის გზისაკენ!“

ასე მთავრდება რეალისტური სურათი.  
 ბორკილებდამსხვრეული ტუსალები მიდიან  
 შვების წალკოტში (მეხუთე სურათი). სცენის  
 სხვადასხვა მხრიდან გამოდიან ქალები და კა-  
 ცები. მათ ხელში ანთებული ჩირალდნები  
 უქირაავთ. ქოროსავით დაყოფილი ჯგუფები  
 ყვირიან: „ჩვენ დავწვიეთ ქარხნები“, „დავლე-  
 წეთ დაზგები“, „სახლები მივეციეთ ხანძარს“,  
 „დავლეწეთ ტაჩრებიც, ტრაპეზებიც“. იმარ-  
 თება ეგზალტირებული ცეკვა. მელანქოლურია  
 მუსიკა. ყველა დეხმორთხმული დაჯდება.



12-ივე ერთად: მარადი გარსი, მარადი გარსი.  
ქურნალმა „ილიონმა“ იმავე ნომერში მისი მისივე

ტუსალები ჰყვებიან თავიანთ დანაშაულზე თითო ფრაზით. აქაა „მგზავრიც“. ის ამბობს: „მე მიყვარს ახალი მიწა“. შემდეგ ყველანაღვებიან ფეხზე, ისმის შორეული ზარების რეკვა. „მზე ამოდის. ნათდება ალისფრად“. ტუსალები რიტმულად იშვებენ ხელებს მხისკენ. „მზე, მზე“, — ეცემიან მუხლებზე. გამოიყოფა ბრბოს, რომელიც ძირს დამხობილია: „იყავით მიწა“.

ასე მთავრდება პიესის ძირითადი ხაზი. შემდეგ პატარა ეპილოგია: მოქმედება ხდება ხელმეორედ შობის მღვიმეში.

ზღვისპირი რუხი. ბნელხაზიანი მღვიმე. მარცხნივ შესავალთან ბნელი პანტომი. მარჯვნივ ფონზე შავი ხის ჭვარი. მოისმის შორეული ზღვის რიტმული მუსიკა.

ბნელი: გესმის?  
მგზავრის ხმა: (იგი არ მოსჩანს. ხმა მღვიმედან.) ეს ზღვა უნდა იყოს.

ბნელი: ხომ დაუბრუნდი უსაზღვროებას?

მგზავრის ხმა: მეორე მხრიდან.

ბნელი: და შენი თავი იპოვნე!

მგზავრის ხმა: სთქვი გარკვეულად!

ბნელი: ვინც თავს იპოვნას უსაზღვროებას შემოვიღოს.

მგზავრის ხმა: მაშ ძალა მქონია.

ბნელი: იყავ ძალა უხსნეულო.

მგზავრის ხმა: ახლა ძალა ვარ უხსნეულო! (პაუზა) პაუ. ბნელა, ნისლებმა მოგიტაცეს... (ისმის შორეული მშობიარე ქალის კვილი. სცენაზე გამოდიან ნათელი და 2 მონაპირე).

მონაპირენი: (ცეკვით, ტუტებზე ხელის მიტანით) სუ. სუ. ს. უუ.

ბნელი: იგი ხელმეორედ იშვა.

ნათელი: მან იპოვნა უკანასკნელი სიმართლე.

პირველი: მან იხილა.

ნათელი: ღმერთის პირისჩენა.

(ზარის შორეული რეკვა. სცენაზე სოსნის ფერი სინათლე, ტალღების ლივლივი)

ბნელი და ნათელი: მღვიმის შესავლის მარცხნივ და მარჯვნივ დგანან და ბნელ ხაზიან მღვიმეს შესცქერაან.

12 მონაპირენი:

პირველი ჭგუფი: ყველა დაშრება, ყველა გაქრება  
გზას გადასცდება სატურნი, მარსი.

მეორე ჭგუფი: მოკვდება ღმერთი, მოკვდება ჰია  
და შეიცვლება უაზრო ფარსი.

მესამე ჭგუფი: მზე დალეული დღეების ტრიალს  
წაუვა ფერი და შინაარსი.

მეოთხე ჭგუფი: გარდაუვალი დარჩება მხოლოდ

სცენა თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლიდან „დიოსტატის მარჯვენა“. მეფე გიორგი — ბ. კრავიცივილი, შორენა — ო. კუნეცივა.

გორც უკანასკნელი სიმართლე“. ის, ვინც იხილა ჭვარციმულის მეორე ჭვარციმა, უთუოდ „ახალი კაცია“, ადამიანი ეძებს გზას, რათა უსაზღვროებას ეზიაროს. „უკანასკნელი სიმართლე მეორედ შობის რწმენაშია“— აი დევიზი კ. გამსახურდიას პიესისა. მწერალს სწამს, რომ არსებობს რაღაც იდუმალი „ძალა უსხეულო“. ეს ის არის, რასაც ბარათაშვილი ამბობდა: რომ მას სწამს „უასაკოთა“ ენა. გამსახურდიას სწამს უკვდავება სულისა და ამაშია მისი სისუსტე და ძლიერებაც, რადგან პოეტი დარწმუნებულია, რომ „მიაგნო, იპოვნა უკანასკნელი სიმართლე“.

კ. გამსახურდიას პოემაში არის სამყაროს ტრაგიკულობის შეგრძნება.

რასაკვირველია, „გარსი მარადს“ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, იგი მწერლის შემოქმედებით ევოლუციოზე მეტყველებს. ნათელჰყოფს თუ რა დიდი გზა გაიარა მწერალმა სიმბოლისტური გატაცებიდან „დიდოს-

ტატის მარჯვენამდე“. ამასთანავე, პიესაში არის ტენდენცია ბერძნული ტრაგედიისკენ მიბრუნებისა. კ. აბაშიძის აზრით, „მედიკალიზაცია“ ხევენთვის ბევრი რამ მიუღებელი იყო საკითხის ამგვარ დაყენებაში, ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდეთ ავტორს, მაგრამ უარყოფა მისი მნიშვნელობისა შეუძლებელია“. ბუნებრივია, რომ ეს შენიშვნა რედაქტორთან შეუთანხმებლად არ დაიბეჭდებოდა. ჩანს, კ. გამსახურდია გრძობდა, რომ პიესა დავას გამოიწვევდა. კ. აბაშიძე მართებულად აღნიშნავს, რომ პიესა „თანამედროვე ძიებით არის გამსჭვალული“. მუსიკა, პლასტიკა, სინათლის ეფექტები, აძლიერებენ სანახაობას. „ვნახოთ მარჯანიშვილის ჯადოსნური ძალა რას შემატებს მას... „გარსი მარადიდან“ იწყება ახალი მიჯნა, ქართული დრამა ზურგს აქცევს ყოფაცხოვრების მოტივებს და ახალ სიტყვას ხომ ახალი ფორმა უნდა“.

ქართულმა თეატრმა სხვა გზა აირჩია!



ჩვენმა ქურალმა შემოიღო ახალი რეპრეზენტაცია „პანორამა“, სადაც სისტემატურად გაშუქდება დასავლეთის კულტურისა და ხელოვნების კრიზისული მოვლენები.

## რიგორიკა სიხარიალაში

ბასული წლის ბოლოს ნეაპოლში გაიმართა „საერთო ბაზრის“ ქვეყნების კულტურის მინისტრთა თათბირი. ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის წევრ ქვეყანათა კულტურის მინისტრების გარდა თათბირში მონაწილეობდნენ მათი კოლეგები ესპანეთიდან და პორტუგალიიდან.

ამ თათბირის მიზანი იყო თანამშრომლობის „ახალი გზების გამოჩვენება“, მაგრამ, როგორც ფრანგული, იტალიური და დასავლეთ გერმანული პრესის კომენტარებიდან ჩანს, ამ მოლაპარაკებას არა თუ რაიმე სარგებლობა არ მოუტანია, არამედ, პირიქით, უფრო გააღრმავა „განხეთქილება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის“. სხვა სიტყვებით, წინააღმდეგობა, ერთის მხრივ, ინგლის-გერმანიის, სკანდინავიის ქვეყნებსა და, მეორეს მხრივ, რომანულენოვან ქვეყნებს შორის. თუ ეკონომიკური კრიზისის დროს ჩამოყალიბებული სიტუაციის შეფასებისას ინგლისის მხარეს აუცილებლად მიაჩნდა, რომ ფულადი სახსრები ყოველ ქვეყანას ცალ-ცალკე მოხმარებოდა, ფრანგები „პანევროპეიზმის“ იდეას ემხრობოდნენ და იგი საერთო ევროპული კულტურის კრიზისიდან ერთადერთ გამოსავალ გზად მიაჩნდათ. პრესისათვის სპეციალურად მომზადებულ კომუნიკეში ამ იდეამ ერთგვარი გამოხატულება პპოვა სხვადასხვა ინიციატივებში — დაწყებული არქეოლოგიის საერთო ინსტიტუტსა და მუზეუმებში „საერთო ევროპული დარბაზების“ შექმნიდან, ვიდრე კინო-ტელე მუშაების კონფერენციებამდე და მთარგმნელთა სტატუსის განსაზღვრამდე.

მაგრამ „ნორდისტები“ თავისას ადგნენ. რა საჭიროა ამგვარი ინსტიტუტების შექმნა, როცა უკვე არსებობს იუნესკო, ევროპის საბჭო

და თვით ევროპის პარლამენტი, რომლებიც ანალოგიურ ფუნქციას ასრულებენ?

ყველაზე ძლიერი არგუმენტი მანძილს სუსტი სიძნელებები აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ მინისტრთა უმრავლესობას არ დაუფარავს ნეგატიური დამოკიდებულება ევროპელთა სატელევიზიო ეკრანებზე „ატლანტიკის იქითა მხარის“ შემოჭრის გამო. საფრანგეთის კულტურის მინისტრმა ჟაკ ლანმა „რადიოსა და ტელევიზიის ევროპული სისტემის“ იდეაც წამოჭრა. მისი აზრით, მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ამერიკელთა და იაპონელთა ექსპანსიის აღკვეთა. საბერძნეთის კულტურის მინისტრმა, ცნობილმა ტრაგიკოსმა ქალმა მელინა მერკურიმ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მომდინარე „ელექტრონულ დაბინძურებას“ უნდა აღვუდგეთ წინ. მაგრამ იქაც იჩინა თავი გადაულახავმა სიძნელებმა — კერძოდ, ფერადი ტელევიზიის სისტემების სტანდარტიზაციის დიდმა კაპიტალდაბანდებებმა.

სხვათა შორის, ამერიკა-ევროპის წინააღმდეგობა ძალიან მკვეთრად გამოჩნდა იუნესკოს მსოფლიო კონფერენციებზეც, რომელიც მეხიკოში გაიმართა და წინ უსწრებდა ნეაპოლის თათბირს. მეხიკოში ჟაკ ლანმა ძალიან მწვეველ გაილაშქრა ამერიკული ყაიღის მასობრივი კულტურის მოძალების წინააღმდეგ. ხოლო ნეაპოლში შეეცადა თავისი პოზიციის შერბილება, ხელალებითი ანტიამერიკანიზმ არ დამწამონო, არავინ იფიქროს, თითქოს, „ლათინური ქვეყნების კულტურის ფრონდის“ შექმნა მწადილი და ყოველივე ამის გასაქარწყლებლად წარმოადგინა ევროპის კულტურული ერთიანობის იდეა, რომელიც მრავალი ევროპული ქვეყნისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. მეტეც, კულტურის ამ ინტეგრაციას ძალიან მკვეთრად დაუპირისპირდნენ ინგლისი, გფრ, დანია და ბენილიუქსის ქვეყნები. მათ შეუძლებლად სცნეს ევროპის კულტურის საზღვრების შემოფარგვლა საერთო ბაზრის ქვეყნებით.

პრესის შეფასებით, მიინც ყველა ეს პრობლემა გადაუჭრელი დარჩა, რადგან თათბირზე სჭარბობდა მაღალფარდოვანი სიტყვაპირაველობა და „რიტორიკა სიცარიელეში“.

# საქართველოში პარტიის მომზადება: პრობლემები და მოსაზრებანი

გივი ბერიძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ ქვეყნის წინაშე დაყენა ეკონომიკის განვითარების პირველხარისხოვანი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა სათანადო გავლენას მოახდენს მოსახლეობის ყოფაცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის ამოღლების მთავარი მიმართულებაა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მეცნიერებისა და ტექნიკის ეფექტური ინტეგრაცია, ახალი ტექნოლოგიის ათვისება, სახალხო მეურნეობის ამოცანათა გადაწყვეტის დროს მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთობლივი მუშაობა, მითუმეტეს, არსებული ურბანიზმის პირობებში, რომლის დროსაც გარემოს ორგანიზაციას და მისი დაცვის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გარემო მართო ბუნება როდია, ეს არის ირგვლივ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვქმნით. მოხდენილად ორგანიზებული გარემო დადებითად მოქმედებს ადამიანზე, მის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე.

გარემოს ორგანიზაციაში წამყვანი როლი ენიჭებათ არქიტექტორებს, ისინი გვევლინებიან როგორც ქალაქმშენებლები, სხვადა-

სხვა დანიშნულების შენობათა და ნაგებობათა ტიპოლოგიები, ხელოვნების ძეგლთა რესტავრატორები, ლანდშაფტური არქიტექტურის სპეციალისტები, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ინტერიერის ორგანიზატორები.

ცნობილია, რომ არქიტექტურის ძირითადი მიმართულება განისაზღვრება საზოგადოების ისტორიული განვითარების სვლით, ძირითადად მისი სოციალური გარდაქმნების ხასიათით და ტემპებით.

ქალაქებისა და სოფლების მშენებლობა, ლანდშაფტების და სხვადასხვა დანიშნულების კომპლექსების ორგანიზაცია, მათი გეგმიური განაშენიანება საჭიროებს სრულყოფილ საპროექტო გადაწყვეტას და საპროექტო საქმის ორგანიზაციის ოპტიმალური სისტემის შექმნას. ყოველივე ეს კი უშუალო კავშირშია ბუნებრივი გარემოს დაცვის საკითხების დამუშავებასთან.

საქართველოს ქალაქებისა და სოფლის დაგეგმარება-განაშენიანების პრაქტიკაში, მიღწევებთან ერთად, აღინიშნება მრავალმხრივი ქალაქმშენებლური და სააღმშენებლო დისციპლინის დარღვევაც, რაც იწვევს სერიოზულ შეცდომებს საცხოვრებელი, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საკურორტო რაიონების ორგანიზაციაში, ეს კ

ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევასაც წარმოქმნის, დიდად აზიანებს გარემოს და აუარესებს მის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს.

მრავალი მიზეზის გარდა, ამგვარი არასასურველი შედეგები გამოწვეულია სათანადოდ მომზადებულ არქიტექტორთა კადრების უქმარისობით, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების დაპროექტებისათვის საჭირო სპეციალისტების ნაკლებობით.

არქიტექტორთა კადრებს საქართველოში ორი უმაღლესი სასწავლებელი — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ამზადებს. ამ სასწავლებლებში სტუდენტების 75-მდე პროცენტი განათლებას იღებს ძირითადად სამოქალაქო შენობებისა და ნაგებობების დაპროექტების განხრით და მხოლოდ 25% სწავლობს ქალაქთმშენებლობის სპეციალობით, თუმცა, მათ სასწავლო პროგრამები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

გარდა ამისა, მიუხედავად არქიტექტურული სპეციალობის ფართო სექტორისა, ჭრბოვნად არ მზადდება სპეციალისტები ქალაქთმშენებლობის, სამრეწველო არქიტექტურის, არქიტექტურული თეორიის განხრით, რაც საკმაოდ აფერხებს მათ მომავალ მიზანდასახულ განაწილებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წამყვან საპროექტო ორგანიზაციებში: ქალაქმშენსახპროექტი, თბილქალაქპროექტში, „თბილ-ზნიიკში“, საქსახპროექტში და სოხუმიში, ბათუმში, ქუთაისის ფილიალებში ტარდება რთული კომპლექსური სამუშაოები, როგორც ქალაქმშენებლობის, რაიონული დაგეგმარების, ლანდშაფტური არქიტექტურის მხრავ, ისე საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობების მოცულობით-სივრცითი დაგეგმარების გათვალისწინებით. საპროექტო და სამეცნიერო სამუშაოების, მათი ხარისხის გაუმჯობესების და დასაბუთებელი მასალების დანერგვის მოთხოვნებიც ყოველდღიურად იზრდება. ამასთან დაკავშირებით მატულობს მაღალკვალიფიცირებული კადრების მოთხოვნილებაც და საჭიროა არქიტექტორთა სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები.

მათი სიმცირე კი შეინიშნება თითქმის ყველა ორგანიზაციაში. ხშირად პროექტებს ასრულებენ დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებიც სავარაზისად არ არიან დაუფლებულნი სპეციფიკური ხასიათის პრობლემების ცოდნას, რაც მნიშვნელოვნად აქვეითებს სამუშაოების ხარისხს.

მაღალკვალიფიციურ არქიტექტორთა სიმცირე შეინიშნება აგრეთვე რესპუბლიკის სამეცნიერო ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებში („თბილზნიიკი“, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მიუზეუმები და ა.შ.), სადაც სრულდება არქიტექტურულ-სააღმშენებლო დარგის სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოები. ეს გარემოება კი მწვავედ აყენებს კადრების მომზადების გაუმჯობესების, სპეციალისტების უკეთ განაწილებისათვის უმაღლესი სასწავლებლებისა და წარმოებების პირდაპირი კავშირის აუცილებლობის საკითხებს.

და ბოლოს, სულ უფრო მკვეთრად იგრძნობა არქიტექტორთა კადრების საჭიროება ქალაქებისა და რაიონული ცენტრების დაგეგმარების, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის დროს, რაშიც წამყვანი როლი ეკუთვნის ქალაქების მთავარ არქიტექტორებს. აქ კი, საშტატო თანამდებობებზე სათანადო სპეციალისტებით კომპლექტაციის მხრივ აღინიშნება სერიოზული სიძნელებები, ასე მაგალითად, საქართველოს საქმშენის მონაცემებით ქალაქის ტიპის რაიონულ ცენტრებში მთავარი არქიტექტორის 60 საშტატო თანამდებობიდან ნახევარზე მეტი დაკავებულია სხვადასხვა სპეციალობის ინჟინრებით. რომლებსაც არა აქვთ სპეციალური არქიტექტურული განათლება.

გარდა ამისა, მომწიფდა საკითხი საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებობდეს არქიტექტორთათვის განკუთვნილი საშტატო ერთეულები. ეს გააუმჯობესებს სოფლის დასახლებული ადგილების, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ცენტრების. სასოფლო-სამეურნეო შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებას, განაშენიანებას და კეთილმოწყობას, რაც აქტუალური ხდება სასურსათო პროგრამის გან-

ხორციელების პერიოდში (ბალტიისპირეთში, მაგალითად, ასეთი საშტატო ერთეულები უკვე კარგა ხანია არსებობს). არქიტექტორთა კადრები საჭიროა, აგრეთვე, წარმოების არატრადიციულ სფეროებშიც: სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქციის დროს, სოფლად სამრეწველო შენობების მშენებლობისას. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება სათანადო სპეციალისტების მომზადების აუცილებლობა თვით ცხოვრების პირობების მოთხოვნის შესაბამისად.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ამჟამად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სწავლების გაუმჯობესების საკითხებს და სხვადასხვა პროფილის არქიტექტორთა კადრების გამოშვებას, რათა ისინი მიიწვიონ სამუშაოდ:

— საპროექტო ორგანიზაციებში, რომლებშიც მუშავდება ქალაქმშენებლობის, რაიონული დაგეგმარების, სამოქალაქო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შენობების, ნაგებობებისა და მათი კომპლექსების პროექტები.

— სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში, სადაც ტარდება სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოები და მზადდება კადრები არქიტექტურის დარგში.

— აღიღობრივ საქალაქო საბჭოებში. მსხვილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — დასახლებული ადგილების მთავარი არქიტექტორებისა და წამყვანი სპეციალისტების საშტატო თანამშენებლებზე.

არქიტექტორთა კადრების მომზადებას გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის გეგმიური წარმართვის პირობების შესაქმნელად და არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტთა სწავლების მეთოდის საერთო მიმართულების განხორციელებისათვის საჭიროა არქიტექტურის ფაკულტეტების სტრუქტურაში, გარდა არსებული კათედრებისა, ჩამოყალიბდეს ქალაქმშენებლობის, სამრეწველო შენობებისა და ნაგებობათა დაპროექტების, არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის კათედრები.

კათედრების წამყვანი სპეციალისტები მოწოდებულნი უნდა იყვნენ, რომ სწავლების

პროცესი შეუთანხმონ საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოების პროცესს სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით, ამასთან ერთად, საჭიროა სწავლების ისეთი მეთოდიცა, რომლის დროსაც სადიპლომო დაგეგმარების შესრულება შესაძლებელი იქნება უშუალოდ წარმოებაში — საპროექტო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში. გამოცდილი სპეციალისტებისა და სტუდენტ-დიპლომანტების შემოქმედებითი ურთიერთობა უთუოდ ორმხრივ სასარგებლო აღმოჩნდება და სასურველ ეფექტს მოგვეცემს ახალგაზრდა კადრების მიზანდასახულ მომზადებაში.

არქიტექტორთა კადრების უკეთ მომზადებისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სათანადო პირობების შექმნას არქიტექტორ-პრაქტიკოსებისა და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების — პროფესორებისა და მეცნიერებათა დოქტორების მოწვევისათვის პედაგოგიური მუშაობის ჩასატარებლად, რომლებსაც საშუალება ექნებათ გადასცენ თავისი გამოცდილება ანა მართა სტუდენტებს, არამედ ასპირანტებს — პედაგოგიური შემადგენლობის მომავალ კადრებს.

როგორც აღნიშნული იყო, გარემოს ორგანიზაციის ამოცანათა გადაწყვეტისას წამყვანი როლი ეკუთვნის არქიტექტორ-პრაქტიკოსებსა და არქიტექტურულ-სააღმშენებლო მეცნიერების სფეროში მომუშავე მეცნიერ მუშაებს. აქედან უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მშენებლობის გაზრდილი ტემპებისა და დიდი მასშტაბის გამო მათი მოლგაწეობა მეტად დაძაბულად მიმდინარეობს, რაც გამოწვეულია დროის უქმარსობით თვითგანვითარებისათვის, თეორიული და პრაქტიკული ღონის ამალგებისათვის, რომლის გარეშე შეუძლებელია რთული პროფესიული ამოცანების გადაჭრა.

ეს მდგომარეობა მოითხოვს სათანადო ღონისძიებების ჩატარებას, არქიტექტორთა კადრების კვალიფიკაციის ასამალგებელი კურსების ორგანიზაციას, ამ კურსებზე მსმენელები უნდა იზავებოდნენ პერიოდულად. ისინი გვეცნობიან სააღმშენებლო წარმოების მოწინავე მეთოდებს, სამოქალაქო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების დაპროექტების, სამამულო და საზღვარგარე-

თული გამოცდილების პროგრესულ ტენდენციებს, დასახლებული ადგილების დაგეგმარებისა და განაშენიანების თანამედროვე პრინციპებს, სახლმშენებელი კომბინატების ორგანიზაციას, წამყვანი საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ნამუშევრებს, არქიტექტურულ-სააღმშენებლო მეცნიერების მიღწევებს, ახალ ნორმატიულ მონაცემებს და მეთოდოლოგიურ მასალებს და ა.შ.

ასეთი კურსების ორგანიზაციისათვის საჭიროა შეიქმნას ცალკე ფაკულტეტი, სადაც სათანადო კათედრები უზრუნველყოფენ სპეციალიზირებულ საფაკულტეტო-სალექციო სწავლებას ჯგუფებში, რომლებიც დაკომპლექტდება მსმენელებით, მათი მოღვაწეობის პროფილის (სპეციალობის) მიხედვით: არქიტექტორები — ქალაქმშენებლები, არქიტექტორები — ტოპოლოგები, მეცნიერ მუშაკები. ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მთავარი არქიტექტორები. ამ ჯგუფებს უნდა ჰქონდეთ სათანადო პროგრამები და სალექციო სწავლების დადგენილი ვადები წარმოებისგან მოწყვეტით და მოუწყვეტლავ.

სასწავლო-მეთოდური მუშაობის ჩატარება და სალექციო კურსების პროგრამების მომზადება საჭიროა დაევალოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს (პროფესორებს, მეცნიერებათა დოქტორებსა და კანდიდატებს), რომლებიც გავრთიანებული იქნებიან არქიტექტორთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის სტრუქტურაში.

სასწავლო პროცესის პრაქტიკული ხასიათის სამუშაოებთან დაახლოებისათვის მიზანშეწონილია ასეთი ფაკულტეტი ჩამოყალიბდეს თბილისის ზონალურ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტის ბაზაზე, სადაც ტარდება თეორიული და პრაქტიკული სახის სამუშაოები და მოღვაწეობენ არქიტექტურული დაგეგმარების სფეროში მომუშავე მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტები.

კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებული ამოცანების გადაჭრისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადების გაუმჯობესებას, სპეციალისტებში თანამედროვე

მეცნიერული კვლევის უნარის გამოიმუშავებას.

ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადება ხდება ასპირანტურის ხაზით და ხარისხის მაძიებლების საშუალებით, რომელთა მოღვაწეობა უნდა ისახავდეს სათანადო კვლევის ჩატარებას, საკანდიდატო ან სადოქტორო დისერტაციების გაფორმებას, მათ შემდგომ დაცვას.

ხარისხის მინიჭება, უპირველეს ყოვლისა, შეფასებას აძლევს ცალკეული მეცნიერის პირად წვლილს მეცნიერებაში, განსაზღვრავს მისი მომავალი მეცნიერული შესაძლებლობების დონეს, საჭიროა, რომ სამეცნიერო ხარისხების მინიჭება ხელს უწყობდეს ახალი მეცნიერული მიმართულებებისა და სკოლების განვითარებას. სამეცნიერო-კვლევითი კოლექტივების გაძლიერებას, რომლებიც სახალხო მეურნეობის აქტუალურ პრობლემებზე მუშაობენ.

ასპირანტებთან და ხარისხის მაძიებლებთან მუშაობის გამოცდილება იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადებაში არის სიმწელებები, უპირველეს ყოვლისა, ეს მქდავნილება სადისერტაციო და გეგმიური თემების ურთიერთდაკავშირების საქმეში, რაც ერთერთ მთავარ პირობას წარმოადგენს დასამუშავებელი თემის არჩევის დროს და ბევრად განსაზღვრავს მის აქტუალობას. ხშირად ვერ ხდება ან ჭიანჭურდება სადისერტაციო თემის ფინანსირება, რაც აფერხებს სათანადო კვლევის ჩატარებას და ამ თემატიკის დამუშავებას.

სიძნელებები თავს იჩენს იმაშიც, რომ ჯერ კიდევ ზუსტად არ არის განსაზღვრული მოთხოვნები დისერტაციების მიმართ, რომლებიც მუშავდება, ერთის მხრივ, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებსა და, მეორეს მხრივ, სამეცნიერო-კვლევით ან საპროექტო ინსტიტუტებში. თუ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაში მთავარია სასწავლო პროცესი და დისერტაციების უმრავლესობა უნდა იყოს სასწავლო-მეთოდური ხასიათისა, დარგობრივ ინსტიტუტებში ისინი უნდა ატარებდნენ გამოყენებით ხასიათს. პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოყალიბებით, ეს, რასაკვირ-

ველია, არ გამოირცხავს შესაძლებლობას უმაღლეს სასწავლებლებში დამუშავდეს დისერტაციები პრაქტიკული შედეგების მისაღებად.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა შემოქმედებით კონტაქტებს, რომელთა განცალკევება გაუმართლებლად მიგვაჩნია. ამავე დროს, ერთის მხრივ, კათედრების თანამშრომელთა პედაგოგიური მუშაობით გადატვირთვა აძნელებს პირობებს სრულყოფილი სამეცნიერო გამოკვლევების ჩასატარებლად, რაც მოქმედებს მათ კვალიფიკაციაზე, სასწავლო პროცესის დონეზე, დისერტაციებისადმი საკონსულტაციო დახმარების ხარისხზე, მეორე მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლები, პედაგოგიური პროცესისაგან მოწყვეტის გამო, ვერ ახერხებენ უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტებს, ხარისხის მაძიებლებსა და სტუდენტებს უშუალოდ გააცნონ მეცნიერების ახალი მიღწევები, რაც აგრეთვე შეუწყობდა ხელს ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების კადრების შესავსებად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დისერტაციის მომზადების, გაფორმებისა და დაცვის გართულებული პროცესები. თვით სიტყვა „დაცვაში“ ჩანს არაკეთილგანწყობა დისერტანტისადმი. უკეთესი იქნებოდა „დაცვა“ შეცვლილიყო „წარდგინებით“. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ საკვალიფიკაციო საბჭოების თათბირების 90 პროცენტი ტარდება მშვიდობიანად და ფაქტიურად „არ ხდება დაცვა“, რადგან „არ არის თავდასხმა“, ხშირად ოპონენტებისა და საბჭოს წევრების შენიშვნების დისერტანტი ეთანხმება, რითაც განაპირობებს დაცვის მშვიდობიან დამთავრებას.

ასეთი მდგომარეობა თავისთავად იქმნება, რადგან დისერტაცია ვადის ბევრ წინასწარ განხილვის არხებს, მას ოფიციალურად უშვებენ საჯარო დაცვაზე და სპეციალიზებული საბჭო ფაქტურად იხილავს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების რეცენზიებს, აფასებს ჩატარებული კვლევის შედეგებს და აუიქსირებს ხარისხის მაძიებლის სიმწიფეს.

არქიტექტორის უმაღლესი კვალიფიკაციის

სპეციალისტად ჩამოყალიბების რთულ პროცესში აღსანიშნავია სპეციალიზირებულ საბჭოებზე დაცული, მაგრამ შემდგომ დაუმტკიცებელი დისერტაციების რაოდენობის საკმაოდ დიდი პროცენტი. ვფიქრობთ, რომ ანონიმური (ხარისხის მაძიებლებისათვის) რეცენზენტი, რომელიც ინიშნება დისერტაციის ხარისხის შესამოწმებლად, ვერ შეაფასებს უფრო ობიექტურად და არსებითად ნამუშევარს, ვიდრე 2-3 ოპონენტი და სპეციალიზირებული საბჭოს წევრები 15-20 კაცის რაოდენობით, რომლებმაც ფარული კენჭისყრით დადებითად შეაფასეს სამუშაო. სწორედ ამ ანონიმურ რეცენზენტს, რომელიც ხშირად დისერტაციაში განხილულ საკითხებში არაკომპეტენტურია, შეცდომაში შეჰყავს დამამტკიცებელ ინსტანციაში მომუშავე თანამშრომლები, რითაც რთულდება მაძიებლებისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სპეციალიზირებული საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს ფარული კენჭისყრის დადებითი შედეგის საფუძველზე ხარისხის მინიჭების შესაძლებლობას, უნდა იყოს საბოლოო და შეუცვლელი.

მეტად აქტუალურია არქიტექტორთა უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადების დროული დაგეგმვა ყოველ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მიმდევალ კვალიფიკაციის სპეციალისტების მიზნობრივი მომზადების პერსპექტიული გეგმა, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომელთა ოპტიმალურ განაწილებას წამყვან სპეციალობათა თანამდებობაზე.

არქიტექტურული პრაქტიკა, არქიტექტურულ-სააღმშენებლო მეცნიერებასთან ერთად, მოწოდებულია გადაწყვიტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დაყენებული უდიდესი ამოცანა: შეიქმნას მოსახლეობის საცხოვრებლის, შრომისა და მასიური დასვენების ოპტიმალური გარემო, რომლის ორგანიზაციის დროს წამყვანი როლი უკავიათ არქიტექტორთა კადრებს. ამიტომ ასე აქტუალურია ჩატარდეს მთელი რიგი ღონისძიებებისა მათი სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების გაუმჯობესებისათვის.

## ხალხური სიმღერების სწავლებისათვის

ანზორ ერქომაიშვილი

მრავალსაშუაშენობის ხალხურ მუსიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველი ერის სულიერი კულტურის საგანძურში. მისდამი სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მუსიკოსები. იგი თანდათან ექცევა მსოფლიოს მუსიკალური აუდიტორიის ყურადღების ცენტრში.

ამ ბოლო დროს ბევრი რამ კეთდება ქართველი ხალხის ამ უმდიდრესი საუნჯის მოვლა-პატრონობისა და გავრცელებისათვის. ამ ფონზე უფრო მეტად იკვეთება ის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ქართული ხალხური კულტურის კეთილდღეობა, მისი მომავალი. პირველ რიგში, საჭიროა ზომების მიღება, რათა ხალხური სიმღერები მომავალ თაობას გადაეცეთ იმ სახით, როგორც იგი ჩაგვაბარეს ჩვენმა წინაპრებმა.

ცნობილი ფაქტია, თუ სიმღერის შენახვა გინდა, იგი ბავშვებს უნდა შეასწავლო. თუ ადამიანი ხალხურ სიმღერას პატარაობიდან შეითვისებს და შეიყვარებს, მას ეს ცოდნა და სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე გაკვება. ასე იყო წინათ. დღეს კი ეს ტრადიცია დავიწყებას მიეცა, რაც თვით ჩვენი ეპოქის თავისებურებებით აიხსნება.

წინათ ბავშვთა მუსიკალური აღზრდა ოჯახიდან იწყებოდა. მოზარდები მშობლიურ სიმღერებს უფროსებისაგან ითვისებდნენ. საკუთრივ საბავშვო სიმღერები, ქართველ ხალხს, თავისი მძიმე ისტორიული ვითარებების გამო, არ შეუქმნია, ჩვენში არ არსებობს ე. წ. საბავშვო რეპერტუარი. ახალაშობილებს უმღეროდნენ აკვნის ნაწიებს, სახადით დაავადებულ (ყვიანა ხველა, წითელა, ყვავილი და ა. შ.) ბავშვებს კი სამკურნალო სიმღერებს. მაგრამ ეს არ გახლავთ საბავშვო სიმღერები, როგორც ეს დღეს ზოგიერთს ჰგონია. ალბათ, ამიტომაც, სასკოლო რეპერტუარი ამ სიმღერებით შემოიფარგლება, რაც არ არის სწორი. საქმე ისაა, რომ წინათ ბავშვები მშობლებთან ერთად მღეროდნენ თითქმის ყველა ქანრის სიმღერას, მათ შორის ლაშქრულებს, სუფრულებს, სატრფიალო და საბრძოლო სიმღერებს. დღეს კი რატომღაც სასკოლო რეპერტუარში მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ ამ ქანრის სიმღერათა შეტანა — მათი თემატიკა აღმზრდელიობით ამოცანებს არ შეესაბამებაო. არა და, მოსწავლეები სკოლებში, სხვათა შორის, კითხულობენ „ჩაყოს ხიზნებასაც“. ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს მუსიკალურ ფონდში არ მიიღეს ბავშვების

მიერ შესრულებული ხალხური სიმღერა „წინწყარო“, — ბავშვებისათვის შეუფერებელი ტექსტიაო. მოვიყვან „წინწყაროს“ ტექსტს, ამ განცხადების აბსურდულობა ნათელი რომ გახდეს:

„წინწყარო ჩამოვიარე,  
წინ შემხვდა ქალი ლაშაზე,  
კოცა რომ ედგა მხარზედა.  
სიტყვა ვთხოვარ და იწყინა,  
განარისხდა, გადაცა განზედა“.

რა თქმა უნდა, სრულიად დაუშვებელია ქართული ხალხური მუსიკისადმი ასეთი მიდგომა. მთავარია, თუ როგორ ასწავლი ბავშვებს ამა თუ იმ ქანრის ნიმუშებს, რაზე გაამახვილებ ყურადღებას, მოზარდებს სიმღერით უნდა გამოვუმუშავოთ სილამაზისა და მშვენიერების გრძნობა, სიმღერითვე უნდა ჩაუფერვოთ მშობლიურა ქვეყნისა და ხალხის სიყვარული. ქართულ ხალხურ მუსიკას გააჩნია ამის ძალა, იგი ხომ სულიერად აკავებდა ერს, ზრდიდა შესანაწნავ თაობებს.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა მოზარდთა ესთეტიკურ აღზრდას. ამ მიზნით იმართება მრავალნაირი ღონისძიება, ტარდება ოლიმპიადები, ფესტივალები, კონკურსები, რომელთა ამოცანაა ნიჭიერთა გამოვლინება, პირობების შექმნა მათი ზრდისა და განვითარებისათვის. მაგრამ ამ ღონისძიებების ჩატარებისას რატომღაც ნაკლები ყურადღება ეთმობა ბავშვთათვის განკუთვნილ რეპერტუარს, საიდანაც თითქმის განდევნილია ქართული ხალხური სიმღერა.

მოზარდთა სასიმღერო რეპერტუარი, ძირითადად, შემოფარგლულია პროფესიული მუსიკის ნიმუშებით, ქართველ და სხვა ეროვნების კომპოზატორთა ნაწარმოებებით, მოზარდები არც თუ იშვიათად ასრულებენ სპეკო ხარისხისა და გემოვნების, იაფფასიან სიმღერებსაც. საკონცერტო ესტრადიდან გაცილებით უფრო ხშირად ისმის ზანგური, მექსიკური, ესპანური, ამერიკული, ინგლისური სიმღერები, ვიდრე ქართული ხალხური მუსიკა. საშუალო სკოლებშიც ხალხური სიმღერების შესწავლა ფორმალურ ხასიათს ატარებს. იგი თითქმის არ ისწავლება მუსიკა-

ლურ სკოლებში, სასწავლებლებსა და თვით კონსერვატორიაშიც კი. არ მოგვეპოვება ხალხური სიმღერების ისეთი კრებულები, რომლებიც დაგვეხმარებოდა სასწავლო-აღმზრდელობითი პრობლემების გადაჭრაში. თანდათან წყდება საოჯახო მუსიკირების ტრადიციები. ნაკლები ყურადღება ექცევათ ხალხური მუსიკის მკვლევებს, რაც დაუშვებელია მით უფრო, რომ ამ დარგში კვალიფიცირებული კადრების დიდ ნაკლებობას განვიციდით. გადასასინჯია საშუალო სკოლებში ხალხური სიმღერების შესწავლის დღემდე არსებული მეთოდიც. ყველასათვის ცნობილია, რომ აღამიანთა გარკვეულ ნაწილს არ გააჩნია მუსიკალური სმენა და რიტმი. ასეთი ბავშვების დატვირთვა მუსიკალური საგნებით ნამდვილ დანაშაულად მიმაჩნია. სიმღერის გაკვეთილები უნდა უტარდებოდეს მხოლოდ მუსიკალური მონაცემების მქონე მოზარდებს, თანაც საფუძვლიანად დამუშავებული პროგრამით, რომელშიც ვათავალისწინებული იქნება მოზარდთა სამომდგრეო შესაძლებლობები მათი ასაკისა და ხმის დიპაზონის მიხედვით.

ერთი სიტყვით, მრავალი პრობლემა დგას ბავშვთა მუსიკალური აღზრდის სფეროში. მოზარდებში ქართული ხალხური მუსიკის ცოდნისა და სიყვარულის ჩანერგვა ერთ-ერთი მთავარ ამოცანად უნდა იქცეს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ვანათლების სამმართველოს მხატვრული აღზრდის ბიჭუნათა ანსამბლი „მართვე“, რომელიც 1978 წელს დაარსდა ამავე სახლის დირექტორის ნათელა ჯილაურის ინიციატივით. ამ ფრიალ მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებას დიდი სიძნელეები ახლდა. თავდაპირველად ძალიან რთული აღმოჩნდა ნიჭიერი ბავშვების შეკრება. ვანათლების სამინისტროს ხელშეწყობით მოვიარეთ თბილისის საშუალო სკოლები, ვაგინჩეთ დაახლოებით 1500 ბავშვი, რომელთაგანაც შევარჩიეთ მხოლოდ ერთი. საგულსახმოა, რომ ბავშვებმა საერთოდ არ იცოდნენ ხალხური სიმღერები, ისინი მღეროდნენ უმთავრესად საზღვარგარეთული საესტრადო მუსიკის პოპულარულ ნიმუშებს. საქმეს ისიც ართულებდა, რომ უმეტესობას სასირც-

ხელოდ მიაჩნდა ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა, ამიტომაც ბევრი მათგანი თავის მუსიკალურ მონაცემებს მალავდა.

მოზარდთა შერჩევის ასეთმა მეთოდმა შედეგი რომ არ გამოიღო, გამოვაცხადეთ კონკურსი ტელევიზიის საშუალებით, დადგენილ დროს მოვიდნენ ბავშვები, ძირითადად მომღერალთა ოჯახებიდან: ცნობილი ლოტბარი-სა და ხალხური მომღერლის ვასილ მასარაძის შვილიშვილები, გვიკ ქუტიძის ვაჟი, ყარალაშვილების, იოსელიანების, ნინიძეების მუსიკალური ოჯახების წარმომადგენლები და სხვა. რამდენიმე დღეში შეგროვდა 80-მდე ბავშვი, საიდანაც შევარჩიეთ 35 ბიჭუნა. აღსანიშნავია, რომ ამ ბავშვების უმრავლესობასაც ხალხური სიმღერა არ აინტერესებდა. ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ მოვიდნენ ამ კონკურსზე, ისინი პასუხობდნენ: დედაჩემმა ძალით მომიყვანაო. მათი ასაკი განისაზღვრებოდა 9-დან 12 წლამდე. ყველაზე პატარა გახლდათ 8 წლის ერეკლე ჩალათაშვილი. თავიდან არ გვყავდა ბანები, ამიტომ ვთხოვეთ ანსამბლის წევრებს მოეყვანათ თავიანთი ამხანაგები, რომლებიც შეძლებდნენ სიმღერას. მართლაც, მალე ანსამბლი შეიქმნა მშვენიერი მონაცემების მქონე ბიჭუნებით. კრიმანჭულის შემსრულებლად მოვიყვანეთ მკია მიქაბერიძე — ცნობილი მომღერლის რამინ მიქაბერიძის შვილი, რომელიც დღესაც ერთადერთი გოგონაა მთელს ანსამბლში. მისი მოყვანა კრიმანჭულის „დეფიციტურობამ“ განაპირობა, თვით რამინ მიქაბერიძე კი მოვიწვიეთ ბიჭუნების ანსამბლის ლოტბარად, იგი ჩემთან ერთად, დიდი გულმოდგინებით შეუღდა ბავშვებთან მუშაობას.

მიუხედავად კარგი მუსიკალური მონაცემებისა, ბავშვებს არ გააჩნდათ მრავალხმიანი სიმღერების შეთვისების ელემენტარული ჩვევებიც კი. განუვითარებელი ჰქონდათ მუსიკალური სმენა. ერთხმიან მელოდიას ადვილად იმახსოვრებდნენ, ორხმიანი სიმღერების შესრულების დროს კი გადადიოდნენ ხმიდან ხმაზე (უმეტესად პირველ ხმაზე), ამიტომ საჭირო გახდა მუშაობა გარკვეული მეთოდებით, რათა მათთვის გაგვეწვითარებინა პარმონიული სმენა.



ჭერ დაეწიყე მუშაობა სუნთქვაზე. აკრესნი ბავშვებს სწორი სუნთქვის მნიშვნელობა, შევარჩიე შესაბამისი საეარჯიშო ვიდანვე შევარჩიე ბიჭუნები სუნთქვის ერთად აღებას დირიჟორის ხელის მოძრაობის მიხედვით, მერე შევასწავლე სწორი სუნთქვა, გადაბმული, ჭაჭუერი სუნთქვა, რის შემდეგაც მუშაობა დაეწიყე ბგერაზე. დასაწყისში გუნდს ვამღერებდი უნისონში, გაბმულად რომელიმე თახმოვანსა და ხმოვანზე, რომელსაც მერე ვცდიდი ისე, რომ სუნთქვა არ გაწყვეტილიყო, ბგერა არ შეცვლილიყო:

შემდეგ თანდათან შევასწავლე ზომის მიხედვით ტაქტების დათვლა, ზომების შეცვლა, მახვილების დასმა ძლიერ დოზე, ბგერის სწორად წარმოთქმა, ხმის სიძლიერის ზრდა (კრეშენდო) და დაკლება (დეკრეშენდო), ბგერის უცებ შეწყვეტა და დაწყება. ზომების შეცვლის დროს ხშირად ვაკვრევენბდი ტაშს, რაც დიდად უწყობს ხელს რიტმის განვითარებას.



კარგი შედეგი გამოიღო მოკუმული პირით სიმღერამ. საქმე ისაა, რომ ასეთ დროს მომღერალს კარგად ესმის თავისი ხმა, რომელიც ცხვირიდან გამოდის და უშუალო კონტაქტი აქვს ყურთან. ამ დროს სასმენი აპარატი მაქსიმალურად მობილიზებულია და ადვილად ითვისებს ინტონაციურად და ტექნიკურად რთულ ფრაზებს, ხელს უწყობს სწორი სუნთქვისა და სუფთა ინტონაციის გამომუშავებას, ნიუანსებრს გამოხატვასა და დინამიური ნიშნების დაუკლებას.

ასეთი ვარჯიშის შემდეგ, ზემოთ აღნიშნული ხერხების საშუალებით, შეუღდექით ხალხური სიმღერებრიდან პატარა-პატარა ფრაზების შესწავლას.



ამის შემდეგ ვასრულებდით სავარჯიშოებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებისათვის დამახასიათებელ შორისღებულებებსა და ინტონაციებზე:

გვიღლი სხვადასხვა

გვიღლი სხვადასხვა

ახალი მიწები

ახალი მიწები

ახალი მზავალი

ახალი მზავალი

მეგობარი

მეგობარი

სეზონი ფერხული

სეზონი ფერხული

გვიღლი სავარჯიშო

გვიღლი სავარჯიშო

სახესხვისი

სახესხვისი

ახალი მზავალი

ახალი მზავალი

ასეთმა მეთოდმა გაწვრთნა ბავშვების ყურთასმენა. შეაჩვია ისინი სხვადასხვა კუთხის სიმღერათა სპეციფიკურ ინტონაციურ ბრუნვებს და რაც მთავარია, გამოავლინა სოლისტები, რომლებიც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერათა შესრულებლებად გამოდგებოდნენ.

მხოლოდ ასეთი მუშაობის ჩატარების


შემდეგ მიემართეთ ორხმიან სავარჯიშოებს გუნდი, პირობითად, გაეყავით ორ და შევეუდექით ინტერვალების ისევე მოკუმული პირით. მომღერლების ხმათა დიპაზონს არ გავეწიეთ ანგარიში, რადგან ბავშვი უნდა მღეროდეს, როგორც ინტერვალის ფუძეს, ისე მწვერვალსაც, რაც უნვითარებს მას პარამონიულ სმენას და სხვა ხმის მოსმენასაც აჩვევს.

დავიწყეთ ჯერ წმინდა ინტერვალებით: დიდი ტერცია, წმინდა კვარტა, წმინდა კვინტა, დიდი სექსტა, ოქტავა. ბავშვებს ამ ინტერვალებს გაბმულად ვამღერებდით ჯაქვეური სუნთქვით, მოკუმული პირით და ვაძულვდით სხვა ხმაც მოესმინათ. სიმღერის დროს ვამეორებინებდით იმ ხმას, რომელსაც მეორე ჯგუფი მღეროდა. ამ სავარჯიშოებში მთავარი იყო ხმების შეცვლა, რათა ბავშვებს კარგად შესძლებოდათ სხვა ხმების მოსმენა. ინტერვალებს რამდენჯერმე ვამღერებდით სხვადასხვა სიმალღეზე, ტონს ვიღებდი იმპროვიზებულად — კამერტონი და ფორტეპიანო შეგნებულად არ გამოგვიყენებია, გვინდოდა ბავშვები შეგვეჩვია დირიჟორის მიერ მიცემული ტონის აღებას (გარდა ამისა, თუ რომელიმე მათგანი მუსიკოსი გამოვა, მას ეცოდინება მუშაობა ინსტრუმენტის გარეშე). წმინდა ინტერვალები რომ შეითვისეს, მეორე დავიწყეთ სხვა ინტერვალების შესწავლა (ვაღივებელი კვარტა, პატარა ტერცია, პატარა სექსტა, დიდი და პატარა სექტიმა, დიდი და პატარა სექუნდა და სხვა) ინტერვალების დასახელებას არ ვეუბნებოდით, მხოლოდ ხმოვანებას ვასწავლიდით, ისევე მოკუმული პირით, ისევე სხვადასხვა სიმალღეზე და ისევე ხმების შეცვლით (ფუძე, მწვერვალი). ასე ვიმეცადინეთ რამდენიმე თვის მანძილზე მანამ, სანამ არ მივაღწიეთ ინტერვალების შესრულების აბსოლუტურ სიზუსტეს. ბავშვებმა ინტერვალების ხმოვანება გაიზიარეს, რამაც შემდეგში დიდად შეუწყო ხელი ინტონაციურ სიწმინდეს. საქმე ისაა, რომ მათთვის უცხო აღარ იყო ის ინტერვალები, რომლებიც ხედებოდათ ამა თუ იმ სიმღერაში.




ანსამბლი „მართვე“

ინტერვალების შესწავლის დროს ვიყენებდით ადრე შესწავლილ ხერხებს: ვცვლიდით რიტმს, ზომას, ვიყენებდით სხვადასხვა შორისდებულებსა და ხმოვანებს, დინამიურ ნიუანსებს, ვცვლიდით ინტერვალის სიმაღლეს. ვმღეროდით ტაშის თანხლებით, ვცვლიდით ხმებს ჭგუფებში და სხვა. ასეთი მუშაობის შემდეგ, შევეუდექით მარტივი ორხმიანი სავარჯიშოების შესწავლას, ვმღეროდით ცალკეულ ფრაზებს ხალხური სიმღერებიდან.



მერე შევეუდექით სამხმიანი სავარჯიშოების შესწავლას. აკორდების ათვისებას, დავიწყეთ მაჟორული სამხმოვანებით. შემდეგ გადავედით მაჟორულ და მინორულ კვარტსექსტაკორდებზე, სექსტაკორდებზე, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ქართული ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელ აკორდებს. მაგ. კვარტ-კვინტ აკორდი, კვინტ-ნონაკორდი და სხვ. ბავშვები სამ ჭგუფად გავყავით (ისევე არადიაპაზონის მიხედვით). სიმღერის დროს ვცვლიდით ხმებს, აკორდი დიდხანს გვეჰქირა ვადაბმულ სუნთქვაზე, რითაც ბავშვებს ვაძლულებდით კარგად მოესმინათ აკორდის სხვა ხმებიც, ვიყენებდით ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ხერხს. ყველაფერ ამას იმპროვიზაციულად ვაკეთებ-

დით, ამიტომ ბავშვისათვის ჩვენი ყოველი მოქმედება მოულოდნელი იყო. ამით მათ გამოუმუშავდათ ზუსტი რეაქცია და ამიტომაც ისინი აკორდის ხმებს ზუსტად და სუფთად იმეორებდნენ. მომდევნო აკორდში ვცვლიდით ხმებს და ჭგუფიც, რომელიც წინა აკორდში ზედა ხმას მღეროდა, მომდევნო აკორდში უცბად აკორდის შუა ან ქვედა ხმას ასრულებდა. მალე ბავშვები ისე გაიწაფნენ აკორდების სიმღერაში, რომ ჩემს მიერ მიცემულ ტონს სწრაფად იმეორებდნენ ნებისმიერი დავალების მიხედვით: (ლია პირით, სხვადასხვა ხმოვანებზე, შორისდებულებზე, რიტმისა და ზომების შეცვლით და სხვა). ამ სავარჯიშოებმა დიდად შეუწყო ხელი პარმონიული სმენის განვითარებას, ბავშვებს უკვე კარგად ესმოდით აკორდში შემავალი სამივე ბგერა. აკორდების შესაწავლის შემდეგ გუნდი საბოლოოდ დავყავით ხმების მიხედვით I-II ხმებად და ბანებად, რის შედეგადაც შევეუდექით მარტივ სამხმიან სავარჯიშოებს, ძირითადად, ქართული კადანსებით.



ასეთ იმპროვიზირებულ სავარჯიშოებს მე თვითონ ვთხზავდი. სამხშიანობამ, აკორდულმა ხმოვანებამ ბავშვები გაახალისა, ასეთმა მუშაობამ თითქმის ექვსი თვე გასტანა. ამ ხნის მანძილზე არ შეგვისწავლია არც ერთი

სიმღერა. არა და, ბავშვებიცა და მათი მშობლებიც (რომლებიც ყოველთვის ესწრებოდნენ მეცადინეობებს) მოუთმენლად ელოდნენ სიმღერების შესწავლასა და სცენაზე გამოსვლას.

პირველი სიმღერა, რომელიც ბიჭუნების ანსამბლმა შეისწავლა — „წინწყარო“ იყო. დაწყებისში ამის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. ჯერ შევასწავლე ამ სიმღერისათვის დამახასიათებელი ყველა აკორდი (ისევ მოკუმული პირით):



როცა დავრწმუნდი, რომ ბავშვები კარგად ფლობენ სიმღერის აკორდიკას, გადავედი „წინწყაროს“ მუსიკალურ ტექსტზე, რომლის ათვისება მათთვის უკვე არ წარმოადგენდა არავითარ სირთულეს.

სხვა სიმღერებსაც ასეთივე წესით ვასწავლიდი. ბავშვები ისე შეეჩვივნენ ასეთ მუშაობას, რომ ზოგიერთ სიმღერას („გაფრინდი შავო მერცხალო“ ან „გურული ნანა“ და სხვა) სწავლობდნენ ერთ რეპეტიციასზე (იგულისხმება სამივე ხმა). მეცადინეობა რომ არ ყოფილიყო მოსაბუზრებელი, წელი ლირიკული სიმღერის შემდეგ ვამღერებდი ომანიან შრომის, ან სახუმარო სიმღერებს, რაც ბავშვებს ძალიან ახალისებდათ. გამოვიყენე ხალხური ინსტრუმენტებიც — ჩონგური და ფანდური, ოლონდ ნატურალური სახით (მაგ. ჩონგური დანაყოფების გარეშე), რამაც საგრძნობლად გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ჩვენი რეპერტუარი.

ორიოდე თვეში ათზე მეტი სიმღერა შევისწავლეთ და 1979 წლის 9 მაისს ტელევიზიით პირველად წარვსდგე მთელი მუსიკალური პროგრამის სახელით. გადაცემაში მონაწილეობა მიიღო პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ, რომელმაც მხარი დაუჭირა ჩვენს წამოწყებას და ილაპარაკა ამ საქმის მნიშვნელობაზე.

ტელემუსიკალური პროგრამის გაცემისთანავე დაიწყო მისი პოპულარიზაცია. მალე ტელევიზიის მუსიკალური გადაცემების რედაქციამ მიიღო უამრავი წერილი, სადაც მალა შეფასებას აძლევდნენ ბავშვთათვის ხალხური სიმღერის

შესწავლის საქმეს. ამასთან ერთად ანსამბლისათვის გვთავაზობდნენ 60-მდე სახელწოდებას: „ჯეჯილი“, „წყარო“, „ია“, „გაფრინდილი“, „ნაკაღული“ და სხვა. უმრავლესობა თხოულობდა, რომ ანსამბლისთვის დავერქვა „მართვე“, — ეს ბავშვები ძველი მომღერალი არწევების ბარტყები — მართვეები არიანო. ასე დაიბადა ანსამბლ „მართვეს“ სახელი.

ცოტა ხანში მაყურებელთა თხოვნით ტელევიზიით კიდევ ვამართეთ რამდენიმე კონცერტი და საუბარი მრგვალ მაგიდასთან. რბილად მონაწილეობდნენ განათლების სამმართველოს უფროსი ლ. ჩიქვანიძე. ცნობილი ღირსი, ჩემი პედაგოგი, პროფესორი ვ. ფალიაშვილი და რამდენიმე ტელემუსიკალური პროგრამის მწიგნობარი. ჩვენ მოვითხოვდით, რომ ყველა რაიონში შექმნილიყო ხალხური მუსიკის შემსწავლელი სკოლები, სადაც ბავშვები თავიანთი კუთხის სიმღერებს შეისწავლიდნენ.

ჩვენს წინადადებას გამოეხმაურა მხარაძის რაიონის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი. მალე მხარაძის რაიონულმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა ხალხური სიმღერის აღმდგენი ცენტრი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მხკოვანი მომღერალი და ლობჯინაძე ვლადიმერ ექვთიშვილი.

დღეს მხარაძის თითქმის ყველა საშუალო სკოლასთან შექმნილია ხალხური სიმღერების შემსწავლელი ჯგუფები, სადაც ნიჭიერი ბავშვები ეუფლებიან ძველ გურულ ხალხურ სიმღერებს გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით.

1980 წელს „მართვე“ მოისმინა თბილისში სტუმრად მყოფმა სახელოვანმა კომპოზიტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა დიმიტრი კაბალევსკიმ. მან გადაწყვიტა ანსამბლი წაეყვანა ვარშავის საერთაშორისო კონგრესზე, სადაც 30-ზე მეტი საბავშვო გუნდი და ანსამბლი უნდა გამოსულიყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ვარშავაში „მართვემ“ დიდი მოწონება დაიმსახურა, კიდევ ერთი გამარჯვება იხეიმა ქართულმა ხალხურმა სიმღერამ.

ვახუშტი „კომუნისტში“ (21/VIII 1980 წ.) დაიბეჭდა დ. კაბალევსკის წერილი, სათაურით „მადლობთ საქართველო“, სადაც იგი წერდა:

„სულთა და გულთ მოგილოცავთ დიდ

წარმატებას, რომელიც წილად ხვდა საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის სახლის გუნდის გამოსვლას ვარშავაში „იუნესკოსთან“ არსებული მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო საზოგადოების XIV კონფერენციაზე. გუნდის მხატვრული ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი. მან მოამზადა სიანტერგო, მრავალფეროვანი პროგრამა, რომელშიც შევიდა ქართული ხალხური სიმღერები, აგრეთვე პოლონური და იაპონური სიმღერები, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები, გაუხვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან კონფერენციაზე ჩამოსულ საბავშვო კოლექტივებს შორის „მართევ“ ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო იყო. კონფერენციის მონაწილენი — 30 ქვეყნის გამორჩეული მუსიკოსები და პედაგოგები აღფრთოვანებულნი იყვნენ ქართული ხალხური მუსიკის არაჩვეულებრივი სიახლითა და თავისთავადობით, გუნდის მონაწილეთა ოსტატობით, იმ შესაშური სიმსუბუქით და ბუნებრივობით, რითაც ისინი რთულ მრავალხმიან მუსიკას ასრულებდნენ...

თავისი არსებობის სამი წლის მანძილზე „მართევმ“ 200-მდე კონცერტი გამართა საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქალაქებში. იგი ყველგან დიდი წარმატებით გამოდიოდა. ამის მიზეზია ის დიდი სიყვარული და მონდომება, რომელსაც ბავშვები აქსოვენ ქართული ხალხური სიმღერების შესწავლასა და შესრულებაში.

დღეს უკვე ბავშვების მოზიდვაზე აღარ გვეჭირდება წვალება. განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის სახლთან შექმნილი მოსამზადებელი ჯგუფები, რომელსაც გამოცდილი პედაგოგები ხელმძღვანელობენ. ამ ჯგუფებიდან ხდება „მართევისათვის“ მომღერლების შერჩევა.

„მართევ“ წევრებმა უკვე 60-მდე ხალხური სიმღერა იციან. საკონცერტო რეპერტუარის გარდა ბიჭუნებს სუფრულ სიმღერებსაც ვასწავლით. ამის წყალობით ოჯახურ დღესასწაულებზე ეღერს ბავშვების მიერ ნამღერი „მრავალკამიერი“. თუ წინათ ბავშვები უფროსებისაგან სწავლობდნენ ხალხურ სიმღერებს, დღეს ისინი ასწავლიან მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს.

და აი, დადგა თაობათა ცვლის მომენტიც. „მართევს“ პირველი გამოშვებიდან 9 კმაწვილმა დაამთავრა საშუალო სკოლა და მშობლებს შეიძლება მშობლიურ ანსამბლს, ისინი სწავლასხვა ინსტიტუტში აგრძელებენ სწავლას. მათ გაჰყვით 60-მდე ქართული ხალხური სიმღერის ცოდნა. ბევრმა მათგანმა იცის სიმღერათა სამივე ხმა. საქმე ისაა, რომ ხმის გარდატეხის პერიოდში — მუტაციის დროს — ჩვენ გვიხდება (წელიწადში ორჯერ) ხმათა გადაწვლილება. ვედილობთ ამ დროს ბავშვი ზედმეტად არ დაეცვიროთოთ, ამიტომ ვაძლერებთ მათ გარკვეულ რეგისტრში.

სოლოებს პატარებსაც ვასწავლით, რადგან უფროსებს უნდა ჰყავდეთ სათანადო ცვლა. მიაღწევენ თუ არა სოლისტები 13-14 წლის ასაკს, მათი წყაროა დისკანტები კარგავენ ძალსა და ელვარებას, ხშირად ბანებშიც კი გვიხდება მათი გადაყვანა. აი, სწორედ ამიტომ ანსამბლის წევრებმა სკოლის დამთავრებისას რეპერტუარში შესული სიმღერების ყველა ხმა იციან.

წავიდა „მართევს“ პირველი გამოშვება, ისინი არასოდეს დაივიწყებენ ხალხულ სიმღერებს, დანერგავენ მათ თავიანთ ოჯახებსა და იმ დაწესებულებებში, სადაც ისინი იმუშავებენ. მათგან კარგი ლოტბარები დადგებოდა, მაგრამ საამისოდ მათ არა აქვთ სათანადო მუსიკალური განათლება. სამაგიეროდ, აქვთ ხალხური სიმღერების მდიდარი რეპერტუარი. ასეთები კი ძალზე ცოტანი არიან თვით პროფესიონალ მუსიკოსთა შორის. იმისათვის, რომ არ დაიკარგოს „მართევს“ ბიჭუნების ცოდნა, სასურველია, მუსიკალურ სკოლებში შეიქმნას საგუნდო განყოფილება. სადაც ისინი მუსიკალურ დისციპლინებს შეისწავლიან. ასეთი განყოფილების გახსნას ვფიქრობდი თბილისის 28-ე მუსიკალურ სკოლაში, რომელსაც აქვს კარგი ბაზა. გარდა ამისა, ამ სკოლას ხელმძღვანელობს ანსამბლ „გორდელას“ ყოფილი წევრი, ხალხური სიმღერების შესანიშნავი მცოდნე და ამ საქმის დიდი ენთუზიასტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტიტი თამაზ ანდლულაძე.

ყოველივე ამის შესახებ წერილობით მიემართეთ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ო. თაქთაქიშვილს, რომელმაც დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა და თბილისის 28-ე

მუსიკალურ სკოლასთან ჩამოყალიბდა საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება, სადაც ბავშვები ეუფლებიან მუსიკალურ დისციპლინებს, ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საკრავებს. 5 წლის მანძილზე მოზარდები შეისწავლიან 80-მდე ხალხურ სიმღერას. ხოლო, თუ შემდეგ სწავლას ვაგრძელებენ მუსიკალურ სასწავლებლებში, რამდენიმე წელიწადში ჩვენ გვეყოლება ხალხური მუსიკის სპეციალისტები, რომლებიც საშუალო სკოლებში იმუშავენ.

ხალხური სიმღერის დანერგვისათვის საჭიროა გამოიყენო კრებულები, რომელთა ნაკლებობას მწვავედ განვიცდით. ხალხური საკრავიერი მუსიკის კრებულის შედგენა ითავა ცნობილმა მუსიკოსმა ქეთევან მეგრელიძემ, სიმღერების კრებულისა კი წინამდებარე წერილის ავტორმა. გადაწყვიტე კრებულის შედგენა „მართევს“ რეპერტუარის საფუძველზე. ამ კრებულში შეტანილი იქნება საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და ჟანრის 60 ქართული ხალხური სიმღერა, რომელიც „მართევმ“ ჩაწერა გრამფირფიტების საკავშირო ფირმა „მელოდიაში“. ეს ჩანაწერები შესულია საქართველოს რადიოს ფონდში.

რესპუბლიკის რაიონებში უნდა მომრავლდნენ ხალხური სიმღერების შემსწავლელი სკოლები. ამას მოითხოვს საქმის ვითარება. ასე მაგალითად, ძალიან გართულებულია თაობათა ცვლის პროცესი საქართველოს ხალხური სიმღერების სახელმწიფო ანსამბლში, რადგან თანდათან კლებულობს ხალხური მომღერლების რიცხვი. ამ მდგომარეობას ვერ გამოვასწორებთ, თუ არ ვიზრუნებთ მომღერალთა მომავალი თაობის აღზრდაზე. სისტემატურად უნდა იმართებოდეს ხალხური სიმღერის მკოდნე ბავშვების კონკურსები, ფესტივალები, ოლიმპიადები. უნდა დაწესდეს გამარჯვებულთა პრიზები, რაც წახალისებს მოზარდებს და მათ ხალხური მუსიკის შესწავლის სურვილს გაუღვიძებს.

ამ გზით გამოჩნდებიან ახალი ტალანტები, რომლებიც თავიანთი სახელოვანი წინაპრების კვალდაკვალ ქართული ხალხური მუსიკის საუნჯეს თვალის ჩინივით გაუფრთხილდებიან და მას შორს გაუთქვამენ სახელს.



„ჩვენნი

მეზობრობა

მარადიული

უნდა

იყოს“

ძმართულ მუსიკალურ საზოგადოებას ძვირფას მოვლენებად დარჩა ის დიდი წარმატება და ფართო რეზონანსი, რომელიც ხელსაქვეყნოდ ცნობილი დირიჟორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის სტეფანე ტურჩაკის ხელმძღვანელობით განხორციელებულ „საქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ დადგმას ტ. შევჩენკოს სახელობის კიევის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემი-

ური თეატრის სცენაზე. ეს სპექტაკლი დიდი ქართველი კლასიკოსის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. მან წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა როგორც მუსიკალური ინტერპრეტაციითა და მაღალი საშემსრულებლო დონით, ისე სცენური გადაწყვეტითაც.

გთავაზობთ ინტერვიუს ს. ტურჩაიას.

— ათი წლის შემდეგ თქვენმა თეატრმა ისევ მიმართა ქართულ მუსიკას და უკრაინულ მსმენელებს წარუდგინა კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის ახალი ოპერა „პირველი სიყვარული“. რითი იყო ეს არჩევანი განპირობებული?

ს. ტურჩაი: გვიწოდდა ღირსეულად შეხვედრადი საბჭოთა კავშირის შექმნის მესამე წლისთავს და ამ თარიღის აღსანიშნავად კიდევ ერთხელ გამოგვეხატა ჩვენი თეატრის ინტერნაციონალური პათოსი და ის დიდი სიყვარული, უკრაინელ ხალხს რომ აკავშირებს საქართველოსთან.

მოხარული ვართ, რომ საბჭოთა ქვეყნის იუბილეს მივუძღვენით შესანიშნავი სპექტაკლი, რომლის ავტორს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილს დიდ პატივს სცემენ ჩვენს რესპუბლიკაში. კიევის საოპერო თეატრის მთელი კოლექტივი, მისი ხელმძღვანელობა მაღლობას უხდის კომპოზიტორს მშვენიერი ნაწარმოებისათვის, რომელმაც სიამოვნება მიანიჭა მსმენელებსაც და შემსრულებლებსაც. სპექტაკლის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით დამდგმელებს — რეჟისორ გურამ მელიქის, მხატვარ ზურაბ ნიჭარაძეს, დირიჟორ ავთანდილ მამაცაშვილს, რომელთა მუშაობით აღფრთოვანებულია

მთელი ჩვენი დასი.. სადადგმო ჯგუფიც შეგნებულად მოიწვიეთ საქართველოდან, რათა, ერთის მხრივ, უფრო ნათლად წარმოჩენილიყო ო. თაქთაქიშვილის ოპერის ღირსებები, მისი ეროვნული სტილი და, მეორეს მხრივ, განმტკიცებულიყო შემოქმედებითი კავშირი უკრაინულ და ქართველ ხელოვანთა შორის.

ჩემის აზრით, გურამ მელიქა უნიკალური რეჟისორია. ამას იმიტომაც ვამბობ, რომ იგი საფუძვლიანდ იცნობს მუსიკას და საოპერო სპექტაკლზე მუშაობის დროს კომპოზიტორის ჩანაფიქრით. მუსიკალური შინაარსით, მუსიკალური იდეით ხელმძღვანელობს. დღეს ასეთ რეჟისორებს სანთლით დაეძებენ მთელს საბჭოთა კავშირში. რეჟისორის პრობლემა მწვავედ დგას ყველგან, თვით ისეთ სახელოვან საოპერო კერებშიც, როგორცია საბჭოთა კავშირის დიდი თეატრი და კიროვის სახელობის ლენინგრადის საოპერო თეატრი, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე საფუძველს უყრიდა საოპერო რეჟისურის ტრადიციებს.

როცა თეატრს ჰყავს ისეთი რეჟისორი, როგორცია გურამ მელიქა, მაშინ დირიჟორს შეუძლია მშვიდად აკეთოს თავისი საქმე და სპექტაკლის სცენურ გადაწყვეტაში არ ჩაეროს, რა თქმა უნდა, დირიჟორი უნდა იცნობდეს რეჟისორულ პარტიტურას, მაგრამ რეჟისორულ ფუნქციებს არ უნდა თრგუნავდეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ ბოლო დროს თავი იჩინა დირიჟორების მიერ სპექტაკლების დადგმის ტენდენციამ, რაც ჩემთვის სრულიად მიუღებელია. მე ამ ტენდენციის წინააღმდეგი ვარ. როცა რეჟისორი მუსიკის ცოდნას ეყრდნობა, სპექტაკლის შექმნის პროცესი ბუნებრივად, უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. გურამ მელიქამ ეს ცოდნა გამოავლინა რეპეტიცი-

ქრისტეფორე —  
რ. მაიბროლია





ხუტა — მ. შოაშა

ების დროს. უნდა გენახათ, როგორი გატაცებითა და გულმოდგინებით მუშაობდა დასთან, როგორ მღეროდა და ცეკვავდა მომღერლებთან ერთად. მან ძალდაუტანებლად შეიყვანა უკრაინელი მსახიობები ქართულ სინამდვილეში, ო. თაქთაქიშვილის ოპერის მჩქეფარე სამყაროში.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოგვეწონს სპექტაკლის გაფორმება. გვიხარია, რომ გავიციანთ და შემოქმედებითად დავეუკავშირდით შესანიშნავ ხელოვანს ზურაბ ნიჟარაძეს, რომლის მხატვრობამ მოგვხიზლა ხატოვანებით, სინატიფით, მაღალი გემოვნებით. ძალიან კმაყოფილი ვართ იმ ცვლილებებით, რომლებიც ზ. ნიჟარაძემ შეიტანა ჩვენი თეატრის დადგმაში. მან მოიგონა ახალი ფინალი. რომელმაც, ჩემის აზრით, უფრო გააძლიერა და გაამშვენიერა სპექტაკლის სახვითი მხარე.

და ბოლოს, განსაკუთრებით მინდა შევჩერდე დირიჟორ ავთანდილ მამაცაშვილზე. ძალიან მიკვირს, რომ აქამდე არ ვიცნობდი ამ ნიჭიერ ხელოვანს. მას შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა თვით ყველაზე მაღალი დონის საოპერო თეატრისათვისაც. ავთანდილ მამაცაშვილმა ეს სპექტაკლი საოცრად მოკლე დროში — ორ კვირაში მოამზადა. მას მუ-

შაობა მძიმე პირობებში მოუხდა. საქმე ისაა, რომ ო. თაქთაქიშვილის ოპერას ამზადებდა ჩვენი თეატრის დირიჟორი, რომელმაც, გულახდილად რომ ვთქვათ, ვერ აულო ალლო ეროვნული სპეციფიკიდან წარმომდგარ საშემსრულებლო თავისებურებებს, მუსიკის სტილსა და ხასიათს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ შევუბრუნებოდით ასეთ ხარვეზებს. გამოსავლის ძებნამ მიგვეყვანა ავთანდილ მამაცაშვილთან, რომელმაც იხსნა სპექტაკლი და გაგვაოცა თავისი ოპერატულობით, მაღალი ტექნიკითა და პროფესიონალიზმით, მუშაობის სერიოზული, დაძაბული და ინტელიგენტური სტილით. ავთანდილ მამაცაშვილს, როგორც იტყვიან, მოუხდა მომღერლების მიერ შესწავლილი მუსიკალური ტექსტის „გადასწავლება“, რასაც იგი აკეთებდა ისეთი ოსტატობით, სიმსუბუქით, ტაქტითა და არტისტიზმით, რომ მოხიბლა, გააოცა მთელი კოლექტივი. არადა, რა ძნელია თავი შეაყვარო ორკესტრს, სადაც თავმოყრილია ამდენი გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის მუსიკოსი. ა. მამაცაშვილმა ეს შეძლო, ერთბაშად მოიპოვა კოლექტივის ნდობა და ავტორიტეტი. მან ო. თაქთაქიშვილის ოპერა ჩინებულად ააყვარა. გადავწყვიტეთ, რომ ამ სპექტაკლს უდირიჟორებს ხოლმე

სცენა სპექტაკლიდან „პირველი სიყვარული“





დირიჟორი ავთანდილ მამაცაშვილი

მხოლოდ ავთანდილ მამაცაშვილი. იგი სპექტაკლამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოდის კიევი და ატარებს რეპეტიციებს, ამზადებს ახალ შემსრულებლებს, რომლებიც შეჰყავს წარმოდგენაში. იგი მისაბაძი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს. | 5

ერთი სიტყვით, ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ ამ დადგმით — თ. თაქთაქიშვილის ოპერითა და დამდგმელთა სამეულთ. მათთან აუცილებლად გვაგაგრძელებთ შემოქმედებით კავშირს. ძალიან მინდა, რომ ა. მამაცაშვილმა, გმელივამ, ზ. ნიჟარაძემ ჩვენს თეატრში დადგან რომელიმე კლასიკური ნაწარმოები, თუნდაც პუჩინის „ბოჰემა“ ან სხვა რაიმე.

„პირველ სიყვარულზე“ მუშაობა ჭერაც არ დაგვიმთავრებია. სპექტაკლი იმყოფება სრულყოფილ პროცესში. მალე ამ წარმოდგენაში გამოვლენ შესანიშნავ მომღერლები — ლირიკული სოპრანო სტეფიუკი და ბარიტონი პონომარენკო. დიდი სურვილი გვაქვს ეს ოპერა ფირფიტაზეც ჩაწვიროთ, რა თქმა უნდა, ავთანდილ მამაცაშვილის დირიჟორობით, მოუთმენლად ველოდებით ოთარ თაქთაქიშვილს, რომელსაც

არ უნახავს ეს დადგმა. ვგონია რომ მან სიამოვნება მიიღოს თავისი ნაწარმოებისაგან რეჟისორის სპექტაკლისაგან.

— როგორ მიიღო ახალი ქართული ოპერა შემოქმედებითა კოლექტივმა, მსმენელთა ფართო საზოგადოებამ?

ს. ტურჩაკი: დასაწყისში დასმე შექმნილი იყო სხვადასხვა აზრი. ზოგიერთი შემსრულებელი შოკირებული იყო ლიბრეტოს ტექსტით, ცალკეული სიტყვებით. მაგრამ მუშაობის პროცესში საოპერო დასი შეეგუა სიტყვიერ ტექსტს. ძალიან დიდი წარმატებით ჩატარდა სპექტაკლის გენერალური რეპეტიცია, რომელსაც ესწრებოდნენ უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, კიევის კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები, თეატრის სამხატვრო საბჭო. სპექტაკლმა მაღალი შეფასება მიიღო, რაც პრემიერაზე მსმენელთა რეაქციამაც დაადასტურა.

— თქვენ, ვგონებ, კიევის საოპერო თეატრის სცენაზე გასურდათ „აბესალომ და ეთერის“ აღდგენა...

ს. ტურჩაკი: დიახ. განზრახვლი გვექონდა „აბესალომ და ეთერის“ აღდგენა უახლოეს დროში, მაგრამ გეგმები შეგვეცვალა, რადგან ჩვენს თეატრში მალე რემონტი იწყება. დროებით გადავალთ „პალაცო უკრაინის“ შენობაში, რომლის სცენა არ არის გათვალისწინებული საოპერო და სახალატო სპექტაკლებისათვის. ამიტომაც მოგვიხდება ჩვენი დადგმების გადაკეთება, მათი მისადაგება „პალაცო უკრაინის“ შენობისათვის. ამას მოითხოვს რეპერტუარის შენარჩუნების ამოცანა. რეპერტუარი კი ძალიან დიდი გვაქვს — 40 სპექტაკლი, რომელთაგანაც ვერცერთს ვერ შეველევი.

მარგალიტა—ე. ზახარკო





ტალელი—გ. გუროვი

ამის გამო არ გვრჩება დრო „აბესალომ და ეთერის“ საფუძვლიანი მომზადებისათვის, საკადრის აღდგურებისათვის.

„აბესალომ და ეთერზე“ მუშაობას შევეუდგებით ნახევარი წლის შემდეგ. შევიყვანთ ახალ შემსრულებლებს, ვეცდებით ახლებურად წავიკითხოთ ქართული მუსიკის ეს დიადი ქმნილება, რომლის წარმატებისათვის არ დავიშურებთ ენერჯიასა და შემოქმედებით ძალეებს.

უკრაინელი ხალხისათვის, კიევის საოპერო თეატრის მთელი კოლექტივისათვის, პირადად ჩემთვის დაუფიქრებია შეხვედრა ზაქარია ფალიაშვილის ოპერასთან, რომელიც წარმოადგენს ქართველი ხალხის მუსიკალურ რელიგიას. თავს ბედნიერად ვვძლი, რომ ვეზიარე ამ რელიგიას. ვერ ვიფიქრებ ამ ოპერის საგუნდო სცენებს — მეორე და მესამე მოქმედებების ძლერადობას, ხმათა მოძრაობებს. მშვენიერი გმირების — აბესალომის, ეთერის, მურმანის, მარიხის სახეებს. ამ ოპერის მუსიკა ჩემს სულსა და გონებაში ცოცხლობს. მეამაყება, რომ ვარ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, რითაც თავი მომაქვს ყველგან — როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ გასტროლების დროს.

დიდი სურვილი მაქვს „აბესალომ და ეთერი“ ფირფიტაზე ჩავეწერო და ამით გამოვხატო ჩემი თაყვანისცემა ქართული კულტურის მიმართ.

— ეს იქნებოდა ძვირფასი ხაჩუქარი. ამ ფირფიტას ქართველ შემსრულებლებთან ერთად ჩაწერთ?

რ. ტურჩაქი: ძალიან საინტერესოა შეხვედრა და მუშაობა ქართველ მომღერლებთან. მაგრამ მე მუშაობა, მით უფრო ფირფიტის ჩაწერა, მიყვარს ჩემს კოლექტივთან, ჩემს მომღერლებთან ერთ-

თად, თუნდაც იმიტომ, რომ მათთან მაკავშირებს ყოველდღიური შემოქმედებითი ცხოვრება. გად ვიცნობ თვითეული მაი გინის მონაცემებსა და შესაძლებლობებს.

„აბესალომ და ეთერის“ ფირფიტისათვის შევარჩევდი საუკეთესო მომღერლებს, ჩვენი იკიატრის ორკესტრისა და გუნდისათვის შესაფერის ძალებს. აბესალომის როლში გამოვიყვანდი ფედოტოვს, მურმანის პარტიანი კ. ჰონომაჩენკოს, ეთერს ისევ გიზელა ციპოლას ვამღერებდი, დიდებული ფირფიტა გამივიდოდა.

კარგად ვიცნობ „აბესალომ და ეთერის“ ქართულ ჩანაწერს, მასზე მალალი აზრისა ვარ. ძალიან მომწონს დირიჟორ დიდიმ მირცხულავას ინტერპრეტაცია, ჩინებულად მღერიან მომღერლები, მშვენიერად ძლერს გუნდი, ორკესტრი...

კიევის საოპერო თეატრის კოლექტივი, პირადად მე, ყოველთვის ვეცდებით განვაძტკიცოთ და გავაღმავოთ შემოქმედებითი კავშირი საქართველოსთან. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან. აი, სწორედ ამიტომ ძალიან დიდი სურვილი გვაქვს გასტროლები გავმართოთ თბილისში და წარვსდგეთ ფართო რეპერტუარით ქართველი მსმენელის წინაშე.

ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობა მათადიული უნდა იყოს, კონკრეტულ გამოხატულებას პოულობდეს, ამას გვაღვალდებულებს ისტორია, ტრადიციები, ჩვენი სინამდვილე! ასეთია ჩვენი სურვილი და რწმენა!

— სიხარულით ვუერთდებით თქვენს სურვილს და გვჭერა, რომ კიდევ მრავალი შესანიშნავი ფურცელი ჩაიწერება ჩვენი ხალხების შემოქმედებითი მეგობრობის მატანეში.

ტრიფონი—გ. კრასულია





ნოშრევენი — გ. ვასილკო

სიამოვნებით მოგახსენებთ, რომ ჩვენამდეც მოაღწია თქვენი თეატრის საზღვარგარეთული წარმატებების ექომ, იმ ფართო რეზონანსმა, რომელიც ხვდა ესპანეთში და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მუსორგსკის „ხოვანშჩინას“, შოსტაკოვიჩის „სპეტრინა იზმაილოვას“ და სხვა სპექტაკლებს.

იმედია, რომ თუკი თქვენი გასტროლები გაიმართება, თბილისშიც ჩამოიტანთ ამ სპექტაკლებს, მით უფრო, რომ შოსტაკოვიჩის ეს ოპერა არ დადგმულა ჩვენს დედაქალაქში...

ს. ტურჩაკი: თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „კატრინა იზმაილოვა“ ჩვენი თეატრის საუკეთესო სპექტაკლია, რომელშიც მაღალ დონეზეა ორკესტრიც, გუნდიც, სოლისტების შემადგენლობაც, სცენური გადაწყვეტაც. იშვიათია კომპონენტთა ასეთი თანხვედრა.

დიმიტრი შოსტაკოვიჩი ჩემი საყვარელი კომპოზიტორია. შესრულებული მაქვს მისი სიმფონიების დიდი ნაწილი. ამ ორი წლის წინ უკრაინის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის შესრულებით დიდი წარმატება ხვდა შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონიას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საზღვარგარეთის პრესა ამ ფაქტს ფართოდ გამოეხმაურა. მემამყება, რომ ამ სიმფონიას მე ვდირიჟორობდი.

რაც შეეხება „კატრინა იზმაილოვა“, იგი ჩვენს თეატრში გამოჩენილი დირიჟორის სემიონოვის ხელმძღვანელობით დაიდგა (რეჟისორი მოლოსტოვა). რაში მდგომარეობს პირადად ჩემი როლი? ამ სპექტაკლში ცოტა რამ შეეცვალა და შევიყვანე რამდენიმე ახალი შემსრულებელი. ეს არის და ეს, მთლიანობაში კი შევიწინარაჩუნე სემიონოვის ინტერპრეტაცია, რამაც მოგვცა კოლოსალური შედეგი.

— საზღვარგარეთ გასტროლების დროს სხვა თეატრებიდან ხომ არ იწვევთ ცნობილ მომღერლებს? როგორც ამას მსოფლიოში საინტერესო თეატრები აკეთებენ?

ს. ტურჩაკი: საზღვარგარეთულ გასტროლებს ვატარებთ ჩვენი ძალებით, თუმცა, ვისბადენის ფესტივალში (გერმანია, ფედერაციული რესპუბლიკა) მონაწილეობის დროს მოგვისდა მეცოსოპრანოს მოწვევა კიროვის სახელობის ლენინგრადის საოპერო თეატრიდან. ეს ვახლდათ მომღერალი გოროხოვსკაია, რომელიც მოვიწვიეთ იმიტომ, რომ ავად გახდა ჩვენი შესანიშნავი მომღერალი გურჩენკო. სამწუხაროდ, იგი ახლაც ავადმყოფობს. მისი შეცვლა ძალიან ვაგვიჭირდა. ვერსად ვერ გვიპოვნია მისი დონისა და გაქანების მეცოსოპრანო. ეს ჩვენთვის დიდი სატკივარია.

ისე კი ნამდვილად კარგი მომღერლები გვყავს, თუმცა იმისათვის, რომ მაღალ შედეგს მიაღწიო, დასში უნდა გყავდეს საერთაშორისო კლასის დრამატული ტენორი, დრამატული ბარიტონი, ცენტრალური ბანი, დრამატული სოპრანო... საზღვარგარეთის სცენებზე უნდა გამოვდიოდეთ მხოლოდ ასეთი მასშტაბის შემსრულებლებით. უცხოელებს ისეთი სოლისტები უნდა აჩვენო, რომ თქვან, ამაზე უკეთესი მომღერლები არ არსებობენო. ჩვენ კი ვარსკვლავების ნაკლებობას ვანვიკვლი. სამაგიეროდ, გვყავს მალახარისხოვანი გუნდი და ორკესტრი. ამას ვამბობ მთელი პასუხისმგებლობით. დღეს იშვიათად შეხვდებით ისეთ ჰორმისტერს, როგორიც ჩვენი ვენედიქტოვა...

— თავისი პრობლემები აქვს ყოველ საოპერო კოლექტივს, მათ შორის თბილისის თეატრსაც, რომელიც დგას დიდი, სერიოზული ამოცანების წინაშე...

ფოსტალიონი — ლ. სემენიკო





კრისტეფორე — რ. ნაიბორდა, ერთაზი — ს. ღებროვინი

**ს. ტურჩაკი:** თქვენს თეატრს სათავეში ჩაუდგა ისეთი ცნობილი, ნიჭიერი და გამოცდილი დირიჟორი, როგორცაა ჯანსუღ კახიძე. მას დიდი ხანია ვიცნობ — ჯერ კიდევ 1963 წლიდან. მაშინ იგი თბილისის საოპერო თეატრში მოღვაწეობდა.

ჯანსუღ კახიძე მომთხოვნი დირიჟორია, უყვარს წესრიგი, შესწევს შემოქმედებითი დისციპლინის დამყარების ძალა, კარგად იცნობს სამომღერლო ხმის თვისებებს, იცის ორკესტრთან, გუნდთან, მომღერლებთან მუშაობა. ერთი სიტყვით, იგი ნამდვილი საოპერო დირიჟორია. მაგრამ, მოგეხსენებათ, საოპერო თეატრი ძალიან რთული, ჰირვეული ორგანიზმია. იმისთვის, რომ მუშაობა ააწყო, მალალ შედეგს მიაღწიო, უნდა მოიპოვო არა მარტო ავტორიტეტი, არამედ სიყვარული მთელი კოლექტივისა. ამას მალაპარაკებს საკუთარი გამოცდილება, ის შეცდომები, რომელიც დამიშვია ჩემი მოღვაწეობის ოცი წლის მანძილზე, როგორც საოპერო თეატრში, ისე სიმფონიურ ორკესტრში მუშაობის დროს. აღამიანების მიმართ, სიმკაცრესა და მომთხოვნელობასთან ერთად, უნდა გამოიჩინო ლმობიერება, თანაგრძნობა, სითბო. უნდა იცოდე

რა სჭირდება, რა აწუხებს შერიკოლექტივის ყოველ წევრს, მაშინ თვითული მათვანი გამოვიდგება, საქმისადმი საოცარ ერთგულებას გამოიჩენს, სულსაც კი არ დაიშურებს წარმატებისათვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოსენტია. თვით ცხოვრებამ მიმიყვანა ასეთ დასკვნამდე.

დარწმუნებული ვარ თქვენი თეატრის დიდ წარმატებებში. თბილისი ყოველთვის იყო განთქმული ბრწყინვალე მომღერლებით. გყავთ ნიჭიერი ახალგაზრდობა, მათ შორის ისეთი შესანიშნავი ბანი, როგორცაა პაატა ბურჭულაძე, რომელმაც დამახინჯებული გამარჯვება მოიპოვა ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსზე. პ. ბურჭულაძეს ტელევიზიით მოვეუსმინე და აღფრთოვანდი მისი ულამაზესი ხმით, მუსიკალობით, არტისტიზმით, მას შესანიშნავი მონაცემები აქვს. ოღონდ, მეგობრულად ვურჩევ განთავისუფლდეს ხმის ზედმეტი ფორსირებისაგან, რაც მისთვის ძნელ ამოცანას არ წარმოადგენს. ამას საწყენად ნუ მიიღებს...

მთელი გულით მინდა ჩვენი თეატრების დაახლოება, შემოქმედებითი ძალების გაცვლა-გამოცვლა. ყოველივე ეს ხომ უფრო საინტერესოს, უფრო მრავალფეროვანს გახდიდა თბილისისა და კიევის საოპერო თეატრების შემოქმედებით ცხოვრებას. მაგრამ იმისათვის, რომ ამას მიაღწიო, მუსიკა ისე უნდა ააქლერო, რომ ააღლევო მსმენელი, ჩაწვდე ადამინთა სულის სიღრმეებს. პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ ქართული და უკრაინული მუსიკის ასეთი აქლერებისათვის!



სანდრო ახმეტელი

### ზაირ აზგური

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა, სოციალისტურ შრომის გმირმა ზაირ აზგურმა დაასრულა მოგონებების მეორე წიგნი, რომელიც იგი საბუთთა ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. პირველი წიგნი გამოცემა მინსკში 1977 წელს და მიიპროცეს ფართო მკითხველის უურადღება. თავის ეპისტოლიარულა და პუბლიცისტურ ნაშრომს ავტორმა უწოდა „ის, რაც მახსოვს“... ვაზეთ „სოვეტსკაია ბელორუსიას“ (1988 წ. 2 მარტი) ფურცლებზე გამოქვეყნდა ფრაგმენტი აზგურის მეორე წიგნიდან, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებს.

ხომ ხდება ასე: დრო დაუნდობელი სისწრაფით მიჰქრის და უცებ, სამი თუ ოთხი ათეული წლის შემდეგ, თვალწინ ნათლად წარმოგადგება ის ადამიანი, რომელიც გგონია, რომ დაგვირწყა, შენი მეხსიერებიდან წაიშალა. დარწმუნებული ვარ, რომ ასე ხდება მაშინ, როცა ბედმა გარგუნა შეხვედრა ნეკეთრ, მნიშვნელოვან პიროვნებასთან, შინაარსიან სულიერ სამყაროთან. მაძიებელ, მცოდნე გონებასთან. ეს, ალბათ, კარგად ცნობილი ჰქმნატიტებაა. დიახ, ცხოვრების დინება თავიდან აღმოგვაჩენინებს ხოლმე ასეთ ჰქმნატიტებებს. ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა დრო ნათელს ჰფენს გარდასულ დროთა ადამიანებს და შენც საყვედურობს საკუთარ თავს: ბედმა ასეთ კაცთან შეგახვედრა. ვალდებული იყავი ყოველთვის გსსომეზოდა იგი! ასე გგონია, რომ გესმის ათწლეულების მიღმიდან მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოკითხვა, დიახ, წლების სიღრმიდან, მიენიწყებიდან, არარსებული ყოფიერებიდან...

სანდრო ახმეტელი ასეთი ადამიანი, ასეთი პიროვნება, ასეთი მეგობარი იყო. როგორც კი მახსენდება იგი, უშაღვე ვგრძნობ მზით გარუჯული თბილისური დღის სითბოს (მაშინ თბილისს ტიფლისი ერქვა). ოცნებითა და სიმღერებით დახუნძლული დაკლანილი შუე-

ბი და ბუდე-სახლები, ხეთა ძუნწი ჩრდილები, მთიდან მოხეთქილი მდინარის გუგუნი, რომელიც იქაურ ცხოვრებას მუსიკალურ აკომპანიმენტს უქმნიდა. ქალაქი, რომელიც არ ჰგავს არც ერთ სხვა ქალაქს, გულში მიხუტებდა, ნდობას მიცხადებდა... ასეთ შეგრძნებას მიქმნიდა იაკობ თვოლაძის, ამ დიდი მეღსტროს, კეთილი თვალები, გამჭკრიახი და მზრუნველი მზერა...

— ყმაწვილო! — მომმართა ერთხელ ი. ნიკოლაძემ და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით თავისკენ მიმიხმო — თქვენ, გგონებ, მშენიერების წყურვილი გკლავთ! ასე არ არის განა? მომყევით და შეგახვედრებთ მშენიერებას!

მეც გავყევი ბრძენაკს, რომელსაც ჰაბუკური გული ჰქონდა. გავედით გავარგარებულ თბილისურ ქუჩაზე, შევჩერდით სამხატვრო აკადემიის ახლოს, შევედით ფართოდ გაღებული ჰიშკარში და იქ, მზის ოქროს საივებსა და ბარაქთან შუქ-ჩრდილებში ნამდვილი სასწაული დამხვდა. გრძელ მაგიდას გაქოქათებული სუფრა აფარია. ისეთი ნატურმორტები დგას, რომ ფუნჯი უნდა აიღო და ხატო. მაგიდას წყვილ-წყვილად, ჯგუფ-ჯგუფად ადამიანები უსხედან. შეუწყვეტელი ბასი თითქოს ებაეჭება საღლაე ჰვევით მოგუგუნე



მტკვარს. ნეტა რაზე ლაპარაკობენ? აღსარებაა თუ კამათი?

მიკრძალვებით ჩამოვგეჭი სკამის კიდვზე. ნათელს აფრქვევდა შავთვლიანთა ელვარება, ცისფერთვლიანთა მანათობელი სიწმინდე. სიკეთე დიმილიან ბავთა. ამ ნათელფენილ სამყაროში უცბად ნაცნობი სხივი შემოიჭრა — ტიციან ტაბიძე. შეება ვიგრძენი — ახლობლებში ვარ-მეთქი — ვიფიქრე. ჩემთვის საჭარბველოს ხმა იყო ტიციან ტაბიძე, რომანტიკოსი, ლექსთამგალობელი. მეგონა, რომ კარგად ვგრძნობდი მისი სტრიქონების არსს. მოგვიანებით პასტერნაკმა ასე ზუსტად რომ გადმოარუსულა:

Не я пишу стихи. Они,  
как повесть, пишут  
Меня, и жизни ход сопровождает их,  
Что стих? Обвал снегов.  
Дохнет, — и сместа слышит,  
И живо сходит.  
Вот что стих.

ტიციანს აღვიკვამდი როგორც ესენინის ძმას. იყო მასში რალაც აღმოსავლურიც, აზიურიც — იქნებ მისწრაფება აფორისტული სიბრძნისაკენ, ყოფიერების ფილოსოფიური განჭვრეტისაკენ. იყო მასში რუსული, ესენინისებური გულგახსნილობაც.

— შენ აქ მარტო ხარ, ზაირ! — გადმოძახა მან მაგიდის ბოლოდან.

— მასწავლებელს მოვყვე-მეთქი, — ვანიშნე იაკობ ნიკოლაძეზე. მობაასეთა გუგუნი, თითქოს ქარს გადააქვსო, ისე გადადიოდა სუფრის ერთი ბოლოდან მეორეში.

წამოწყებული ლექსის სტრიქონებს აიტაცებდნენ ხოლმე აქეთ-იქიდან, ერთმანეთს ენაცვლებოდა მეგობრული გაპაექრება და უეცრად აფეთქებული სიცილი. გუგუნი ცხრებოდა მხოლოდ ერთი, საოცრად ლამაზი და ნათელმზერაინი ადამიანის ვარშემო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ არ შეიძლებოდა მისი აყოლიება. უნდა ელოდო, სანამ თვითონ არ წამოიწყებდა საუბარს. მასთან ახლოს ლურჯი ლარნაკი იდგა. ლურჯი ფერი უფრო მეტად ამკლავებდა მისი სხეულის მხადყოფნას ნახტომისაკენ, მისი დაჟინებული მზერის გამჭირახობას.

ტიციან ტაბიძემ შემატყო, რომ ამ ადამიანს ვაკირდებოდი, — მეზნებარე სანდრო! — მი-თხრა მან — დიახ, სწორედ ის არის. სანდრო

ახმეტელი. ცეცხლოვანი და დინამიური მტკვარი? ახლა იგი სულ სხვა დროში იმყოფება, ცხოვრობს თეატრალური დროის კანონების მიხედვით. მან იცის, რომ წუთების ვროვა — ჯერ კიდევ არ ნიშნავს საათს... გესმის? ისევე, როგორც ბრბოს ვროვა არ არის ხალხი.

ტიციან ტაბიძე ჩუმიად ლაპარაკობდა, მომხიბვლელად ილიმებოდა. ვგრძნობდი, რომ იგი სანდრო ახმეტელის პიროვნების განსაზღვრას ცდილობდა. ჩემზე ამოწმებდა თავის აზრს, როცა მეკითხებოდა: „გესმის?“ აინტერესებდა რამდენად ზუსტად და გასაგებად მიხსნიდა ამ უნიკალურ მოვლენას — სანდრო ახმეტელს.

ორმოც წელზე მეტი გავიდა, ჩემში კი ისევ ცოცხლობს ახმეტელის დადგმებით გამოწვეული მღელვარება, იმდროინდელი შთაბეჭდილების გამოძახილი. აბა, რა დამავიწყებს ლაერენიევის „რღვევას“ ან „ლამარას“, ვეა-ფშაველას პოემის მიხედვით, მომხიბვლელი და საოცრად ემოციური მსახიობის თამარ წულუკიძის მონაწილეობით. ან ს. შანშიაშვილის „ანზორს“, რომელშიც განუმეორებელი აკაი ხორავა ბრწყინავდა, ან ნ. შიუკაშვილის „ამერიკელ ძიას“. ახმეტელის სპექტაკლები მაყურებლებს განა მარტო იტაცებდნენ. ისინი გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ახმეტელის რეჟისურა ვეცაეზობდა დიდი ხელოვანის ნებისყოფითა და გემოვნებით ორგანიზებულ სანახაობას. ხელოვანი-სა, რომელმაც კარგად იცის რისთვის და რატომ მოჰყავს მოძრაობაში აქტიორული ვნებათაღელვა, სხეულთა პლასტიკა, დეკორაციული კონსტრუქციები, მუსიკის დინება — ანუ თეატრის მრავალსიმიანობა, მისი მრავალფეროვანი გამა. მე შემთხვევით როდი ვიხმარე სიტყვა სანახაობა. სანდრო ახმეტელს არასდროს ავიწყებოდა სასცენო ხელოვნების სანახაობითი მხარე. ჰორიზონტალთა სიფაროვე და ვერტიკალთა წინსწრაფიობა მონაწილეობდნენ თეატრალური ჩანაფიქრის სახით გადაწყვეტაში. ვანსაყუთებულ გამომსახველობას აღწევდა რეჟისორული ხელწერა, დამდგმელობითი „გრაფიკა“ შილერის „ყაჩაღებში“, რომელიც იდგმებოდა „ინ ტირანოსის“ სახელწოდებით და ახმეტელის თანამებრძოლთა მიერ თამაშდებოდა. ენითაუწერელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ფრანკ მორი-

აპარტამენტები და ბოქმის ტყის ლაბორინ-  
თები, რომელთა ფონზე მიზანსკენები ემსგავ-  
სებოდნენ ფრესკებს, თავისთავად, უთქმე-  
ლადაც რომ შეტყუვლებდნენ. ამ რომანტიკუ-  
ლი დრამის გმირებს ა. ხორავა, ა. ვსაძე, მ.  
ჩხილაძე, თ. წულუკიძე, ლ. ადამიძე და სხვა  
მსახიობები წარმოუდგენელი ფსიქოლოგიუ-  
რი სიმართლია და სიზუსტით ანსახიერებ-  
დნენ. მთელ სპექტაკლს მსკვალავდა რევო-  
ლუციური პათოსი.

30-იან წლებში რუსთაველის თეატრს ტაშს  
უკრავდნენ მოსკოვსა და ლენინგრადში. მის  
ხოტბას ასხამდნენ მსოფლიოს თეატრალური  
მოღვაწეები.

სანდრო ახმეტელი — სცენის კომპოზიტორი  
იყო. იგი ხსნიდა სიტყვათა არსს, ღრმად  
სწვდებოდა მათ მთავარ მნიშვნელობასაც.  
უფრო მეტიც, იგი სიტყვის მბრძანებელი გა-  
ხლდათ, თუმცა დრამატურგთა ჩანაფიქრის  
მიმართ პატივისცემით იყო გამსკვალული.  
მან კარვად იცოდა თავისი მოვალეობისა და  
მოწოდების ფასი: ახალი აზრითა და შიშარ-  
სით ავსებდა როგორც ძველ, ისე ახლადშო-  
ბილ თქმულებებს დროსა და ადამიანებზე. უკ-  
ვე მაშინ საბჭოთა დროს რაინდს ვეძახიდ...  
იგი „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს მაგონებდა...

ტიციან ტაბიძემ მოისმინა რა ჩემი აზრი,  
მთხზა: — სწორი ხარ, ზაირ! რაინდობა —  
სანდროს უპირველესი ღირსებაა. რაინდობაა  
მამაკაცისა და მხატვრის ჰარმონიულობის სა-  
ზომი! აბა, შეხედე, როგორ თანხედება  
ერთმანეთს სანდროს მიერ წარმოთქმული სი-  
ტყუები მის მოძრაობებს. იგი ამბობს „ღიახ“,  
და მისი ზელები, მთელი მისი სხეული ამ  
„ღიახს“ გამოხატავს. შეხედე! იგი უარყოფს  
„არა!“ და შენ ზედავ, რომ მისი თვალები და  
მხრები „არას“ ყვირიან. თუმცა თვით სი-  
ტყუა, შესაძლოა, ჩემუდაც იყო წარმოთქმუ-  
ლი. იგი მთლიანად შეესიტყვება თავისი სუ-  
ლის განწყობილებებს. არც ერთ მის კუნთს  
ტყუილი არ შეუძლია.

ამას მე თვითონაც ვგრძნობდი და ვხედავ-  
დი. ტიციან ტაბიძის სიტყუები მხოლოდ ადა-  
სტურებდნენ ჩემს შთაბეჭდილებებს.

— აბა დაუეკვირდი! იგი უმოძრაოდ ზის.  
მეგრამ მაინც არ არის სტატიკური. ამ ადამიან-  
ში აზრი, ისევე როგორც სიყვარული და სი-  
ბუღვილი, შეუწყვეტლევ ცოცხლობს. ამი-  
ტომაც ასე დინამიკური და პლასტიკურია მი-  
სი სცენური ტრანსკრიპციები. იგი არც მეი-  
ერპოლდია, არც თაიროვი. იგი არც სტანის-

ლაესკია. სანდრო იგივე იდეებს ანსახიერებს  
იმ ადამიანის პოზიციიდან, რომელსაც თანდა-  
ყოლილი აქვს აღმაფრენის გრძნობა. ვალთა  
სიმძლავრეზე დგომა. მწვერვალთა სი-  
მძლიდან კი სულ სხვაგვარად მოსჩანს  
ბრძოლის ველი, წყაროსთან მყოფი ქალის  
სილუეტიც. დედამიწისა თუ გრძობების რე-  
ლიეფი, რასაც სანდრო სცენაზე ძერწავს... მა-  
რთაღს არ ვამბობ განა? ამით არიან გან-  
თქმულნი კ. მარჯანოვიცა და ს. ახმეტელიც.  
ამიტომაც სანდროს შეთვისებული აქვს გამო-  
ცდილება ხევსურის, მეგრელის, კახელის,  
სვანისა... გესმის, რას ვამბობ! ჩვენიან არა  
მარტო მწყემსი, არამედ გუთნისდედაც კი  
ბთისკენ მიიწევს. მწვერვლებიდან უკეთ მო-  
სჩანს... ასეა, ჩვენებურიც მთებიდან, მწვერ-  
ვლებიდან გადაჰყურებენ სამყაროს...

ტიციან ტაბიძის ლაპარაკს მესხიერებით  
აღვადგენ. სადღეგრძელოები, სიმღერები  
სწვეტდნენ მის სიტყუებს. ვჩერდებოდი, მე-  
რე ისე ვუბრუნდებოდი სანდროს ახმეტელს.  
ხარბად ეუსმენდი ტიციანს, რადგან უკვე მა-  
შინ ვცდილობდი ჩაეწვდომოდი იმ საიდუმ-  
ლოს, რომელიც ეროვნულ ხელოვნებას ზო-  
გადაკობრიულთან აკავშირებს. ასეთი შე-  
ნადნობის თვალსაჩინო მაგალითს მიძლევდა  
სანდროს ახმეტელის შემოქმედება, მისი და-  
დგმები.

ვინდა, გავაცნობ სანდროს? — შემომთავა-  
ზა იაკობ ნიკოლაძემ. ისიც ზომ მოქანდაკეა.  
თავის სპექტაკლებს ისიც ქვის ლოდებიდან.  
ხის მორებიდან თლის. დიახ, მოქანდაკეა —  
დაუშოვმა ტიციან ტაბიძემ. აღფრთოვანებით  
შეეყურებდი მათ. იაკობ ნიკოლაძემ განა-  
გრძო საუბარი და თქვა: იმასაც გავაცნობ.  
ვინც ალბიურ ყვავილს ჰვავს. არ ვხუმრობ,  
არც ვაპრაბებ. ქართულ სცენას ჰვავს ბუნე-  
ბისა და ხელოვნების მშვენიერი ქმნილება —  
თამარ წულუკიძე. ყმაწვილო! შენ ხომ გინა-  
ხავს იგი სცენაზე? დამეთანხმები, ალბათ  
რომ მისი ხელოვნება ქალური სიდიადისა და  
სინაზის ჰიმნი! უსმენ მას და შენს თვალწინ  
ცოცხლდება ახალი კუთხიდან დანახული  
მთელი სამყარო... ასეთ შედეგს ქმნის რეჟი-  
სორისა და მსახიობის ჰარმონიული აკვირობა.

თანდთან ლურჯდებოდა თბილისზე ჩამო-  
წოლილი საღამო. ჩამუქებულ ცაზე უზარმა-  
ზარი ვარსკვლავები ბრწყინავდნენ. ისმობდა  
სიმღერები, რომლებიც შორიდან, მტკვრი-  
გადაღმიდან აღწევდნენ, ასე მეგონა, რომ ეს  
სიმღერები ჩვენი სუფრიდან გავრცელდა.



მომისმინე, სანდრო! — უცბად შესძახა ცეცხლოვით მწითურმა მოქანდაკე კანდელაკმა — ჩვენთან სტუპარია რუსეთიდან. რამბე უთხარი პუშკინის ენაზე...

სუფრა დადუმდა. თითქოს ეზოს სიგრილემ გადაუარაო.

— მეგობრებო! — დაიწყო სანდრომ და ბატივისცემით გამომხედა. ჩვენ აქ იმისთვის კი არ შევიკრიბეთ, რომ ვიმსჯელოთ ჩვენი თეატრის სტილსა და მის რეპერტუარზე. ჩვენი საუბრის თემა უფრო ფართოა, დაუსრულებელი. ჩვენი მუდმივი ამოცანაა ზრუნვა ადამიანის სულის სილამაზეზე. აბა, რას უნდა ემსახურებოდნენ თეატრის მსახურნი, თუ არა ადამიანის სულს, მის სილამაზეს, რომლის წინაშე ქართველი კაცი ქედს იხრის გლოვასა და ლოცვაში, ბრძოლასა და შრომაში, ღვინვასა და ჰორ-ვარამში... დიახ, ცხოვრებაა ჩვენი თეატრის სკოლა. აქედან ვიძენთ ცოდნასა და გამოცდილებას. ალბათ, ამიტომაც ახალი მათემატიკისათვის გასაგებია ჩვენი სპექტაკლები... მარადიულობა შემოქრილია ყოველდღიურობაში, ყოველდღიურობა შეჭრილია მარადისობაში! უღალატებ ამ ერთიანობას და დაირღვევა თანაფარდობა ტრადიციების მკველსა და ახალი ფასეულობის შემქმნელებს შორის, რასაც გვკარნახობს მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა. ჩვენ უნდა შეგვეძლოს ლაპარაკი თანამემამულესთანაც და მთელ კაცობრიობასთანაც. ვაიხსენეთ ალექსანდრე ყაზბეგი, რომელიც მთებში ცნობის-მოყვარე ფრანგ მოგზაურს შეხვდა, გამოვლამაპარაკ მას ბალზაკისა და მონღოლის ენაზე... სილამაზის მომღერლობა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც სიმღერა იცის. ხოლო ვინც სიმღერა იცის, შეუძლებელია არ უმღეროდეს მშვენიერებას. მაშ, გაუმარჯოს სიმღერასა და მშვენიერებას!..“

დღეს ამას ვწერ მოგონებით, ისე როგორც აქ ოთხი ათეული წლის წინ დამამახსოვრდა. ძასუხს ვაგებ სანდრო ახმეტელის სიტყვის არსზე, მის ემოციურ ძაბვაზე. დღესაც ნათლად ვხედავ მის სახეიმო იერს, მესმის მისი მეტყველების მელოდია, რომელიც მდინარესავით ხან მოედინებოდა, ხან ლელავდა და შმაგდებოდა. სანდროს ცეცხლოვანმა ტემპერამენტმა აანთო იქ მყოფნი. სულგანაბლნი ვუსმენდით მას. ვიცოდით, რომ სწორედ ეს ცეცხლოვანება გადაეცემათ მისი თეატრის აქტიორებსა და მხატვრებს, კომპოზიტორებსა და სცენის მუშებს. იგი არ იყო ხელოვნების

ჭურჭმი, იგი იწვოდა, ხოლო ვინც იწვებოდა აფეთქებაც შეუძლია!

— სიტყვა „მეგობარი“ მალეღვე გორც მეთაურის შეძახილი, როგორც წინამძღოლის მოწოდება — ჩუმაღ თქვა სანდრო ახმეტელმა — ჩვენი შრომის ყველაზე დიდი სირთულეა — სიჯაღე და სისაღავე. მხოლოდ მეგობარს შეუძლია მითხრას, რომ ჩემი ხელოვნება ნათელია და გასაგები. ამბობენ. რომ ჩვენ ვუახლოვდებით ჰუმანიტარულ ხელოვნების მწვერვლებს. ჩვენ თავი დავაღწით კონსერვატიზმსა და მეშახნურ თეატრალიზმს, პრიმიტიულობასა და ფორმლიზმს. მძიმე და მოქანცველია ჩვენი გზა. მაგრამ ამ გზას არ გადავუხვევთ. ჩვენ დაგვეხმარებიან მომთხოვნი მეგობრები, რომლებიც გვყავს აქ, საქართველოში, მოსკოვში, კიევიში, მინსკში... ჩვენი მეგობარი მინსკიდან არის? — იკითხა მან ლომილით, — მაშ გაუმარჯოს წრფელსა და ჰუმანიტარულ მალე ხელოვნებას! ჩანაფიქრისა და მისი განსახიერების პარაონის! სიყვარულს, რომელიც არ გვაძლევს მოღუნებისა და უკან დახვევის საშუალებას! გაუმარჯოს გამარჯვებას!..“

ყველა წამოღდა. სინგელში სანდრო ახმეტელის თეთრმა სამოსმა სილამაზის ღმერთი მომაგონა, სახეიმოდ ვიყავი ვანწყობილი. ალბათ, იმიტომ, რომ, რაც აქ, ჩემი ქართველი მეგობრების წრეში ითქვა, თანხედებოდა ჩემს ვანწყობილებებს და შეხედულებებს.

...სლენხანოვის პროსპექტზე მადლობა გადავუხადე იაკობ ნიკოლაძეს დიდი გაკვეთილისათვის, რომელიც მივიღე იმ საღამოს. ჩემს წინაშე გადაიშალა ვრცელი სამყარო, რომლის სახელი სანდრო ახმეტელი იყო. ჩვენთან მყოფი დიმიტრი ნალბანდიანიც იზიარებდა ჩემს აღფრთოვანებას: „დიახ, ასეთი რეკორდები ას წელიწადში ერთხელ იბადებიან. ისინი მღერაინ თავითი სიმღერა, კინაღამ აქვთ სამღერი...“ მას ჰქონდა უფლება ასეთი განცხადებისა, რადგან იმ ხანად თბილისში მუშაობდა თეატრის მხატვრად, კარგად იცნობდა ამ წრეს. მე კი, ვეზიარე რა სანდრო ახმეტელის ცეცხლს, ავენთე თეატრის სიყვარულით და როგორც კი ბელორუსიაში დავბრუნდი, 20-იანი წლების დასასრულს (სწორედ ამ პერიოდს ეხება ჩემი მოგონება). დავიწყე გუშაობა სცენოგრაფიის სფეროში და დავემგობრდი მსახიობთა წრეს, რაც ვაღმომეცო ჩემს პირველ წიგნში „ის, რაც მახსოვს“...



შემოქმედებითი მიღწევები და ინტერესები, ნანი შალიკაშვილი გრაფიკის სხვადასხვა სფეროში იწყებს მოღვაწეობას, კერძოდ, ნახატ ფილმებზე — როგორც მხატვარი-მულტიპლიკატორი, ასურათებს და აფორმებს საბავშვო გამოცემებს. განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი მუშაობა კინომხატვრობის დარგში. — მრავალი წლის მანძილზე კინოსტუდიაში იგი მულტიფილმების დამდგმელი მხატვარია. პარალელურად ნანი შალიკაშვილი დაზგურ მხატვრობაშიც ბევრს მუშაობს და, შეიძლება ითქვას, სწორედ ამ სფეროში შექმნილი ნაწარმოებები იყო ძირითადად წარმოდგენილი პერსონალურ გამოფენაზე, როგორც ყველა ქვეშაბრტყე შემოქმედის, ნანი შალიკაშვილის მხატვრული მიზნები და ამოცანები მშობლიური ხალხის ცხოვრებით, საქართველოს მიწაწყლითაა შთაგონებული. ამას ნათელყოფს ფერებში შესრულებული მრავალრიცხოვანი ყანწულყოფითი სურათები, რომლებშიც სულ უბრალო წუთიერი სცენები და მომენტები გადმოცემული სოფლის მშრომელთა თუ ქალაქალთა ყოველდღიური ცხოვრებიდან. ეს სცენები დანახულია მოსიყვარულე ადამიანის თვალით, რომელიც ხშირად თბილი ღიმილით ხატავს თავისი პერსონაჟების მეტად სახასიათო სახეებს, აღსავსეს გულუბვილობითა და უშუალობით. მხატვარს სწორედ მათი ეს უშუალო ადამიანური გამოვლინებანი აინტერესებს — საქმიანობაში, შრომაში, დასვენებაში... ამიტომაც, ხშირად სურათის კადრს აგებს ისე, რომ კომპოზიციაში ძირითად ადგილს იკავებს მსხვილი პლანით მოცემული ფიგურები, ხოლო გარემო-პეიზაჟი — შედარებით მცირებს. ნამუშევრების ემოციურ გამომსახველობას განაპირობებს, პირველ ყოვლისა, ხატვანად აგებული კომპოზიცია, მყარად გაწონასწორებული ფერადოვანი ლაქების წყობით.

მუყაოზე ზეითი დაწერილი ამ სურათების ფერადოვან გააზრებაში ხშირად წამყვანია მუქთან დაპირისპირებული ღია ლურჯ-წალისფერები, სილუეტებად რომ გამოკვეთენ ფიგურებს, მათს სახასიათო მოძრაობას. ნამუშევართა სტილისტიკას განსაზღვრავს ისიც, რომ სურათები დაწერილია დაუმუშავებ-

ბელ მუყაოზე, რომელიც ფერებს ისრუტავს, აქრობს და თავისებურ რბილ ტონლობას ანიჭებს კოლორისტს. წერის ასეთი ტექნიკა უთოოდ რთულია, რამდენადაც „გადაწეას“ არ ექვემდებარება და საღებავით ერთბაშად მუშაობას ითხოვს, ამასთან, წინასწარ უნდა იქნას განსაზღვრული ფერის „ქრობის“ ძალა, და მაინც, ნანი შალიკაშვილის ნახატი მუდამ გამართულია, სილუეტი მკაფიო, მეტყველო, გამჭვირვალე ფერები მოცულობითად ძეგწავს ფორმას. წერის ასეთი ტექნიკა გრაფიკული მასალით შესრულების ხერხებს უახლოვდება, მაგრამ თვით სურათების სახვითი ენა, ინტერპრეტაცია — ფერწერულია, სპეციფიკურ გრაფიკულ გამომსახველობას მოკლებული.

კომპოზიციური ხატოვანება ახასიათებს ქალაქზე ტუშით და სხვა გრაფიკული მასალებით შესრულებულ მრავალრიცხოვან ნამუშევრებსაც, საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟურ მოტივებს რომ წარმოსახავს. მათში არანაკლებ ნათლად ვლინდება ავტორის მაღალი ოსტატობა და ფაქიზი ალლო აღებული მოტივის სახვით-კომპოზიციურ გააზრებაში. შავ-თეთრის მკვეთრ კონტრასტებზე, შუქისა და ჩრდილის მონაცვლეობაზე აგებულ ამ პეიზაჟურ სურათებში ვგვიბღავს კაშკაშა სინათლით განათებული მიდამოების ცხოველხატულობა. სილუეტთა სინატიფე, ნამუშევართა ამ სერიებშიც ნანი შალიკაშვილი უფრო ფერწერულ ენასთან სიახლოვეს ავლენს, ვიდრე გრაფიკულთან, მიუხედავად იმისა, რომ პლასტიკურ ფორმათა დახვეწილობით, სიცხადით ეს პეიზაჟური ქნილებები გრავირებს მოგვაგონებს.

ნატო ფალავანდიშვილის, როგორც სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის, პროფესიული საგზური წიგნის გრაფიკა იყო, მაგრამ შემდგომში მხატვარმა ფერწერის სხვადასხვა ყანწში კპოვა თავისი მოწოდება. პეიზაჟით, პორტრეტით, ყოფილი ყანწით დაინტერესება სულ უფრო ღრმავდება მის შემოქმედებაში, ღრმავდება, რამდენადაც უკვე პირველივე ნამუშევრებში იგი აღწევს გარკვეულ წამატებებს ამ სპეციფიკური სირთულეების სფეროებში, რომლებსაც, გარდა ინტერესისა და პროფესიული დახელოვნები-

სა, სავანგებო შემოქმედებითი მონაცემები სჭირდება. სწორედ ამ მონაცემებმა განაპირობა ის, რომ ნატო ფალავანდიშვილი იმთავითვე ფაქიზ და საინტერესო პეიზაჟისტად მოგვევლინა. ცოტა მოგვიანებით კი მის მიერ შექმნილმა პორტრეტებმა, ყოფითი ჟანრის ლირიკულმა სურათებმა მხატვრის შესაძლებლობათა ახალი მხარეები გახსნა.

თუ აღვინდებ პეიზაჟებში, რომლებიც შესრულების სილალეს, ემოციურობას და განწყობილებას არ არიან მოკლებულნი, ერთგვარად ნატურისებური საწყისი მძლავრობს, შემდგომ სურათებში მხატვრის ხედავს უფრო მახვილი ხდება, ღრმავდება პეიზაჟური მოტივის ხატოვანი გამომსახველობისაკენ სწრაფვა, შესატყვისად — მეტი ყურადღება ეთმობა სურათის კომპოზიციური აგებისა და ფერადოვანი გადაწყვეტის ამოცანებს, განზოგადების ხერხებს. გამოფენაზე ექსპონირებული ბევრი პეიზაჟური ტილო მტკნარ შთაბეჭდავს იყო სწორედ ამ ხატოვანებით, ამა თუ იმ კუთხის ბუნების სახასიათო ნიშნების იმგვარი გამორჩევით, როცა მაყურებლის თვალწინ წარმოდგება სწორედ ამ კონკრეტული კუთხის თავისებური სილამაზე და მომხიბლობა — წლის დროის სახასიათო შეფერილობით. არ შეიძლება მნახველს არ დაახსომდეს მთელი ციკლები მაღალბოეტური პეიზაჟებისა, როგორცაა თბილისური სერია, ჩარგლისა თუ ცხინვალის, დმანისისა თუ ფასანაურის, მესტიისა თუ საქართველოს სხვა წარმატებული ბუნების ამსახველი სურათები — შესრულებული ტემპერის, ხეთის, გუაშის, აკვარელის საღებავებით. ნატო ფალავანდიშვილის პეიზაჟური ნაწარმოებების გამომსახველობა მათ ფერწერულ ცხოველყოფილობაშიც მდგომარეობს. სურათების ფერადოვან გააზრებასა და თვით შესრულების მანერაში, წერის ტექნიკაში ვლინდება მხატვარი-ფერმწერი, მღელვარე სულის გულწრფელი შემოქმედი, რომლისთვისაც უცხოა სტატიკა, განყენებული დეკორატიულობა და ხაზობრიობა. თვით გრაფიკული მასალებით — პასტელით, ნახშირით, ფანქრით, ფლომასტერით, ტუშით შესრულებულ ნამუშევრებში ნათლად ვლინდება ფერმწერლის თვალი, სინამდვილის საკუთარი აღქმა და მხატვრული გააზრება, რაც მისი შემოქმედების ინდივიდუალობას განაპირობებს და ეს ინდივიდუალობა გამქვავებული

ლია პორტრეტსა და ყოფითი ჟანრის სურათებშიც.

იმ ნაწარმოებებთან ერთად, აღვინდებლი გამოფენებიდან ვიცნობდით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბევრი ახალი ნამუშევარი, რომლებიც მხატვრის ხელოვნების აღმასვლას ცხადყოფდა, მათ შორისაა სახეობრივად მეტყველი პორტრეტები, ესენი არიან ჩვენი თანამედროვენი, მხატვრის ახლობლები, მეგობრები, სახელოვანი ადამიანები... მთავარი, რაც შემოქმედის მოდელთა ამ ვრცელ გაღრმავებას ახასიათებს, არის თითოეულ მათგანში (იქნება ეს ჩამოყალიბებული, საინტერესო პიროვნება თუ ბავშვი, მოზარდი) ინდივიდუალურად გამორჩეული სულიერი თუ გარეგნობის ნიშნებით დაინტერესება და მხატვრულად წარმოსახვა. ამასთან, ყველა ეს პორტრეტი შორსაა ერთგვარი პარადულობისა თუ ოფიციალობისაგან, პოზიორობისაგან. მხატვარს თითქოს წამოივარდა აღუბეჭდავს მათი სახასიათო მომენტალური მდგომარეობა. ამიტომაც, ასეთი ბუნებრიობითა და უშუალობით გამოირჩევა ნ. ფალავანდიშვილის მოდელთა პოზები და ეს უშუალობა განაპირობებს ამ პოზათა მრავალფეროვნებასაც. სურათის კომპოზიციურ და ფერადოვან სტრუქტურას რომ უღვევს საფუძვლად.


ეროვნული ხასიათი, კოლორიტა გახსნილი საქართველოს მთიანი სოფლის მეკიდრათა ყოფის ამსახველ სურათებში, ხალხი და გარემო აქ პარაონიულ, მომხიბლავ სახასიათოვ სურათებად იშლება და მხატვარიც ამოუწურავად ნაირგვარ, მშვენიერ მოტივს პოულობს ამ სურათების ტილოზე გადასატანად. ცხადია, მსგავსი თემები და მოტივები უცხო არ არის ქართულ მხატვრობაში და თუნდაც ამავე გამოფენაზე ექსპონირებულ — ნანი შალიკაშვილის ნაწარმოებებში, მაგრამ ეს სრულიად განსხვავებული მხატვრული მოვლენებია, — სხვადასხვა ინდივიდუალობათა მიერ გარდასახული ერთი მოდელის საინტერესო ვარიაციები, აქაც და იქაც სახიერი და პოეტურად შთაბეჭდავი, მართალი და ახლებურად წაიკითხული.

ორი მხატვრის გამოფენამ საზოგადოების დამსახურებული ინტერესი და აღიარება დამისახურა.



ნ. შალიკაშვილი

სოფლის ჩანახატები



გვალვა  
კოლმეურნეთა ბრიგადა  
შესაწირავი  
ახალი ამბავი  
მოხუცი





სოფლის ჩანახატები





ნ. თალავანიძის

ავტობუსის მოლოდინში

ქველი თბილისი




ფასანაური  
გიორგი  
თუშეთის სოფელი  
სოფლის კუთხე

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



ნ. ფალავანიშვილი  
ავტობუსის მოლოდინში  
ქველი თბილისი



მაია ბერიძის პორტრეტი  
სოფლის პეიზაჟი  
ჯამთარი



# მარიკა ბარათაშვილი

ლამარა დოლონაძე



დღემანდელ ქართულ სინამდვილეში, როდესაც ლაპარაკია ქართველი ქალის სულიერი სამყაროს წარმოსახვაზე, ჩვენს ყურადღებას იქცევს ცნობილი პოეტი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე, მრავალი ლირიკული ლექსისა და საბავშვო პოემების ავტორი, მარიკა ბარათაშვილი.

მ. ბარათაშვილი ერთ თავის ლექსში „რა ვა? ვინა ვარ?“ თავის თავს ადარებს უმშვენიერეს სიცოცხლის ხეზე შემორჩენილ ერთ ფოთოლს.

მ. ბარათაშვილს იმთავითვე თავისი თემა ჰქონდა, საკუთარი ხელწერა, სტილისტური თავისებურება. მისი გმირი ჩვენი თანამედროვეა, და სწორედ თანამედროვეობისადმი ცხოველყოფელმა ინტერესმა მოიყვანა ავტორი დრამატურგიაში. მ. ბარათაშვილის ყველა პიესა ჩვენი ცხოვრების რომელიმე მტკივნეულ საკითხს ეხება.

მარიკა ბარათაშვილის შემოქმედების თანამედროვე საკითხებს თან ერწყმის გარკვეული მორალური სიღრმის პრობლემები, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელია 60-70-იანი წლების დრამატურგიისათვის. იგი მიჰყვება იმ სტილისტური მიმართულების გზას, რომელიც იკვლევს შრომითა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ თანამედროვე ხასიათებს.

მ. ბარათაშვილის ყველა პიესაში ცხოვრობენ და მოქმედებენ საზოგადოების წინაშე ვალისმომხდის მრწამსით შთაგონებული ად-

ამიანები, რომლებიც ებრძვიან ობიექტულურ და მეშინურ დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, შეცნობილი აქვთ საქმის სილამაზე და რომანტიკა. დრამატურგის გულთან, ეტყობა, უფრო ახლოა ახალგაზრდა ქალიშვილთა ცხოვრებასთან შეხვედრის თემა. დამახასიათებელია, რომ ავტორის ყველაზე სანუკვარი ფიქრები ამ ასაკის ქალებთან არის დაკავშირებული.

მ. ბარათაშვილის დრამატურგიაში საკანგებო თანაგრძნობით აჩიან მოსილნი ქალიშვილები, რაც ალბათ, ამით აიხსნება, რომ გამორჩეული ემოციურობით აღიქმება ახალგაზრდა ქალების კონფლიქტი სინამდვილესთან. კონფლიქტი ყოველთვის მწვავეა და ეფექტური, რეალობასთან შეჯახებას წითელი ხაზით გასდევს მოვლენის ნამდვილ არსში წვდომისაკენ მისწრაფება, რომელიც საზეიმო ზარ-ზეიმის მიღმა დამალული („მადალი ოცნება“, „სიყვარულის წისქვილი“, „სართულები“, „ჩემი ყვავილეთი“). მ. ბარათაშვილის გმირები მზამზარეული და ზერეულ წარმოდგენებით გამოდიან აწენაზე და მხოლოდ სულიერ-მორალური ჩამოყალიბების პროცესში შეიციანობენ ცხოვრებას და თავიანთ საზოგადოებრივ ინტერესებს.

შეხვედრა სინამდვილესთან აქტიურად არ მიმდინარეობს. კრიკინა, მაკა, მანანა, ეკა მეტწილად პოეტურად აღიქვამენ რეალობას და საბოლოოდ გაცრეხებული იმედების ფა-

სად უჭდებათ ის სულიერი ღრამები, რომელთა გადატანა უწევთ ცხოვრებაში.

ქალაქელების წინაშე ყოველთვის მაღალი ბარიერით არის აღმართული სინამდვილე თავისი მრავალფეროვანი ცხოვრებისეული გამოვლინებებით. უნდათ თუ არ უნდათ, ახალგაზრდებმა უნდა გადალახონ „ბარიერი“ და როცა მის მიღმა ახალ რეალობად გადაიშლება სრულიად სხვა სამყარო, ისინი მაშინღებენ ხედვებიან, რომ თურმე ახლა შეაღეს ნამდვილი ცხოვრების კარი. ასეა „კრიკინაში“, „სიყვარულის წისქვილში“, „სასართულებში“, „მაღალ ოცნებაში“, „ჩემი ყვეალებიში“.

ოცნების გატრუება ყველა პიესაში ამოცნობს, თითქოს ყველა პერსონაჟს ხვედრია სანუგეზო იდეალების დაღუპვა. მ. ბარათაშვილის ყველაზე დიდი საწუხარია სწორედ ქალიშვილური ოცნებების დაღუპვა. მწერალი ქალის მთელი დრამატურგია ამის წინააღმდეგ მამართული პროტესტია. ავტორი ცდილობს ერთგვარ ცხოვრებისეულ კანონზომიერებას მიადწიოს, რომ რომანტიკულ ბურჟუასა და რეალობას შორის არ იყოს დიდი ზღვარი, მკვეთრი დისტანცია.

მ. ბარათაშვილი მწვავე ტყვილივით განიცდის, როცა პოეზიით შექმნილ მის პერსონაჟ ქალებს სევდა და მწუხარება უბურავთ სახეს, როგორც კი ფეხს შედგამენ ცხოვრებაში, აქედან გამოსავალ ერთადერთ გზად, ცხოვრებისეული ტრივილების განკურნების ერთადერთ საშუალებად მ. ბარათაშვილს შრომა შეუტყვია, მაგრამ შრომა არა ტრადიციული გაგებით, არა პატივყარილი, ადამიანური ღირსებების დამამცირებელი, არამედ შრომა — პოეტური შექმნის მოსილი, შემოქმედებითი. მხოლოდ ასეთი შრომით იღება, ავტორის აზრით, ბურჯი, ურღვევი ხიდი ცხოვრებასთან, ადამიანი ხდება თავისი კოლექტივის სრულფასოვანი წევრი, მხოლოდ ამ ხდის გავლით მიადწევს იგი ჯერ უცნობ სიმაღლეებს.

მაგრამ ეს გზა არ არის ია-ვარდებით მოფენილი — ნარ-ეკლიანია, გზის ყოველ მონაკვეთზე დგანან ობიექტული და მეშინებია, ისინი ცხოვრებას უყურებენ გამორჩენის ოვლით. არ გააჩნიათ საერთო საზოგადოებრივი ინტერესები. მათთვის უცნობია შრომით მოპოვებული სიხარული, სამყაროს გარდაქმნის მაღალი ოცნება, ისინი ბორკილებად იღებინ ფეხებში პოეზიის მძიებელ გმირებს, ხალხის ბედნიერებაზე მეოცნებეთ, რომელ-

თაც ისტორიულ პირებზე გასდომა დაუსაბუთებია, რომლებიც თანდათან ეწევიან ბუნებას და საერთო-სახალხო დოვლათის რაველება ურწმუნიათ დიდი ამოცანების რეალიზაციის ერთადერთ პირობად, ამიტომაც არის, რომ ბუნებასთან შერწყმის თემასაც საგანგებო ადგენილი აქვს დათმობილი მ. ბარათაშვილის დრამატურგიაში („ჩემი ყვეალები“, „კრიკინა“, „მაღალი ოცნება“).

ლამაზი ჩიტვით გალობს და კიკიკებს კრიკინა, ისე იქცევა, თითქოს ისევე ბუნების შვილი იყოს მხოლოდ. მისგან განუყოფელი არსება. მას არ გააჩნია გარემოსთან ვინიერი ადამიანის დამოკიდებულების ჩვევა, როგორც ღარებულებათა შექმნისათვის სამყაროსთან შეგნებული დამოკიდებულების უმაღლესი გამოხატულება. ეს ყველაფერი მისთვის ბუნების პარმონიულობაშია განხავევებული. ერთი სიტყვით, კრიკინა ზნეობრივად ფაქიზი გმირია, ქვეცნობიერად გრძნობს, რომ შრომითი საქმიანობა ბუნებასთან შეგნებული დამოკიდებულებას უმთავრესი ფაქტორია, მაგრამ ეს ფაქტორი მასში ჯერ კიდევ თვლემს, არ არის ნათლად ჩამოყალიბებული, ამასთან ერთად, კრიკინას არ გააჩნია კოლექტივით საქმიანი ურთიერთობის ჩვევა, იგი საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს გარეშე დგას, არ არის ჩართული თანასოფელელთა შრომითი საქმიანობის საერთო ფერხულში, მაგრამ ბუნების თავისებური აღქმა კრიკინას დიდად ეხმარება პოეზიასა და შრომას შორის არსებულ კავშირის წყდომაში, უფრო სწორად, იმის გაგებაში, რომ შრომაშიც არის ბუნების ელემენტებათა ამოცნობის პოეზია, ამ ღირსების გამო კრიკინა ყველა სხვა პერსონაჟზე მაღლა დგას, რაც განსაკუთრებით იკრძნობა პიესის ფინალში. ერთი სიტყვით, კომედიის დასასრულს კრიკინა ახალი ტიპის გმირად გვესახება.

„მარ-ნეთი“ დაიწყო მ. ბარათაშვილმა ქართულ თეატრთან მჭიდრო მეგობრობა. ფეხბედნერი აღმოჩნდა „მაზინე“ ავტორისათვის, საოცრად მრავალფეროვანია „კრიკინას“ სცენური მოგრაფია, იგი საბჭოთა კავშირის 170 და უცხოეთის 22 სცენაზე დიდდა, ყოველ დადგმას ცხოვლად გამოემხმებოთ საბჭოთა და უცხოეთის პრესა: პაესა ითარგმნა და რაკლე წიგნად დაისტამბა რუსულ, უკრაინულ, ესპანურ, იტალიურ, ჩინურ, ჩეხურ, პოლონურ და სხვა ენებზე, დაიდგა ოპერა (ალ. შვერზაშვილისა), მუსიკალური კომედია (რ.



გაბიჩეაძისა), გადაიღეს კინოფილმი „პრიკი-ნა“ (რეჟისორი ს. დოლიძე და ლ. ხოტივაძი).

ლირიკული საწყისი ჰარბად იგრძნობა „ჩემ ყვავილეთში“. მანანას ცნობიერებაში ბუნება გასულიერებულია, მზე წამწყალებითა და ქალღმერთ ღირსებებით არის შემკული, სოფლის ირგვლივ შემორტყმული მთების ერთ-ერთ მწვერვალს „სიყვარულის მწვერვალი“ ჰქვია. მანანა ამ მთასაც ისე უყურებს, როგორც სულიერს. ხოლო თავიდათავი მანაც სოფელია, ეს არის მანანას ყველა ოცნების საფელო. ყვავილებად ქცეული სამეფო. რა ვუყოთ, რომ მან არ იცის, როდის მოსულან მისი მამა-პაპანი ამ მიწაზე, მან თუ არა, ბებერ კაკლის ხეს ხომ ეცოდინება. შუა სოფელში რომაა აღმართული... ასე პოეტურად შევეყვართ ავტორის თავისი პერსონაჟების ქვეყანაში და პროლოგიდანვე ჩვენს ცნობიერებაში სიმბოლური ხატივით მკვიდრდება ეს ბებერი კაკლის ხე, სოფლის ახლანდელი სიამაყე, სოფლის თავზე გადავლილი წლების ქარიშხლიანი თუ მშინი დღეების უტყვი მოწმე, იმ წლებისა და დღეებისა, რომელთაც, ვინ იცის, რამდენი ოცნება, სიხარული თუ მწუხარება მოუტანიათ ყვავილეთში ან წაუღიათ...

მარკა ბარათაშვილის დრამატურგიაში ლამაზს სამყაროდ არის დანახული თანამედროვე სოფელი. იგი სიკეთითა და სასიცოცხლო ნექტარით ავსებს ადამიანს. სოფელი დრამატურგი ქალის შემოქმედებაში აყვავებული ბალივით შემოდის თავისი ყვაილნარებით, ტლავრებით, ხეხილთა და სიყვარულით. იმერეთის სოფლის თავისებური კლორითი უტყუარი რეალიზმით სუნთქავს. იქაური გარემო, ცხოვრებისეული სიტუაციები, იმერული კილო-ყაიდა ამოიკნობა ადამიანების ურთიერთობაში ყველგან, როგორც პირად ურთიერთობაში, ისე საერთო შრომის ფერხულში. ერთიმეორეზე ზრუნვითა და საზიარო მოფერება-აღერსით არის გამთბარი მისი პიესები. თბილი ატმოსფერო ხელს უწყობს ადამიანების ერთმანეთთან დაახლოებას, მათ შორის მყარდება ბუნებრივი კონტაქტი, რაც, თავის მხრივ, ახალ ბიძგს აძლევს მოქმედების უმეტესად განვითარებას.

პიესაში „ჩემი ყვაილეთი“ პოეტურადაა წარმოსახული სოფლის მთლიანობის იდეა. იქაურებს საოცრად უყვართ თავიანთი სოფელი, სოფელი მათი სალოცავი ხატია.

სოფელი კერაა სამშობლოსი, მამა-პაპის

მიწაა, მას სათუთი მოვლა-პატრონობა უნდა თორემ სამუდამოდ დაიკარგება, აღმოჩენილი ვინაობა, მისი სადაურობა! ისმის პიესის დასასრულში საწყისიდანვე.

„ჩემი ყვაილეთი“ მეტად საინტერესო ნაწარმოებია იმიტომ, რომ აქ ნიადაგ „სახეზეა“ ფიქრი პიროვნების მოვალეობაზე ქვეყნის, სოფლის მიმართ, მთავარია, რას აკეთებს ადამიანი და არა ის, თუ რას ლაპარაკობს, ცარიელი დაპირებები, სიტყვის გატეხა, გარეგარე ხეტიალი ანგრევს სოფელს, აცლის ძალას, ასუსტებს, ნამოსახლარად აქცევს.

მ. ბარათაშვილის სხვა პიესებშიც („რატომ“, „მალაი ოცნება“, „ფრთხილად, სასიკვდილოდ“, „ცეკვა-სიმღერის მასწავლებელი“, „ასეთი ხასიათი“, „სიყვარულის წისქვილი“) პერსონაჟები ეძებენ პოეზიას... სიყვარულში, მეგობრობაში, საქმეში, შინ და გარეთ. ეს თემა მ. ბარათაშვილის შემოქმედების ქვაკუთხედი, ყველაზე ნაცნობი და ახლობელი, მეტნაკლებად ყველა პიესაში ჩართული..

ცაზე ჩირალდნების ანთების პრობლემა ყველა პერსონაჟს აწუხებს და არც თუ უმიზეზოდ, იმეტომ, რომ, თურმე, ადამიანები ერთს ამბობენ მაღალფარდოვანად, ზარ-ზეიმით, ტრიბუნდნაც კი იძლევიან დაპირებას და მეორეს ფიქრობენ, მეორეს აკეთებენ, მათ სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ზღვარია. სწორედ ეს ზღვარი აშინებთ მათ, უნდობლობას უსახავთ, ერთმანეთს აშორებთ, უნდობლობა კი ცაზე ჩირალდნებს როდი ანთებს, პირიქით, აქრობს.

მ. ბარათაშვილის დრამატურგიაში საცნაურია უკვე გახმაურებული ხერხებისა და საშუალებების გამოყენება, რომლებიც იმ წლებში ერთგვარ სიახლედ ითვლებოდა საერთო პლანის წარმოსახენად, ეპიზოდების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დარღვეულია ჩანართებით, ლირიკული წიადსელებით, მოგონებებით, სიმღერებითა და ლექსებით.

ნაწარმოების მთავარი აზრი პიესის იმ კომპონენტებშია ჩაქსოვილი, რომლებსაც პირდაპირი კავშირი არა აქვთ ფაბულურ აღნაგობასთან. ავტორის იდეალი სიმღერებსა და რემარკებშია შეფარებული, სიმღერებსა და რემარკებს მეტაფორული დანიშნულების ძალა გააჩნიათ. შთაგონების სხივი და პოეტური ლირიზმი შეაქვთ პიესის მოქმედების მდინარებაში.

ჩანართებში აუცილებელი ახსნა-განმარტებებია, რომლებსაც პერსონაჟები იძლევიან.

გმირი თავის კოლეგებს ისეთი სიყვარულით წარმოგვიდგენს, ასე გვონიათ, უშუალოდ მაყურებელთან ჰქონდეს კავშირი, პირდაპირ მას უზიარებდეს მოზღვავებულ გრძობებს, რომელთა მოთოკვა ვერ მოუხერხებია. გმირი ჩანართებით გვიშხელს ზოგჯერ მისთვისაც შეუცნობელ ფიქრებს. უფრო მეტიც, ზოგჯერ ჩანართებში, თვითონ ავტორიც მიმართავს მაყურებელს, რითაც ხაზი ესმება პიესის ლირიკულ-ეპიკურ საწყისს, პროლოგისა და ეპილოგის სცენებში გმირი პირდაპირ კონტაქტშია მაყურებელთან. მას უზიარებს თავის გულისხმადებს („ჩემი ყვავილეთი“), ხანაც ჩანართები ანალოგიის პრინციპზეა აგებული („ფრთხილად, სასიკვდილოა“). მაგალითად, მერის წუხილი ბავშვების გამო, მისი განცდები ტრაგიკული ტონალობით ანუის ტრაგიკული იდუმალების თეზის ეხმიანება თითქოს, ამას გვაფიქრებინებს პიესაში ჩართული სცენები ანუის ნაწარმოებიდან.

მოგონებები მეტილად „სართულზეშია“ და პიესაში „ფრთხილად, სასიკვდილოა“ გამოყენებული. ამ ხერხით აღწევენ მ. ბარათაშვილის პერსონაჟები წარსულში ჰვრეტას ანუ რეტროსპექციას. იგი ხელსაყრელ ატმოსფეროს უქმნის გმირებს გამოიკვლიონ თავიანთი ჩავლილი ცხოვრება, ანალიტიკური შეფასება მისცენ ჩავლილ დღეებს. ამით საშუალება ეძლევათ პერსონაჟებს პატიოსნების, სამართლიანობის, სულიერ ფაქეულობათა კატეგორიების ფონზე განსჯონ წარსული.

დრამატული ფორმის ახალი ნიშნები მ. ბარათაშვილის პიესებში მაინცდამაინც ხაზგასმული არ არის. ვერ ვიტყვით, რომ თვალში საცემი იყოს სიახლეების შემოტანის მცდელობა.

„დროის ფორმები“ დრამატურგს შემოაქვს თავისი პერსონაჟების შინაგანი სამყაროს გასახსნელად. ეპიკურ-ლირიკული საწყისი და ხელწერის ტრადიციული მანერა პარმონიულ მთლიანობაშია, ერთმანეთს ავსებენ.

მარაკა ბარათაშვილის პიესების ლირიკული წიაღსვლები, მოგონებები და ლექსები მდიდარია გმირების პოეტურ განწყობილებათა ნაზი ლირიზმით, რაც ქმნის გარემოს ემოციური აღქმის ამაღლებულ ტონალობას, ეს უკვე რეალისტური და ლირიკულ-პოეტური პლანების ერთგვარი შერწყმა იყო ახალი ნიშნებითურთ და, ამიტომაც, მისმა პიესებმა საკუთარი ადგილი დაიჭირეს ქართულ დრამატურგიაში.

„რბ ბარბი იქნებოდა, რომ აღამიანს შეძლებოდა ეცოცხლა მარად, თუნდაც იმიტომ, რომ ბუნების სილამაზით დამტკბარიყო“ — გევორჯ ბაშინჯალიანის ეს სიტყვები, რომლებშიც საუკეთესოდ აისახა მისი სულიერი მრწამსი და მისწრაფება, ლატმოტივად გასდევს მთელ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას; სწორედ ამ სიტყვებში უნდა ვეძიოთ ის უხილავი ძაფები, რომლებიც ხელოვანს მშობლიურ მხარესთან, ბუნებასთან და ადამიანებთან აკავშირებდა, უნდა დაეინახოთ მისი პალიტრის გამომსახველობითი სიღრმეც და მრავალფეროვნებაც.

გევორჯ ბაშინჯალიანი დაიბადა 1857 წლის 16 სექტემბერს სინდნალში, რომელთან კავშირი მთელი სიცოცხლის მანძილზე არ გაუწყვეტია. თორმეტი წლის ასაკიდან ვატაცებულა იყო ხალხური ლექსებითა და ლეგენდებით, ცდილობდა ნანახი და განცდილი ქალაღზე აღებეჭდა, და როცა ქალაღს ვერ შოულობდა, ოთახის კედლებზე ხატავდა. ასე ყალიბდებოდა მასში შემოქმედის ნატურა.

მამა ადრე გარდაეცვალა და მთელი ოჯახის სიმძიმე თოთხმეტი წლის ბავშვს დააწვა. იძულებული იყო აბრები დაეხატა, ხოლო გასამრჯელოდ გროშები მიეღო.

სინდნალში ყმაწვილი გ. ბაშინჯალიანი ჩოლოყაშვილების ოჯახთან იყო დამეგობრებული, და როცა ჩოლოყაშვილები თბილისში გადავიდნენ საცხოვრებლად, გევორჯიც თან წაიყვანეს. 1876 წლიდან იგი კახმული ხელოვნების წამახალისებელ საზოგადოებასთან არსებული სამხატვრო სკოლის მოსწავლეა. სწორედ აქ, სკოლის კედლებში, გამოვლინდა

# ლირიკოსი მხატვარი

გეორგ ბაშინჯალიანის ნაწარმოებთა  
პერსონალური გამოფენის გამო

ნინო ოქროსცვარიძე, იზოლდა ქურდაძე

მისი მისწრაფება პეიზაჟების ხატვისადმი.

1878 წელს, მიუხედავად ხელოვანობისა, გ. ბაშინჯალიანი სწავლას აგრძელებს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, პეიზაჟის კლასში, სადაც მას ასწავლიდა მ. კლოდტი. როგორც სწავლის პერიოდში, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის პირველ ხანებში ახალგაზრდა მხატვარი ვანიცდიდა ცნობილი რუსი პეიზაჟისტის ა. კუინჯის გავლენას.

1883 წელს გ. ბაშინჯალიანი ამთავრებს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიას, ასრულებს სადიპლომო ნამუშევარს „არყის ხეების ტყე“ და ვერცხლის მედალს იმსახურებს.

მშობლიურ სიღნაღში დაბრუნებისას ახალგაზრდა შემოქმედი ახალი თვალთა აღიქვამს გარემოს. იგი ქმნის ამ კუთხის მშვენიერი ბუნების ამსახველ მრავალრიცხოვან სურათებს.

„ბუნების სიღიადემ, მისმა მომხიბველობამ იმდენად დამაბყრო, რომ ყველაფერი დამავიწყდა, როგორც მოკადოებულო, თვალმოუშორებლად გავცქეროდი სივრცეს და ვერ დავმტკბარიყავი ნანახით“, — ასე იგონებდა შემ-

დეგ მხატვარი. სწორედ ეს შობეუკდილებები აღიბეჭდა სურათებში „ალაზნის ველის ხედი სიღნაღის ციხის გალავნიდან“ (1902), „ალაზნის ველი“ (1907) და სხვ. ტილოებში იგი გადმოგვცემს დილის ბურუსით მოცული მდინარის მოლივლივე ზედაპირს, დაბურულ ტყეს, თეთრად მოქათვით კავკასიონის მთაგრეხილებს. ამ სურათებში იგრძნობა განთიადის მაკოცხლებელი სურნელი, ჩვენს თვალწინ იშლება მზის სხივებით შეფერილი მთის მწვერვალები, აისის მოკრიალებული ცა, მხატვარი დაუღალავად მოგზაურობს აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სომხეთში, აზერბაიჯანის თვალწარმტაც მიდამოებში და ქმნის უამრავ ეტიუდს, რომლებიც შემდგომში საფუძვლად დაელო მის ცნობილ სურათებს: „ღამე მდინარე მტკვარზე“, „სევანის ტბა“, „არარატი“ — ეს ტილოები წარმოდგენილი იყო 1883 წელს მის პირველ პერსონალურ გამოფენაზე თბილისში.

მხატვარი მიემგზავრება იტალიასა და შვეიცარიაში, დასავლეთ ევროპის ხელოვნების კლასიკური ნიმუშების გასაცნობად.

შემდგომში მოგონებებში გ. ბაშინჯალიანი წერს: „მართალია, იტალიის ბუნება ლამაზია, მაგრამ უნდა ვალიაო, რომ კავკასია არაფრით ჩამოუვარდება იტალიას, პირიქითაც, აღმატება კიდევ თავის სილამაზით... იტალიამ არ შეიძლება დაატყვევოს იმის გული, ვინც იცნობს კავკასიის დიდ ბუნებას“...

საქართველოში დაბრუნებული მხატვარი საბოლოოდ თბილისში სახლდება, მოგზაურობს ამიერკავკასიის მიდამოებში, ქმნის უამრავ ტილოს, აწყობს პერსონალურ გამოფენას, აქტიურად მონაწილეობს კავკასიელ მხატვართა ყველა გამოფენაზე, აგრეთვე მოსკოვსა და პეტერბურგში რუს მხატვრებთან ერთად გამართულ გამოფენებზე.


80-იანი წლებიდან მხატვარი ისტორიულ ჟანრშიც მუშაობს. ამ მხრივ საინტერესოა „სომხების გადმოსახლება სპარსეთიდან სომხეთში 1828 წელს“ (1886), „თურქეთის სასომხეთში“ (1896), „ლტოვილების გზა“ და სხვ. 1908

წელს იგი ქმნის პირველ ინდუსტრიულ პეიზაჟს „ნავთობის კოშკურები“.

1880-90-იანი წლების ტილოები თავისებურად ეხმიანება აივაზოვსკის ნამუშევრებს. განსაკუთრებით ეს ვლინდება ზეპირად შესრულებულ ზოგიერთ სურათში.

90-იანი წლების ბოლო და მეოცე საუკუნის დასაწყისი გ. ბაშინჯალიანის შემოქმედებითი სიმწიფის ხანაა. ამ დროს იგი ბევრ საინტერესო სურათს ქმნის: „ღამე შავ ზღვაზე“, „არარატი“, „მდინარე არაქსი“, „იალბუზი“, „მაისის დილა“, „ხამთარი სამხრეთში“, „მთვარიანი ღამე მდინარე მტკვარზე“ და სხვ. ცნობილია, რომ გ. ბაშინჯალიანმა ზეპირად იცოლა „ვეფხისტყაოსანი“ და 1890 წელს მოწყობილ გამოფენაზე თბილისში მან წარმოადგინა პოემის სიუჟეტზე შესრულებული სურათები. ამ გამოფენის შესახებ ეჟრნალ „თარაზში“ მოთავსებულია მწერალ შირვან-ზადეს წერილი.

მიხეილ ჯავახიშვილი 1904



წლის იანვრის გამოფენის შესახებ რეცენზიაში წერდა: „გ. ბაშინჯალიანს ძალიან ეხერხება მღუმარე, წყნარი ღამის ასახვა. მისი სტიქიაა ღამე“.

1899 წელს მხატვარი მიემგზავრება პარიზში და იქ აწყობს პერსონალურ გამოფენას, 1900 წელს კი მთელი ოჯახით მიდის ორი წლით. აქ იგი ეცნობა პარიზის მხატვრულ ცხოვრებას და სხვადასხვა მიმდინარეობებს ხელოვნებაში, რაც უფრო აფართოებს მსოფლმხედველობას და განამტკიცებს მისი შემოქმედების რეალისტურ პოზიციებს. პარიზში მან შექმნა სურათები „სენის სანაპირო“, „ბულონის ტყე“, „პარიზის მიდამოებში“. 1902 წელს გ. ბაშინჯალიანი ბრუნდება თბილისში და დიდების ტაძარში აწყობს გამოფენას, რომელმაც ცხადყო, რომ იმხანად პარიზში არსებულმა ფორმალისტურმა მიმდინარეობებმა არავითარი გავლენა არ მოახდინა მხატვარზე. ბაშინჯალიანი კვლავ თავის საყვარელ თემებს ამუშავებს, მათ

შორის ერთ-ერთი შთამბეჭდავი „სევანი წვიმის დროს“, რუჟულუდლი მშვიდი და წყნარი განწყობის ადრინდელი პეიზაჟებისაგან განსხვავებით შინაგანად დაძაბული და მშფოთვარეა.

1907 წელს გ. ბაშინჯალიანი გამოფენას აწყობს ბაქოში (მასთან ერთად აქ გამოფენილი იყო მ. თოიძის, ა. მრეველიშვილის, ბ. ფოგელის, ო. შმერლინგის და სხვათა ნაწარმოებები), 1911 წელს — მოსკოვსა და პეტერბურგში. იმდროინდელი პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა მის ნამუშევრებს.

ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მხატვარმა ორიათასზე მეტი სურათი და ეტიუდი შექმნა, რომელთა უმრავლესობა კერძო პირთა საკუთრებას წარმოადგენს. მის შემოქმედებას ახასიათებს ღრმა სიმართლე და პოეტურობა. ფერთა პარმონიულობა და ცხოველმყოფელობა. მარტივოს სარიანი წერდა: „გ. ბაშინჯალიანი კავკასიის მთების შესანიშნავი პოეტია, მომ-

გ ბაშინჯალიანი

სევანი  
ყაზბეგი  
თბილისი ღამით



ღერალი ყაზბეგის, არარატის და მალაღმთიანი სევანის ტბისა. იგი გრძობს მთების, ხეობების, ველების სიღიადეს და შექმნა კიდევაც მრავალი შთამაგონებელი ტილო“.

გ. ბაშინჯალიანის შემოქმედებითი კრედო რეალიზმია: „ლიტერატურის, მხატვრობის, ქანდაკების მიზანი ერთია — ისინი დები არიან, ხოლო მათი დედა სიმარათლეა“. — წერდა იგი.

მხატვარი დაჯილდოებული იყო ლიტერატურული ნიჭითაც. წერდა სტატიებს გამოჩენილ ადამიანებზე, მოთხრობებს, ნარკვევებს, მოგონებებს, პიესებს, ფელეტონებს, ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. ეს ნაწარმოებები იბეჭდებოდა როგორც პერიოდულ პრესაში, ასევე გამოდიოდა ცალკე წიგნად (1888-1892 წლებში სომხურ გაზეთ „მშაქში“ დაიბეჭდა მოგონებები „მხატვრის ცხოვრებიდან“, რომელიც 1903 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა პეტერბურგში. 1913 წელს გამოიცა ნოველებისა და მოთხრობების კრებული. 1915 წელს პიესა „სტუდენტები“ და სხვ.) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები საიათ-ნოვას ცხოვრებრს შესახებ. 1914 წელს გ. ბაშინჯალიანის ესკიზის მიხედვით შეიქმნა პოეტის საფლავის ძეგლი.

1925 წელს, 68 წლისა, გ. ბაშინჯალიანი გარდაიცვალა. თავისივე ანდერძით იგი დაკრძალულია თბილისში, წმინდა გიორგის ეკლესიის კარიბჭესთან, საიათ-ნოვას საფლავის გვერდით.

ინტერესი მხატვრის შემოქმედებისადმი არ შენელებულა. მოეწყო პერსონალური გამოფენები თბილისში, ლენინგრადში, მოსკოვში. ვასულ წელს, მხატვრის დაბადების 125 წლისთავთან დაკავშირებით, ერევანში გაიმართა დიდი გამოფენა.

## პანორამა

# „შესაძლებელია თეატრის ხსნა?“

მართმეული მკითხველისათვის კარგად ცნობილმა ლონდონის „რაუნდ ჰაუზმა“, სადაც დიდის წარმატებით გამოდიოდა რუსთაველის სახ. თეატრი და ბევრი სხვა საქვეყნოდ ცნობილი თეატრალური კოლექტივი, 1983 წლის მარტში შეწყვიტა არსებობა. შეწყდა თეატრის ცამეტწლიანი მჩქეფარე საქმიანობა, რომელიც მოიცავდა თეატრალურ, მუსიკალურ თუ ქორეოგრაფიულ სანახაობებს. „რაუნდ ჰაუზი“ — „გარდიანის“ თქმით, „რაიონული ცენტრის“ უპირველესი ნიმუში იყო, სადაც დემოკრატიული მყურებელი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრს ეცნობოდა, რადგან სამოციანი წლების მიწურულს იგი გადაიქცა „ალტერნატიული კულტურული ღონისძიებების ჩატარების ცენტრად“. ამ თეატრის ბედი იმთავითვე განწირული იყო, რადგან „ხელოვნების საბჭოს“ მისთვის არასოდეს არ გამოუყვია საკმაო რაოდენობის ასიგნებანი.

„რაუნდ ჰაუზის“ დირექტორი თელმა კოლტი (რომელმაც მისასაღმებელი სიტყვა წარმოთქვა თბილისში რუსთაველის სახ. თეატრის 100 წლის იუბილეზე — რედ.) გაზ. „ტაიმსის“ კორესპოდენტთან საუბარში ამბობდა,

რომ, მართალია, თეატრი ფინანსურ სიძნელეებს მიჩვეულია, მაგრამ მსგავსი კრიზისი მას არ განუცდია. თეატრის დახურვას თელავი პოლტი „ხელისუფალთა გაურკვეველ პოზიციას“ აბრალებს.

\*\*\*

„დიდი ლონდონის საბჭო“ იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა უმუშევრად დარჩენილი „ნაციონალური ახალგაზრდული თეატრის“ მსახიობთა და რეჟისორთა პროტესტები და კომპრომისზე წასულიყო: შეიქმნა ახალგაზრდული პროფესიული დასი, რომლის ხელმძღვანელს მაიკლ კრაფტს ძალიან ფართო პროგრამა აქვს დასახული. მას განზრახული აქვს თეატრის საქმიანობაში ჩააბას ადგილობრივი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კამდენისა და ჩრდილოეთ ლონდონის უმუშევრანი, თეატრი პერიოდულად დადგამს სტუდიური ხასიათის სპექტაკლებს — მცირე აუდიტორიისათვის.

თეატრის ბედი მინც, არსებითად, დამოკიდებულია იმ ფინანსებზე, რასაც „დიდი ლონდონის საბჭო“ გაიღებს.

ერთი დაბრკოლებაც წარმოიშვა, რომელმაც ეკვივს ქვეშ დააყენა ახლად შექმნილი თეატრის მომავალი: ხელოვნების კომიტეტისა და რეჟერაციის თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება, რომ ახალმა დასმა „იუნტი ტიეტრ“-თან ერთად წარმოდგენები გამართოს „შოუ ტიეტრის“ შენობაში. ამგვარი სიმბიოზი იმთავითვე შეიცავს კონფლიქტურ სიტუაციას, რადგან „ნაციონალური ახალგაზრდული თეატრის“ მაღალ პოლიტიკურ იდეალებს აბსოლუტურად არ შეესაბამება „იუნტი ტიეტრის“ სრული აპოლიტიკურობა.

\*\*\*

დასავლეთ ბერლინის ხელოვნების აკადემიის დრამატული საზოგადოების ყოველწლიური (რჩევით ოცდამეათე) სხდომა მიეძღვნა ერთ საკითხს: „შესაძლებელია თუ არა თეატრის გადარჩენა?“ სხდომაზე აღინიშნა, რომ დრამატული ხელოვნების მიმართ საზოგადოების ყურადღების შესუსტებამ, აგრეთვე ეკონომიკურმა კრიზისმა და თეატრალური

შენობების არასაკმაო რაოდენობამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა თეატრების საქმიანობას. საზოგადოების თავმჯდომარემ გ. პენცოლტმა (ეს ის პენცოლტია, რომელმაც ჩვენთვის ცნობილი პერმან ველდენდი შესცვალა საარბრიუკენის თეატრის გენერალინტენდანტის პოსტზე და აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსთაველის თეატრის გფრ-ში მიწვევის საქმეში — რედ.) ხაზი გაუსვა ამ გარემოებას, რომ თეატრებს უფრო და უფრო უჭირთ „თავიანთი ისედაც ძვირადღირებული არსებობის“ აუცილებლობის დამტკიცება. მაყურებელთა შემოსავალი საერთო ხარჯების მხოლოდ ცამეტ პროცენტს თუ ფარავს.

ამ სხდომაზევე წამოიჭრა საკითხი იმის თაობაზე, რომ „თავისუფალ დასებს“, რომელთა რაოდენობა შეიდასს აღემატება, დაეთმოს საქალაქო თეატრების შენობები.

დასავლეთბერლინის თეატრების მძიმე მდგომარეობას მიეძღვნა აგრეთვე დისკუსია, რომელიც ჰამბურგში გამართა კულტპოლიტიკურმა საზოგადოებამ (ეს საზოგადოება აერთიანებს კულტურის მუშაკებს, მეცნიერებსა და თეატრალურ მოღვაწეებს. — რედ.).

ამ დისკუსიის მონაწილენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „აუცილებელია თეატრის გაქვეყნებული სტრუქტურის განადგურება“, თანამშრომლობის ახალი ფორმების, „ალტერნატიული ორგანიზაციული მოდელის“, ფინანსირების ახალი წყაროების და მყურებელთან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოწვევა.

კომუნალურ ხელისუფალთა ამბიციის გამო მრავალი საქალაქო თეატრი გადაქცეულია უზარმაზარ „მხატვრულ-სამრეწველო დაწესებულებად“. დისკუსიაში მონაწილეთა აზრით, დიდად ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ თეატრის ეკონომიკური და მხატვრული პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია მათი ინტეგრაციით. სწორედ ამგვარი პროექტი არსებობდა ბონისა და კიოლნის თეატრების (ორივე თეატრს საოპერო და საბალეტო დასები ჰყავთ) მიმართ: კიოლნის თეატრი ამგვარად თავს დააღწევს ფინანსურ სიძნელეებს, ხოლო მისი არტისტები, თავის მხრივ, „ახალ ბრწყინვალეობას მიანიჭებენო“ დედაქალაქის თეატრს.

# ელდარ შენგელაიას სამი ფილმი

გივი ორჯონიკიძე

იღებენ და მასალა

მსწრს თავიდანვე გარკვევით ვთქვა: ელდარ შენგელაია კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელია და მის შემოქმედებაში ამ მხატვრული მეთოდის პრინციპები თავისებურადაა გარდატეხილი. იგი რეალისტია იმიტომ, რომ მისი კამერა სინამდვილეზეა მიმართული და მოწოდებულია მისი წარმოსახვისათვის. ამ კამერას სინამდვილის — მისი მსალის, პროპორციების, დინამიკის, მისი ფერების „თავისებური“ გრძობა გააჩნია; ეს სინამდვილე, არსებითად, თანამედროვეობაა — თავისი გაჭრებებითა და მონაპოვებით, გამარჯვებით და მარცხით, სიხარულითა და მწუხარებით, დიდი საქმეებითა და წვრილმანებით, რომლებსაც გვერდზე ვერაფერ ვერ გადასდებს და ვერაფერი ვერ აუხვევს გვერდს. შენგელაია რეალისტია იმიტომ, რომ ცდილობს ცხოვრებას გაუგოს და არ ცდილობს ცხოვრებისეული სხვა რაიმეთი შესცვალოს. ამრიგად, იგი არ შიშავს იმით, ვისაც ხელოვნება გადაუქცევიათ ინტელექტუალურ თამაშად, ვინც თავის მიერვე აშენებულ სამყაროში დანავარდობს და თავისი საკუთარი წმინდებით ერთობა.

ელდარ შენგელაიას ხელოვნება კრიტიკულია იმიტომ, რომ კინორეჟისორს რთული და გადაულახავი პრობლემები იზიდავს და არა ის, რაც მისი ხელოვნების გარეშე კარგადაა ცნობილი და ამქრად ვარაიციის სახით თუ წარმოგვიდგებოდა და არა ავტორისეულ გაგებად. თანაც, შენგელაიას იზიდავს ისეთი პრობლემები, რომლებიც არცთუ ისე ადვილი გადასაწყვეტია და რეჟისორს, ალბათ, თავში აზრად არ მოსდის, რომ მათი გადაწყვეტა შესაძლებელია თვით მისხვე ფილმის ფარგლებში.

ე. შენგელაიას შემოქმედებითი მეთოდის დახასიათებისას, ალბათ, ზედმეტი არც ის იქნებოდა ზაზგასმით აღკვენიშნა, რომ მის ფილმებს პრობლემების სიცხადე ახასიათებს, რომ ელდარ შენგელაია შეგნებულად მისწრაფვის მის მიერ განხილულმა ყოველმა პრობლემამ მაყურებლისათვის შეაფიქრება შეიძინოს. მაყურებელს საშუალება ეძლევა თავისი ინტელექტისა

და ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე გაიაზროს ის, რაც ფილმშია შემოთავაზებული. სხვა რამ, ამასთან ერთად, რეჟისორი არწმუნებს მაყურებელს, რომ პრობლემა არც თუ ისე ადვილი გადასაწყვეტია. ამრიგად, ე. შენგელაიას ფილმები პრობლემების სიცხადით და მათი გადაჭრის სიძნელის თვალსაჩინოებით გამოირჩევა. ყოველთვის ეს ადვილი რომ უფიქროს — თითქმის არწმუნებს რეჟისორი მაყურებელს — ამაზე საუბრის დაწყებაც კი არ ღირს. ჩვენ რთულ სიტუაციას ვიზილავთ და დასკვნების გამოტანა არა მარტო ჩემი საქმეა, არამედ შენიც.

ეს სიტყვები, ცხადია, ჩემი მოგონილია, მაგრამ მათი აზრი უნდა შეეხატუვებოდეს კემშარიტად მხატვრული ნაწარმოების რაობას. ყოველი კემშარითი ქმნილება დასრულებულია დასრულებლობის მიხედვითა იმ თვალსაზრისით, რომ აქ გარკვეული სივრცე იქნება ნაწარმოების აღრესატის აზრის განაურდებისათვის. აღრესატს (ამ შემთხვევაში კინომაყურებელს) მისი შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რომ მისი შემოქმედებითი იმპულსი ზიარი კურკლის მსგავსად უკავშირდებოდეს მხატვრულ ქმნილებას. თუკ პრობლემა რეჟისორის მიერ სარწმუნო მასალასა და ხასიათშია გახსნილი, მაშინ მაყურებლის მიერ აქტუური ინტერპრეტაცია არავითარ საფრთხეს არ უქმნის იდეის სწორ გაგებას. ეს მასალა განზე კი არა რჩება იგი შედუღებულია პრობლემასთან. მისი უფის ფორმა. ელდარ შენგელაია ამ მთლიანობას აძლევს. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ მე არსებითად მისი ფილმების იდეური მხარე მინტერესებს, წინასწარ ვიტყვი, რომ მასზე ლაპარაკი სწორედ იმიტომაც შეუძლებელია, რომ მას შენგელაიას მხატვრული ფორმა განაჩნია. თვით მხატვრული იდეების კონმატოგრაფიულია პირობა მათი სიცხადისა და მხატვრული განვითარების დაამატებლობისა. კინემატოგრაფიულია — საფუძველია მათ გაგებაში მაყურებლის თანამონაწილეობისა.

მე კვლავ ე. შენგელაიას კრიტიკულობის საკითხს

უბრუნდება, კრიტიკულობის ბუნების დასადგენად აუცილებელია იმის გაგება, თუ რისკენაა იგი მიმართული, სინამდვილის რომელ მხარეებს ითვალისწინებს, აქ თითქმის მწიფია ერთიანმა სასუსხის გამოჩნება, რადგან „არჩვეულებრივ გამოფენაში“ ნაგულისხმებია ჩვენი დრო, ხილი „შერეკილება“ და „სამანიშვილის დედინაცვალში“ — რევოლუციის წინა პერიოდი, მაშასადამე, ამ ორ უკანასკნელ ფილმში წარსულის გახსენება, რომელსაც ისტორიამ ანგარიში გაუსწო. ჩა და ახლა ჩვენი სინდისის საქმეა იგი შორიდან განვიცადოთ თუ მივიწყებავს მივცეთ.

შინც ასეთი მიდგომა უმართებულო იქნებოდა. „შერეკილებები“ და „სამანიშვილის დედინაცვალშიც“ დაღმწერულია ის, რაც ახალ დროში ძველსაგან გადმოინერგება არა მხოლოდ ნაშთისა და გაუგებრობის სახით, არამედ მთელი რიგი ისეთი მომენტების აღმოუფხვრელი, რომელიც დიდი სიყოცხლისუნარიანობა და ადაპტაციის ძალა გააჩნიათ და უზენაობას, საზოგადოებრივი ცხოვრების მიკროკლიმატსა და ადამიანთა უფლის ნეგატიურ მხარეებში იმალებიან. უოველივე ეს ყოველთა, ნიადაგში ფეხის გადგმას ცდილობს და უსვლელ შემთხვევაში უბრძოლველად გზის დათმობას არ აპირებს.

„შერეკილებშიც“ და „არჩვეულებრივ გამოფენაშიც“ სიცოცხლეს წამლავს აშშ-ობრებული პროვინციონოში. აქ არაფერია ისეთი არა ხდება, რაც მოძრაობაში ჩართვდა ადამიანს, გამოაფხვნილებდა და ხელს შეუწყობდა მის შინაგან მოძილხადას. „არჩვეულებრივ გამოფენაში“ დიდი სამაშელო ომის გამოძახილი გრძნობა: აგული ფრონტზე იყო, ვლასაც მლიციაში მსახურობდა, ომის შემდეგ კი ამ წყვილმა თავისი მუდრო ცხოვრება აიშენა და ამ სიმუდროვეში არაერთი ნამდვილად სიცოცხლისეული აღარ დაწვეს: არის სასაფლაო და მისი მლიცები. არის დაქვეითები, ფული, ოქაბური საამტკილობა და მეტი არაფერი.

ამ მოღობარ და თბილ ფილმში გამოთქმულია მთაფრი პროტესტი წელივანის ობივტაციის დონემდე ჩამოქვეითების წინააღმდეგ: პუბლიცისტური ისრები უჩინარია, არხად არ ირდევია კეთილმოსურნე ტონი, მაგრამ მთავარი პოლიცია ფილმის ყველა წერტილშია შენარჩუნებული: კეთილდღეობა და კომფორტი, ადაპტაციური ურთიერთობის მოვარებულობა, ოქაბის წინაშე შესრულებული ვალი, თურმე, ვერ მოიცავს მხატვრის ყველა ვალდებულებას. მთავარი ვალდებულება მხატვრისა პასუხისმგებლობაა თვით მხატვრების წინაშე. მხატვარი განსაკუთრებული პოლიცია საზოგადოებასა და ცხოვრებაში, იგი მთავარი ინტერესია. ამ ინტერესისადმი ერთგულება, ამ ინტერესის განხორციელება განსაზღვრავს მხატვრის ცხოვრების ღირებულებას.

აგული მოქანდაკეა ბუნებითაც, განათლებითაც, და ბოლოს, ძვერვის სურვილითაც. ახალგაზრდამ ომის ქარ-ვარამ გამოიარა და გადატანდა განსაცდელმა მასში ვერ შეარყია ნამდვილი ხელოვნებისადმი მიხროფება, მაგრამ აგულიმ პოლიციები დაიშო, როგორც მოქანდაკემ, წააგო, და თავისი ნიჭი არხებითად გააქარწელა. „არჩვეულებრივ გამოფენაში“ კომპრომისს

გაჩინა თავისი კონკრეტული სიუჟეტი: აგულიმთან იგი მოვიდა გაქარგების აღტერნაციით — ჰეშმარტიკარ მიიღეს და გასამარტელი მწიფი დასაბოლოო აღმოჩნდა, მით უმეტეს, რომ პოინია ვერც გაიგებდა და და აგულის ვერც აპატიებდა „გაუმართლებელ სიციურტს“. ეს მოდელი (გაქარგება ან მატერიალური დედის მოხარება) და „ნორმალური ცხოვრება“ „არჩვეულებრივ გამოფენაში“ ავტომატის სიზუსტით მუშაობს, ოღონდ მისი ზემოქმედება აგულიზე თანდათან უნდა გაძლიერებულიყო, რადგან პოინიას მხარში ამოუდგნენ ვლასა და შემდგომ ბავშვები, ცხადია, კომპრომისის საფუძველი მარტო მატერიალური მოსაზრებებისაგან არ იქმნება, კომპრომისზე ხელოვენს შეხანლობა, უბიძგის უფრო მისხანე გაქარგობა: აღტერნაციისა საზოგადოებრივად მიღებულ ტრადიციით დამკვიდრებული აზრის გადაღახვისა თუ თავისარტაკების, შილდება იმისა, რასაც შურისძიების ძალა გაჩინა თუ მინურად არაჰეშმარტიკების მსახურებისა.

მხატვარი, უბიძგელს ყოვლგა, სინამდვილის ინდივიდუალური ხედვა, მის ისეთ მხარებასა და ისეთ მიმართებებში წვდომა, რომელიც უოველგვარ ცრურწმენებს და პირობითობას სძლევა და თუ სინამდვილის გრძნობა ამის აუცილებლობასაც კარნახობს — საერთო აზრისადმი დაპირისპირების უნარიცაა. აგული კი არათუ საერთო აზრს, მომხმარებლის პირველსავე შემოტევას ვერ უძლებს და თავის ხედვას, ხელოვნების თავისებურ გაგებას მის სულელურ პრეტენზიას ანაცვლებს. საზღაურის მოსაღებად იგი დაემორჩილა ამ მოთხოვნებს და შემდეგშიც თავის მოღვაწეობაში მას მხოლოდ ეს სტიმული ამოძარკვდა.

დაიბ, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, აგულისათვის რომ შემოქმედება ეცლიათ, იგი შინც ინერციას დასტერდებოდა. ხელოვნება კი ინერციის დაძლევით იწყება. მატერიალური თვალსაზრისით ხელოვანი შეიძლება ფუფუნებაშიც ცხოვრობდეს ან დიდი გაქარგებისაგან სულს დაჟავდეს (სხვათა შორის, ეს ნიქსა და უნარზე არაა დამოკიდებული და ეს ვითარება თავისთავად მეტყველება), მაგრამ ცხოვრებისეული პირობები ჰეშმარტიკი ხელოვანისათვის შინც მეორად მნიშვნელობისაა, რომელიც მის მიხიას ვერკავითარი მსახურებლის სახით ვერ დაუპირისპირდება. აგული კი საწინააღმდეგო სიტუაციაში მოხვდა. ხელოვანისათვის მთავარია თავისი საყოფიარი დამოკიდებულება არა მარტო სინამდვილისადმი, არამედ თვით თავისი შემოქმედების ნაყოფისადმი, როდესაც აგული თავისსავე პირველ ქანდაკებას მსჯავრი გამოუტანა ვილაც გაუნათლებული ქრისის პოლიციად. შინ დაუშვა ის საბედისწერო შეცდომა, რომელიც კომპრომისს ცხოვრების წესად აქცევს. ცრულწმენა, როდესაც თავისი თავისა და თავისი პრინციპების მოღალატე ადამიანი თავის ირთუებულება: „ეს ერთხელ, გამოწაფლისის სახით გავაკეთებ, როდესაც წელს მოვიმარებ, ამას აღარასოდეს აღარ გავიმეორებო“. აგული იმ კიბის საფუხერზე დედგა, რომელიც აღარ იძლევა უკან დახთვის საშუალებას.



ესა თვით ე. შენგელაიას რწმენა, რომელიც მან ესო-  
დით თანმიმდევრულად და ასეთი სასტიკი პატიოსნე-  
დით გამოხატა. ამაშია მისი ფილმის ეთიკური სიმძლავ-  
რე, რომელიც „არაჩვეულებრივ გამოიყენას“ არასო-  
დებს არ დაუპარავას უპილიციისტური ნაწარმოების  
მნიშვნელობას.

თუ მხატვარი ღალატობს თავის უზენაეს დანიშნუ-  
ლებას, იგი თვით ცხოვრებასაც ღალატობს. ამიტომაც,  
რომ ავტორი მინცდამიანე სასაფლაო გაანაშენიანა,  
ამიტომაცაა, რომ მისი შემოქმედება მისტოფიციკიაა.  
იგი იმდენად სიცოცხლეს არ ეუთვნის, რამდენადაც  
უნაყოფო ცდაა იმათი ვინაობა შემოუნახოს მესხიერე-  
ბას, ვინც აღარ არსებობს. მაგრამ განა საფლავზე დად-  
გამულ ბიუსტს ასეთი მავთური ძალა გააჩნია, განა მას  
შეუძლია ასეთი დიდი მისიის განხორციელება? გარდა-  
ცვლილის სხვანაირი მისი საქმეები ინახავს და არა მისი  
საფლავის მოკაშმულობა. ბიუსტის მსგავსება ორიგინა-  
ლთან ის „ზედმეტობაა“, რომელიც ადარავის ან სქირ-  
ლდება (გარდა ჰირსუფილისა, რომ ამ ხერხით მინცდ გა-  
აღიზიანოს დაუსტებელი მესხიერება). ამ „ზედმეტო-  
ბა“ ალაც საკუთრივ შემოქმედებასთან აქვს რაიმე  
საერთო, მოქანდაკესათვის იგი მხოლოდ შექმნავლის  
წყაროა, მარმარაგოს და გრანიტის ის უმიზნო ხარ-  
ჯვაა, რომლის შესანიშნავ ელუსტრაციასაც თბილისურ  
სასაფლაოები წარმოადგენს.

ადამიანი და მისი დანიშნულება ელდარ შენგელაიას  
შემოქმედების მთავარი ლაიტმოტივია. იგი ვლერს ყო-  
ველ მის ფილმში და როგორც ადამიანის რაობის,  
ასევე თვით ცხოვრებისეული სინამდვილის სხვადას-  
ხვა მხარეებს ხეხა. ამხვე დროს, ე. შენგელაიას ფილ-  
მები ერთი იდეის ვარიაციები კი არაა, არამედ დამო-  
უკიდებელი მხატვრული ქმნილებებია მათთვის დამაზა-  
ნათებელი თემატიკით, სახეებით. და ბოლოს, კინემა-  
ტოგრაფიული ხერხებითაც. ისიც უნდა ითქვას, რომ  
სამხვე ფილმში, წესობრივი პრობლემების სიმპაფრისა  
და მათი უკომპრომისოდ გადაჭრის მიუხედავად, მორა-  
ლიზმის და მომამებრეელი დედაქალაქის კვალიც არა  
ჩანს. მორალურ იდეას ავლენს თვით გმირთა საქციელი  
და მისი გაგება მაყურებლის უნარზე დამოკიდებული.

ელდარ შენგელაიას ფილმები მოკლებულია, აგრეთ-  
ვე, კარბ გრძნობიერებასა და სანტიმენტალურობას.  
მის ფილმებში უფრო ანალიტიკოსის, მოაზროვნის  
პოზიცია ვლინდება, ვიდრე მოვლენათა „მონაწილის  
დანიტრესება“, რომელიც ეკრანზე გამოტანილ  
უშუალოდ უნდა განიცადებდეს.

ანალიტიკური ობიექტურობას ემუქრება ერთი საფ-  
რთხე — სიყვ. ე. შენგელაიას ფილმები კი ემოციუ-  
რია და ამ ემოციურობის თავისებური გამოვლენ-  
ვა ის სითბო, რომელიც მისი ფილმების საერთო  
კლიმატს ქმნის. იმ სილაღესა და სასიცილო  
თბრობის ტონალობაში, რომელშიაც უხვადაა გამოყე-  
ნებული კომედიური ხელავენების ხერხები, თავისებურ  
ვლერადობას იძენენ საპირბოროტო სოციალურ-მორა-  
ლური პრობლემები. სამივე ფილმში საქაშლადა ეკი-  
წოდები, არცთუ ისე მომთხვინე მაყურებელსაც რომ  
გაართობს და სასაშოვნოდ გაატარებინებს დროს. სა-  
მივეთი (ამ მხრივ მხოლოდ „სამანიშვილის დედინაც-  
ვალა“ გამოწვლის) საქმე გვაქვს კლასიკურ კომე-  
დიურ ეპიკთან, რომელშიც არაერთი მომენტი არაა

ფსიქოლოგიურად დამომიხებული და სინამდვილემდე  
გამაფრთხილებელი. მაგრამ, რაც მეტს უმუქრებენ ფილმს,  
რაც უფრო მიყვები მოვლენათა მდინარებას, მის სიუ-  
ვეტს, რაც უფრო გამოიკვეთება მხატვრული სახეები,  
რაც უფრო ნათელი ხდება გმირთა ცხოვრებას ლოკა-  
ლურ უფრო ისაღვრებს შენიშნა შინაგანი მშოვლოვარე-  
ბა, მით უფრო აშკარა ხდება შეუსაბამობა ამ მოჩვე-  
ნებით სიმსუბუქესა და საქმის ნაშვლად არსს ში-  
რის: მხატვარმა წაყო, რადგან კონფორმისი და ში-  
შოქმედება შეუთავსებელია („არაჩვეულებრივი გამო-  
ყენება“), დამუყვებელი ქაობიდან გასვლის ერთადერთი  
საშუალება ოცნება და ილუზიის ფრთებზე მოგზაუ-  
რობა აღმოჩნდა. ამ ოცნების სინამდვილედან გამოწვე-  
ვებშიარტის სილაშობა, მაგრამ ქაობს, ქაობს არ ემუ-  
ღება („შერტყვლები“)? და აი, პრობლემის კიდევ ერთი  
მხარე: ვერაფერი იხსნის ადამიანს, მის თანდაყო-  
ლილ წესობრივ თუკი ხარბიელი და ასპარეზო გამოი-  
ცალა, თუკი მისი „მსოფლიო“ დავიწროვდა იმ აზრ-  
მდე, მას თუკალურ არსებობას რომ უნარჩუნებს („სა-  
მანიშვილის დედინაცვალა“).

„არაჩვეულებრივი გამოყენებაში“ მუშანაურ ყოფს  
არაფერი არ უპირისპირდება, გარდა თვით ნაწარმო-  
ბის ავტორის მოქალაქეობრივ პათოსისა. „შერტყ-  
ლებში“ კონფლიქტს ქმნის ზავუფერი და გულუბრყვა-  
ლი მისწრაფება სიყვარულისა და პარმონისიკენ და  
მეორებს მზრის, ჩამყვებული, წვრილმანებად დაბ-  
ნეული სინამდვილე, სადაც სიხარბა და მრუშობა მე-  
ფობს. ერთაოზი და ქრისტეფორე თავისი ამაღლებუ-  
ლობითა და სიწმინდით მართლაც შერტყვლების ში-  
ბუქადილებას ტრეფენ, ისევე როგორც შეველი ღორე  
ბის ქაგვი ანომალის ნიშნულად გამოდგებოდა. „სა-  
მანიშვილის დედინაცვალაში“ ადამიანი მოიქცა ჩინუ-  
სადაც აღარაა ნაშვილი სიცოცხლე, სადაც გაკარგე-  
ბის შიში ვეუშარიტად ადამიანურს ამრუდებს, გლა-  
აგვარებს. გარჯავ და პატიოსნებაც, გარკვეული შინ-  
განი კეთილშობილობა და მოკრძალება სინამდვილემ  
საურდენს ვერა პოულობენ. ვერ იცავენ ადამიანს გა-  
წილებსაგან. გაბოროტება და გარყვანა ამ ადამიანს  
პროტებისაგან ფორმა, მისი მცდელობის უხერო შედე-  
გო. სამხვე ფილმში სხვადასხვა სინამდვილე და სინამ-  
დვილის სხვადასხვა მხარეებია ნაწილობრივად. ამიტონ  
იხანი ერთმანეთზე არ დაყვანება და არ აღიქვამს  
როგორც ერთი ზოგადი თემის ვარიაციები. მაგრამ სა-  
მივეთი დგას ერთი პრობლემა: ადამიანი და სოციალურ-  
ი გარემო. სამივეში აღძრულია შემეხველობისა და  
შინაგანი აქტიურობის საკითხი, საუბარია ინერციისა და  
მისი დამღვევის უნარზე. არა მარტო სოციალურ-  
გარემო ქმნის ადამიანს, არამედ თვით ადამიანი ქმნის  
სოციალურ გარემოს. მის მიკროსამყაროს, რომელშიც  
თვით ცხოვრობს და მოქმედებს. „არაჩვეულებრივი გა-  
მოყენებაში“ საქმე, არსებითად, ეხება იმას, რომ ადამი-  
ანმა არ გამოიყენა ობიექტურად არსებული შესაძლებ-  
ლობანი. მუშანაურმა ყოფამ დაფარა უფრო დიდი, ნა-  
მდვილე ცხოვრების მორაზნეტა, ადამიანმა თვით და-  
კარგა გზა, იგი ვერავის ვერაფერს ვერ დააბრალებს.  
მან ვერ ისარგებლა თავისი ყველაზე დიდი უფლებით

— არჩევანის უფლებით.  
„შერტყვლებში“ კიდევ უფრო მძიმე სურათია ადას-  
ტული. განი გავარდეთ ზტუასაც და ნოსტრევანსაც —



ყველა დროს ჰყავს კანონიერების ასეთი დამცველები და დღეამიწას შორისა გამოკიდებული და მამოძრავებელი სამბარა კი უმოქმედოადა, ქალაქის სატუსალო თუ ქრისტეფორბსთანა ადამიანების დასაოკებლადა გათვალისწინებული — კაპიაკი მისი ფსი, სხვა კი არავინა ხანს. კლინიკა — სამკურნალო დაწესებულების პაროლია, მანაჟი ექიმიც და დავრდომილებიც ნორმა. ღური კალაპოტიდან გადმოსულან და რადაცა სულ სხვა ვითარებისათვის დაწერილ სცენარის მიხედვით ასაღწეა სხადიან. თანამედროვე „არჩვეულებები“ გამოფენას“ და წარსულას „შერეკილებს“ ის აერიაინებს. რომ ცხოვრება აქ ნამდვილი კი არაა, არამედ სინამდვილის იმიტაცია, ნამდვილის ცული ასლია, რომელიც აი ამ სიტყვის გამო გამოსცლია აზრი.

ამასთან ერთად, სამივე ფილმში ელდარ შენგელაია კიქოს გვეუბნება: ნახეთ, რა ძალა აქვს ვითომცდა წერილმანს. რა საზინდებია, თუ ადამიანს ნამდვილი ასაღწეა არ გააჩნია და თუ ცოცხალ მდინარებში არა ჩართული, დიას, თვით ასპარეზის მასშტაბს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიანის აზრისა და მოქმედებისათვის. „შერეკილებში“ ყველაზე გონიერი მონაცემები ქრისტეფორ აღმოჩნდა, რომელსაც გონება ეყრდნობა არა რეალობაში არ ექვეა (ეს ნაგავი იყო, რომელშიაც სულერთია, ვერაფერს ვერ იპოვიდა), არაზე საკუთარი ოცნების სამსაღურში ჩამდგარიყო. ჩვენ შეიძლება ცრემლიც კი გამოგვეცვივდეს აგულითი ნიქიერი მოქანდაკის დაღუპვის გამო, მაგრამ მწარე სინამდვილე ისაა, რომ იმ ქალაქსა და გარემოცვაში იმ ფსიქოლოგიური განწყობისას, რაც აგულის ორიენტაციას განაპირობებდა, ყველაზე ნაღდი საქმე სასაფლაოს განაშენიანება აღმოჩნდა.

ის, რაც სხვა სოციალურ პირობებში პლატონს საიმოუო ადამიანად წარმოაჩენდა, კონკრეტულ ვითარებაში, რომელიც გმირი ცხოვრობს — მას ზღის სასაცილო პერსონაჟად, ადამიანად, რომელიც მისსავე მიხედვით იღვამ იმსხვერპლა. ზერეულე დაკვირვებისა შეიძლება ისე გამოჩნდეს, თითქოს ელდარ შენგელაია კლინიკისთვის მოხარობის გმირს სასათი გამოუცვალა, სინამდვილეში კინორეჟისორმა და მისმა სცენარისტმა (რ. ჰეიშვილმა) მხოლოდ უფრო გააძველეს თვისებები, რომლებიც ლიტერატურული წყაროს პერსონაჟს გააჩნია. კლინიკისთვის ეს თვისებები იყოთება, ოღონდ აქცენტირებულია არაა, პლატონს ეს თვისებები აღმოაჩნდა ახალ ტონალობაში ზოღულაციის გამო. პატრონებაც, გარკვე, შინაგან კლემენტობა პლატონის თანდაყოლილი თვისებებია, რომელთაც ახალი სოციალური ვითარება უპირისპირდება და ნიადაგს აცლის, როგორც ჩანს, პლატონს შეგუების ინსტიქტი არცთუ ისე გააძვირებულია ქონია, თორემ მას თავისი ცხოვრება სხვათაგანად უნდა აეწყო. პლატონის სულიერი თვისებები საერთო ხალხური ხასიათიდან გამოიყვანება და თავისებურად უძლებს კიდევ დროის შემოკტვას. ამიტომაც პლატონის მარცხში ისედა ნანუგეშო, რომ თვით ამ თვისებების ღირებულება ექვემოტარებოდა და სანიშნუს მნიშვნელობას ინარჩუნებს. რეჟისორმა პლატონის ხასიათი შრომითი ადამიანის ინსტიქტს გაუსვა ხაზი და

შესაძლოა, ეს თვისება, ძირითადია, რომელიც ნის ეოხის მოხაზულობისათვის გადაარჩენს.

ეს ის ეოხია, რომელიც სოციალურად უზადრუკტიბის შეზღუდულობას არღვევს და მის ტრაგედიას მნიშვნელოვან ეფერადობას ანიჭებს. რეალური პლატონი კი მართლაც პატარაა, ცაცუნაა, რომელიც თვით ისტორიული პროცესის განვითარებაში გასწორა. რეალური პლატონისათვის არც სამყარო არსებობს, არც ქალაქი და არც სოფელი. რეალურად არსებული სივრცე მისთვის მისი სახნავ-სათესი და საკარმიდამოა. ამიტომაცაა, რომ პლატონი ასეთი გამაღებით იბრწვის მისი მთლიანობის შესანარჩუნებლად. რადგანაც ეს მინიმუმი აუცილებელია, რომ მის მფლობელს ღირებულება შერჩეს და, სხვათაშორის, იმისთვისაც, რომ მის ცოდ-შვილს კუჩი შეიშლით არ გაუხმეს.

პლატონის ცხოვრების დროსა ტრაგიკული გადაწყვეტილების ელფერს იძენს, მაგრამ ძირი მისი — კომიურია. გმირის გაბოროტება, მისი განუყო მოვლენათა მსგელობაში ვერავითარ კორექტივს ვერ შეიტანს, მართალია, მამს გაუყარა, მისსა და თავის კარმიდამოს შორის ღობე აღმართა, მიუკარებელი და ცივი გახდა, მაგრამ, ღერე თუ გვიან, ცხოვრება აიძულებს დედინაცვლისა და მისი ნაშვირის არსებობას შეურავდეს, სოციალური ურთიერთობის დაფუძე პლატონი ის პაიკია, რომელიც აღარავის არ აინტერესებს და რომლის ყუფნა-არყუფნა არავითარ ცვლილებებს არ მოასწავებს. ესეც ეანრის თავისებურებაა: მთელი ენებათაღლევა, რაც პლატონს გადახდა, ჩივის ბრედენად არ ღირდა. ამიტომ ამბის სევდიანი დასასრულის მიუხედავად, ადამიანს ღობილი არ სტოვებს და ფილმიდან მას, არხებობდა, სასოცლო ენოზოდების მოკონება მიჰქუვება. შეიძლება ელდარ შენგელაიას ფილმიდან ნაყლებად, ვიდრე რუსთაველის თეატრის ცნობილი დადგმიდან (ეს რუსთორული კონცეპციის ნაყოფია). მაგრამ ცვლის კია ამგვარი სხვაობა საქმის არსს? განა პატარა ადამიანი — და პლატონი სწორედ ამ მასშტაბის გმირია — იმიოაც არაა საცოდავი, რომ იგი მოვლენათა შედეგი და მსხვერპლია და არა მამოძრავებელი და მათი თავისებური სვლისათვის მიმართულების მიმცემი?

სამივე ფილმში ელდარ შენგელაია დაიწინებთ ამკვიდრებს აზრს, რომ ადამიანი თუ არიოდებს თავიდან თავისი ყუფის მასშტაბებს ვერ თვით ყუფას არ გააჩნია თავისი თვიდან გარეთ გასვლის საშუალება, ამ საოცარი კომედების დედააზრი ჰეშმარტიად ადამიანურია და პრვიციციული, ანკარიციული და კარდასწული ყუფის ტრაგიკულ შეუსაბამოაშია, იმართა, რომ პერმეტოებულე ყუფა, რომელმაც ცს-ყვრებაზე ცოცხალ პროცესზე გაიმარცხა, არავითარ შინაგან მიზეზს არ შეუცავს მასში ახალი ნაყოლის შეტრისათვის. ხელოვანის პოზიცია კანონზომიერია, ვინაიდან ისევე, როგორც ყველა სხვა დროში, ყუფა მის ფილმშიაიც განაპირობებს ცნობიერებას, ინტერესებს, ადამიანთა ბრძოლის უნარს.

ცხადია, „არჩვეულებრივ გამოფენაში“ ყოფა პრინციპულად განსხვავებულ ვითარებას ასახავს, ვიდრე „შერეკილებში“, ამ პატარა ქალაქის პროვინციული ყოფა ანოალია, საოცარი შეუსაბამოაა დიდი ცხოვრების პანორამასთან. ელდარ შენგელაია მას ებრძვის

სწორედ ამ დიდი ცხოვრების პოზიციიდან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვით მისი და მისი ფილმების მაკურბელის არსებობა (თვით ფაქტი, რომ ელმარა შე-  
ნგელაია იმ აუდიტორიას მიმართავს, რომელიც მას გაუგებს და, უფრო მეტიც, რომლის პოზიციასაც ამ-  
გვარი მოვლენებისადმი რეისორი მხატვრული განზო-  
გადობის სახეს აძლევს) ამ დიდი ცხოვრების, ნამდვი-  
ლი სიცოცხლის დამადასტურებელია. ამიტომაცაა, რომ  
გვჩრ: დღეს თუ არა, ხვალ უწიული ვატყვებთ, დაი-  
ძვრის და სიცოცხლის ნაკადი შიდაგება ამ პატარა ქა-  
ლას, რომელსაც პროვინციალიზმი სჯამს. სინტერე-  
სოა, შესძლებს კა პროვინციალიზმი ახალი ვითარების  
შეგუებასაც თუ ამჯერად მაინც იძულებული ვახდებთ  
ასპარეს გაეცალოს და მიეწყებას მიეცეს? „სამა-  
ნშვილის დედამაცაალში“ კი გამოსავალი არა ჩანს.  
ის რაც ადამიანს რეალურად შერჩა, ის კარნახობს  
ცხოვრების წესს, ინტერესებს, ტრაგიკული ურწმუნოე-  
ბის გრძნობას რომ გამოსავალი არაა და რომ მხოლოდ  
ეს „პატარა“, „ჩამოცორობილი“, „უწინშევილი“ დაი-  
ცავს მას ყველა მოსალოდნელი ფათერაკისაგან.

ახეთია ელმარა შენგელაიას კრიტიკული რეალიზ-  
მი. იგი ებრძვის იმას, რაც აკვირებს ადამიანს და მის  
შესაძლებლობებს არაბრუნად აქცევს; რაც წინობას  
უზნეობაში გარდასახავს. ცხადია, თავისი კონცეფციის  
დასახებუბებლად შენგელაია მიეკროფიზი ირჩევს  
მასალას (მიეკროფიზია კი უფუბდაცაა და ვალდებუ-  
ლებაც ყოველი კემშირისი ხელფანისა). მიეკროფიზია  
თვით ე. შენგელაიას არავითარ საფრთხეს არ უქმნის.  
რადგან მისი ხედვა სწორი იდეოლოგიური ირიენტაცი-  
ითა შემარებული, გადაგანაც ამ ხედვას მხატვრის პა-  
ტროსნება უწყის კონტროლი. ელმარა შენგელაია კემ-  
მარტივად საბუთთა ხელფანია თავისი მრწამსით, თავი-  
სი იდეოლოგიური პოზიციით, უარყოფისადმი თავი-  
სი შეურიგებლობით, იმასთან დაუცხრობელი ბრძო-  
ლით, რაც ჩვენს საზოგადოებრივ ინტერესს არ შეე-  
ფერება. ამიტომაცაა იგი ესოდენ შეურიგებული პრო-  
ვინციალიზმთან, რომელიც ჩვენს მომავალს, ჩვენს  
საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, ჩვენს წინობას გარ-  
ყველ საფრთხეს უქმნის. მისი სამივე ფილმის არ-  
ხებით იღვა ის გასაღვთ, რომ ადამიანს აღინუნებს  
მთავარი სასიცოცხლო ნერვისაგან მოწყვეტა. მთავარი  
საზოგადოებრივი ინტერესისაგან განწე გასვლა, თვით  
ამ ინტერესის უქნელობა (როგორც ე. მაგალითად,  
„არჩვეულებრივ გამოფენასია“). თუ ადამიანი იმას  
მოწყდა, როსოდვეტ პასუხისმგებლობა თვით ადამიან-  
რობის არსში იგულისხმება, მაშინ იგი სრულყოფიანი  
აღარაა, ადამიანური მასში კნინდება. რაღა მანცდა-  
მაინც ამ საცოდავ აგულის ზიადგნენ ეს ობერი კვრივი  
და გაქტუბუული აფთიპარი და რატომ არ დასჭირდა  
მისი ტლანტი თვით საზოგადოებას — ეს ხომ შინსი  
იყო იმისა, რომ მასში მომადგეს ეცოცხლა? ეს კით-  
ხვა არ შეიძლება არ წარმოგვეფხას. თუკი სიუეტში  
რადეცა კანონზომიერებას აღვიქვამთ და არა მხო-  
ლოდ შემთხვევითობას.

მხატვრული ნაწარმოები, ზოგჯერ, პასუხს იმ კით-  
ხვებზეც იძლევა, რომელთაც თვით არა სჯამს. მე  
შეაშ, რომ სცენარის ავტორის რ. გაბრიამეს (ბაწყინ-  
ვლევ კინოდრამატურგს, იშვიათი მხვილგონიერე-  
ბით დაჯილდოებულ ლტერაროს) მხარული სიტუ-

აციებით აღსავეტ კომედის შექმნა სუბტილური და  
რეი დახასიათებთ მთავარი პრინციპის როლს შეასრუ-  
ლებდა. მაგრამ ყველაფერი რომ ზედმიწევნით უზსაი  
გამოდა! უზადური და კეთილი ტრიფონი („შერეკი-  
ლებიდან“), მუდამ რომ სახლგარეთაა და რომ ვერ  
დაუოკება მოწყენილობისაგან ვავხორცებული მარ-  
გალიტა, საზოგადოებრივი წესრიგის დაფუძველია და  
გადარული დონდაქარივი ტრიფონის სახლში ეძებთ  
სექსუალურ ნეტარებას: ესეც სიუვარული კი არა, მრუ-  
შობაა. ყველაფერი ანეკდოტის ფანრშია გადაწვეტა-  
ლი — ადიულტერიცა და საყვარლების შეხლა-შემოხლი  
სცენებიც. ყოველივე ეს პროვინციული ყოფის ატრი-  
ბუტებია, მისი ორგანული გამოვლენაა. ყველაფერი  
ეს გჯიძრულეებს დავსვთ კითხვა: ამ ადამიანებს ცხო-  
ვრებას ეს ფორმალა შერჩათ, მხოლოდ ამ სახით ვლან-  
დებთ მათი ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგური ენერგია? ეს  
რომ არა, მაშინ კიდევ რა, იმ სინამდვილის რომელ  
მხარეს შეედლო მათი გართობა. მათი ცხოვრებისა.  
ვის აზრის მინებეცა? ამ და ნამდვილ ცხოვრებას შო-  
რის როგორც ითქვა, ხიდა ჩატეხილი. პროვინციულ  
იმის საოცარი უნარი გაჩნია, ნამდვილის გვერდით ისე  
იარსებოს, რომ თავისი თავი არ დათმოს, თავის და-  
პოუცილებლობას არ შეეცდოს. თვითმობრობის იმ-  
პულსს იგი საკუთარი რესურსებით ქმნის. ეს რესურ-  
სები კი ნამდვილის პაროდიაა. ფიზიოლოგიური დონის  
აქტივობა და წვრილმანის ზეიშია.

კომედიურობის გუნება

ე. შენგელაია შემოქმედებისათვის დამახასიათე-  
ბელია კომედიური ბუნების ძალიან თავისებური გავე-  
ბა. სამივე მისი ფილმი აშკარად კომედიურია. სამათვეს  
მსუბუქი — მე ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას — მსუბუქი  
იუმორი მისკვალავს. სამივე სხარტია, ასე რომ, კინეზ  
ტრაგადიული დრო თითოეულ მათგანში „შეუქმშე-  
ლი“ და, ამავე დროს, აზრით დატვირთულია, მონტაჟი  
ბრწყინვალე ორტატი. ელმარა შენგელაია ფილმების  
დრამატურგობას აგებს კადრებს სწრაფ მონაცვლო-  
ბაზე, აზრითა მისმართავს პარადოქსული გლარითის  
ხერხს, დილოგები მის ფილმებში სხარტი და მიმზი-  
ველია. მისი ფილმების მთავარი პერსონაჟები არსე-  
ბითად კომედიური ეანრის წარმომადგენლები არსე-  
ამიტომაც სწორად ვარდებთან სასაცილო მდგომ-  
რებობაში, ყოველი მათგანი ხასიათით ემორჩილებს  
რეისორის მთავარ იდეას — ადამიანის ღირფე-  
ლების გახსნას, ამ ღირფეულებს კრიტიკული კ  
ადამიანის მთავარი მიზისი ღანხორცებულებაა. „არჩ-  
ვეულებრივ გამოფენასია“ და „სამანიშვილის დედი  
სივალში“, მხიდასხვა მიზეზის გამო, ადამიან  
თავის მთავარ მიზანს ვერ აღმოცილებებს და მარ-  
ცხდება. აი, უფუბმა პირი კომედიური ენეტიტე-  
სა, მსუბუქი იუმორისა და სასაცილო სიტუაციებს  
ყოველგვარი ძილდაუტანებლობისა და ადრებებს სი-  
სუბუქისა, რომლებიც ელმარა შენგელაიას ფილმებს  
მხატვრობის სახიამოვნო წუთებს გააბტებუნებს. თ.  
თქოს რადეცა ხმა, რომელიც არც კადრში შუოფთ ვერ  
თვნის და არც კადრის მიღმა ისმის, ნიშნის მოგვი-  
მიმართავს მაკურბელს: ყველაფერი ეს სასაყ-ღ



ქმნებდა, თუ არა ის უბრალო ქვეშაობები, რომ შენი თავი შენ თვითვე უნდა დაიცვა და შენი ადამიანობას არსს შენ თვითონვე უნდა ჩასწვდე, გაარჩიო მოჩვენებითი ნამდვილისაგან და რაც ნამდვილს ეწინააღმდეგება, იმას შეებრძოლო. ამ მოვალეობისაგან ვერაფერს ვერ გაგანთავისუფლებს.

ელდარ შენგელაიას კინემატოგრაფიული სტერიოტიპებისაგან თავის დაღწევის იმდენად მეკეთრად გამოქვეყნო უნარი აქვს, რომ შესაძლოა მაყურებელს შეეჩვეოს აზრი, თითქოს რეჟისორი ნათურას მიშკვებს, თითქოს უპირატესობას ბუნებრივ მოცემულობას ანიჭებს. ისეთი შთაბეჭდილება მცდარი იქნებოდა, რადგან ე. შენგელაიას ფილმებში ბუნებრივად და ხალხს, რაიგნთავად ნაკულისსმეფისა და იმპროვიზაციულად თაქსუფალს საფუძვლად მკაცრი არჩევანი უდევს და მკაცრი მხრივ კი — რეჟისორის უნარი შეარჩიოს. მაქსიმალურად გამომსახველი ფორმა და მასში გამოსახვის თავისი იდეა. ამიტომაცაა, რომ ცხოვრების მდიანარება მასში ძალდაუტანებლად აღიქმება, ყველაფერი უნდა „მოგვარებული“, რომ საწინააღმდეგო სკლის შესაძლებლობის შესახებ კითხვა არც აღიძვრის.

„შერეკილებში“ ბლომადაა სათავგადასავლო ფილების ატრიბუტები; საპირობილედან პატომარია გაქცევა, განცემა და მათი გამოღვევება, მორტფილუ მეტოქეთა მძაფრი შეტაკებები, ჩხუბისა და დატყვევების სცენები, გრძნობამორტულ ღამაშანთან ბინაზე მოყოლოდნელი შეხვედრები, რომლებიც ღამისა საბედისწეროდ სრულდება. ცათამყრენთა განჯარადება, რომელიც მიწიდან ცეცხლსაც კი დაუშენს. ოღონდ კია, რომ ყველაფერი ეს სათავგადასავლო პაროდიულია იმამაძერ ტრანალობაშია გადაწვეტილი, რომ კარგავს სოუტეტური აუცილებლობის მნიშვნელობას და მისთახვევ დამახასიათებელი შტამების მხილველ შესანიშნავ სამიზნეს წარმოადგენს. პაროდიული სომამაძერ

ელდარ ქვეშაობები კომედიის უფლებდა და ამ უფლებას ელდარ შენგელაია თავისი ფილმების არც ერთ სუბეკიში არ ივიწყებს. „შერეკილებში“ საპირობო ხომალდი მტრებელიაა საპირობო მიმოსვლების რომანტიზმის მიმართ, გასოცარი პაროდი ტექნიკურ ესოტიკაზე, რომლის იდეალი სტანდარტიზირებული ფორმების გეომეტრიული უსახურობაა, ალუმინისა და ფოლადის, მინისა და ბეტონის უფერული ფერადოვნება, რომლის ოცნებაა უსულო მატერიის ეფეთარებად სრულყოფა, რომ ადამიანი მის გვერდით უბადრუკი დანაშაბის შთაბეჭდილებას სტოველდეს. „შერეკილებში“ (ასეზინარად საითვისა გადაწვევება ფილმის ლოკიკიდან მოდის) თვით საპირობო ხომალდი უბადრუკი და წარმოუდგენლად შეუსაბამო. მოუქნელი და ულანათო აგრეგატი მონემბეზო გახვეულ ურემს მოგვარონებს, თვითმადლებლით და უცნაური ნიშნებით, ისეთი აფრებით და თოქებით, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ვიდაცას გაურეცხავი სარეცხი მოუფხრქ-მოუფხრქნია და სამახარაოდ გამოუმწურებია. კომიში ამ ხომალდის აზრობრივი დეტორთვის (გიკ ოცნების სინამდვილედ ქვეყის ატრიბუტია) და მისი გარეგანი შესახედაობის შეუსაბამობისაგან ექმნება.

ქართულ ყოველდღიურობას ჩვენი ზღოვებდა კარგად იცნობს. იგი შემოიღოდა ჩვენს ლტერატურაში, შეატარა და კიონში და ზშირად ანაკვიანებდა კიდევ

მათ თავისი უმნიშვნელო დეტალებით. შემდგომში გებოდა კიდევ თვალსაწიერიდან ახალი ფაქტები, რომელთაგანაც შენგელაიას ფილმების უფლებად. რაკრად რომ ვთქვათ, ეს „ახალი ფაქტები“ ახალს არაფერს არ შეიცავდნენ და ისევე არ განსხვავდებოდნენ უკვე განვილილისაგან, როგორც მისივე სხვადასხვა მონაკვეთებში მოლილივე ტალები...

როგორც ჩანს, ყოველდღიურობის ნამდვილი ღირებულების განსარკვევა? საჭირო იყო „ახალი თვალის“ — საზრისის ძიება, რაკრად ემპირიული ფაქტების ხედავში „დიდი ცხოვრების“ ჩამარხულ კანონზომიერებას და, რაც მთავარია, „ბუნებრივი ადამიანის“ მონახვის. მისიანი წლების ქართული კინემატოგრაფის აღმსავლად ამ ინტერესის გაღვევებამ განაპირობა.

ელდარ შენგელაიას სამევე ფილმში ყოფის კოლორიტი მთლიანად შენარჩუნებული და რამდენადაც გამაჩვევებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გრადული ცხოვრება ძალიან სოციეტური თვალთა დანახული, ყოველ მათგანში ქვეტექტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რასაც თვალს ხედავს და ისტორიული გარნიზა ასახულებს კიდევ.

სამევე ფილმის კომედიურობა იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რომ უხერხული იქნებოდა ამ ფილმებში კომედიური ტონალობის მხოლოდ განსხვავებული ნიუანსების შესახებ გვეხაუბრა, „არაჩვეულებრივი გამოფენა“ სახტკი, მე ვიტყოდი, უღმობელი სტირია ჩვენი ერთგული სინამდვილის ერთერთი მთავარი ნაკლოვანების უკომპრომისო მოძიება, მხოლოდა იმ უცნაური სიტუაციისა, როდესაც ყოფითი ბედნიერება (ისეთი საშუალებებით მოსპოვებული, რომლებიც პათიოსნების მიღმა არ გადინს) უფრო არსებობის უფლებებულოფის შედეგია, ვიდრე რაიმე კრიმინალისა. შემოქმედება უზრუნველ უნაყოფობას შეეწერა. აგულის მთელი ბიოგრაფია ომიდან დაშორების შემდეგ არსებობად შემოქმედების განჯარა უზრუნველი („ადამიანური“) ცხოვრებისათვის, იმ ეთიკურ-სოციალურ ყოფასთან შესატყვისობისათვის, რომელიც ცხოვრების იმ უბანზე გატკონდა, სადაც თვით აგული არსებობს. რეჟისორი კარგ ქარურტის სტილობით „გაკეთებს ვკამს“ და ყველაზე „დანიანებულ ადგილებს“ მეცნიერული სისუსტით წარმოაჩენს. მაგრამ მთელი ამ პროცესის მხატვრული პარადოქსი „შემარბილებელი ინტოლერანსი“ ეფუძნება მდგომარეობს, ის, რაც შემაზრუნეი და შემაზრავიკაა, წარმოჩენის მეთოდის გამო. ჩვენს ვანცდამო კომედიური სილალო შემოიღის, ღიმილს იწვევს, მსუბუქია და ადამიანური სისუსტის სახეს იღებს. მაგრამ მუსიკა? იშიათია, რომ მუსიკამ ასე სწორედ გაუგოს ფილმის აზრობრივ ტრანალობას, როგორც გა უნჩელის ნაშუფერაში ჩანს. „არაჩვეულებრივი გამოფენის“ მარში — ლეატომოტივი მსუბუქი და გრატესკულია, მასში გათამაშების სილადეკაა და გროტესკული სიმკვეთრეც. ამ მუსიკას ილუსტრაციული როლის შესრულებაც ენერტება და ვესლანის კომენტარისაც. არსებობად კი იგი მოავარ გმირს დასცინის, მისი უფუი ცხოვრების განქიქებაა ნაკლული ნიჭის მხკვარადდება.

აი, ფილმის „მსუბუქი იუმორისათვის“ დამახასიათებელი ეპიზოდები: აგულის ეწვევა გააღმდირებული აფთიაქარი ბონავენტურა, რომელმაც უკვე იზრუნა

განსახელებულზე და ავანსად ძეგლის დადგმას აპირებს. მისი არჩევანი მაინცდამაინც უძვირფასეს ტეროსას მარბარილოზე შეგრძობდა, ეს მასალა უფრო დროაპრობიო სიმალაზის ადამიანს მიგხადავებოდა, ვიდრე ჭეჭა ბონავენტურას. ტურების ცმაყუნითა და მორგვის პლასტიკით იგი პროზაული განსახიერებაა. მისი პრეტენზიები სასაცილოა. არა ჯანდაბად უნდა ესოდენ ძვირფასი ძეგლი? ან დაუტოვა ჭეჭიანს, რომ ძეგლის მემუეობით სტრს შოაოშოაულობის მესიერიებაში გაიხიროს? თვითდაპყვიდრების ენში იგრძნობა ეპოკენტრიკის შოში იმისა, რომ მისივე ნაშეირნი მიცვალებულს პატივს აღარა სცემენ, რაც რამდარჩება — მეშვიდრეები დაიტაცებენ, ქანდაკებას კი ხელს ვერ ახლებენ, ეს იქნება ერთადერთი რამ, რაც სასუდამოდ მას დარჩება, თუნდაც „იქ“ შვილს, რწმუნადაკარგული და ესოდენ განსოლოებული ბონავენტურა, განსაუთრებით არაფრით არ გამოარჩეული და დაუსახიერებლივ ბეჭიანშემქმდე — განა შემაძრწუნებელი სიმახიერე არის?

შოვრალი, ამოუჭრობი კაეშნით დამძიმებული აგული თავის უოფოდ თანაკლასელ თინას აეკიდება, მისთან თეობრობის მოიწადინებს. თინა! ოჯახური დესპოტიზმის მსხვერპლი. მის ღირსებას ძმები ისეთი დაუწარმევი ენერგიით იცავენ, რომ უშაღ უოველ მისთან რეშმხედრას წელბს გამოაყრვივებენ, ვიდრე მათი დარჩეულიდან დახლოებებს მოასწრებს. „თინას ისტორია“ — მოულოდნელი შეხვედრით დაწყებული და ქალის ოჯახში აგულის მისვლითა და მის ძმებთან შეხვედრით — შედეგტ კრილობების მოშუშებით დასრულებული — სპასიოლო ამბავია, ანექლოტია, ფილმოსაოვის ჩვეული არტისტიკშით გათამაშებული. თინას ტლანკი, მხეცხაბა ძმების ეტრანზე გამოჩენა აგულის უეტარი ვენბის სავალალო დასასრულებს მოასწრებს, მაგრამ უოველივე ეს კომედიურობის ისეთ ხარისხშია აუჯანლი, რომ ძალაუნებურად მშიარულ ტალღაზე გადააწრებს. არჩებოთად კი, წამიერი მინიშნებით, ერთი შირბით, ერთი სახასიათო ამბის მეშვეობით მოხაზულია ისეთი სიტუაცია, რომელიც ჩვენი მეშნაწური სინამდვილის უაღრესად მწვავე მხილბებს ხასიათს იძენს. განა ჩვენში ისეთი ოვიოთაობა, როდესაც ახალგაზრდა ადამიანის ხედს, თანაც ისეთ მინიშნელოვან საკითხში, როგორიცაა ინტიმური ცხოვრება, საყოფარო ოჯახის შექმნა და სხვა, მისი სხილბით ნათესავები წვეტბენ? განა არ მოუწვევიათ ახალგაზრდათა ახალი, ჭერ ნორჩი ოჯახი შრარუნველ მოზობლებს, ძმებსა და ნაოტავებს? განა ბარბაროსული ზედამხედველობა, მეურვეობა, ბოლოს და ბოლოს, შრარუნველობა (რაც დაუსრულებელი ყვედრების ხასიათს იძენს, რატომ ამავი არ დამიფასე, შესაფერის გზას არ დაადექი და რატომ აღნაშდვიენბ ჩვენს ტრადიციულ ოჯახს?) ადამიანის ძირითადი უფლებების შელახვა, მისი პირადული ღირსების გათეღვა არ არის? განა უკვლას შესწევს ძალა ნავის გატეხოს და ცხოვრება ისე აწყყოს, როგორც გონება და გული უყარნახებს? განა არ უოფილა, რომ მოულოდნელი, წუთიერი გატაცება ბედნიერების დასახამად ქცეულა? თინას სიტუაცია სასაცილო კი არა, შემაძრწუნებელია, იგი მოგანლიო არა, ჩვენი სინამდვილიდანაა ადრეული. ეს ის ეპი-

ზოდია, რომელიც საუბრის გაგრძელებას უნდა დასრულებული შეიქცეოს საზოგადოებრივად მანკიერი სიტუაციის შესვლისათვის იბრძვის.

„სამანიშვილის დედინაცალიც“ სასაცილო ამბავია, იგი შეიძლება სასაცილო ანექლოტის ტერმინზე გადაყდეს (და გადაუტყველოთ კიდევ — სეთია ჩაენი სენენია და კინოს ტრადიცია), ბოლომდე შეინარჩუნოს შარქისა და გროტესკის ტონალობა, სიმსუბუქე ამბის უხეხირი მაქნაალზე, რომელსაც ვიი ქვეყნისაგან დეპარტოვა. ე. შენგელიასთან, როგორც ითქვა, ეს სთუეტიკა მასალაა იმ ადამიანის ბედის დასახასიათებლად, რომლის ცხოვრების სარბიელი ისე დავიწროებულა, რომ მას სთელი ეთუთობა და უშწეო, ვერავითარ გამოხავლს ვერა პოულბის თავისი ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად, დიდი სამყარო, რასაკვირველია, იმ ხანადაც არსებობდა, მაგრამ პლატონადექ იგი უერ აღწევს“. უფრო ზუსტად რომ თქვათ, პლატონი (და მისი კლასიკი) ჩინშია, კუნძულზეა, მოწვეტილია ნამდვილი ცხოვრების დინებას, განწირულია უდიდამოდ არსებობისათვის, რომელშიც სინარულია და ტრევილი მხოლოდ ვიტალური ყოფნის ფსიქოლოგიური განზომილებებია.

ამის შესაბამისად კლდიაშვილის მოიხრობის ტონალობა ე. შენგელიას ფილმში მთლიანად ტრანსფორმირებულია. ფილმში შეინარჩუნა გროტესკიცა და შარქიც, შეიქცა მახვილი კარიკატურული დეტალებით, მაგრამ თაუიდანვე, ფილმის შესავლიდანვე აქ შეიგრტონალობაც ჩაისხა — ტონალობა ნაღვლისა და დრამატიზმისა. მთელი ფილმის მინაშლზე ამ ტონალობის ჩრადლი არ მოშორებით თვით კაშკაშა ფერებში გადაწვეტილ სცენებსაც კი. ფილმის ბოლოს კი ეს დრამატული ტონალობა მეტოხს. იგი განაპირობებს ფილმის დედაჩარს. იგი ურევე აშკარად მიგვანიშნებს რიების ხორის იდეას, მის მიერ პლატონის ცხოვრების ხედვას, ფილმის ბოლო კადრებშიაც არის კომედიური ეფექტიტობა, მაგრამ ამეაბად ისინი ამეაჭრებენ სიტუაციის დრამატობას... პლატონი კედელს აცრია და მოუთმენლად ელის დედინაცალის მოლოჯინებს: იქნებ ვაჟი არ შეიქნოს, მაშინ მის შვილებს არ ჩაუდგება შემკვიდრობაში წილად. კირილ ეტონი ცტხს მეშოქენებს და პლატონს ისე ჩამოართმევს ხელს, თითქოს მიცვალებულს უსამიშრებოს და თანაც ანუგეშებს: გოგო დაბადებოა. პლატონი ხავს ებლატეუბა, სიძეს ისეთი მუდარბით შესტეკირბის, თითქოს ინაუე იყოს და, მოკიდებული, ვის გააჩნეს დედინაცალი, „ბიპია! „ბიპია!“ — ისმის აიენიდან კირილეს ხმა (ალბათ მიშავალი ძეგობა თუ აღატკინებს ქეიფის მუსხებს) და თოფით აუწყებს სოფელს ბეკიანს ოჯახის მომარავებას.

ამ ისტორიის ლოკოტორი დანახკნია პლატონის მიერ ღობის აღმართვა მისსა და ბეკიანს ეოეებს შორის პლატონის სამყოფელი, მისი ასპარეზო კიდევ უფრო დავიწროვდა, გამეტებით აშენებს „კედელს“, წინელწინელზე ადებს, საცაა თვალი ვილარ მისწვდება ღობის მიღმა მდებარე მიწას, ეჩქარება გაემიწნოს მამს ალბათ, კედლის აშენება მისი შურისძიებაა, მოხუც მამის დასაცავა, ამიტომაც, მის მუდარბას გამაგებებო შეგატებებს: „მე შემობრალა ვინმეში?“ ამ სახიწარვე



თლი ინტონაციით სრულდება ხაოცური კომედია. მარტოობისა და უიმედობის სუსხი ძვრის მასში.

„შერკელები“ დასაწყისიც კომედიურია პირველი აქორდის მოულოდნელობის მიუხედავად: მოხუცს მამის დამარცხების მიხარულების დროს აღმოხდება სული.

მეზობლები მშობრივ მშენებელს ბრავოსავით შეტყვიან ობლად დარჩენილ ბიჭს, მოთხოვენ განსვენებულის ყველა ვალი გაისტუმროს, არაფერში არ ინდობენ და იმს გაატყვიან, რომ ქოსსა თავზე დააბოძონ. და მანც, ეს სცენა ერთი წუთითაც არ კარგავს კომედიურ ელფერს თუნდაც იმიტომ, რომ დატაცება-დარბევის ეიზოდი მხიარული ხალხური სიმღერის ფორმად ვითარდება. თანაც, მოვალეები ისეთი კეთილშობილურ თვადებით უშვებენ ყმაწვილს, ისე ალერსიანად, მამაშვილურად მიმართავენ მას, თითქოს აქ დროის სატარებლად მოხულანო და რისი მიღებაც შეუძლებელია, აღარ ედავებიან, მომავალთვის იყოს მისი განკარგულება. რაც მერველია, ის მღვდელთა თავისი დამთრითა და ყველაფერი ნახსენების აღწახსებით. ასეთი კომედიურობა სრულებითაც უწყინარი არაა, და ჩვენ კიდევ დაავიწყდებით მის ზნეობრივ იგს.

მაგრამ უსჯარად სატირული ხასიათისა იგი იმ სცენებში, სადაც პოლიციელი ხუტა და საგაიეთის დოსტაქარი (გეთა შორის ყველაზე გეთი) მონაწილეობენ. ამ ეპიზოდებში ენარულ-სახასიათო კარიკატურულ ფორმებს იღებს. კომედიური სიტუაციები იშვიათი არტისტიზმითაა დახატული, ესაა სასაცილოსა და შემხარკავის, გაუგებრობებისა და იშვიათი სულიერი სიმანქნის, მხოლოდ კომედიური ენარისათვის მოსათმენი სირობითობებისა და უცნაურობების ნამდვილი ფუნქციონირები; კაპწია ქალი, ქმრის სახლიდან გასვლისთანავე საყვარლებით ირთობს თავს და თავის გადასარჩენად საჭიროდ სარისო საქმენს ყაღაღებს შემთხვევით გაცემულ სოფელ ბიჭს. ციხისთავისათვის ყველა სიტუაცია მისი გონებრივი უშეუბოხის, ცხოველური ინსტიქტების და საკუდაკარგული ენერჯის გამოვლენის საბაზაა. ნებისმიერ ნაწარმოებში საგაიეთი არჩეულ მებრძოვად მომგებიანი მასალა კომედიური სიტუაციების შესაქმნელად, თანაც ძნელა მოპარული ხერხებისაგან თავი დაიზღვიო. ე. შენგელაიას მიერც „თავისებური საგაიეთი“ აქვს დოსტაქრის პრეტენზიებით, ავადმყოფების ტიპათით, მათი მშვენიერების სიუჟეტითა და ბოლოს, იმიტომ, რომ ეს საგაიეთი თვით იმ სინამდვილის განწოშილებია, მისი ორგანული ყოფაა, რომელშიც სულიერად დაავადებულთა კლინიკაა მოთავსებული. ყოველივე ეს სატირული ხელოვნების კანონიერი კუთვნილებაა.

მიუხედავად ამისა, „შერკელების“ ენარის ზუსტი აღნიშვნა რომ აუცილებლობას წარმოადგენდეს, ეს თვით უნდა განმარტობს როგორც „რომანტიკულ-კომედიური“. თავისთავად რომანტიკული (კლასიკური ესთეტიკის ნორმებით რომ ვიხელმძღვანელოთ) კომედიურის საპირისპიროა და ერთი მეორეს თითქმის გამოირცხავს კიდევ. ფილმის ენარის აშვარი განმარტება მხოლოდ იმისათვის დამკვირდა, რომ ხაზი გაშესვა ამ ორი მართლაცდა საპირისპირო ენარულ-ესთეტიკური საწყისის უცნაური შეჯავებისათვის, რაც ფილმის მრავალ განწოშილებაში ვლინდება. ერთის მხრივ, საყოფაცხოვრებო საწყისი (კომედიურ-სატირუ-

ლის მოთავარი სფერო „შერკელებში“) იშვიათი ხელოვნებით, მეკეთრი რეალისტური ხედვითაა დახატული. აქ ყველაფერი ცხოვრებისეულია, მრავალანალოგიურ პერსონაჟსა და სიტუაციის ენათხავება კომედიური ხელოვნებიდან და ამრიგად მის ესთეტიკას „მოგადეფარული“ თავისებობა გარდატეხით ამკვიდრებს. მეორეს მხრივ, ორი პერსონაჟი — ერთანში და ქრისტეფორე თავის „ეპიკურულ დასაბუთებას“ რომანტიკული ხელოვნებიდანაც იღებენ. ერთანო ჭაბუკის ხალხურ იდეალს შეესატყვისება: იგი ავლურფული და ალალმართალია, კეთილი და საზრიაინა. მაგრამ, რაც ამეამად ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობისაა, ერთანო სიყვარულშიც და ცხოვრებასშიც დამოკიდებულებაში რომანტიკულ ბუნებასა ამკვიდრებს. უნდა ითქვას, რომ ეს როლა მთლიანად ლირიკულ-კომედიური ენარის ფარგლებშია მოქცეული, არაიეთარი ვახვლები მის მიღმა ამ სახეს არ გააჩნია. მაგრამ თვით კომედიურში პიეტური იმდენად აქცენტირებულია, რომ ერთანო იდეალური გმირის მნიშვნელობას აქენს. ეს იდეალურობა მელდენდება მის მიერ გარკვეული სოციალური ტიპის შეზღუდულობის გადალახვის ფაქტში. ერთანო ნათელი ოცნების განხორციელებისათვის იბრძვის და მისი სწრაფვა — ციხისა და საგაიეთის კერძ ქვეყანას თავი დააღწიოს და ლაყვარლადც ცაში გაინაყარდოს, კომედიური კოლორიტის მიუხედავად, ეთიკური იდეის მასშტაბზე მიგვითითებს.

ქრისტეფორეც (ე. ჩხაიძის შესანიშნავი თამაშითა და ე. მანგაქაიას დაუვიწყარი განხორავნებით) — ფაქტურითა და პლასტიკით, მეტყველი ინტონაციით და შესასურთი უშუალოებით — კომედიური პერსონაჟია, რომელიც რეალური ვითარების გასაოცარ გაუთვალისწინებლობას მოქმობს. ამ პერსონაჟის ეკრანზე გამოჩენისთანავე ელდარ შენგელაიას ფილმში „გრავ მომტერკრისის“ მოტივი იჭრება (სამუდამო პატიმრობამისიქილი მოხუცი ჭაბუკი პატიმარს თავის საიდუმლოს გაუმუდავებს, გაანათლებს მას და მათემტკიური მეცნიერების საიდუმლოებას აჩარტებს). ფილმის გმირები, დიუმას რომანის პერსონაჟების მსგავსად, საიდუმლო გასაცვლელს თხრიაან, ოღონდ ქრისტეფორეს, ფრანგი წყურლის პერსონაჟთან შედარებით, აქვს ის უპირატესობა, რომ საყოფილოდელან ცოცხალი ვაჟა. ქრისტეფორესთან ერთად ფილმში იჭრება არა მარტო მოპარული სიუჟეტური მოტივი, არამედ მღიერდება „რომანტიკული ინტონაცია: მოხუცი ხომ ქვეშაობიტების მძაიებლობისათვის დისაქა, ამალღებულ სიყვარულს შეეყვარა. იგი მეოცნებე და იდეალისტია. ის სინამდვილე, რომელმაც მისი სატირუ არ დაინდო, ქრისტეფორესათვის საძულველი სინამდვილეა, რომელსაც მან თავი უნდა დააწიოს. მოხუცი თავდევნილები იბრძვის ამ ოცნების განხორციელებისათვის და ერთანოსაც შეეიმანაყავებს. მოხუცსა და ჭაბუკს აკავშირებს ერთი იდეალი — რომანტიკული სწრაფვა. იგი მხოლოდ კომედიურობით, საყოფაცხოვრებო ელემენტების სიმამრითა და ენარულობის სიმკვეთითა კომედიური, არნებითად კი — თავისი ეთიკური პაიოხი — რომანტიკულია და ამ საწყისის თვით გამართა სახეებში აძლიერდება.

სტილისტური მაქსიმა — სირბილე და სილადე,



„ნაწილობრივ“ მინც, კომედიური უნარის ბუნებითაა განპირობებული. ეს ის ფილტრია, რომელშიც ე. შენგელაიას ფილმების ყველა მონაწილე გადის, განსაკუთრებით კი ის აქტიორები, დადებით როლებს რომ ასრულებენ. ერთაოზის, პიონიას, მარგალიტას, ქრისტეფორეს, პლატონის, გლაშას, აგულის, ელენეს სახეები შეტრულებულია სხვადასხვა აქტიორული ინდივიდუალობის მქონე მსახიობების მიერ, რომლებიც პლასტიკითა და მტკვულეებით ერთმანეთისგან გამოირჩევიან, მაგრამ „საერთო სტილს“ არ არღვევენ: თვითუღმში იგრძნობა თვინიერება, შინაგანი დელიკატურობა, გულგლია ინტონაცია. თვითუღმ მათგანში იგრძნობა ბუნება და ბუნებრივობა, თვითუღმს დაჰკარვს ქვემარტივი ადამიანობის სხივი.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თვით უარყოფითი ტიპების კი შენგელაიას ფილმებში იშვიათად თუ იწყვეტ შემაჯარვნი დამოკიდებულებას. ის ახსენებს სასაცილოს ბუნებით, შარვის ზასიათით და მიღწეულია წმიდა ადამიანურის უტირებით. ასეთ პერსონაჟებში უარყოფითი იმდენად უსუსური და დაწვრილმანებულა, რომ იგი აღარ აღქმება როგორც განსამიანობით საშიში ძალა, როგორც სიყეთის ალტერნატივა, ეს უარყოფითი საბედისწერო აუცილებლობა კი არ არის, არამედ გაუგებრობა, ანაქრონიზშია, ცხოვრების დროწმულე წესის სიაჯიჯა, რომელიც ადამიანშია პერსონიფიცირებული და ამიტომაცაა თვალნათლივი. განა ასეთი არაა კირილე დროსტარებისადმი თავიან დაუოკებელი სწრაფვით, ბაქიაობის არტისტრზნობითა და იფი დარდმანდობით? განა ასეთები არ არიან თინაძეძებე? განა პოლიციელი ზუტა პარველ რიგში სასაცილო არაა თავისი გონებაჩლუნგობით, ფუსფუსობითა და ავზორცობით? ის ნინამდივლეს თუ ასეთი დამცველუბა ჰყავდა, კარგად ჰქონია საქმე! ანდა, ცრუმურწანი ნოშრცვანი, ჟეთონ ჯეი და შერეკილი, რომელიც მთელ მოსახლეობას სიამოვნებით ჩაეკვავდა თავის კლინიკაში? პოლიციელიც და დოსტაქარიც სხვა უარწულე პირობებში, თუნდაც კომედიურში, მაგრამ სხვანაირი პლასტიკური გადაწყვეტისას სულ სხვა ელერადობას შეიძენდენ, უფრო მკვეთრად გამოხატავდენ ის საზარელი სიტუაციის შემაძწრუნებლობას. დიას, უფრო მკვეთრად, მაგრამ მაშინ დაიარღვეოდა ე. შენგელაიას სტილისტური მაქსიმა: მსუბუქად და ლაღად მოგვიტბროს არსებითი სოციალურ-ზნეობრივი პრობლემის წესახებ.

ქინწილბამატურბინის პრინციპები

ელდარ შენგელაიას ფილმებში საქმად დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული განვითარების რიტმისა და ტემპის, დროის „ღებებისა“ და მისი „შეკუმშვის“ პრობლემები. ობიექტურად რომ ვთქვათ, უანრულ-უოფობის სიჭარბეს შეუძლია შეანელოს დრო, დეტალების სიუხვს შეუძლია ყურადღება გადაიტანოს თავის თავზე. ამის ნაცვლად კი შენგელაიასთან „დროის დერძმე“ განლაგებული სრკაოები სწრაფი ტემპით სცვლიან ერთმანეთს, არ იქნება მათი გააზრებისათვის თითქოს აუცილებელი პაუზები, კომედიურად მომგებიანი სცენებიც კი არ არის

„გაქმული“. მავალითად, ქორწილის ექვეყნუესქმანიშვილის დედინაცვალში“ თავბრუდამბტყვმწტყმწთ ვითარდება. მიუხედავად ამისა, აქ ყოველი დეტალი „თამაშობს“ და ბრწუნავს (წინასაქორწილო ფუსფუსი, ნემე-დედოფლის მოსვლა, ქეიფი, კირილეს მიერ განაწვეული აყალ-მყალა და მერობელთან გაღვივება სუტმარაა შორის უამრავი ლამაზმანია, შეზარბოშებული პლატონს კი ერთი ხნიერი მანდილისანი ამოუჩემებია. კირილემ რომ გააცნო, წამსვე მამისაყენ გაუნდა გული. შემდგომ საცეკვაო წრე. წინ ბავშვები ჩაუცუქულან, უქან მოზრდელბი მოზუვადდენ. ჯერ კირილე და ვიაცა ახალგაზრდა ცეკვავენ, შემდგომ პლატონი შემოიჭრება. ეტობა, რაცაა აქვს ჩაფორბებული, თორემ საიდან ახეთი სიამამე? წრეს გაარღვევს და ის ხნიერი მანდილოსანს გამოიწვევს, გამეტებით ეცეკვება, თითქოს ამით სურს მამამისი მოაწროს.

ცვალებადობის დინამიკა ელდარ შენგელაიას ფილმებში იმდენად საგრძნობია, რომ კადრების ენერგია თითქოს ამოწურავი რჩება. იგი კარგად ითვალისწინებს აღქმის ფსიქოლოგიას: სიბნის უფრო ადრე შეწყვეტო თვით ძალიან სინტერესო ეპიზოდებიდრე დააგვიანო და. თავისთავად გასაგები, დიდხანს აწვალო. მიუღ ჩენს კინემატოგრაფში ათაქტრ ასახულა დიდი სამაშულო ომის დამთავრებით გაწვეული საერთო-სახალხო ზეიმი, შეზავებულობა განუვიერებელი წუთები, დაბრუნების სიხარული, ჩაქრობილი კერების კვლავ გაღვივების შთანბქვადვი მომენტები, მართლაც მბატკრულად უღარებად სინტერესო სურათები შეიქმნა ჩვენი კინემატოგრაფის ოსტატათა მთელი თაობების მიერ. ომის დამთავრების მომენტი აღმეფილია „არაჩვეულებრავ გამოფენაში“. ამ მომენტის გადმოცემა მუდამ გარკვეულ „მბატკრულ საფრთხესთანაა“ დაკავშირებული. როგორი სიხალეც არ უნდა მიიწეოს კონკრეტულ ყოფით მახლას, რა სიხალეც არ უნდა ახლდეს კონკრეტულ გმირთა ხასიათებს, ზოგად თავის განზომილებაში ეს უკვე ვარაიაცაა უკვე თქმულისა ალბათ, ანებომაა, რომ „გამარჯვების დღესასწაული“ „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ სწრაფი განარბენია, რომელიც მოცემული ტონალობიდან წამიერი მოდულაციის მნიშვნელობამდე დაუყვანილო (ჭკუე-ჭკუედ შეტრებილი ხალხი, თოფების ბათქა-ბუთქი, დემონსტრანტთა გაბრწყინებული სახეები... შეუძნეველი გადასვლა აგულისად და პიონიას სახლში, სადაც უკვე გლაშაც დიასახლისობს და... შეუძნეველი დაბრუნება კომედიურ ტონალობაში).

მბატკრული — იდეის განსახიერება. განსახიერება კი, სხვაასან ერთად, მასალის განუწიერებლობას. მის თავისთავადობას გულისხმობს. ეს მასალა, შესაძლოა, სხვადასხვა მზრიდან იუოს დანახული, მაგრამ თვით სუბიექტური გადამშეშავების პირობებშიაც კი ინარჩუნებს ობიექტურობას. ეს ობიექტურობა ზემოქმედების მეორე პლანია, რომელიც, მართალია, იდეურ-მსოფლიმდვედლობის ექვემდებარება, მაგრამ მასზე არ დაიყვანება. ფილმში „ოლიები ნავთხაყუ-



დელში კვდებიან“ გამოშვებული ბეტონისა და ფოლადის კონსტრუქციები ამჟამრებენ ადამიანის უმწილობისა და განწირულების იდეას. მაგრამ რკინისა და ბეტონის ცივი პეიზაჟი ინდუსტრიული ეპოქის ობიექტურად არსებულ რეალობაა, ჩვენს აღქმის იგი შემოდის არა მარტო მთავარ იდეასთან ერთად, არამედ როგორც თავისთავადი რეალობა, რომელიც უურადღებას იპყრობს თავისი არქიტექტურული იდეის განსაკუთრებულობით, გეომეტრიულობით, რაციონალიზმით, რომელშიც სუფთად ემციურს (სტიქიურსა და სპონტანურს) ადგილი აღარ ჩრქება.

დაბ. ის მასალა, რომელიც ფილმში შემოდის, ინარჩუნებს თავის სისხლსორცულს, თავის განუმეორებლობას, იმისაგან დამოუკიდებელი, საქმე პეიზაჟს ეხება, უარულ საწყისს თუ თვით პერსონაჟსაც. განსაკუთრებით საფრთხის, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს ის ხედვითი თუ სწავის მასალა, რომელსაც საყოფარო დიდი გამოშახველობა გაჩნია. რეჟისორები (და მათ შორის ქართველი რეჟისორებიც) საქმად ხშირად სცოდავენ, როდესაც კინოფირის თავსებურ გამოყენას ანგავსებენ, როდესაც მათი ფილმი საყოფარო იდეის გარდა კიდევ ერთ ფუნქციას ივადებს. დაარწმუნოს მაყურებელი: აი, რა გაგაჩნია, და მარტოაც უყურებ ასეთ ფილმს და ტკბები თბილისის განუმეორებელი ხედვებით, მცბეთის სვეტიცხოველითა და ჭყრი, ქართული ხალხური სიმღერების მშვენივლით, ჩვენი ეროვნული სახვითი ხელოვნების მრავალი ნიმუშით, ამასთანაში შეიძლება ისიც დაგვაიწყდეს, რაზე იყო ლაპარაკი ფილმში. აი, ასეთ მომენტებს ვერ შეხვედბა კაცია ე. შენგელაიას ფილმებში, აქ არაა ნეიტრალური და ავტონომიური, დრამატურული ფუნქციისაგან თავისუფალი მომენტები. ე. შენგელაიას ძვალ-ჩბილში აქვს გამჭდარი ეგრანის პლასტიკა. კინობერხი მისთვის ამა თუ იმ იდეის გასაღებია და კინოკადრშიც იმაზე მეტია არა მოთავსებული, რაც აუცილებელია მხატვრული განსოგადებისათვის. ამიტომაც, ყოფით დეტალების მახვილი ხედვა და თვით მათი სიუხვეც კი (როგორც ეს, მაგალითად, „არამეულებრივ გამოყენება“) მასილის ემპირიულობას და ნატურალიზმს არ უღრის: უველაფერი ემსახურება მთავარ იდეას, რომელიც არაფერში არ არის დეკლარირებული და, ამავე დროს, ამ მასალის მთავარი აზრია, მისი კადრში შემოტანის მთავარი მიზანია. ელდარ შენგელაიას არტისტში ვლინდება კინოკადრის დასრულებულობაში და მონტაჟის ხელოვნებაში. თვით ფორმის რტბში, თავისი დაუსრულებელი სახეცვლილებებით მღორე მდინარეებიდან აფეთქებამდე, განპირობებს ამ ფორმის ცოცხალ სუნეჭებს.

ქართული კინოს ერთ-ერთი თავისებურებაა ყოფის სიმბოლურობა, უზარალო დეტალის დიდი მნიშვნელობით დატვირთვა და მისი შეშვეებით ფსიქოლოგიური სიღრმეების წარმოჩენა, ბეიანა და ელენე მოგზაურობიდან დაბრუნდნენ. მძიმედ გადმოდას ელენე ურმიდან. ორსულობა კარგა მაგრა დაჩვენია. დადლილა. „გაზში ვავიანებო“, ბილიშოხს. პლატონი და მელანო გაქვავებულან, იხე უშერენ, თითქოს ურჩხულის გამოეცხადნ. ბეიანა დარცხვენილია და სახლში

იხე შეიპარა, თითქოს დანაშაულში ახლავე ამბილიონი და თავს გაარიდებს განსაცდელს. სამინიშვილის რკინიუფკრულის პირს აღმოჩნდა და დრამის მონაწილურ ამას გძრობენ. ყოველ მიმოზგრაში, ყოველ გამოხედვაში შინაგანი მშფოთვარება იგრძრობა. ეს ახალი ფსიქოლოგიური ტინალობა აი ასეთი შეუშრნეველი შტიკრბობათაა მონაწილბული.

ამ კადრების ბუნებრივი გაგრძელება და კულმინაცია იმ ეპიზოდზე მოდის, რომელიც ბეიანას მოსასვენებელში გათამშვდება. ჩანბნეულ-ჩაშვებულთა ოთახი, თითქოს სუდარა გადაუფარბიათო, უსიტყუო ვახშამი. აფეთქების საბაბი გახაოცარია: ელენე ან ვერ ამხნევს, ის არ იმხნევს დაახლულ ვითარებას და აღურისი ხელს დაადებს პლატონს. გველნავნესავით წამოვარდება გერი, მიწაზე გამეტებით დაანარცხებს საძულველ დედინაცვალს — მზავარს. მატუფარას, მისი შველების სარჩოს რომ წაემოტინა, პლატონი და ბეიანა ერთმანის ცრვარბიან, მელანო უშუაში ჩაუდგება გახედულე მამაშვილს. ელენეს სახე ამ მომენტშიაც კი არ კარგავს სათნო გამომეტყუვებებს, ოლონდ ტყივილი და გოცება გადახტარავს მას.

უველაფერში ხელი მოეცარა პლატონს. უველას ბრალი მიუძღვის მის მარცხში, და, უპირველეს ყოვლისა, თვით უნ: ღმერთი სჯის, რომ ბრეგაძებებს ვექსილის ძალით უღდა წარათვას სამშოთყო, ამ შხავრული გეგმის მოთავე არისტოა, ფლიდი საქმოსანი, როგორ არა მკავს მათი შეხვედრა სუსხიანი ზაქორის დამდგეს იმ პირველს, როდესაც ერთმანეთი გაიცნეს და, ურთიერთდებით განსწკვალულნი, თვით თავზაინაობას განახიერებდნენ. არისტო უველაფერი არაგულწრფელი, მოჩვენებითი აქვს. სტუმრალ შეიპარეებს პლატონს, თუმცა, სადა აქვს მისი მიღების თავი: ოდა დაუმთავრებელია, სახსოთას მისასვლელი უხვიროა, ერთ ოთახში ჩამწყდებული მისი ჭალაბი ეღვავს — თავზე უცხო კაცია არ გავაყენსო.

დეტალია, მაგრამ რარიგ მეტყუელი, პლატონს ჭოროზე ამხედრებული მღვდელი რომ შემოხვდება ონვარი შვილით. სახსულიერო სასწავლებელში მომავს, მაგრამ ბავშვის იხე ეშვაკურად უციინს სახე და თვადები პეით-იხე იხე გაურხის, რომ დიდი ღვთისმშროშობა სულ არ ემჩნევა. არა, ეს უმავწილი ცხოვრებაში არ დოიკარგება.

ელდარ შენგელაიას დრამატურგიული აზროვნებისათვის დამახასიათებელია სწრაფი კინემატოგრაფიული ტემპი, დაკონურთი ეპიკოლოგიური „მძივითი ასხმა“. საზოგადოდ, დინამიკა კომედიური სიუჟეტის განვითარების წინაპირობაა. ე. შენგელაიასთან მისი სპეციფიკა იმითაცაა განპირობებული, რომ შარუსა და გრტრესს, ხშირად, ნაღველიც გამოიჭევა, ეს უკანასკნელი სიღრმისეული ნიშნებიცაა, ამიტომაც, თვით კომედიური ხშირად ეკაყოფილიდება ერთი დამახასიათებელი შტრახით, ერთი სახასიათო დეტალით. საზოგადოდ, ე. შენგელაია სიტყუაპონწია, აქცენტებს ობიექტივის „განსაკუთრებული ყუთისი“ მეშვეობით აღწევს. „სამინიშვილის დედინაცვალში“ ამ მხრივ საგულსხსნოა ბრეგაძებთან პლატონის სტუმრობის ამსახველი კადრები: შქარდეტუელი არისტოის ფუს-

ფუსი, პლატონის მღვდვარება, რომ „კანდიდიტი“ ხელდასრულდა არ გაუშვას, ელენეს ქვეყა მთელი ამ სცენის მანძილზე (ჭერ შეიცხადებს — არა დროს ჩემი ქორწილიაო, მერე კი სარკესთანაც წაიკეცლებს — მოვეწონები თუ არა სახედოსო). შემდეგ კომედიერის სურათების ახალი რიგი: ბრეგაძეების დაბრუნება სახლში — ტლანქები და გამათხოვრებულნი ფინანსებიდან და მისი ფერიც და ულანათობაც საოცრად შეესატყვისება მათ ძოწნებს, ელენე ძლივს დაითანხმებს მალხვას სტუმრებს რითიმე გაუმასპინძლენდნენ, ქათმის დაკების სცენა, სადილისა და ღვინის დაუსრულებელი ღლონის, მოლაპარაკება, რომელიც შემკულია კირილეს მჭირდავი რეპლიკებითა და ორმხრივი აშკარა მუქარით. ელენეს გატაცების მოკლე ეპიზოდის კომედიურ ტრანზიციას ელენე უფრო ამოაფრებებს: დიდან-პატარაანა მთელი სოფელი მოწინააღმდეგეობს ბრეგაძეების ოჯახის „ღირსების დაცვაში“, სახლების სახურავები და სხვნივნი დახუნძულია სვირის მომლოდინე ხალხის. ელენე გულისამაზრუებლად ეთხოვება რძალს, პლატონი მოწინააღმდეგეობს სვამს სადღეინაცვლოს თავის ჭაგლაგზე და მოხმდურები გზას გაუღვებინა. მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი დაწვევა შეუძლებელია, აწარმოებენ ბრეგაძეების ოჯახი და მთელი სოფელი. ატუდება თოფების ბათვა-ბუთქი, მღვდლებსაც დაადვენებენ („ნუ იჩქარებ“, უჩრჩვს უავარგნებზე შემდგარი დედაბერი ბრეგაძეების ოჯახის ღირსებისათვის თავგამოფრებულებს).

ყველაფერი ეს სწრაფი ტემპით ვითარდება და ბუნებრივად გადაის ფილმის ერთელთ ქუმშარტიად ღირსივლი სცენაში: ბეკიანს და ელენეს შეხვედრის ეპიზოდში, მოხუცი კაცი ჭიშკარში ხვდება საცოლეს. პლატონი მოკრძალებით ჩამოსვამს ქალს ცხვირიდან. მოხუცი ეწოსკან დაიჭრება. გასხვიონეული სახეები აქვთ, დინკად საუბრობენ ამინდსა და მოსავალზე. მათ საუბარს ექსოვება ხავერდოვანი ჰაერშივლით მოვარაუებული მშვენიერი ხალხური მელოდია „შალვა, ჩემო სიყვარულო“. იგი სიმბოლოა ამ მოხუცების ჩემო, ცხოვრების ნეტარი დაისის მოლოდინისა, ამაღლებული წუთის განცდილისა. ქალიც და კაციც ერთმანეთს თავს უწონებენ, მაგრამ ორთავე თავდაპირველი და დარბახივლია. ესეც პეტერის ნიშნებია.

რეჟისორი არც აქ „კარგავს დროს“ და მრავალფეროვანობით, სახეს საქორწილო სურათთა და დროსტარების ამსახველი კადრების ავირგვინებს „ბეკიანას გაბედნიერების“ ეპიზოდს. მრავალფეროვანი კომედე უფერს და კინოკამერის „თვალი“ ბუნების მადლიან ხედებს მისწვდება, თითქოს გადაარბუნს მათზე და მიწის ნაკვეთზე ჩერდება. მიწის ნაკვეთზე, რომელსაც — თითქოს არაფერი შეცვლილიყოს — კვლავ ჩაქიპრტივებს პლატონი.

ყოფითის მკვეთრ შეგარწმობასთან ერთად ელდარ შენგელიასთვის უცხოა ჩვენშიც და სხვაგანაც საკმაოდ გავრცელებული ხერხი, რომელიც წინასწარ განზრახვით რაიმე დეტალს კურსივით წარმოაჩენს და მკურნებელს აძულებს ქვეცნობიერად მაინც მანისი გარკვეული „მინიშნება“, „ფარული აზრი“ და „განსაკუთრებული მნიშვნელობა“ წაიკითხოს. ისეც

ხდება ხოლმე, რომ ამდაგვარი აქცენტის სახეობით მასალის ბუნებრივად და მთლიანობას უკარგავს მას, რადგანაც „გამორჩეულ დეტალთან“ შედარებით, ყველაფერი თითქოს მეორე პლანზე იხვება რეჟისორი არ არღვევს „ბუნებრივ პროპორციებს“ და მკურნებელს უტოვებს უფლებას თვით განსაზღვროს არ არის ამ კადრში შთავარი, ამირომაც, ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება შეიქმნას, თითქოს ელდარ შენგელიასთვის უცხო იყოს მეტაფორული ენა და ალტერნატიული აზროვნება.

ეს ასე არ არის. „წინასწარ განზრახვითი“, „ტენდენციური“ მასთან ოსტატურადაა შენიღბული და მდევანდება თვით კადრების შერჩევაში, რეალიტეში, კადრის კომპოზიციისა და მისი განვითარების რიტმში, რომელიც ჩვენს მიერ ბუნებრივად აღქმულს თავისებურ განიშნულებას ანიჭებს. არა დეტალი, არა დრამატული სიტუაცია, რაიმე ფერწერით თუ ბგერწერით მომენტია, არამედ თვით მთლიანობა ალტერნატიული სიუჟეტის სიმბოლოვანობას. შეიძლება ამდაგვარი პრინციპი თავისებური რაქქვია კინორეჟისორისა „სიმბოლიკით“ არაკრიტიკული გატაცების მიმართ, როდესაც სიმბოლოებით თამაშის მეოდი (მომდინარე გარკვეული ესთეტიკური პოზიციიდან და „გარკვეული მხატვრული სტილებიდან“) უერთდება სულ სხვა ესთეტიკას. იწყებს ექსპეტორებს, განზოგადების ხერხთა აღრვებს და საბოლოო კამში, ბუნდვანებებს. მარტოია ამას გამო ზოგიერთ ფილმში გაუმართლებლად გავრცელებულია. ელდარ შენგელიას კი შესწევს უნარი რთული შეზარალმდე დაიფუჯოს ისიც უნდა ითქვას, რომ ე. შენგელიას კინოფორმალტრატის ზოგადი თვისებაა მისი სიხადება, სიმწკრივე, ისეთი თანაზომიერება, რომ არსად არ ირღვევს ფილმის პლასტიკა. „წინასწარ განზრახვითი“ ტენდენციაც კი, უპირველეს ყოვლისა, ფორმის ბედ-იღბალს წვევებს. მის ბუნებრივობა თუ ხელმოწერასთან პირობებს.

„ფარული წინასწარ განზრახვითი ტენდენციის“ რეალიტეში მანამე უნდა იხსნოდეს კადრები გავისწნოთ, რომელიც „არაჩვეულებრივ კალოფინაში“ თანაკლასელთა შეხვედრას ემდევნება. რა საამოა ბავშვობის წლებში გახსენება, მესხიერებაში ჩარჩენილ იმ დროის ტიპიურ სურათთა გამოცოცხლება. აქ ყველა დეტალი იქნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ბავშვობაში გაბრუნებს, ნეტარებით აგავსებს: მერხთან მიჯდომაც, სიის ამოკითხვის პროცედურაც, სკოლაში მოსწავლეთაც და მისწავლებლებსაც რომ თანაბრად აღიზანებდა; ის სიამოვნებ, დეტალსაც, ონავრობაც, „წესის დარღვევაც“ — ყველაფერი ეს ის სიბოძა, რომელიც ნახევარცხოვრებაგამოვლილ დამანას განსაკუთრებულ ღირებულებად მაჩინა. ყველაფერი ეს ჩვენში ბოლომდე ცოცხლობს, დაბ, ყოფილი თანაკლასელები მოვიდნენ, იქიფვს, იოხუნჯებს, წარსული გაითამაშებს, ილალოებს, მოილოხნებს და სიბრულით აღსავსეთ შინ წსავლის დრომაც უწინათ. ახლა შეადრტეს ეს იდილია და ფერადოვანი კარნავალი ეპიზოდის დასასრულს: ჩამოწოლილ ბინდს მანქანების ფარები ჰკვეთს, ნასუფრალით დანაკვიანებულ ეწოში, ამ შეხანიშნავი დროსტარების სულისჩამდგმელია დგას, სასწარკვეთით ემუდარება

თავის თანაკლასელებს აქ ნუ დამტოვებთო, ისინი კი ყურსაც არ ათხოვენ, უსულგულოდ ჩაუქროლებენ გვერდზე.

ეს სცენა თავბრუსდამხვევი ტემპით ვითარდება, იმიტომ კი არა, რომ აქ ჩქარა მოძრაობენ ან სასიათო სცენების კალიედოსკოპია, არამედ იმიტომ, რომ მიგრაციის კეშ მოქცეულია შთელი ის „პატარა საშუალო“, რომელშიც აგულის შემოქმედის მიხედვით უნდა განხორციელდებინა. ჩვენ ბოლო კადრებამდე რომ დაგვეჩერებინა კიდევ თანაკლასელებთან ურთიერთობის გულწრფელობა, ახლა, ამ საბოლოო შტრიხისას არ შეიძლება არ ვირწმუნოთ მათი ურთიერთდაპოკიდებულების ფარისევლობა, რ შეიძლება არ შევიგონოთ ის სიცივე, რომელიც მათ ერთმანეთთან მიადრეკებს აზრს აცლის და აუფასურებს. არა, აქაც ის მემჩანური საშუაროა, რომელშიც ნამდვილი ღიჯი უფლებებიან ვაუფასურდა და ნიღბებისა და სიმულაციისათვის თუ გამოდგება.

ერთაოზს მისხვე შეზობლები (პატრიარქალური სოფლის მკვიდრნი) გაატყავენ. ამ სათნაღობილიან დარბაზულ მოხუცებს, ვინ იცის, ცხოვრების მანძილზე რამდენი ჩაფი ღვინო დაუღვავათ სიამტკბალობის, პატონისების, საშობლოს სიუვარულისა და შვილების სადღეგრძელოდ. ახლა კი, ვაკტიურად, თავისი სოფლიდან ამოძრკვეს მისი მკვიდრი და თან იმედს გააყოლებენ, რომ მომავალში ისევ მათ დაუბრუნდეს და მათებურად, მათი სინდისით გაიაროს ცხოვრების გზა. განა ეს „წინაწარმანჭარბი“ თის“ ნიშნში არ არის? განა ე. შენგელაია დაუნებლად არ ამხელს ფარისევლობას, რომელშიც ყველაზე სანუკარში დიხსადგურა? განა თვით მასურებელმა არ უნდა გაარჩიოს, რა არის ამ სცენაში შიჩვენებითი, დეკორატიული, ცხოვრების უბრალო პირობითობა და რა არის არის?

ის, რაც უნდა თქმულიყო, ელდარ შენგელაიას ფილმებში კონკრეტული კადრის შინაგნის სახითა წარმოდგენილი და არა კადრისა და ფილმის მიღმა დეკლარაციით, რომელსაც ხშირად ესა თუ ის პერსონაჟები წარმოთქვამენ უაღბო კინოღარამატურების ნიშნულში, მასურებელმა შესაძლოა იმაზე გამახვილოს დურადება, რასაც იგი თვალნათლივ ხედავს (თუ რა ხიღრმით აღიქვამს იგი კინომოვლენას — ეს უკვე თვით მასურებლის ინტელექტზეა დამოკიდებული). მაგრამ თუკი თავის წარმოდგენებში მასურებელი დასცილდება ფილმის იდეას, ფილმის მასალაში იგი დასაურდენს ვერ პოვებს, ამიტომაც, სრული უფლება გვექონდა განვეცხადებინა, რომ ფილმებში მხოლოდ ის კადრები შესული, რომლებიც მთავარი ითვის გახსნას ემსახურება. ამიტომაცაა, რომ ელდარ შენგელაიას ფილმებში ვერ შევხვდებით სამწინაროდ საკმაოდ გავრცელებულ ხენს — „დროის შეტობობის“, როდესაც ტრეისორი, ნებში თუ უნდებლივ, განვითარების ტემას დაავადებს და მასურებელს საშუალებას აძლევს ქვერეტიო შეიქციოს თავი. არა, შენგელაიას ფილმებში დრო სწრაფად მოძრაობს. ლაკონიზმის საზოგადოდ დროსთან მხატვრის დაშოკადებულებას გამოხატავს. შინაარსით გაჭრეხული დრო მოკლეა და ტყეადი, იგი კემწარბიო მხატვრულობის საწინდარია, რაოდენ სწრაფია „არაჩვე-

ულებრივი გამოფენის“ ფინალი, როდესაც მხატვრის მარმარილოს, რომელიც თვით მის არავერში არ გამოადება, თავის მოწაფეს გადასცემს იმიდით, იქნენ ამ უკანასკნელს ეწიოს ბედი და თავისი სათქმელი თქვასო. ამ სისწრაფეში რაოდენ ბევრი რაშა ნათქვამი, რა ნაღველი იგრძნობა ამ დიდებული საჩუქრის გაღებისას, ამ მომენტს ასხივინებს კემწარბიოების, სახტო სიმაბოლის შეგრძნება. რაოდენ მეტყველია ახლავარდის სიხარული, მომენტი, როდესაც იგი აღტაცებისაგან ახტება და კამრია ამ ნახტომში „შეაჩერებს“ დროს, რომელიც აქამდე თითქმის აგულის ეკუთვნოდა და ახლა კი ამ უმწველისა უნდა გახდეს. განა ეს „შეჩერებული დრო“ ერთდროულად იმედიც და შიშიც, „შეუღლისაგან გაჩვენის“ და „ახლიდან დაწვეების“ მარადიული სანადელი არ არის? და თუ ეს „წარსულისა“ და „მომავლის“ ურთიერთთან მისვლის და ერთმანეთისაგან განცალკევების სიმბოლური წამია, მაშინ როგორდა უნდა გამოხატულიყო მათი უნდაური გამთლიანების მომენტი, თუ არა დროის შეჩერებით, დროის ახალი სვლის დაწვეების ფიქსირებით?

\*\*\*

კინორეჟისორი ისეთ კოლექტივს ხელმძღვანელობს, რომლის თვითეული წევრი — აქტიორი, ოპერატორი, მხატვარი, მუსიკოსი — ინდივიდუალობაა. თავისთავად საინტერესო პირობებში მათი ინტენაირად გაერთიანება, რომ არ შეიძლება მათი თვითმყოფადობა და, ამავე დროს, არ დაზიანდეს ნაწარმოების, როგორც გარკვეული მხატვრული მთლიანობის, ინტერესი. შემოქმედი ნაწარმოებში შემოღლის თავისი მხატვრული სტილით და ხედვით, თავისი მანერითა და პროფესიონალიზმით, საზოგადოდ, თავისი ადამიანური განუყოფლობით. მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სხვა ნაწარმოებშიაც იგი იმავე „შეიარაღებით“ წარმოგვიდგება და ახალ სიტუაციაში თავის თავს წარმოერებს, ახალ სახეებს, ახალ „ოპტიკურ ხედვას“, ახალ დეკორაციებს, მუსიკასა და პლასტიკას ისეთნაირად დაამსხვევებს ძველსა და უკვე ნათქვამს, რომ არსებითად ამ ძველზე მხოლოდ ვარაიციას შექმნის. მე მახსოვს მშვენიერი მსახიობი ქალი დინა დურბინი. არ ვიცი წინასწარმანჭარბით თუ უნებლივად, მაგრამ ყველა ფილმში მარტინარბლ მონიხებული იყო. ფილმიდან ფილმში გადადიოდა მისი მონიხებული ღიმილი, სიცოცხლით აღსავსე, უშუალო და გულწრფელი სიმღერა, მიზრამობა და მიმიკა. არავითარი მინაშენლობა აღარ ჰქონდათ ამ ფილმების კონკრეტულ სუფეტებს, ეპოქას, რომელიც ამ ფილმებში იყო აღბეჭდილი. მთავარი იყო დინას ღიმილი, მისი პაეროვანი ხელა, მისი წრიალა ხმა და პირმცინარე სახე.

ახეთი (სტანდარტიზირებული იერის) მსახიობები მრავლადაა ჩვენშიც და სხვაგანაც, ისინი ნებისმიერ სიტუაციაში, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს წარმოადგენენ და, ამრიგად, სახასიათო იერს აკარგვიენენ შესაბამის სახეებს. ეს არცთუ ისე იოლად გადასაქრელი პირობებია, რომ აქტიორმაც და როლმაც თავისი თავი შეინარჩუნოს, საქმე ისე წარი-

მართოს, რომ გამოჩნდეს როლის განსაკუთრებულ-  
ბა, ხოლო აქტიურს საშუალება მიეცეს გამოავლი-  
ნოს თავისი გამოხსახველობითი პოტენციალი. აღ-  
ნაშთ ამით აიხსნება, რომ რეჟისორები დრო-  
დადრო მთავარ როლებზე წერ კიდევ ნაკლებად  
ცნობილ მსახიობებს, და ხშირად არამსახიობებსაც  
იწყვევენ. ამ შემთხვევაში ერთი ფიქტივი მაინცა გა-  
რანტიორებულა: ამა თუ იმ პერსონაჟში, რომელიც  
ეკრანს მოევიწიება, ჩვენ ვერაკითარ გაორებას ვე-  
რა ვგრძნობთ როლისა და მის შემსრულებელს შო-  
რის, ამ პერსონაჟში აღარ აღმოვჩენთ იმ თავისებუ-  
რებებს, რომლებიც ადრე გადაღებულ ფილმებს გა-  
აჩნდათ.

ხასიათისა და მასში განსაზღვრებული ზეობრივ-  
სოციალური პირობების თანაფარდობა კი, მსატრუ-  
ლი ქმნილების ღირებულებას განსაზღვრისას, განსა-  
კუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ე. შენგელაია ფი-  
ანებს კი, როგორც წესი, შესანიშნავი აქტიორული  
მასშტაბები ახასიათებთ. „არაჩვეულებრივ გამო-  
წინაში“ გ. ლორთქიფანიძე (აველი) — ქუმარა-  
ტად კომედიური პლანის, მკვერად გამოკვეთი-  
ლი ხასიათით ტიპის მსახიობა. შეტყველი სახით,  
რომელიც სიბრძნეა, სისუბტილე, სითვისე, დამ-  
ყუბლი ადამიანის ნატურა. „შერკელებსა“ და „არა-  
ჩვეულებრივ გამოწინაში“ მოქმედებს შესანიშნავი  
აქტიორული წყვილი (ვ. ჩხაიძე და ეროსი მანგა-  
ლაძე, ვ. ჩხაიძე თამაშობს და ე. მანგალაძე ამო-  
ვანებს პიპინას და ქრისტეფორეს). ე. მანგალაძის  
მეტყველების, მისი საოცარი გამოხსახველობის სე-  
ციალური აღნიშვნა ამაჟამად ზედმეტია. ქართული თე-  
ატრის მოყვარულთათვის კარგადა ნაცნობი ეს გა-  
ნუშეორებული ტემბრი, ტემბრი კეთილი ადამიანის  
ბუნდუნისა, ამ ტემბრის „თანდაყოლილი კომედიუ-  
რობა“, ისეთი კომედიური არტიტიზმი, რომ სხვა  
რომ არ უყოფილიყო, ეხეც საქმარის იქნებოდა უა-  
ღრებად ხასიათი სიტუაციის შესქმნედა. ვ. ჩხა-  
იძეც აგრეთვე საინტერესოა თავისი აქტიორული ფა-  
ქტორით, მიმოხვარში „რაინდული ინტონაციით“,  
კლორიტული შესტეკულაციით, რომანტიკული სწრა-  
ფის ისეთი უშუალოდობა და გულუბრყვილობით,  
რომ ისიც შეუცდომლად კომედიურს ენახებრება, შე-  
უძლებელია და ჩვენი წერილის მიხანს არ შეადგენს  
ელდარ შენგელაიას ფილმების უველა აქტიორული  
წარმატების აღნუსხვა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ  
უწველი სახე სამივე ფილმში გარკვეული ტიპია და  
ამავე დროს, ადამიანური ინდივიდუალობა განუშე-  
ორებელი ჰასიათით, ცხოვრების „დამოუკიდებელი“  
სიუჟეტით, თავისთავად ინტონაციით. სწორად ეს  
ანიჭებს ელდარ შენგელაიას ფილმებს სიცოცხლეს,  
ნამდვიდ იტრს, ეს განპირობებს მისი ფილმების მა-  
ღალმხატვრობას.

რეჟისორებს, აღნაშთ, უჭირთ ქართველ მსახიობე-  
თან მუშაობა ამ უყანსკელთა კარბი ექსპრესიის  
გამო, რომელიც გამოხასილს გამოხსახველ საშუალებ-  
ბათა პიპერტროფიაში მოკვებს. მე, მაგალითად, მაი-  
ნდამაშინე აღბაკებში არ მოვიდარი, როდესაც  
ქართველებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა აღნი-  
შნავენ სახბრეთულ ტემპერამენტს, განსაკუთრებულ  
მგზნებარებასა და თავდავიწყებას. არ მიყვარს იმი-

ტომ, რომ კარგად ვიცო, რომ ჩვენი ერისთვის —  
სისათი შინაგანი სიღარბახალით, თავდაკერულია,  
თანდაყოლილ შორიდებით გამოირჩევა, ე. ი. იმით,  
რაც ათასწლეულთა მანძილზე ვითარდებოდა და ის-  
წვეებოდა. ხშირად უცხოელთა ასეთი წარმოდგენე-  
ბა შეუიხბველი შობაქმედებებზე დაფუძნებული  
და მათ შორის, სამწუხაროდ, ხელოვნების ზოგიერთ  
ისეთ თავისებურებებზე, რომლებიც აკვეტმანს  
„ხაზრის დაკვეთით“, წარმატების გამოდგენების სუ-  
რვილით, იმავე ორიენტაციით თუ რას მოვლიან  
ჩვენგან პირველ რიგში. მოვლიან კი იმას, რასაც უწო-  
ველი კომერციული ხელოვნებისაგან მოვლიან — ნე-  
რვების წყევხა და ხანახაობიობას.

დაკვეთა სერიოზული ფაქტორია და მისი „გა-  
დაღლევა“ დიდი ვაჟაკობა. ჩვენი კინემატოგრაფის  
ბეერი საინტერესო ნიმუშის სახახელოდ მინდა  
ვთქვა, რომ მათ ეკრანზე ქუმარატად ეროვნულ ხა-  
სიათს გაუხსნეს ზვა, განთავისუფლდნენ იმ დეკო-  
რისა და, სამკაულბისაგან, რომლებიც, ჭერ ერთი,  
ძალიან გარეგნულია და, მეორეც, დიდი ხანია წარ-  
სულს ჩაბარდა, ეროვნული ხასიათის შექმნის ერთა-  
დებთი რეალური ზვა კონკრეტული ადამიანის მო-  
ძიება, მასში სტეკეფურად განუშეორებლის პოე-  
ნა და მისი გამაფრება, მის წინა პლანზე გამოცანა.  
ზეამოცანა კი ამ ეროვნულს ღირებულებას დასახ-  
თებდა. მე მომწონს, მაგალითად, ერთაოზი (დ. ძღნ-  
ტის შთამბედავი შესრულებით) აქტიორი ფაქტორი-  
თაც საინტერესოა: შეტყველი სახე, შექმნიანარი თვა-  
ლები, თვით შედარებით წყნარ პოზაშიც ვერცხლს  
წყალოვითაა, ეს-ესადა დაიჭრება. მისი გამოშეტყველ-  
ბის დომინანტა გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობა.  
გამოუცდელი ადამიანის შინაგანი ინსტინქტი ენაარის  
სიახლეს, დაიჭრის და განიცადოს იგი.

მაგრამ გაცალბით უფრო მნიშვნელოვანია ამ რო-  
ლის შინაგანი პირობი, რომელიც დამაჭრებელიადაა გა-  
მობატული მსახიობის მიერ, ერთაოზი — სიცოცხლის  
აღში სწრაფვა და მისი აქტიური დამკვიდრება. ამ  
სწრაფვას ოცნება და იმედი ახსნას ფრთებს, ხოლო  
სილმანუს გმირის გულუბრყვილობა და თანდაყოლი-  
ლი სიკეთე სქნეს, ხასიათის ეს თავისებურება ერთა-  
ოზს აკვეშირებს ორ განსხვავებულ ადამიანთან, რო-  
გორც მარგალიტად და მხოველ ქრისტეფორეც. პირვე-  
ლი სიუჟეტულიც და ქუმარატების ძიებაც (სამარ-  
თლიანობის გრძნობა) ერთაოზს თავისუფლების იდე-  
ას აზარბებენ.

ქართული თანამედროვე კინოს ჰუმანიზმის ძალა  
განპირობებულია ლირიზმის, კომედიურისა და ნატუ-  
რის საოცარი სამკვეთრის გრძნობით. ე. შენგელაია  
ამ ნაკადის ტიპური წარმომადგენელია. მისი ფილ-  
მების გმირები ცხოვრების უყველდღეობაში არიან  
ჩანთქმულნი, ენერჯიას თავისი პირადი ამოცანების  
გადაწყვეტას ახმარენ. ცხოვრების ზგაც ამ ამოცანის  
ამოხსნას უნდებდა. ეს გმირები, ხშირად, ხასიათილად  
გამოიყვებიან და ყოველ შემთხვევაში არც ერთი მა-  
თვანი არა, დიმილს რომ არ იწყვედეს, მაგრამ ამ კო-  
მედიურისა და ლირიზმის, ნატურის მიერ ამოქმედ-  
ებულ მექანიზმს ზოგადადამიანურში შეღწევის გასა-  
ოცარი ძალა ეძლევა. უფრო მეტიც: მისი მისია არ  
შეიოფარგლებდა განკერძობებით ადამიანურ წარ-



მოხენით. იგი ახერხებს სოციალურ-ფსიქოლოგიური მოტივაციების აუღერებას, დაქვანაბებს იმ პირობებს, რომლებიც ქმნიან ადამიანს და რომლებსაც უფრო ადამიანი ქმნის, გმირი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ელდარ შენგელაის ფილმების პერსონაჟებზეა არაკინაა, მაგრამ უკველი მათგანი ცხოვრებისეულია, განუმეორებელი თავისი ხასიათით და ბედით და, ამავე დროს, ადვილად გამოსაცნობი ზოგადსოციალური მინიშნებებით.

„ურეკილებში“ გმირებს ემუქრებოდათ საერთოზე დაკაყოფილებულიყვნენ კომედიატი ენარაბათის დამახასიათებელი ნიღბებით (ერთაოზი — ლირიკული გმირი, ნოსრეანი და ხუტა — ეროტისკული პერსონაჟები, ქრისტეფორე — ფიქრით შეპურბილი მეოცნებე და ხსე), მოუხდებოდა ანისა, რეისოზი ახერხებს დადებით პერსონაჟებში ხასიათის შინაგანი პერსპექტივის შექმნას, კომედიატი უანისი კანონების დაურღვევლად მათი ქცევის ფსიქოლოგიურ დასაბუთებას. ქრისტეფორეში ეს ფსიქოლოგიური გარკვეული თვალსაზრისით გამაჭრებულებიყა და სანტიმეტალიზმსაც არაა მოკლებული. მარგალიტა და ერთაოზი ლირიკულია და კომედიატის შეთამაშებაა. სასოგადოდ კომედიატის სისხვებს განაპირობებს წმინდად ლირიკულისა და ბუფონური მომენტების კალიდოსკოპი, კლოუნადისა და რომანტიკულად ამაღლებული სცენების შეპირისპირება. ზღაპრი კომედიატისა და ლირიკულს შორის სწორად ძნელი გასარჩევია: ქალაქელი კეკლუცი მარგალიტა თავდაპირველად არცთუ უანგაროდ ეარშობება შიამბრ ერთაოზს, ფილმის ბოლო ეპიზოდში კი მისი გრძნობის სიწრფელი ექვს არ იწვევს.

ე. შენგელაია აქტიორს საშუალებას არ აძლევს რაღაც ნაწილობა და დაკანონებულ ტიპობს დაწინაებს ამოფარობს. იგი აქტიორს აიძულებს შესაბამისი სახის განსაკუთრებლობა გამოამჟღავნოს. მხატვრული განზოგადებების ეს კანონზომიერება მისწვდა თვით კარგად ნაცნობ ლიტერატურულ გმირებსაც „სამანიშვილის დედინაცვლიდან“, რომლის პირველწყაროს მშვენიერად იცნობს ქართული მკითხველი და რომელიც სცენაზეც დადგმულა და კინოფირზეც აღმუქვლია. ე. შენგელაის ფილმის პლატონი (მის როლს ეგრანე ე. კახიანი ასახიერებს) არა თუ არა მჭავს რომელიმე აქტიორულ ინტერპრეტაციას, იგი იმ ტონლობასაც არღვევს, რომელიც კლდიათვილის თითხრობისათვისაა დაახასიათებელი, იგი ინარჩუნებს კომედიატი-ეანრულს, მაგრამ მისი რაობისათვის უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რაც ნოქავს კომედიატი სპექტრს და იქნის დრამატულ ელერადობას: პლატონის განწარული ბრძოლა არსებობისათვის. მართალია, სასაცილო შთაბედილებას ტოვებს, მაგრამ ამავე დროს, სასტიკი სოციალური მოუწუბლობის შესანიშნავი ილუსტრაციაა.

პლატონი სიმბოლოა დაბეჭდებული, დაქვეითებული ადამიანისა, რომლის კაცობასაც, ადამიანურ სინდისს, აღმაფრენას დედინაცვა თავის გადარჩენაზე ფიქრი კლავს. „თავის გადარჩენაში“ მისთვის ცხოვრების ფსიქოლოგიურ დონეზე უფოა იგულისხმება. პლატონი რომ მშრომელი კაცია, ფილმის დასაწყისშივე ხაზგასმული. ჭერ არ გათენებულა და იგი უკვე

უანაშია, შუადღის მზე წამოაღებდა და იგი ისევ მზის განაგრძობს. მისი სიღარიბე რეისორის უკველმბრიაა ხაზგასმული: პლატონს რამოდენიმე ადგილას დაქრებული პერანგი აცია, მისი საცხოვრებელიც ძალიან ღარიბულია და სხვათაშორის, მანისს ვერ შედარებს. მისა ცხერი იბაა გაქაღალტა-ვებული, რომ ფერდებრაცვენილს. ძვლებიც კი დაეთვლება. გზაზე დაზგარს იმდენი შვილი დაბეგვია გამოსოხრვად, რომ მათი დათვლიც კი ჭირს. ცენენ-შექდომა მისთვის ცოტა სასიყოა — შესაძლოა ბედიაური წაეკცეს, ამიტომ პლატონი ქვეითად მოგზაურობას არჩევს, და მხოლოდ უციღერეს შემთხვევაში, როცა სხვები ხედებენ, მანინ თუ მოაქვება საც-დაც კაგლაგს. შვი ვაწერ-ულტომა აქვს და შვე ჩოხა-ახლებუნიაც გამოაწუბონენ — ესეც აძლიერებს მისი სახის მწუხარე გამომეტყველებას. არა, ეს გმირი კომედიას ეუთვნის. მაგრამ კომარის სულაც არ არის, იმდენია მისნი დრამატრში, ისე მშავრადაა გამოხატული მის ბედში ცხოვრებისეული ხვედრის აუბედითობა. ფილმში დრამატულ ელერადობას აძლიერებს ფერწერითი საწყისის მკვეთრი შინაგანი „გაორკება“. ერთის მხრივ, ამერების ხალისიანი შეიხეთი, კოწია ვორაკებზე შემოსკუპებული ოდებით, ნორჩი ბუჩქნართ, შვის სხივში ვახვეული ქალებით და ნარკავების მოხაიკით, მდინარის სილურჯითა და ველების მწვანე წამოსახებით. მეორეს მხრივ, პლატონისა და მისი მეუღლის — მელანოს ტანისმოლის ჩამავებული ფერები, რომლებიც ამოვარდინია ამ ხასხასა ფერებიდან, განმხოლოებულია და ამით უფრო იქცევის უუარადებებს. თვით ქორწილის სცენაშიც, სადაც საზიემო ჩაცმულობის ნაირნაირობა განსაკუთრებულ ელერადობას იქნენ, პლატონის გაშოქნას (იგი შვე ჩოხაშია) ერთგვარია დაბაბულობა შემოაქვს.

პლატონის ტრაგედია ღია ცას ქვეშ იწვეება და ამავე გარემოში მოაგრდება, ოღინდ, დასაწყისი გაზაფხულია — დრო იმედისა და მომავლის ნაყოფისათვის საფუძველის ჩაყრისა, ფინალი კი ნავიანებ შემოდგომაზე მოდის, როდესაც გაუცარიელებული ბუნება მარცხის გრძნობას აძლიერებს. ორდობე, რომელიც ამიერიდან იყბის დაშლას დაკანონებს, მიწათმოქმედის მარცხის სიმბოლოა. ეს ზამთარი, კარს რომ მოადაგა სამანიშვილცხს, ადამიანური ურთიერთობების ზამთარია — კიდევ უფრო დუბტირი ცხოვრების დასაწყისია, გაუთვებელი უსიამოვნების მომასწავებელი.

ეს დაწერილმანებულ და არაქათგამოცლილ სამუაროში, „სამანიშვილის დედინაცვალში“ რომაა აღწერილი, თავისებური კონფლიქტივიც არსებობს და თუბიე ანტიგონისტური ხასიათივიც, მაგალითად. კირლი — პლატონის ანტიპოდა. დარდმანდი, ქიფისა და ჩხუბის მოყვარული, ტრამახა, უყოლიონია, მუქთახორა და ლაზღანდარა, ფსიქოლოგიურ მისწრაფებებამდე ჩამოქვეითებული და, ამავე დროს, თავისებურად სანდომიანი, იუმორის გრძნობით დაჭილდობებული, სიყვითისა და მოყვრობის გამგე, კირილე ვარკვეილი სოციალური ტიპის, აწნარული ფსიქოლოგიისა და ცხოვრების წესის ღრმად რეალისტური განზოგადება.



რ. ჩხიკვაძის კირილეს შემდეგ, ამ როლის შესრულება არც თუ ისე ადვილი ამოცანაა, რადგანაც მსახიობმა, ჩემის აზრით, გამოხსნველობის მაქსიმუმს მიაღწია და „სანდომოინი დარდვანდის“ განუმეორებელი სახე შექმნა, და მინც, ე. შენგელაიას თავისი კირილე ჰყავს (ნ. ჩაჩანიძე). ვიქტორ-ჩხიკვაძისაგან განსხვავება არ დაიკვირნება ვერცნულ სხვა-ომაზე სხვადასხვა ტემპერამენტსა და თვით ნიჭიერების ხარისხსაც კი. კირილე — ნ. ჩაჩანიძის უფრო დამდაბლებული, ნაკლებად სანდომოინი, ნაკლებად მიმწიდედელია. მისი უარყოფითი თვისებები უფრო გამოჩნდება, დია ფერები კი გაუფერულდა. ასეთი კირილე ქმნის უფრო მძაფრ კონტრასტს პლატონთან. თუ შეიძლება საუბარი შეუთავსებელ მათათვინც, ეს სწორედ პლატონი და კირილეა. მისი თეული კომედიის მანძილზე სულ ერთად უხდებათ უოფნა და, ამჟვე დროს, დიამეტრალურად სხვადასხვანი არიან, პლატონი მთლიანად თავის დარღშია ჩაძირული, იშვიათი შეუპოვარობით იბრძვის მიზნის განსახორციელებლად. კირილე — უზარუნველობის განსახიერებაა. მას არავითარი მიზანი არ გააჩნია, რადგან დროს ტარება მისთვის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა და იგი მოსილოდ ამ სიტუაციას ეძებს, რომელშიც თავის ამ სწრაფვას დააკმაყოფილებს. პლატონი შინაგანად პატიოსანია, იგი ტყუილს ვერ იტყვის, რადგანაც უპირველეს უოფლისა, თავის ათვანაა მართალი და მას თავისი წინეობრივი განსაულები გააჩნია. მისი საოცარი თავდადასავალი განსიპრობებულია რეალური აუცილებლობით. კირილეს არც შეიძლება ჰყავდეს შინაგანი კონტრადიქციები: იგი საერთოდ მიღებულის ემორჩილება და თავისი ბრმა ინსტიქტით ხელმძღვანელობს. იგი ემოციების კაცია და არა რაიმე წინეობრივი პრინციპებისა. პლატონის მიზანი უზადდრუკია და საზოგადოდ იმ სამუაროს მზილებაა, სადაც ადამიანს ესოდეს უხადრუკი მიზანი შეიძლება ამოძღვანელებდეს. კირილეს უხადრუკი არ გააჩნია. ამ ცხოვრებაში პეპელსავითაა...

პლატონს უველაფერში საფრთხე ეგულება და ყველაგან დაბრკოლების გადალახვას ლამობს. კირილეს ცხოვრების ტონალობას მზიარებულია და ოხუნჯობა ქმნის. კირილეს მიერ ატეხილი ჩხუმი ორივესათვის საკლავოდ დამთავრდა. ერთადერთი ჩოხა გაუხიეს, სირცხვილი და დარდი უმწერბის ამ დღისს წუთებს. კირილეს კი (თუმცა კარგადაა დეფეცილი და პლატონის ფეხიც ლამისაა სახეზე ადევს) გუშინდელი ამბის გახსენება სიამოვნების ურუანტელსა გვირბს. მას ისევე ქორწილისავენი მიუწევს გული, ცკლავ ჰეიფის განგრძობა სურს. პლატონის გზაკვლავ სადენინაცვლის ძიებაა. დადარდინებულისათვის არ არსებობს არც მშვენიერი იმერული პეიზაჟი კოპჩია მთებზე გადაფარებული ხახხასა მწვანე ზეწრებით. ამაოდ ეხვეწება კირილე — უყან ადვებრუნდეთო. მაშინ მამიდასთან მინც წავიდეო, აქ საზოგადოება იყრბება და შეიძლება ორნაქმარე უშვილო ქვრივსაც გადაეყვარეთო. აი, თავის ხსენსხუბტი იმედო, რომელიც ყველა სხვა მიზეზს ავიწყებინებს პლატონს და იგი მას ბრმად მიჰყუება.

კომედია კირილესათვის თვით ეს ცხოვრება და თვითონაც არ თკილობს ამ სხაკაცილო წარმოდგენა

ში მონაწილეობის მიღებას, ბეიანა ცოლის შერყვას აიბრებს — აი, საბაბი კარგი დროს გასატარებლად, პლატონს ჯავლაგი ცხენი ჰყავს — მშვენიერი მასალა ოხუნჯობისათვის. სატირალში რომ მივიდნენ, კირილე მშვენიერად თამაშობს მწუხარებას (აქ ზომ ქელეხი გარანტირებულია!) და მაშინაც არ ზრუნდება, როცა გაირკვევა, რომ მიცვლებული კაცია კი არა, ქალი უოფილა. მუისვე დაიტვირებს მის მიერ გამოცხვარ ხაქაურებს...

კირილე აგრეხულია თავისი ქარბი ემოციორბით, პოტენციურად ჩხუბის თვია, გამომწვევი თავისი უტაქტობით, შარის მოდების ოსტატობით. მამიდასდეს მისხველედად პლატონმა და კირილემ ბორნით მდინარე უნდა გადაჰქანს. (ეს ეპიკორად კლდისაშვილის მოთხრობაში არ არის!) კირილე ცენს მოადგებს ბორანანუ, აქეთ გამოსულ ხალხს ბორანიდან ჩამოსვლას არ დააცილის. შემდეგ შარს მოხდებს მონადირეებს, ჩხუბში გამოიწვევს. ისინიც მავრად აღმადგებიან, სიძე-ცოლისმძას აიძულდენ თვითათი ცხენებზე წყაღში გადახდენ. დიდხანს ჯიუტობს პლატონის ჯავლაგი, დასტრობისა ეშინია, ლამისაა ძალით ჩააყუდებენ წყაღში ბორანზე ყოფთა გულგახსარად.

კირილესა და პლატონის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი სცენაა, როცა მდინარეში უნებლიედ ნახანენენ, კვლავ გზას გაუდგებიან. კირილემ პლატონის მიზანი (სადენინაცვლის სოვნა) თავის ეგოისტურ ინსტიქტს აიძულშრილა — ცოლისმძა ქორწილ-ქელეხში საწოწილოდ შეიამხანაგა. ახლა თვითონ ცხენზე ზის და ქვეითად მომავალ პლატონს აქეთ საყუდურობს: შავათამებთან ქორწილში რომ დაეჭირნელიყავით, ეს უსიამოვნება თვითდან ავცდებოდა.

და აი, ბედის საოცარი გაღიშება: ჯავლაგს გამოუცურავს და მშვიდად ბალახობს მდელიოზე. პლატონისე თ სიხარული ეწევა, რომ კირილეს უარს ვეღარ ეტყვის დუქანში შევლავზე. ეს დუქანიც დამახასიათებელი დეტალია: სიხარულის თვილი-ხვილით ხვდებიან კირილეს მისი ამფხონობი. პლატონს ერდება უცრო ხალხში ვარევა. იქიდან კი თიბაც ხელს გამოუოფს და ლამისაა ძალით შეათრევს ბნელ ოთახში.

კირილეს მამიდას ოჯახი კი სულ სხვა იმერეთია: კლდურული, ცხოვრების ახალი წყის მიმდევარი. აქ სხვანაირად ერთობიან: ლოტოს თამაშობენ, ხმა, ადბლა საუბრობენ, მუსიკალური უუთიდან მელიდა ისმის, დიასახლისის ქალიშვილი ლანგრით ჩაის დაატარებს. კირილეს მოსვლა და არეუდარევა ერთია. ცხენს აივანზე მოადგებს, ყველას დაერევა, დოქი დვინოს მოიხიოეს, ვიღაცა ახალგაზრდას ჩაკვიდება, ლამისაა პიჯკის ღიღბეს დააწყევებს, ქალიშვილს ჩაის ქიქებით სავსე ლანგარს გადაუტარებებს, სახალხოდ შეურაცხყოფს პლატონს, სოფელ-სოფელ წაწწლის მიზეზს გაუმხელს, ჩამოვარდება ენოში, ცხენს დაჰქენებს და იღანძლება — თქვენი თვითონ მიირთობთ თქვენი მღუღარე წყაღით. ლამისაა ხლით აჩხავს საცოდავ ჯავლაგს და ცოლისმძას დაყუდებინს: „არ ეძიებდე ორნაქმარე ქალს, აგრეხავდი“.

რეისიორისათვის თვითუღლი სახე სინამდვილის



გარკვეული მხარის განზოგადების შესაძლებლობა, სოციალური ტიპი, ამავე დროს, წინეობის ნორმების თავისებურად წარმოადგენილია, იგი ცხოვრების გარკვეულ წერტილშია მოთავსებული, განსაზღვრავს მის ავტორიანობას, განუმეორებლობას ანიჭებს მას. რაც უფრო მეტი სიმკვეთრით გამოიხატება ასეთი ტიპის ინდივიდუალობა, მით უფრო შესაბამისა იგი ცხოვრებისეულად კანონზომიერს, სოციალურ სინაშვილში დასადგურებულს. კირილე ის პერსონაჟია, რომელიც ეპოქიდან ეპოქაში გარკვეულ სახე-ცვლილებას განიცდის, მაგრამ უფრო გარეგნულს, ვიდრე შინაგანს — არსებითს. მისი მისიაა — დრო კარგად გაატაროს, დროის კარგად გატარება, ალბათ, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად გულისხმობს, დროის გატარება ადამიანისათვის, რომელსაც შრომაც უხდება და რომელიც ხელმოკლეცაა და გარკვეულ მოვალეობებს იტვირთავს — ერთია და იმართავს, ვინც შეზღუდული არ არის რაიმე მატერიალური და სულიერი დაბრკოლებებით — მეორე, „დროის გატარება“ სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორია, უველაფერთან ერთად, გარკვეული წინეობრივი აქტიუცაა.

დროის გატარებაში, ამჟამად, არ იგულისხმება ის ბუნებრივი ვითარება, როდესაც ჩათვს სერიოზული და მიზანდასახული მოქმედება (სულიერი და ფიზიკური ძალთა დაძაბვას რომ მოითხოვს), ცვლის განმუხტვას და დასვენების სიტუაციას, როდესაც ხდება დახარჯული ენერჯიის აღდგენა, როდესაც ადამიანი თითქოს შეჩერდება, რომ მიღწეულით დატკბეს, გაიზაროს ის, რაც დაძაბული შრომისას უკარგადღებს მიღმა რჩებოდა. ამ თვალსაზრისით დროის გატარება თავისუფალია, უფრო ზუსტად, გამოწვევისუფლებული დროის თავის ნებაზე ხარჯვა. იგი ისევე აუცილებელია ადამიანისათვის, როგორც შრომა, როგორც ის საათები, მიზანდასახულ მუშაობას რომ ეთმობა.

როცა კირილეს სახესთანა ვაკვებს საქმე „დროის გატარებაში“ სულ სხვა რამე იგულისხმება, კირილესათვის „ეპოქი დროსტარებისა“ მთავარია ცხოვრებაში, არისა მისი არსობისა. ეს დროსტარება შენაყოფა, თავისთავის ერთადერთი მიზანს და შედეგია, გაცილილია შინაარსისა და კემპარტიად ადამიანური თვითობების აუცილებლობისაგან. „დროის ტარება“ სხვისი მონაპოვარის, სხვისი შრომის ტარებაც ულანგვა, განიკვება იმისა, რაც ადამიანს თვით არ მოუპოვებია. კირილესთვის დროის ტარება სუფრასთან ქლომა, სმა და კამაა. დროის კარგი გატარებელი (თანაც, თუ სმაც და სიმღერაც ეხერხება და, სულ უკეთესი, თუკი თამაღის ხელობასაც ფლობს) არა თუ კლდიაშვილის ხანაში, არამედ დღესაც მომჭადობებულ ზეგავლენას ახდენს. დღესაც (დღესაც კი) მოიძებნებთან პროფესიონალი დროის გამტარებელიც, ჩემს ახალგაზრდობაში მომისმენია ერთი მოქიციის („დროისგამტარებლის“) შესახებ ერთი, ჭერ კიდევ გაუთხოვარი ქალიშვილისაგან აღტაცებული მონაყოლი: „დიდი წვეულება“ გადებოდათ. „შეუღლი ხანოვადობა“ იქ ყოფილა, სუფრას ჩიტის რძე არ აკლდა. მაგრამ მთავარი სიურპრიზი ის გახლდათ,

რომ მოქიციით ვინმე N თავისი ამხანაგებთან ერთად — ვინაა N? — დავეყოხებ.

— ოო, სახელგანთქმული მოქიციეა, ისე გატარებინებს დროს, რომ მისდღემში არ დაგვიწყდება. აკორდენოზე ჩინებულად უტარავს. დარღმინალიცაა და ზრდილიც, რა გამოხედვა აქვს! ფული თვითონ არ ვაჩინა, ახიტონ სპორიდებულად უტარავს თავი და ეს კიდევ უფრო მეტ მომზიბველობას ანიჭებს, ქალები მისგან ქუყას კარგავენ.

— კი მარა, რა მოხელე ნაჩაღნიკია?

— სტუდენტია, 8 თუ 10 წელიწადია სწავლობს, კაცმა რომ თქვას, უსაქმურია. სწავლის თავი ხაღდან ექნება, ყოველ დამეს სუფრასთან ათევს, მაგრამ შავის სწავლას ვინ დაეძებს. შავას ისეთი ავტორიტეტი აქვს, რომ თუ ვინცა ნაღმით თავი ისახლავს, აუცილებლად უნდა მოიწვიოს.

სამწუხაროდ, არც ეს დიდილოცა გამოგონილი და არც ის კაცია ფანტაზიის ნაყოფი. უველას შეგზვედრათა, თითქოს საოცარია მისი „დიდი ავტორიტეტი“. ვაი, რომ ამ განცხადებაშიც არაფერია საკვირველი: განა ჩვენში „პროფესიონალი“ მოქიციეები არ ფლობენ და განა მათ არ ელოლიავებთან როგორც ინტელიგენციის ვითოცდა საუეთესო წარმოადგენლებს?

ე. შენგელაია კი მისთვის დამახასიათებელი იუშორით (მასში კი გესლი სირბილითა განაწვეული) ნიღბას ხედავს ამ სოციალურ ტიპს და მთლიანად აცვლის გმირის შარავანდს, დიას, შესაძლოა, მსახიობმა კირილე ისეთნაირად ითამაშოს, რომ თავისი გარეგანი სილამაშით და შინაგანი მიშხიდევლობით, ტემპერამენტითა და არტიზიზმით ამ სახეს ისეთი ფერადოვნება მინიჭოს, ისეთი სილადე შთაბეროს, ისეთი ფეიერვერკი დაანთებინოს, რომ თვით კირილე შეიძენს მიშხიდევლობას, გამოიწვევს მაურთებლის სიმათიას, ნიქი და ხასიათის მასტაბი რაზმაც არ უნდა ჩადგეს, უველაფერს თავის მაღლს მოსცეზებს და იძულებულს გაგზიდის ახლებურად, „მისებურად“ განიცადოს ეს თუ ის ტიპი, ხანდახან განმისჭვალოს მისდამი ლოკაურად დაუსახბუთებელი სიმათითი, ასეთია ხელოვნების ერთ-ერთი გამოუცნობი პარადოქსთაგანი.

დროის მიღანგველი უღირსი ადამიანია, რადგანაც ადამიანში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება შემოქმედი, მთავარი ნებისყოფა და სწრაფვა, და არა ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაქმნაყოფილება. მაღა, კუპიას და სმის იჭრაც ადამიანს ვერ ამაღლებს. ე. შენგელაიას კირილე უფრო ვერა სიმღერას ამბობს და დღიე მახვილონიერებთაც არ გამოირჩევა. გარეგნულადაც ვერ სტოვებს მაინცდამაინც დიდ შთაბეჭდილებას. კირილე კლდიაშვილთანაც შფოთის თავი იყო და ეს თვისება მან კინოფილმშიც შეინარჩუნა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეკრანზე კირილეს „შარიაზობა“ უფრო უსიამო შთაბეჭდილებას სტოვებს.

კირილე პერსონიფიკირებული ნეგატიური ტრადიციაა. იგი გარკვეულია და მისი არსებობა თვით ინერციის სიცოცხლისუნარიანობის დადასტურებაა და არა ისტორიული აუცილებლობისა. ეს პერსონაჟი ადვილად დაიყვანება ერთ მნიშვნეულზე, იგი ერთი



განზომილებების არსება. გაცილებით უფრო რთულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც „არაჩვეულებრივი გამოყენების“ პერსონაჟებს ვუყვირდებით. თვითნებ მათგანში (მე მთავარ გმირებს ვგულისხმობ — აგულის, პიპინიას, გლაშას) ბევრი ზამბარა მოქმედებს და მრავალი მოტივი უფერს, რაც ქმნის გარკვეულ სიძნელეებს ამ გმერთა სწორად წარმოსახვისა და შეფასებისათვის.

პიპინიას ეკისრება გარკვეული დრამატურგიული ფუნქცია, თავისი ობიექტურული მოზიციიდან იგი გამუდმებით უტევს აგულის, ჯერაა და უბიძგებს წმინდად მხატვრული ეკონომიურ მოსაზრებებს ანაკლასის და, ამრიგად, შემოქმედებიდან კონტრაციაზე გადავიდეთ. შემდგომში პიპინია გლაშას ახოვდაგება ნასარში, ოჯახის დიქსებას და მლიანონას იცავს. მისი ტბილი მოხუცებულობა კვლავ აგულის მიერ გარკვეული მოზიციების დომინიის ხარკზე ხორციელდება. მაგრამ ხალი ცხოვრებისეული ინსტიქტი პიპინიაში შერწყმულია გადამდგარო ოფიცის ღარიბმანდულ რომანტიკასთან. იგი გალანტურია, არც ოცნებაა მისთვის უცხო და არც ფანტაზია. პიპინია გარკვეული სოციალურ-ფსიქოლოგური ტონია, რომლის კლდეშეფლისეული გენეტი ძენი ამოსაცნობი არაა და შეუქ ფენს თვით რ. გაბრაძის დრამატურგის წარმომავლობას. მაგრამ კლდეშეფილზე უფრო ვის იცნავდა დეკინებულსა და გალოკალურებულში ზოგადეროვნულს შერქმობა და მისი ნამხვრევეების ისეთნარად განათება, რომ კომედირზე დაუკანალი „სრულის და არსებითის“ ღირსება იძენდა? ამიტომაცაა, რომ მთელ თავის დრამატურგიულ მთლიანობაში, სახის განვითარების ექვლა მომენტის გათვალისწინებისას, პიპინია გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რაც მხოლოდ მისი დრამატურგიული ფუნქციის გამოვლენას სჭირდებოდა. მასში ის სითრია, ადამიანურობის ის გაგებაა (განსაკუთრებით გლაშასთან დამოკიდებულებაში), რაც აამაღლებს პიპინიას. გვაგულისხმევენებს მისი პიროვნების ისეთ მხარეებს, რომლებიც აი ამ კონკრეტულმა ცხოვრებისეულმა სიტუაციამ შეავიწროვა, თორემ სხვა პირობებში (ასე უნდა მხვალბოდეს მყურებელი) პირობულობს პიპინიას ეს თვისებები დაიწმენდნენ და ამ პერსონაჟს სხვა ეთიკურ ედრადობას შესძენდნენ. უკუდივად ამის მინიშნებას მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ პიპინია თავისი ხასიათით უფრო ფართო, უფრო მრავალწახანაა, ვიდრე დრამატურგიულად აქცენტირებული მომენტები, მის „პიროვნულს“ რომ ავლენენ.

ტიპიურს ხშირად იწერცია. ე. წ. „საერთო მოსაზრება“ ქმნის, რომელიც დაუკითხავად და ყოველგვარი ცერემონიების გარეშე იჭრება მხატვრულ ნაწარმოებში და მას თავის პირობებს კარნახობს. მას ეკითხისა და ბოროტის, სიღამაზისა და სიმამინჯის, შეორმული სულისკვეთებისა და სიღარის თავისი გაგება გააჩნია. როგორც უნდა იყოს — მისი რეკომენდაციებით რომ ვიმსჯელოთ — მშვენიერათესების წარმომადგენელი? ცხადია, თბილი და კდემამოსილი, ამასთან, თუ გარგნული ბრავადა მსებუქი ნიღბის როლს ასრულებს — ქალი მეტ მიწოდებლობას შეიძენს, მამაკაცს გულს უფრო აუჭირო-

ლებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ მასზე მეტად არ იქედლუცოს. სირცხვილისა და მოკიდებისაგან თავს დაბლა ხრადეს და სიუვარულში ერთგული და უკომპრომისო იყოს. დადებითი თვისებების სია შეიძლება გვაგარდლოთ კიდევ, მაგრამ არსებითი ის გახლავთ, რომ „პოზიტიურის დაკანონებული კოდექსი“ კონკრეტული გმირის სახის შექმნისას, საიდუმლო მრჩევლის მნიშვნელობას იძენს, მის ადგილს იჭერს და ფდომიდან ფაღმშე გადადის, ნაცვლად იმისა, რომ ცხოვრებისეულ ხასიათებს დაუთმოს ადგილი. კიდევ კარგი, რომ ამ გმირების როლს სხვადასხვა მსახიობები ასრულებენ, თორემ ყოვლისმძლე სტანდარტი გარეგნობასც შეეხებოდა, ან იქნებ შეიერო კიდევ?

ლორცია, საინოზია, კეთილშობილება, ერთგულება ადამიანურის გამოვლენის ისეთი კატეგორიებია, რომ მჯრებელობა იქნებოდა აბსტრაქტულად აღებულ ამ სულიერ თვისებებში ნეგატიური მომენტები გეგდა, და მინაც, თვით მაშინაც კი, როდესაც ყველეს თვისება სახეუა, თავს ნებას მივცემთ ერთი საქრამენტული შეითვისა დავსვათ: მართალია, ყველა დასახლებული თვისება თავისთავად შესანიშნავია, მაგრამ ერთად აღებულის ღირებულებას ალბათ მათი თანამოქმედების შედეგით უნდა ვსაზღვრავდეთ. ჩვენ უფლება გვაქვს გამოვიძიოთ, შესძლო თუ არა თვისებებს ამ თაგულმა ისეთი პირობების შექმნა, რომ ადამიანს თავისი ადამიანური პოტენციალი გამოველინა და განსაკუთრებით კი ყველაზე არსებითი — შემოქმედებით?

ეს კითხვა შეებადა, როდესაც გლაშასა და მოქანდაკის ურთიერთობას ყველაზე არსებითი მხარეების გაზრებას ვცდილობ. გლაშა (ბრწინავალედ განსახიერებელი მსახიობ ვ. ტელიჩინას მიერ) ფილმის საუბრო როლია. გლაშა ნიშუია ქალური და საზოგადოდ ადამიანური ღირსებებით დაქილდებული ადამიანისა, რომელიც გვიზიდავს სისპეტაკით, სიუვარულის ძალით, ერთგულებით, თავის გარშემო თბილი და მყურლო სამყაროს შექმნის ძირფასი უნარით. განა იქაზური ურთიერთობების გრანტულ სიმტიკის მორტფიალეთა გულს სიხარული არ ეუფლება, როდესაც მამათილისაში გლაშას პატონაცემისა და ერთგულების დამამტიკიცებელ სპირიტებს უყეკრია? ან ის რად ღირს, როდესაც გლაშა ტანს მხანს სახლში დაბრუნებულ ეულსა და სირცხვილნაქამ ქმარს, მანს ისეთი გამებებით და სიუვარულით, რომ თითქოს ცდილობს ფიციკურ ჭუჭუთან ეთად ზეგნობიისგანაც გაწინდის მუედლდ. უყურებ ამ სცენას და იმედი გაბობს: არა, ამ ოჯახს ვერავითარი განსაცდელი ვერ მოშლის, ასე ტბილად შეაბეზებინა ერთმანეთს.

დაბ, ვერაფერი ვერ დაანგრებს. გლაშა საუცხოო მუედლდ აღმონდა. მაგრამ, ჩემს აზრით, საუცხოო და არა სამაგალითო, იმტომ, რომ გლაშას კიდევ ერთი ფუნქცია ეკისრებოდა. ფუნქცია მოქანდაკესთან მისი შეუდლებით განპირობებული, მოქანდაკობა იმ ოჯახში, რომელიც აგულისა და გლაშას მიერაა შექმნილი, მატერიალური დოვლათის საძირკველია და მეტი არაფერი. მას, ამ მოქანდაკეობას, სხვა არაფერი ფუნქცია არ ევალბება. მოქანდაკეობას კი,



მოგვხსენებთ, სხვათა შორის, ესთეტიკური აზრით აქვს, საკუთრივ მხატვრული. აწის შეგრძნება თვით მხატვარში თანდათან კედებოდა და განსუფრინებელი კრილობის ხასიათს იღებდა. ეს კრილობა თვით მოქანდაკეს, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ აწუხებდა, ავადმყოფი ხშირად თვით სახიფათო სენსაც ურეკდება და ეგუება. მაგრამ ერთხელ იყო და მოქანდაკე აჩანდა, სახლიდან წავიდა.

გლამა ამ საქმეებში მისი ნამდვილი მეგობარი, გამეგ და შემწე ვერ იქნებოდა, რადგანაც გრძობა „მოქანდაკის ღირებულებიან“ მას, როგორც ჩანს, იმთავითვე არ გაანდა. იგი ცოლად გაჰყვა სიმპათიურ ახალგაზრდას, პატრიონას და კეთილს. ამ შენანიშნავი ადამიანისადმი მის დამოკიდებულებაში თავიდანვე ქალური თანაგრძობა მოქმედებდა და ამასთან ერთად, „საკუთარი ბუდის“ მოწყობის სურვილი. აგულის ეს ენაპირობოდა, რადგან მას ქალის ალერსი აკლდა და მის ბინას კი ის მუუდრობდა, რომლის შუქმნაც მხოლოდ ქალს შეუძლია. მოქანდაკისადმი დამოკიდებულებაში ყველა ის გრძობა მოქმედებდა, რომელიც ისეთვე სისხვსით, პირდაპირიზით და გლამასათვის დამახასიათებელი მამოზღველობით გამოვლინდებოდა ინტინრისადმი, პარიკმატერსადმი, აგრონომისა და ბუხმალტერისადმი დამოკიდებულებაში.

ხელოვანი ადამიანში უცხად ვერ დათმობს პოზიციებს. მე მინახავს მუსიკოსები, რომელთა მხატვრულ ნიჭსაც გარს შემოჰკვრია კეთილდღეობის დანი ქონი და აღმფრინისათვის. ამ მართლაც და ცით მომადლებული ნიჭისათვის. ფრთები დაუჭრია. მაგრამ მიუხედავად ამისა, უოფილი ხელოვანი იბრძვის თავისი მხატვრული მეობის დასამკვიდრებლად: უძლურდება უნარი შემოკმედებისა და ამის სახასუზოდ იზრდება პრეტენზია და სურვილი ბედის განაჩენის გასაჩივრებისა. ეს გზა, ალბათ, უნდა ვაველო მოქანდაკესაც და გლამამ კი ის როლიდა შეასრულა, რომ უოფილი მხატვის გზა დაეცმისა, ოჯახური ბედნიერების გზად აქცია.

ალტერნატივა? ქალს, ყველა ზემოთდასახელებულ თვისებებთან ერთად, ქმრის, თავისი უპარველესი მეგობრის, არსში ჩაწვდომის უნარი უნდა გაანდეს, მაშინ მისი არჩევანი მართლაც დიდი ბედნიერება და ადამიანურის სრულფასოვანი გამოვლენის უტყუარი წინაპირობაც. რადგანაც გლამა მოქანდაკეს გაჰყვა, მას ესთეტიკური აღლოც უნდა ჰქონოდა და იმის გაგების უნარიც, რომ მოქანდაკის მიერ თავისი ხელოვნების დაბურდავება და სასაფლაოზე წაღება დიდი ბოროტებაა, შეიძლება იმაზე მეტად, ვიდრე ოჯახური მუუდრობის დარღვევა და გაიზუნა.

შეზარავია სცენა, როდესაც აგული და გლამა სასაფლაოს მიადგებიან და „არაჩვეულებრივ გამოფენას“ ათვლიერებენ. გარშემო წყვილიდი მეფობს, უხეირო ბიუსტები ბნელეთში გაუჩინარებულან, საოცრად უტყო და ქაეაგულოვანი, გაცივებული თვა-

ლებით, მდუმარენი და დამძიმებულენი. გლამა კარის ქმარს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ქვის ამ საცოდავი გროვის ხილვამ აგულის უბედობა, მისი დამარცხება და ნაღველი აგწმინძინა, არამედ ისევე უღელური ინსტინქტის კარნახით: ქმარს მღელვარება შეატყო და ცდილობს აქედან წაიყვანოს, ცდილობს გაეცდებო შეუსუბუტო.

ღიას, გლამას სიძლიერე იმეოა, რომ იგი მუდამ თავისი ბუნების, თავისი ამაღლებული ბუნების შესახამისად იქცევა. განსაცდელის ეამს მას ტაქტიც აღმოაჩნდა და ნებისყოფაც, ოჯახი არ დაენერია და გრძნობაც არ გაზნაროდა. მაგრამ უფრო დიდი მისის შესრულება გლამას შესაძლებლობებს აღემატებოდა. და მე კვლავ ვუსვამ ჩემს თავს კითხვას: სად და ვის მიერაა აქ შეცდომა დაშვებული?

კომედიის ეანრის ბევირ რამ ეპატივია, თუნდაც ის, რომ დადებითი ხშირად დამდაბლებულია და უოფითთანაა შეწავებული, ისაც, რომ ოცენების პერსპექტივა სასრულოა და ხშირად მიწიერი წადილის დაქმყოფილებს ეახლებდება. ბედნიერი დასასრულა კომედიის ეანრის პარტოგატეია და კომედიის ყველაზე ბედნიერი ილუზია, ბედნიერი წამის შენერტების შესაძლებლობის.

მაგრამ თუ კომედიამ იმითვე გადაღაბა თავისათვის დამახასიათებელი თმეატურ-სიუჟეტური შეზღუდულობა და, ამრიგად, „სასრულო სამყაროს პირობითობა“, სადაც პირობებმა საბოლოოდ შეიძლება გადაწყდეს, თუკი კომედიამ იმითა იდეამ დაისადგურა, რომელიც ზეგადისა და მარადიულის მნიშვნელობას იძენს და, ამრიგად, უოფითსა და უოველდლიურზე ისევე მაღლებდა, როგორც სულიერი ხორციელზე, მაშინ ჩვენ კომედიურის უფრო მაღალი კრიტერიუმებით განსჯის უფლება გვეძლევა. ამ შემთხვევაში შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კომედიას შევაფასებთ არა მარტო იმით, რაც მასში ობიექტურად დევს, არამედ იმითაც, რაც მასში უნდა შემოსულიყო და არატომაც ეს აუცილებლობა არ განხორციელდა.

ქრისტეფორემ და ერთაოზმა გაარღვიეს ამ ქვეყნის საპრობლეის კარები, გაინავარდეს ცის სილუვარდემი, მაღლიდან აფრქვევენ საჩუქრებს, მოკითხვას უთვლიან მარგალიტას. ეს მართლაც განადვილებული ოცენებაა ლურჯ სინაქარეშა ცურავდ, ტკებოდდ განუშეორებლად ღამაში ბუნებითა და დიდებული ტაძრებით. მაგრამ უოველივე ეს იმითაა მიღწეული, რომ ადამიანმა გაეკციეთ უშველა თავს, განერადა სნეულთა და დამნაშავეთ, მათ მრისხანედარაჯთა და ვაიმეურნალებს, განერადა მას, რაც არსებითად რეალობას წარმოადგენდა. ეს ჭადოსნური მოგზაურობა უქიდეგანო სამყაროში, სადაც აღარც საზღვრება და აღარც რაიმეს შეზღუდვის შესაძლებლობა, სინამდვილეს კი არა ჰგავს, არამედ ზმანებას, სიზმარს, იმ ხილვებს, რომელთა შემდგომაც ის ნამდვილად არსებული, კიდევ უფრო შეზარავი

და კიდევ უფრო ურყევი რეალობის სახით წარმოგვიდგება.

ე. შენგელიას ფილმი ვერ იძლევა პასუხს კითხვაზე: ეს მართლაც შერეკილები ხომ არ არიან, რომელთაც ცხადი და მონაგონი ერთმანეთში აღრევიათ და რომელთა მავალითი საღად მოაზროვნეს, ამ სინამდვილეზე მიჭავჭავს ვერას არკვებს. ქრისტეფორე ბედლა მწერ ზედერი არკუწია. ჭკუას თუ ვადასცდა, დასანაია, მაგრამ მისი ქცევა ყველა შემთხვევაში გასაგებია. მაგრამ ერთაოზი? ასეა თუ ისე, ზმანები-სა და რეალურის დუალიზში ფილმში ბოლომდე მოხსნილი არაა და ჩვენც გვაყოყმანებს: ის, რაც ხდება, ცხადად მივიჩნით თუ ილუზიად, რომელსაც თვით ჩვენივე ოცნება უფროდებდა.

არც შეუძლია არ შეუერთდეს ამ შესანიშნავი ბუნებითი თრბობს, ფილმის აზრი გასაგებია და მისაღებიც: ადამიანი მაშინ მიხვდა ქვეყნის სილამაზეს, როდესაც საპრობილესაც და საგეთოსაც თავი დააღწია და თავისი ოცნების სიმაღლიდან, თვით მიკვლევული და მოკლებული სიმაღლიდან, მიხვდა სინამდვილეს. საოცარია ამ სინამდვილეში სოციალურისა და ბუნების მიმართბანი. წინარეკოლოციაური საქართველოსათვის დამახასიათებელი ქალაქისა და სოფლის შეუსაბამობანი რევისორის და მხატვრებს წინასწარგანზრახვით არ გაუმუქფერბიათ. ისინი ნატურისადმი ეროგულბებს ინარჩუნებდნენ, მაგრამ მაიც გარკვეული საზომით უდგებოდნენ მას: უბადრუკია ერთაოზისა და ბაბუამისის სახლი, რომელიც ერთი „წაჩეკებით“ დაიშლება, უბადრუკია ის პროვინციული ქალაქიც, სადაც კაბაჯი თავს ამოყოფს, უბადრუკია თავისი მიღრცილ-მოღრცილი ქუჩებით და ულანათო სახლკარიოც. საპრობილეს კი საპრობილეს არ ჰგავს, იმდენად პრიმიტიულია იგი თავისი არქიტექტურით, ეზოში მოსერჩენე ქათმებითა და სხვ. ეს ულანათო სამოსახლოები და აშკარადა მახინჯი დაწესებულებანი ადამიანთა საქმიანობას სასაცილო ელფერს აძლევს, კიდევ უფრო აშარებებს მათ უმინზო ფაცი-ფუცს, მათ ვნებებსა და მისწრაფებებს. ფილმის მხატვრებს რ. და თ. მარზაშვილებს ისე გამოუვიდათ, რომ ადამიანთა სამყოფელი თითქოს პაროდიაა იმაზე, რასაც სიცოცხლის ქმნადობას ვუწოდებთ. რაც ადამიანის შემოქმედების უნარის საბუთი უნდა იყოს, თავის საპრობილეს მნიშვნელობას იძენს. ეს არის მკვდარი, სულჩახუთული სასოხასლო, ძალაგამოცლილი, მისჩწნილი სხეულის არსებობა.

მით უფრო მკვეთრია ის კონტრასტი, რომელიც ამ განსაკუთრებულ გარემოებაში ფილმის ფინალში ბუნების სურათები ქმნის. სიხარულის ის გრძნობა, რომელიც ერთაოზის სიმღერაშია ჩაქსოვილი („ჩიტი-გვიტი მოფრინავდა“), იმ საოცარი ნეტარების გაცნადა, რომელიც ფერნის წუთებითა გამსჭვალული, არა მარტო მშვენიერი მუსიკიდან მოდის, არამედ ულამაზესი პეიზაჟებიდანაც, აქორჩბული ტყეების და გამწვანებულ გორაკების ხედებიდან, ლავარდვანი ცის სილურჯეში რომ იყარგებია.

ოცნება წარმოუდგენელია სილამაზის გარეშე. სილამაზეს გააჩნია მრავალი განზომილება ხედვითიც,

სამეტყველო ენაშიც, გვირის მოქმედებაშიც, მაგრამ განსაკუთრებული უშუალობით იგი მუსიკაში ვლინდება. მუსიკა არა თუ გამოხსხვეულობას უძლიერებს „შერეკილებს“. იგი ამ ფილმში შესანიშნავ, მეოცნებე ადამიანთა სულიდან ამოიფრქვევა და მათი ამაღლებულობის დადასტურებაა. ის, რაც მათ ამოძრავებს, უნდა აღდგინებულიყო თვით სიმღერის ენაზე და ამ ვალის ორნამენტში უნდა არკეოლილო, რომლის შაროვნება მართლაც ცის ლავარდს ეკუთვნის.

ეს მუსიკა (იგი გ. ყანჩელსა და ჯ. კახიძეს ეკუთვნის) ბუნებრივი და უბრალოა, თითქოს თავისთავად მოედინება. მაგრამ უბრალოება არც სიმარტვის ნიშნავს და არც დრამატურგიული უწყქილის უმინზო-ვნელობას. ერთაოზის სიმღერაში მხატვრული განზომილებების თავისებურბებს ოცნებითის და სახასიათოს სინთეზი განაპირობებს. ფოლკლორულის მჩქეფარება მოძრაობის ენერგის განსაზღვრავს და, ამავე დროს, თვით ეს ახალგანადული აღტიენბა და ხალისანი იუმორის გვირის ხასიათის ზუსტი მანიშნებლები არიან, პორტრეტულ მნიშვნელობას იღებენ. ვალსი, რომელიც ქრისტეფორეს მწუხარე თხოობაში იღებს დადასწყის, ამ თავისებურბი და რამანტული ისტორიის სეფდანი კამერტონია და, ამავე დროს, ნათელი ოცნებითაა გამსჭვალული, მთელ ფილმს ასხივონებს და მის ფინალში ხალხურ მელოდიასთან სინთეზისაკენ მიისწრაფვის. ბუნების დაუსრულებელ სიმფონიაში სიმღერა ადამიანის ზნა, სიცოცხლის მჩქეფარების განცდაა. ერთაოზი მოხმბულელი იყო თავისი ბუნებრივი ინსტიქტით, ბედსი-ერბობადაში სწრაფვის სიძლიერით, გულუხვობითა და ექთლისადმი მიღრცილებით. ამიტომაც, ამ საოცარი ფერნის დროს იგი ასე ორგანულადაა გამოთიანებული ბუნებასთან, ამ უშუალო და მომღიპარ მელიდიასთან, რომელშიც თითქოს მთელი ეს არე-ჩარე ქდრის.

დაბს, მუსიკასთან ერთად ფილმში შემოდის მისი განუმოკრებელი რიტმი. ეს რიტმი დაკვეთრებულია არა გარეგნულ მოძრაობასთან, არამედ გულის ძგრასთან, გრძნობიერის რეალობასთან. იგი თვით ოცნების მელიდიურობას განაპირობებს. ამ მუსიკის გარეშე ფილმის პოეტურობა შეილახებოდა, ფილმი დამუქდებოდა, მისი გამახსივონებელი ოცნება დაიფრფლდებოდა და მთლიანად შარესა და გროტესს, ყოფითი სურათების სიმკვეთრეს დაუთმობდა ასპარეზს. ფინალში განსაკუთრებული სიმკვეთრო ირენს თავს დისტანცია ყოფით-შეზღუდულობა და რამანტიულად ამაღლებულ შორის, — დისტანცია იმას შორის. რამაც ადამიანს გადალაპუნია თავისი ბედ, რომლის გადალაპუნაც გარდაუვალია.

# ახალი გზის დასაწყისი

## „გზის დასაწყისი“

სცენარის ავტორი და რეჟისორი — ლ. ელიავა,  
მხატვრები —  
რ. და თ. მირზაშვილები, კომპოზიტორი —  
ი. ბობოხაძე, კინოსტუდია „ქართული ფილმი“,  
1982.

## გიორგი გვახარია

რამსისორ ლიანა ელიავას ფილმი „გზის დასაწყისი“ ვინებამახვილოდ ეპიზოდით იწყება: ხნიერი ენერგეტიკოსი, მამაკაცურა გარეგნობის ქალი, სურათის შთაგარ გამოხს— ახალგაზრდა რეჟისორს, ნინოს. თავის სცენარის სთავაზობს, თან დაბეჯითებით არწმუნებს, სცენარი არ არის ურიგო, თანამედროვე ენერგეტიკის პრობლემებს ესებაო. ხმაშლლა, აღეღებით ლაპარაკობს, კდილობს გააგებანოს თავისი საქმის მნიშვნელობა, თანაც გადააჯარბოს ქუჩიდან შემოსულ ხმაურს. ნინოც ზრდილობიანად პასუხობს, რომ ამჟამად ფილმს იღებს. შემდეგ კი აუცილებლად გაეცნობა სცენარს, რასაც მოსუცი გულწრფელად იჯერებს და კმაყოფილი სტუვებს სტუდიას.

ეს გმირი ფილმის ბოლოსაც გამოჩნდება ეკრანზე, ისევე მიმართავს ნინოს, რომელსაც ახლა უცვე თავისი ფილმის პრემიერაზე მიეჩქარება. ისევე პირდებაიან...

ხნიერი ქალი, მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე წუთით გაიუღეებს ეკრანზე, დასრულებული მსატვრული სახეა ფილმში, კონკრეტული ადამიანის ბედს გამოხატავს.


მართლაც, ეს ხომ ადამიანური მოთხოვნილებაა, გაუზიარო სხვას, ასახო, გამოხატო ის, რაც ყველაზე უკეთ იცი, თან დაარწმუნო შენი თავი, და სხვებიც, რომ ის, რასაც შენ აკეთებ, აუცილებელია, საჭიროა, სასარგებლოა... ყველაფერი ეს ზოგჯერ სულიერად ამადლებს ადამიანს, ზოგჯერ კი მის თვითდამტკიცებას და საკუთარი „ეგოს“ სიმყუდროვეს განაპირობებს მხოლოდ. მაგრამ ასეა თუ ისე, ალბათ უკეთესია ადამიანმა თავად ილაპარაკოს თავის საქმეზე, ვიდრე სხვამ, ვისაც ამ საქმისა არაფერი გაეგება. უკეთესია, ალბათ, კაცმა თავის თავზე გვიამბოს, ვიდრე სხვა შეაფასოს, სხვა გაასამართლოს. ამიტომ ნებისმიერ დიდ ნაწარმოებში ავტორი ყოველთვის ცოცხლობდა თავის გმირებში, რალაც თავისას აძლევდა, ზოგჯერ კი უშუალოდ ახდენდა იდენტიფიკაციას.

კინემატოგრაფში, რომელიც რეალური სინამდვილის ნატურალური ასახვას მოითხოვს, ამ პროცესის განხორციელება განსაკუთრებით რთულია. კინო მასობრივი ხელოვნებაა. ამიტომაც, ფილმებს თავიანთი ცხოვრებაზე ჭიუტად მოითხოვენ მუშები.

კოლმეურნეები, საწარმოთა ხელმძღვანელები, ფიზიკოსები, ენერგეტიკოსები... არაფერი რომ არ მოიგონო, მოიტყუო, კომპრომისზე არ წახვიდე. გულმოდგინედ უნდა შეისწავლო ამ ადამიანთა ცხოვრება, მათი შრომა, პრობლემები, და რაც მთავარია, არაფერი მიჩქმალო, დამალო, გამოხატო მთავარი, ძირითადი.

რომელიც მან აირჩია ცხოვრებაში, არ ნობ გარემოს, რომელშიც მას უხდება შრომა და ცხოვრება.

ხშირია: კინოში მოდის ახალგაზრდა რეჟისორი, მოაქვს თავისი გამოცდილება, პრობლემები. შემდეგ იწყებს ფილმის გადაღებას. ამთავრებს ერთს, გადადის მეორეზე, მესამეზე... დრო ცოტა აქვს, ფილმების გა-



კადრი ფილმიდან „გზის დასაწყისი“. ვეა — თ. არჩვაძე

ჩვენა კინემატოგრაფის ისტორია ცხადყოფს, რომ ამ მოთხოვნათა შესრულებას რთულია ხელოვანისთვის, რომელსაც სიმართლის თქმის წყურვილი ამოძრავებს. ამიტომაც წერდა და წერს ჩვენი კრიტიკა „საწარმოო“ თემატიკაზე გადაღებული ფილმების სწორხაზოვნებაზე, მენტორულ ტონზე, ადამიანის შრომის „გარედან“ დანახვაზე, ზოგჯერ კი აშკარა სიყალბეზე გმირთა სახეების გამოძერწვისას, მათი ყოველდღიური ცხოვრების ასახვისას. მართლაც, ადვილია ილაპარაკო კაცზე, რომლის ცხოვრებას მხოლოდ მშრალი ფაქტებით იცნობ, არ იცი მისი მოქმედების, მისი საქციელის რეალური მიზეზები, არ იცა, რა განაპირობებს გზას,

დაღება ზოგჯერ ისე იტაცებს, რომ „გარეთ“ გახედვისათვის აღარ სცალია. იმ პრობლემებით ცხოვრობს, ოცი წლის წინათ რომ ცხოვრობდა. ხან თავად იგონებს თავისი ფილმისათვის ამბავს, ხანაც „აქტუალურ“ თემაზე დაწერილ სცენარს მიმართავს — ზოგჯერ სრულიად ბრმად, მხოლოდ იმისთვის, რომ ფილმი გადაიღოს.

ასეთ ვითარებაში მისასალმებელია, როცა კინორეჟისორი თავიდანვე უარს ამბობს კომპრომისებზე, ფილმის „გაყეთებაზე“ და ცდილობს ხელი მოკიდოს მასალას, რომელსაც ყველაზე უკეთ იცნობს, რომლის ყველა დეტალი და ნიუანსი მისთვის ახლობელი და გათავისებულია.



ცხადია, მასალის ცოდნა არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მისი თავმოყრა ადვილი იყოს. პირიქით, ხელოვანისთვის ყოველთვის რთულია ილაპარაკოს თავის საქმეზე გულწრფელად, გვიჩვენოს თავისი დამოკიდებულება კოლეგებთან, მეგობრებთან. მაგრამ თვით ამის სურვილიც კი უკვე მხარდაჭერას იმსახურებს. ამიტომაც მოუთმენლად ველოდით ახალგაზრდა რეჟისორის ამ სურათს. მით უმეტეს, ვიცოდით, რომ ლიანა ელიავა ნიჟერი კინემატოგრაფისტია, რომელიმაც სტილის, კინემატოგრაფის სპეციფიკის მძაფრი შეგრძნება გამოაუღიანა სურათებში „ზიანეთი“ და „სენაში“. ამ ფილმებს ჩვენმა კრიტიკამ ჯერაც ვერ მოუნახა სათანადო ადგილი. ალბათ იმატომ, რომ ეს სურათები ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩევიან და იმდენად არ ჰგვანან სხვა, მათ თანადროულ ფილმებს, რომ სტერეოტიპით დამონებულ მაყურებელსა და კრიტიკოსსაც მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ ისინი.

ლიანა ელიავას ახალი ფილმი აგრეთვე „ამოვარდნილია“ ქართული კინოსა და ქართული კინოგმირის ტრადიციული სქემიდან: ცოტა იუმორი, ხაზგასმული ლირიზმი, ვერც ამბის ანეკდოტურობით მოიხიბლება კაცი. ეს სურათი ბოლო წლების ქართულ კინოში მიმდინარე ახალი პროცესების გამოხატველია, დასაწყისია — შესაძლოა ჯერ კიდევ სუსტი, დაუხვეწელი, ჩამოუყალიბებელი (ალბათ, როგორც ბევრი დასაწყისი), მაგრამ აქ დაწყებული ძიება უთუოდ უნდა გაგრძელდეს, თუნდაც ამ ნიჟერი რეჟისორი ქალის შემოქმედებაში.

ფილმი თუშეთზე, რომელსაც ნინო (მ. ჯანაშია) იღებს, ამ გვირის შემოქმედებით გზის დასაწყისიცაა. ამიტომაც ასე მძაფრია მისი სურვილი — რაც შეიძლება უკეთესი გამოვიდეს ფილმი, რაც შეიძლება ბოლომდე დაინარჯოს, მკაცრი და მომთხოვნა იყოს ყველას მიმართ („ვერც მე და ვერც ჩემი ფილმი ვერ შევეწირებით ვილაჯების დაუდევრობას“ — ამბობს ნინო), მითუმეტეს, რომ ნინო კინოში ჩამოყალიბებული პრობლემატიკით მოდის: თუშეთი მისთვის ის მხარეა, სადაც სილამაზით და სიმწვდით გარემოცულადამიანებს ისევ ეღვიძებათ ერთმანეთთან დაახლოების, სიყვარულის სურვილი. მწვანე ბალახზე სულ სხვაა სიყვარული... სულ სხვაა თუშური კოშკები: ადამიანთა სიძლიერეს,

და, ამავე დროს, მათ სიფაქიზეს რომ განიხატავენ. სულ სხვაა თუშური სიძლიერე, სხვაა სხვა სხვადასხვა მატერიალური ვარაუდების ვანცდებს. სხვანი არიან ეს გულში ადამიანები — თუშები — ბუნების შეიღობი, ქალაქურ ფორიაქს რომ არ შეხებთან.

ასეთი ცხოვრების სურვილი ადამიანში დაბადებიდან ძვეს. სულ სხვაა, შეიგრძნობს და გაიზარებს თუ არა მას კაცი...

ლიანა ელიავა ფილმის პირველივე ეპიზოდებიდან გვარწმუნებს, რომ მის გვირს ამ სილამაზისადმი ნოსტალგია ამოძრავებს, თანაც აწინებს ცვილიზაციის გავრცელების ტემპები („მეხედე, აქაც გაჩნდა თუნუქიანი სახლი... ერთი თუნუქით გადახურავს, უკიდრე — მიფერით და გათვდა, აღარაა თუშეთი“). ამიტომაც, ვაჟა (თ. არჩვაძე), მსახიობი, რომელიც მის ფილმში მთავარ როლს ასრულებს, მისთვის თავიდანვე ამ კოლორიტის შველი ხდება. ვაჟასაც ეღვიძება სილამაზის შეგრძნების უნარი, ხოლო თუშეთის პეიზაჟების ფონზე წარმოთქმული ლექსებით იგი საბოლოოდ იწერება ნინოსთვის თუშეთის ბუნების მშვენიერებაში.

ესაა და ეს... ნინოში სიყვარულის ჩასახვის სხვა, უფრო დამაჯერებელი მიზეზი სურათში არ ჩანს. ცხადია, ასეც ხდება ცხოვრებაში: ადამიანი რაღაც ერთი, კონკრეტული თვისების ან თვისებების გამო არ შეუყვარდებათ ხოლმე, გრძნობის ჩასახვის პროცესი ზოგჯერ აღუსწავლია, დაუსაბუთებელი, ხოლო თვით გრძნობა ამორფული, ხელშუთხებელი. და მაინც, სიყვარულის ჩასახვის პროცესი ფილმში გამოუხატავი რჩება. გამოუხატავი იმიტომ, რომ თავად ავტორი ცდილობს გვიჩვენოს ამ გრძნობის ჩასახვის მიზეზები, რომლებიც ეკრანზე მეორეხარისხოვნად ჩანან, უსუსურნი ხდებიან იმდენად, რომ მაყურებელს ეკვიპ კი შეიძლება შეეპაროს ავტორთა გულწრფელობაში. იქნებ, ნინოში სიყვარული იმან დაბადა, რომ ვაჟა ხმამალა კითხულობს ლექსებს, ან იქნებ, მის ფილმში მონაწილე მსახიობის — მედიკოს ნაამბობმა მიიჩქია ნინოს ყურადღება? იქნებ ვაჟას პოპულარობამ ქალებში? (სცენა, როცა ვაჟას ესტუმრებიან ახალგაზრდა ქალები, ნინო კი სევდიანი თქალებით შესცქერის შეყვარებულს), თუ ვაჟას ალკოპოლისადმი მიდრეკილება მიიზიდავს ახალგაზრდა რეჟისორს?

ვფიქრობ, ყველა ეს არგუმენტი მოკლებულია დამაჯერებლობას. ვიმეორებ, არგუმენტებს არც მოეთხოვრებით რეჟისორს, რადგან სიყვარული თავად მოკლებულია ხოლმე არგუმენტაციას. მაგრამ ავტორმა თავად ისურვა წინონში სიყვარულის დაბადების პროცესის ჩვენება. სურვილი კი სურვილად დარჩა. ვაჟასადმი განსაკუთრებული სიმპათია არა მგონია მაყურებელს დაჰბადებოდა. ამიტომაც, გრძნობის ჩასახვა ფილმში იმდენად სწრაფად ხდება, რომ მხოლოდ ხელოვნურობისა და ნაძალადგობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ასევე მოკლებულია დამაჯერებლობას წინონსა და ვაჟას დაცობების ფაქტიც. ვერ გეტყვით — ვაჟა მხოლოდ „ეთნოგრაფიული“ გატაცება ყოფილიყოს წინონსთვის (მანან მანანოვიძე რომანი გამართლებულიც იქნებოდა და ბუნებრივაც. ასეც ხომ ხდება), რადგან ქალაქში ისინი კვლავ მშვენივრად გრძნობენ ერთად თავს. მეტიც, წინონ სახლში იტოვებს ვაჟას... ვაჟა მიდის და ყველაფერი თათქოს მთავრდება. ოჯახი ჰყავს? გინა წინონ ეს აღრე არ იცოდა? განა მოატყუეს? დედის გასვენებაზე ვერ ჩამოვიდა... მან ხომ გვიან გაიგო ყველაფერი, ასეც ხომ შეიძლება მოხდეს? თუ წინონ კონკრეტული თვისებების გამო არ შეიყვარა, მან, რამ განაპირობა ემოციების ასე სწრაფად ამოწურვა? თუ ვაჟაში სულიერი სილამაზე დინახა (თუ-შეთის მთების ფონზე ლექსების კითხვა მაქვს მხედველობაში), სად გაქრა ასე უცებ ეს სილამაზე?

რეჟისორი წინონს განცდებს ერთ დიალოგში გამონატყავს ფილმის ბოლოს, როცა ვაჟა მოგვანებით ესტუმრება მას — დედის ვარდაცელებს შემდეგ, რისთვისაც ბოღის უხდის:

ვაჟა: — ასეა, ყველაფერში მე გამოვდივარ მტყუანა.

წინონ: — შენ გინდა ყველაფერში მართალი იყო, ასე არ გამოვა.

ვაჟა: — შენთვის ადვილია, შენ მხოლოდ შენ თავს ეკუთვნი.

წინონ: — ყველა თავის თავს ეკუთვნის!

როგორც ჩანს, წინონს გული გაუტყდა ვაჟაზე იმიტომ, რომ ის ცდილობდა ყველასთან მართალი ყოფილიყო. თანაც იმიტომ, რომ ვაჟა თავის თავს არ ეკუთვნოდა... ვფიქრობ, საკამათოა გაიკებო ადამიანი ამისთვის, დაადანაშაულო, სწორი გზა მიუთითო. მითუმე-

ტეს იმაში, რომ ვაჟა „სხვებზე ზრუნავს“, არაფერი უნდა იყოს ცუდი. მაგრამ წინონს პოზიციაც რეალურია: არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ თავს უყურებენ წინან, და თანაც (ისევე საკუთარი „ეგოს“ სიამოვნებისთვის) სხვებზეც ზრუნავენ. არ ღირს, ალბათ, ასეთი ადამიანების ვაკეცხვა. მაგრამ საოცარია ის კატეგორიულობა, დე-მაგოგიურობაც კი, რომელიც გაიფლევს ამ დიალოგში წინონს მხრიდან ვაჟას პოზიციის მიმართ, რომელიც არანაკლებ ჰუმანიური (თუ მეტად არა), ვიდრე წინონი.

ავტორები კი მთელი ფილმის განმავლობაში ცდილობენ შეგვაყვარონ თავიანთი გმირი, გამოხატონ მისი მგრძნობიარობა, სიღრმე, ქალურობა, სილამაზე (თეთრ ვადალდაზეც კი წინონ სათვართო კაბით გამოცხადდება. ეს მაშინ, როცა უზარმაზარ ამწეზე უწევს ასვლა), საკუთარი საქმისთვის თავგანწირვა, უკომპრომისობა შემოქმედებაში. ძალიან ბევრა ხომ არ არის? რატომ არიან გარშემო მხოლოდ ზარმაცები (ოპერატორი, შემწანები, რომლებიც ვერ კიქურზე ლაპარაკობენ, შემდეგ კი, სამხატვრო საბჭოზე პრეტენზიულად იწუნებენ ფილმის მასალას, ექვიანები (მედიკო), ზედმეტად კრიტიკულნი (ლეიბო დეა) მხოლოდ წინონ გვევლიანება აქ სულიერად დახვეწილ, შრომისმოყვარე, მოსიყვარულე, კეთილშობილ ადამიანად.

რეჟისორი ერთ-ერთ ინტერვიუში („ეკრანის ამბები“ 1982, № 6) აღნიშნავდა: ფილმი ვერცეე წოდებული „ცნობიერების ნაკადის“ მანერითაა გადაღებულიო. წინონში მომდინარე ეს „ნაკადი“, როგორც ჩანს, მთლიანად დაედო საფუძვლად ფილმს.

ადამიანთა უმრავლესობისთვის ეს „ნაკადი“ ნაცნობია. ამის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მავალითია დღიურები, რომელსაც აღგენენ ხოლმე ბავშვები და მოხუცები, კალნის „ისტატები და ჩვეულებრივი ადამიანები, ასეთ დღიურთა კრებულს გვაჯიღონებს „ვზის დასაწყისი“... ეს ფორმა, თავისთავად საინტერესოა. მითუმეტეს, რომ ამის მავალით ქართულ კინოში, ფაქტიურად, არ მოგვეპოვება.

უბეულოა მხოლოდ ის, რომ წინონ თავს „ცნობიერებას ნაკადში“ ყველგან და ყველაფერში ამართლებს თავის თავს, მხოლოდ დადებით თვისებებს ამქლავნებს. ასეთ შემთხვევაში დღიური თავის აზრს კარგავს —



ადამიანი ხომ დღიურს, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად, იმისთვის ადგენს, რომ ჰქონდეს საშუალება შემდეგ შეხედოს თავის წარსულს, თავის თავს. გაიხსენოს თავისი საქციელი, თავისი შეცდომებიც, რომ მომავალში ეს შეცდომები აღარ დაუშვას.

დღიური ადამიანს სულიერი დახვეწისთვის სჭირდება, „ცნობიერების ნაკადი“, ფსიქოანალიზი თავის თავში კეშმარტების ძიებას გულისხმობს. ადამიანს კი კეშმარტებისთვის, არასდროს მიუღწევია სხვისი გამტყუებელია და თავისი თავის „ესთეტიზაციით“.

გარდა ამისა, დღიური ხელოვნების ნაწარმოებზე იქცევა მაშინ, როდესაც მისი ავტორი უშუალოდ კი არ აღბეჭდავს ყველაფერს, რაც შეემთხვა, არამედ აბსტრაგირებას უკეთებს ნანახსა და განცდილს. ქმნის მხატვრულ სახეს, ესოდენ აუცილებელს ხელოვნების ნაწარმოებისთვის.

ფექტობ, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ: „ვზის დასაწყისის“ ძირითადი ნაკლი: სტილის გაუმართავობა, კომპოზიციის დაქსაქსულობა, მთავარისა და მეორეხარისხოვნის აღრევა. შეიძლება ავტორი შეეიდავოს და თავის გასამართლებლად ისევ „ცნობიერების ნაკადის“ პრინციპები მოიყვანოს... ამაშიც ვერ დავეთანხმები: მედიტაციის პროცესში — ოუ

ეს პროცესი სწორად მიმდინარეობს, ელოდება ხარისხოვანი ადვილად ქრება და აფიქსირებული უთმობს მთავარს. ცნობიერების სიღრმეებიდან ამოტივტივდება მხოლოდ ძირითადი, ყველაფერი დანარჩენი ქრება.

იმის მტკიცებაც მოდური გახდა, თათქის, კინემატოგრაფის ნატურალური ბუნება მოითხოვდეს რეალურის ზუსტად ფიქსირებას, ფოტოგრაფიულ აღბეჭდვას, „ცხოვრების ნაკადის“ გამოხატვას. ამაში უთუოდ არის კეშმარტება. მაგრამ „ეკრანული შემოქმედება“, „ცხოვრების ნაკადისაგან“ განსხვავებით, ახდენს რა კანონზომიერის აკუმულირებასა და შემთხვევის უგულვებელყოფას, იქცევა აზრის შენადედად, რომელიც ქმნის საკუთარ მრავალსაფეხურიან კოლს“ (Разлогов К. «Искусство экрана. Проблемы выразительности». М., «Искусство», 1982, стр. 49).

სწორედ ეს კოდი, ეკრანულ სტრუქტურირებას რომ უდევს საფუძვლად, არ გაითვალისწინეს ფილმის ავტორებმა.

„ვზის დასაწყისის“ ავტორებს აშკარა პრეტენზია აქვთ ლოკუმენტალიზმზე. ამის წინააღმდეგი როდენ ვარ. პირიქით, ნატურალური გამოსახულების შექმნა კინემატოგრაფის ერთადერთ კანონად მიმაჩნია, ხოლო რეა-



კადრი ფილმიდან „კოკა — ლ. ერისთავი, ვაჟა — თ. არჩვაძე, ნინო — შ. ჭანაშვილი“

ლური სინამდვილის თვითმიზნური შეღამა-  
ზება — კინოს სპეციფიკიდან უხეშ დაღმ-  
რად. მაგრამ დოკუმენტალიზმი მხატვრულ  
კინოში, ცხადია, არ გულისხმობს კომპოზიცი-  
ის დაქსაქსულობას, როცა ნაწარმოების  
ცალკეულ ნაწილთა ურთიერთდამოკიდებუ-  
ლება აღრუტულია, ექსპოზიცია იქმნალება უმ-  
ნიშვნელო წერტილებში.

ნინოს სახის ესთეტიზაცია ამის ყველაზე  
თვალშისაცემი მაგალითია. მაშინ, როცა ეკ-  
რანზე შეიგრძნობა ცდა, გვიჩვენოს ჩვეულებ-  
რივი ადამიანები. ნინოს განცდების გამოშვ-  
ლება (თანაც მისი სრული გამართლებით)  
პირველი უხეშად ამოვარდნაო აქცენტია  
ფილმის სტილისტიკაში. ასევე დავიძრავ ავ-  
რთვე სურათს „როცა აყვავდა სული“ (რეჟი-  
სორი ლ. ლოდობერიძე), სადაც ყოველ დამა-  
ჯრებელ ჩვენებაში, გარემოს ნატურალურო-  
ბაში, თვალსა და ყუოს ქრება ფილმის  
გმირთა დეკლამაციური ტონი და თვითმიზ-  
ნურად გამოხატული კეთილშობილება.

შეცდომად მიმაჩნია რეჟისორის არჩევანის  
შეჩერება მარინე ჯანაშიაზე, რომელიც,  
უპირველესად, თეატრის მსახიობია და კინო-  
შიც „მოაქვს“ თეატრალური პირობათობის  
ელემენტები. ცხადია, ესეც დასაშვებია, მაგ-  
რამ არა ისეთი სტილისტიკის ფილმში, რო-  
გორც „გზის დასაწყისია“. მაგალითად, სუ-  
რათში „უუკარაჩა“ მარინე ჯანაშია წესტად  
ეწერება ფილმის ოდნავ მანერულ, თეატრალ-  
ურ „კოდში“, მისი ექსტისა და მოპიკის  
ხაზგასმულობა დამაჯერებლად ხსნის  
იმ ქალბატონი ანიკოს ხასიათს... „გზის და-  
საწყისში“ ფრაზებს, რომლებსაც ისედაც  
აქვთ ხელოვნურობის ნიშნები, მსახიობი  
ხაზგასმულად თეატრალურად წარმოთქვამს  
„შეიძლება ყველაფერი ჩემი საზრუნავი  
იყოს?“, ან კიდევ, როცა ვაჟაზე ამბობს  
„გული მტკივა, რომ ვუყურებ“. თეატრალუ-  
რობას კიდევ უფრო წარმოაჩენს ლევან  
ერისთავის კოკას საინტერესო, ცოცხალი  
მხატვრული სახე, ოპერატორ გიორგი გერსა-  
მის გამოსახულების ნატურალურობა, ფო-  
ნოგრაფის ბუნებრივობა და ა. შ.

ხელოვანს უნდა შესწევდეს თავისი სათქუ-  
ლის განცდის, მხატვრულ სახეებში წარმო-  
დგენის და ბოლოს, მისი გამოძერწვის, აკების,  
აწყობის უნარი. ავტობიოგრაფიული მხო-  
ლოდ ასეთ შემთხვევაში გადაიქცევა ხელოვ-

ნების კუშმარტ ქმნილებად. ფილმში მარინე-  
ლაე არის ეპიზოდები, რომლებშიც ნინოს  
მა რეჟისორმა „გამოძებნა“ მხატვრული ხასიათი,  
და, რაც მთავარია, დამაჯერებლად აავო ეკ-  
რანზე. გავისვენოთ, თუნდაც, კინოსტუდიის  
სამხატვრო საბჭოს სცენა — ყოველი სახე აქ  
დასამახსოვრებელია, გამომხატველი და ბუ-  
ნებრივიც. ან კიდევ დედის გარდაცვალების  
სცენა, როცა კამერა ცოტა ხნით აკეთებს  
პანორამას სახლის ჩაბნელებულ ფანჯრებზე  
და რბილად გადაჰყავს გამოსახულება საავად-  
მყოფოდან ნინოს ოთახზე. მაგრამ ძირითადად  
ჭარბობს ეპიზოდები, რომლებიც ავტორის  
თითქოს მხოლოდ ფილმის შესავსებლად  
სკირდება: ნინოს დაბადების დღის სცენა  
(იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორს სურ-  
ვილი ჰქონდა აუცილებლად ეჩვენებინა, თუ  
რა კარგად მღერიან ლევან ერისთავი და  
თენგიზ არჩვაძე), სულით ავადმყოფი ქუჩაში,  
მედიკოს შეხვედრა შვილთან და ა. შ. ფილმს  
არაფერი დააკლდებოდა, ეს ეპიზოდები სულ  
რომ არ ყოფილიყო. თუ მაინცდამაინც დო-  
კუმენტალიზმზე ვილაპარაკებთ, საკმარისია  
გავისხენოთ ო. იოსელიანის „იყო შაშვი მგა-  
ლობელი“. რამდენი ნაცნობი, შემთხვევით  
გამვლელი, მეგობარი ხვდება გიას, რამდენ  
ოჯახში უხდება სტუმრობა: არც ერთი სახე  
არ არის განზრახესთეტიზირებული, და ამას-  
თან, ყველა დასამახსოვრებელია, რადგან ნე-  
ბისმიერი მათგანი მხატვრული სახეა და  
ფილმის საერთო კოდში იწერება.

„გზის დასაწყისში“ ნინოს საავადმყოფოში  
გააცნობენ ასალავარდა ექთანს — ნააფლის,  
რომელსაც მსახიობობა უნდა. რამდენიმე  
წამში გვაცნობენ გოგონას, რომელიც არც კი  
ჩანს მკაფიოდ ეკრანზე.. რისთვის? თუ ისეც  
„ნაკადის“ პრინციპს მოვიტანთ, უცნაურა-  
ხდება. რატომ დაუმახსოვრებია ნინოს გო-  
გონა, რომელიც ფილმში ოქმში შეტანილ  
ჩანაწერს უფრო გვაგონებს, ვიდრე ცოცხალი  
მხატვრული სახეა. რატომ აგონდება გოგონა,  
რომელმაც მის სულიერ ცხოვრებას არაფერი  
შემატა, და წესით არც უნდა აღბეჭდილიყო  
ფიქრებში? ნინოსგან განსხვავებით, მყუდრე-  
ბელს არც ამახსოვრდება ეს სახე, რადგან  
რთულია მასში დაინახო რაიმე საინტერესო  
თუ მნიშვნელოვანი.

ამასთან დაკავშირებით, შინდა გავისყნო ილია ავერბახის ბოლო სურათი „ხმა“, რომელიც აგრეთვე კინემატოგრაფისტთა ცხოვრებას ასახავს. ამ ფილმში ავტორი იმდენად კრიტიკულად აფასებს „ხელოვნებისადმი თავგანწირული ადამიანების ცხოვრებას“ (როგორც წერდა „ლენფილმის“ დღეებში იკვანი პრესა), რომ ზოგჯერ აქტიურად ღიზიანდება კიდევ სურათში ასახული ფილმის შექმნის პროცესის არაბუნებრიობის და სიყალბის გამო. ავერბახმაც დოკუმენტური კინოს სტილისტიკას მიმართა და თავისი სურათი მთლიანად რეალურ ინტერაქტებში გადაიღო. არის ამ სურათში სცენა საავადმყოფოში: ფილმის გმირი რიგში დგას ტელეფონის ავტომატთან, ყურმილი კი მოხუც ავადმყოფს უჭირავს, რომელიც ხაზს იჭით ვილაცას ამცნობს: „აქ შესანიშნავი კომპანია შეიკრიბა, ყველაფერი კარგადააო“, იქვე, მაგიდასთან ავადმყოფი ქალები ჭორაობენ. ამ პატარა, თითქოს მთლიანად „ფარული კამერით“ გადაღებულ ეპიზოდში ავერბახი ახერხებს მეტყველი, დასამახსოვრებელი მხატვრული სახეების შექმნას, ხოლო მაყურებელს — მოქმედების აქტიურ თანამონაწილედ ხდის.

სწორედ ეს აკლია ლ. ელიავას ფილმს — მაყურებლის აზრისა და ემოციების აქტიური ჩართვა ეკრანულ მოქმედებაში, რაც უპირველესად იმით აისხნება, რომ მაყურებელი, მიუხედავად ავტორთა ცდისა, შექმნან მაქსიმალურად რეალური გარემო, მაინც შეინიშნავს, რომ აქ უშუალობას, ბუნებრივობას თამაშობენ. ამიტომაც მხოლოდ დისტანციიდან უყურებს ფილმის გმირის „ენობიერების ნაკადს“, თვით კი არ ერთვება ამ ნაკადში.

ამ მხრივ, ფილმში კიდევ უფრო მეტია სტილისტიკური დარღვევა. დასაწყისში, როცა გადაღება კოლექტივი თუშეთს ესტუმრება და ისმის თითქოს ჩვეულებრივი, უმნიშვნელო ტექსტები („კინოგარმა დამსუსხა... კარგია რეგისტრისთვის“, „პირველად რომ ამოვიღო, მევინა, რომ უკვე ნამყოფი ვიყავი“, „რატომ არ იყავი პეშევაზე“, და ა. შ.) რომელთაც მხოლოდ სინამდვილის ზუსტი გამოხატვის პრეტენზია აქვთ, იმათივე ნათელი ჩვენება თითოეული სიტყვის გამოკვეთილობა, თითოეული ფრაზის აქცენტირება. ფი-



კადრი ფილმიდან. თუში გოგონა — ი. ფარულავა.

ნოგრამაში ცოტაა „ბურუსი“, ამიტომ მაყურებლის ყურადღება ძალაუნებურად იფანტება ფრაზებზე, რომელთა შინაარსს არაკითარი მნიშვნელობა არა აქვს „ცნობიერების ნაკადისთვის“.

ფილმი გადაიღო თანამედროვე ქართული კინოს ერთ-ერთმა თვითმყოფადმა ოპერატორმა ვიორგი გერსამიამ. სურათი დრამატურგიულად საკმაოდ მდიდარ მასალას იძლეოდა მრავალფეროვანი გამოსახულებისთვის, ნოვატორული ძიებებისთვის.

„გზის დასაწყისის“ სახვითი გადაწყვეტა ზოგიერთ ეპიზოდში მოკვეება იმ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც შეიგრძნობა უკანასკნელი წლების ქართულ ფილმებში, როცა კადრს მთლიანად ჩამოშორდა დასრულებული სლაიდის როლი. საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კუთხის ასახვის დროსაც კი...

„სლიდურობის“ საშიშროება კი უთუოდ არსებობდა ფილმის ავტორთა წინაშე — თუშეთი ხომ თავისთავად ცდუნებაა ნებისმიერი ოპერატორისთვის. მაგრამ ეს ცდუნება აქ გადაილანა და გამოსახულება ძირითადად დო-

კუმენტური სტილისტიკის კანონებს დამორჩილდა. აქვე აღვნიშნავ, რომ გორგი გეგსაშვილის შემოქმედებისთვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ნატურალური გარემოს „გამხატვრულება“, სუბიექტური ობიექტურობის მიღწევა და არა სინამდვილის უბრალო დაფიქსირება (ამის საუკეთესო მაგალითია

თებოს ბუნებრიობა. გამოსახულება „მოდოგია“, მზად არის ცვლილებასათვის, აქცენტების განაწილებაც თავისუფალია, განზრახული „დალაგების“ გარეშე. გამოსახულების ჩასიათით ოპერატორი ხაზს უსვამს ფილმის სტილისტიკას, რაც კიდევ უფრო აწიშლებს მსახიობების (მ. ჯანა-



კადრი ფილმიდან „ვაჟა — თ. არჩვაძე, ნინო — მ. ჯანაშია“

შისი „დიდი მწვანე ველი“). როგორც ეს ხდება ზოგჯერ ასეთი სტილისტიკის ფილმებში — საუკეთესოა ამ მხრივ ფილმში ვადლება ვათენებისას, როცა სინათლე თითქოს ახლახანს პოეფინა თუშეთის მთებს და „დილის ფერები“ კადრსაც დაედო; აგრეთვე ეპიზოდი წვიმაში, როცა ბურუსი მთლიანად ეფინება გამოსახულებას, ფიგურები — ნიწო და ვაჟა — მკაფიოდ ჩანან და იმავდროულად შეუმჩნევლად „იძირებიან“ ფილმში.

თბილისის ეპიზოდებში ხაზგასმულია კადრების კომპოზიციის შემთხვევითობა, ვაწა-

შისა, თ. არჩვაძის, გ. გაბუნას) თამაში ხელოვნურობის ნიშნებს. მათ მანერებს, ურთიერთდამოკიდებულებას, თითქოს შემთხვევითად დანახულ გამოსახულებაში თამაშის ელემენტები შეაქვს. ერთი და იგივე გაოსახულებას განსხვავებული სტილისტიკური ელემენტი აშენებს (ამას ემატება ფონოკრამის ჩასიათი). რის გამოც გამოსახულებას „სტილური კოდი“ ირღვევა, იშლება.

ზოგჯერ თვით გამოსახულებაშიც ჩნდება კადრის კომპოზიციათა გააზრებულობის გაწიშვლება, რაც არ მარტო ეწინააღმდეგება



ფილმის დოკუმენტურ სტილისტიკას, არა-  
მედ ზოგჯერ ექცევა კონფლიქტში წინამორ-  
ბედ ან მომდევნო ხედთან. მაგალითად, თუ-  
შეთში, კინოფილმის გადაღების სცენა მოი-  
ყვას ერთ, საკმაოდ გახანგრძლივებულ  
ხედს, რომელშიც კომპოზიციის ცენტრში  
ჩანს მოზრდილი ქვა — მთელი კომპოზიცი-  
ის „ბურჯი“. ხოლო გარშემო, ზუსტად გა-  
ნაწილებული, გააზრებული ინტერვალებით,  
ოპერატორი, მსახიობი და ასისტენტი. ეს გა-  
ნოსახულება კომპოზიციურად იმდენად დას-  
რულებული და ჩაეკტილია, რომ ველარ ებ-  
მის მომდევნო ხედებს, რომელთა კომპოზიცია  
დოკუმენტური სტილისტიკით იგება და რო-  
მელსაც შემთხვევითი, ცოცხალი, დინამიური  
პლასტიკა ახასიათებს.

თბილისში გადაღებულ ზოგიერთ ეპიზოდ-  
შიც დოკუმენტალიზმი თამაშდება, კეთდება  
და გამოსახულებაც კარგავს ბუნებრიობას.

სურათში საკმაოდ ხშირია, როცა ერთი  
კადრის ფარგლებში კამერა თავისუფლად  
გადადის საშუალოდ მსხვილ ხედზე და უკან  
ბრუნდება. ეს ხერხი ისე ხშირად მეორდება,  
რომ, ძალაუბნებურად, მაყურებელი გონებაში  
იწყებს მისი მნიშვნელობის ახსნას. მაგრამ  
კამერის ასეთი „სვლები“ იმდენად დაუკავში-  
რებელია დამატურაგისთან, რომ საბოლო-  
ოდ მხოლოდ ერთ დასკვნამდე შეიძლება მი-  
ვიდეთ: ზოგიერთ ეპიზოდში გახანგრძლივე-  
ბული დიალოგებით გამოსახულების „გადა-  
რიბების“ შიშით, ავტორებს ამ გამოსახულე-  
ბაში კამერის თავისუფალი სვლის ფორმა  
აურჩევიათ. კამერის ასეთი უხეში გაიშვლე-  
ბა სრულიად შეუსაბამოა ფილმისათვის, რო-  
მელიც მთლიანად რეალური გარემოს სარკი-  
სებური აღბეჭდვის პრინციპს უნდა ემორჩი-  
ლებოდეს. იქნებ, ესეც „ცნობიერების ნაკა-  
დის“ მოთხოვნაა? იქნებ, გახსენების ფენო-  
მენია?

არა მგონია... ვაგიხსენოთ, თუნდაც. ნაწის  
დიალოგი მედიკოსთან. ინტერაერში მხატვ-  
რები (რ. და თ. მირზაშვილები) ყველა ხერხს  
ძიპართავენ ეთნოგრაფიული ლეტალების  
ხაზგასმისთვის: მაგალითად, მედიკო თუშურ  
ხალიჩას ეყრდნობა და ხალიჩის ფერადოკანი  
ქცენტები აქ ცოტა ხნით აფორმებენ კადრს  
(თუმცა, დოკუმენტურ სტილისტიკაში კად-  
რის გაფორმების აუცილებლობა, როგორც  
წყისი, მოხსნილი უნდა იყოს), მაგრამ მედი-  
კოს მონოლოგი აქ იმდენ ხანს გრძელდება,

თანაც იმდენად ერთფეროვანი და მონოტო-  
ნურია, რომ კამერა „იძულებულია“ ეკუთვნოდეს  
ლოდან ახლო ხედზე გადავიდეს მსხვილ-  
დროის ამ მონაკვეთში მედიკო განსაკუთრე-  
ბით მნიშვნელოვანს არაფერს ამბობს) და  
შემდეგ.. რატომღაც ისევ საწყის მდგომარე-  
ობას დაუბრუნდეს. ასევეა ნინოს დაბადების  
დღის სცენაშიც. კამერა აქაც ვერ პოულაზს  
თავის ადგილს: გამოსახულება ხან მსხვილ-  
დება, ხან საშუალო ხედზე გადადის. ეს კამე-  
რა „სუბიექტური“ რომ იყოს (რაც, სხვათა  
შორის, „ცნობიერების ნაკადის“ ხასიათს უუ-  
ნო გამამართლებდა და დამაჯერებელს გახ-  
დიდა), მაშინ გასაგები იქნებოდა, რომ მას  
ემოციური დატვირთვა აქვს და ნინოს განც-  
დებს, მოგონებებს გამოხატავს. მაგრამ კამე-  
რა არ არის გაიგივებული გმირის ხედგას-  
თან, გარემოს მისი თვალთ არ ასახავს: კა-  
მერა მხოლოდ „გარე წევრია“, ამიტომ  
მისი ასეთი ზედმიწევნითი აქტიურობა გაუ-  
გებარია და მხოლოდ რიტმის ჩაჯვარდნის ში-  
შით უნდა იყოს გამოყენებული. რიტმის ასე-  
თი ხერხით „გაცოცხლება“ კი არა მარტო  
არაფერს აძლევს ფილმს, არამედ აბნევს კი-  
დეც მაყურებლის მზერას.

საერთოდ, გამოსახულების თვალსაზრისით,  
გაუგებარია ზდება, სად არის „მოქმედ გმირ-  
თა მოგონებები, ასოციაციები, გახსენება და  
სხვა“, რასაც რეჟისორი შემოთხსენებულ ინ-  
ტერკოუში „ცნობიერების ნაკადის“ არგუ-  
მენტაციისთვის აღნიშნავდა. ეს ამოცანა მო-  
ითხოვდა ეკრანზე ხაზგასმულად სუბიექტურ  
გამოსახულების შექმნას. მაშინ, შესაძ-  
ლავა, მაყურებელს, უყუთ ეგრძნო ნინოს  
განცდების, ემოციების ხასიათი, მისი „ნაკა-  
დის“ თანამონაწილე გამხდარიყო. მაგრამ ავ-  
ტორებმა თითქოს აუცილებლად მიიზნიეს  
თითქმის ყველა მოვლენაზე ნინოს შეფასე-  
ბების გამოხატვა ფილმის პირველივე კადრ-  
ბიდან, როცა „ენერგეტიკოსის“ საშუალო  
ოთახიდან გასვლის შემდეგ, ოპერატორი ბუ-  
ნებრივად, ადამიანურად რეაგირებს უჩვეუ-  
ლო ენთუზიატის ხმამაღალ ლაპარაკზე  
(„ძლიერ არ დაისვენა ყურმა“), კამერა ცოტა  
ხნით შეჩერდება ნინოზე, რომლის სახეზე თა-  
ნავარძნოვანა აღბეჭდილი, ნინომ წამსვე შეა-  
ფასა სიტუაცია და ავტორებმა უკვე აქედან  
დაიწყეს ნინოსადმი თვითნებური დამოკიდებუ-  
ლების ჩვენება.

კიდევ უფრო ვაცვეთილად მიმართა ეპი-

ზოდები (ცხადია, ისეთი ნიჭიერი ხელოვნისათვის, როგორც ლიანა ელიავა), როდესაც ნინო ღრმასროვნად გახედავს თაყვანისმცემელი ქალბები გარშემორტყმულ ვაჟს. კამერა ნინოს სახეზე ჩერდება, ეს ხედი აქ აშკარად ზედმეტია. ჩვენთვის ისედაც ცხადი იქნებოდა ამ წუთებში ნინოს განწყობილება. მეტრაც, ჩვენს წარმოდგენაში მარანე ჯანაშიას შეიძლება უკეთ შეეფასებინა ეს სიტუაცია, ვიდრე თავისი ახლა, როცა ეს შეფასება ისოდენ გამოიშვლებოდა.

ფილმის ფინალში, როდესაც ნინო კინომექანიკოსის ჯიხურიდან უყურებს ფილმს, მაყურებელი ვერ ხედავს მის სახეს, მაგრამ მის აღლევებას, მის ემოციებს აუცილებლად იგრძნობს. ეს ეპიზოდი თავად უმტკიცებს ავტორებს, რომ მათ მეტი ნდობა უნდა გამოეცხადებინათ მაყურებლისათვის, მეტი თავისუფლება უნდა მიენიჭებინათ მისთვის. მაშინ მაყურებელიც ნინოს ბიოგრაფიის ამ პატარა ეპიზოდის, მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისის უფრო აქტიური თანამონაწილე გახდებოდა.

ჩვენს დროში თემა „კინო კინოში“ ძალზე პოპულარული გახდა. არის ამ თემაზე გადაღებული საინტერესო სურათებიც, მაგრამ უფრო ნაზირა მეორადი, საშუალო ფილმები. ლიანა ელიავა ამ თემის ახლებურ ინტერპრეტაციას გეთავაზობს. ზემოთ ხსენებული სურათის — „ხმის“ — გმირისგან განსხვავებით, ნინოს მხოლოდ ფილმის შექმნა კი არ აინტერესებს, ის ცხოვრობს: უყვარს, გული ტყავს, ფიქრობს, იგონებს, აანალიზებს. მხოლოდ ეს აძლევს საშუალებას ყველაზე კრიტიკულ ცხოვრებისეულ სიტუაციაშიც კი (საყვარელი ადამიანის დაკარგვა, დედის სოკედილი) შეინარჩუნოს სიყვარული — თუნდაც მხოლოდ თავისი საქმის მიმართ.

ტკვილი, განცდა, ბარიერები ქმნიან და მშინან კემარტ ხელოვნებას... სასოწარკვეთის სინარული მოაყვება, ტანჯვას ბედნიერება, ფორაქს — სიმწიდე და ა. შ. ანაშია ხელოვნების ნაწარმოების შექმნა საიდუმლო, და, ალბათ, საერთოდ, „სულიერი“ ადამიანის ცხოვრების ფორმაც...

„გზის დასაწყისი“ სწორედ ამ ტენდენციებს გამოხატავს დღევანდელ ქართულ კინოში: ლ. ელიავა ცდილობს შექმნას „სულიერი“ გმირის სახე, მისი მიზანია ადამი-

ნის — ხელოვანის — სულიერი ცხოვრების ასახვა, სულიერი ცხოვრებისა, რომელიც არ შეიძლება არსებობდეს რეალური ცხოვრების გარეშე. მაგრამ ძირითადი მანიკ სულიერია — ის განსაზღვრავს ადამიანის მოღვაწეობას, დამოკიდებულებას ვარშემომყოფებთან, ხელოვნებასთან, ის განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების გზას, მის აწმყოსა და მომავალს.

კარგია, რომ ქართული კინო აქტიურად შეეკრიდა ამ პრობლემას. თავიდან აიცილა ნაძალადევა რომანტიზმი, თეოთიზნური ლირიკულობა, სქემატურობა და კატეგორიულობა. კარგია, რომ ეკრანმა მიზნად დაისახა ადამიანის ფიქრის გამოხატვა. სხვადა, რომ ახალგაზრდა რეჟისორმა ჯერ კიდევ ვერ დასძლია სიმწიფეები სტილის თვალსაზრისით. ეს ბუნებრივია: ასეთი ამოცანის გადაწყვეტის ტრადიციები ჩვენში ფაქტურად არ არსებობს. „გზის დასაწყისი“ ცდილობს საფუძველი ჩაუყაროს მათ. ამიტომაც იმსახურებს ეს სურათი მაყურებლისა და კრიტიკის ყურადღებას.

\* \* \*

ფილმში „გზის დასაწყისი“, სამხატვრო საბჭოს ეპიზოდში, სურათის რედაქტორი ირონიულად ამბობს გასინჯულ მასალაზე: „თუ ფილმი არაფერზეა გადაღებული, მაშინ ფილმი კარგია!“

ღრნად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს სინამდვილეში „არაფერი“ არ არსებობს, ყოველი წვრილმანი შეიძლება დაედოს საფუძვლად ხელოვნების ნაწარმოებს იმ შემთხვევაში, როცა ეს წვრილმანი განზოგადდება, მოხდება მისი აბსტრაგირება. სწორედ ეს აკლია „გზის დასაწყისს“, ალბათ, ისევე, როგორც ყველა დასაწყისს, რომლის მნიშვნელობას გავიგებთ მხოლოდ მაშინ, როცა დასაწყისი გავრძელებდა, განვითარდება და ნაყოფს გამოისხამს.

ამიტომ, ერთი ცხადია, — ამ დასაწყისმა თავისი გავრძელება და განვითარება უნდა კვოვოს!

# კინოლრაპეატურის განხილვა

(სამსონ სულაპური)

## გიორგი დოლიძე

კინო, ოლიმპოს მუხათა ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, როგორც ცნობილია, უსიტყვო ხელოვნების სახით აღმოცენდა. იქნებ სულაც ამიტომ იყო წლების მანძილზე უგულვებელყოფილი კინოლრაპეატურის ხელობა. პირველ ხანებში კინემატოგრაფისტები, ძირითადად, ცნობილ სიუჟეტებსა და პერსონაჟებს მიმართავდნენ, რათა მაყურებლისათვის იმთავითვე გასაგები ყოფილიყო ყველაფერი. სხვაგვარად როგორ შეიძლება იმის ახსნა, რომ პირველი ეკრანიზებისას „მკვდარი სულები“ სულ რაღაც 160 მეტრი იყო, „ტარას ბულბა“ —

240 მეტრი, „ანა კარენინა“ 350 მეტრი და ა. შ.

ქართული კინოს ისტორიიდანაც ნათელია, თუ რაოდენ მოგვიანებით გაჩნდნენ პროფესიონალი კინოსტენარისტები. იშვიათი გამოჩაჩისის გარდა (მაგალითად, შალვა დადიანს ეკუთვნის ორი ფილმის — „არსენ ჯორჯიაშვილისა“ და „ქარიშხლის წინ“ — სცენარი), პირველი ქართული ფილმები ან ეკრანიზაცია იყო („სურამის ციხე“, „მოძღვარი“, „მამის მკვლელი“, „ხანუმა“, „გული“, და ა. შ.) ან თვითონ რეჟისორები წერდნენ სცენარებს („დაკარგული საუნჯე“, „წარსულის საშინელებანი“, „მეცხრე ტალა“ და სხვა).

მხოლოდ 20-30-იანი წლების მიჯნაზე გამოვიდნენ შემოქმედებით ასპარეზე ნამდვილი პროფესიონალი სცენარისტები, რომელთა შორის ერთ-ერთი უპირველესია სამსონ სულაპური. მართალია, მისი სცენარებით შექმნილი ფილმები თითქმის უცნობია თანამედროვე მაყურებლისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი, ქართული კინოს მუშაკების ბრალია, რომ ვერ შევძელით მათი გვარიანი მოვლა-პატრონობა და დროზე გამოვზიარებთ. არადა, ახლა, როცა ასე დიდი ყურადღება ექცევა ძველი ფილმების აღდგენა-პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეს, პირდაპირ უნდა დაისვას ამ ფილმების აღდგენის საკითხიც.

განსაკუთრებით ინტერესს იწვევს სამსონ სულაპურის სცენარით შექმნილი საუკეთესო ფილმი „ლრუბელთა თავშესაფარი“ (1928 წ.), რომელიც იმ დიდ სოციალურ გარდაქმნებს მიეძღვნა, ჩვენს მთიან რაიონებში, კერძოდ, თუშეთში რომ ხდებოდა სწორედ ფილმის გადაღების პერიოდში.

...მთელ თუშეთშია ცნობილი

ფილმ „ლრუბლების თავშესაფარის“ გადაღები ჯგუფი: პირველი რიგში — განმანათლებლები, მეორე რიგში (მარჯვნიდან): მხატვარი ვ. სიღამონ-ერისთავი, რეჟისორი შ. ბერიშვილი, ოპერატორი ვ. პოლიკეიჩი; მესამე რიგში: დრამატურგი ს. სულაპური, რეჟისორის ასისტენტი გ. გომართელი, ფილმის დირექტორი ვ. ცირილიაძე.



მდიდარი მოხუცი — კულაკი ერისტო (მსახიობი ზაალ ტერიშვილი), ათასობით ცხვარი და ასობით ცხენი დაუდის საძოვარზე. ოჯახშიც ბედნიერად ვეძნობს თავს. ახალგაზრდა, მეორე ცოლი (ალიონა ქიქოძე) და მიაიფ ასაკის ქალიშვილი (მარია ტენაზი) ჰყავს. მხოლოდ ის კი აღარ იცის ერისტომ, რომ მის ცოლსაც და ქალიშვილსაც ახალგაზრდა მოჯამავირე, მწყემსი ჩამრული (დუღე ძნელაძე) უყვართ და მოუთმენლად მოეღიან მის დაბრუნებას ქალაქიდან, მეცხოველეობის სახელმწიფო კურსებიდან, სადაც იგი სხვა მწყემსებთან ერთად ვაგზავნეს.

ბრუნდება ჩამრული, მაგრამ ის უკვე ბატონის შორჩილი მოჯამავირე როდია. იგი მოუწოდებს მოჯამავირეებს და ღარიბ გლეხებს კოლექტივში გაერთიანდნენ და ყველ-კარაქის დამუშავების ახალი, პროგრესული წესები შემოიღონ. განარისხებული ერისტო სახლიდან გააძევენს შფოთისთვის. მოკლე დროში ჩამრული რაზმავს მოჯამავირე მწყემსებს, აყალიბებს მწყემსთა ამხანაგობას და სასტიკ ბრძოლას უცხადებს ბოზობლებს. ამავე დროს ერისტოს ქალიშვილიც ეურჩება მამას და მისი ნება-სურვილის წინააღმდეგ ცოლად მიჰყვება ჩამრულს.

დამარცხებული ერისტო თვითონ ეახლება ჩამრულს და კოლექტივში მიღებას სთხოვს...

ეს სრული ანოტაცია ფილმისა შეგნებულად მივაწოდეთ მკითხველს — „ღრუბელთა თავშესაფარი“ მთელი ნახევარი საუკუნეა აღარ გამოსულა ეკრანზე და იშვიათად თუ ვინმეს ახსოვს ახლა იგი. არადა, ციტირებული ანოტაცია საკმარისია იმის ნათელსახოფად, თუ თავი იდებურ-მოქალაქეობრივი შემართებით როგორ ეხმარებოდა ფილმი იმ დროს უაღრესად საკირობოროტო პრობლემატიკას.

ამ აშკარა თემატიკური აქტუალობის ვარდა, „ღრუბელთა თავშესაფარი“ საცმოდ მხატვრულ-პროფესიული ღირსებების ფილმია და ეს გასაგებიც ხდება, როცა მისი ვადამლები ჯგუფის წევრებს გავიხსენებთ, ესენი არიან: რეჟისორი ზ. ბერიშვილი, ჩვენი სამამულო კინემატოგრაფის ერთ-ერთი პიონერი, ქართული კინოს დეაფლმოსილი ოპერატორი ან. პოლიკეიჩი, შესანიშნავი მხატვარი ვ. სიღამონ-ერისთავი და მონტაჟის აღიარებული ოსტატი, საქართველოს სახალხო არტისტი ვ. დოღენკო.

საინტერესო იყო აქტიორული ანსამბლიც. გავიხსენოთ ალექსანდრე თაყაიშვილი, იმ დროის ბრწყინვალე მსახიობი, რომელსაც ახლა უფრო ვიცნობთ, როგორც მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ერთ-ერთ დამაარსელს; ალისა ქიქოძე, ზაალ ტერიშვილი, დუღე ძნელაძე და, რა თქმა უნდა, 20-იანი წლების პოპულარული მსახიობი ქალი მარია ტენაზი, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ადრე, 29 წლის ასაკში გარდაიცვალა — „ღრუბელთა თავშესაფარი“ უკანასკნელი აღმოჩნდა მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

კადრი ფილმიდან „ღრუბელთა თავშესაფარი“. მარია ტენაზი და დუღე ძნელაძე





სცენა სპექტაკლიდან „ლაშარა“. ს. სულაქაური, პ. კობახიძე, მ. ბერიშვილი, ი. ქანთარია, ვ. კელიძე.

როცა ვიგონებთ იმ ფილმებს, რომლებიც ს. სულაქაურის სცენარით ღაიდგა, ცხადია, რომ მათ ყოველთვის ეტყობოდათ არა მხოლოდ ნიჭიერი ლიტერატორის, არამედ საერთოდ ხელოვნებაში ღრმად ჩახედული და ამასთან, რაც მთავარია, გაწაფული ოსტატის ხელი. მართლაც, ს. სულაქაურმა 1924 წ. წარმატებით დაამთავრა აკაკი ფალავას დრამატული სტუდია, რომელიც მალე სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტად გადაკეთდა (ჩვენი დღევანდელი თეატრალური ინსტიტუტი). ჯერ რუსთაველის თეატრში მუშაობდა მსახიობად, გადაღებულია მრავალ ფილმშიც („საბა“, „ღრუბელთა თავშესაფარი“ და სხვ.), შემდეგ კი კ. მარჯანიშვილის ასისტენტი იყო კინოფილმ „სამანიშვილის დედინაცვლის“ გადაღებისას. იმის შესახებ, თუ როგორ ითანამშრომლა მან კ. მარჯანიშვილთან, ნათლად მოწმობს ამ უკანასკნელის რეკომენდაცია:

„სამსონ მიხეილის ძე სულაქაურს ვიცნობ როგორც სცენარისტსა და როგორც თანამშრომელს — იგი ჩემთან მუშაობდა ფილმის გადაღებისას. მისი რეჟისორული უნარი და ნიჭიერება

სასცენარო საქმეში უცილობელია.

ფრიად საპიროდ მიმაჩნევი მის მივლინება საზღვარგარეთში, თუ კინოტექნიკაში გაწაფვის შემდეგ მისგან ჩინებული რეჟისორი და სცენარისტი უნდა დადგეს“ — კონსტ. მარჯანიშვილი.

„ღრუბელთა თავშესაფარის“ გარდა, ს. სულაქაურის სცენარები დაედო საფუძვლად შემდეგ ფილმებს: „იბრაჰიმ და გოდერძა“ (რეჟ. ბერიშვილი, 1927 წ.), „შეხვედრა“ (რეჟ. გ. გომართელი, 1930 წ.), „უღაბნო“ (რეჟ. ნ. სარიშვილი, 1932 წ.), „ქალიშვილი ხიდობინდა“ — ფილმს პ. კაკაბაძის პიესის „კოლმეურნის ქორწინების“ მიხედვით (რეჟ. დიომიდე ანთაძე, 1940 წ.) და „ორი ოჯახი“ (რეჟ. დ. კანდელაკი, 1959 წ.).

ამასთან ერთად, ს. სულაქაური უშუალოდ მონაწილეობდა ჩვენა კინოსტუდიის ყოველდღიურ საქმიანობაში. 1936 წელს, როცა კინომსახიობთა სტუდია გაიხსნა, ს. სულაქაური მის პირველ დირექტორად დაინიშნა, ხოლო სიცოცხლის ბოლო ათ წელს (1959-1969) კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთ-ერთ განყოფილებას განაგებდა და ამავე დროს, აქტიურად თანამშრომლობდა პერიოდულ პრესაში, ქართული კინოს პირველ ნაბიჯებზე საქმის ცოდნითა და სიყვარულით წერდა სტატიებს, რომლებშიც კინემატოგრაფის განვითარების თეორიულ ცოდნას შესანიშნავად ერწყმოდა საკუთარი თვლით ნახები და განცდილი.

ასეთია ზოგად შტრიხებში ერთერთი პირველი ქართველ პროფესიონალი კინოდრამატურგის სამსონ სულაქაურის შემოქმედება, რომელსაც გასვენებაც ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს თანამედროვე მაყურებლისათვის.



## ჩაგახილი

# „თეატრალური ხილი“

ინგლისური გაზეთის „გარდიანის“ მუდმივი თეატრალური კომპილირეული მაიკლ ბილინგტონი (რომელმაც ვრცელი რეცენზიები უძღვნა რუსთაველის თეატრის გამოსვლებს ედინბურგსა და ლონდონში.—რედ.), სთვლის, რომ სხვა ქვეყნებთან დიდი ბრიტანეთის თეატრალური კავშირები ძალიან არადამაკმაყოფილებელია. საყოველთაოდ ცნობილია, წერს მ. ბილინგტონი, რომ ინგლისური თეატრი „ევროპის სხვა თეატრებისგან იზოლირებულია და მისი კავშირები ძალიან შემოფარგლულია“.

ინგლისში საგასტროლოდ ძალიან იშვიათად ჩამოდიან თეატრები, ხოლო თვით ინგლისური თეატრის გასტროლები საზღვარგარეთ ქაოტურ ხასიათს ატარებს.

ხელოვნების სფეროში მოღვაწე სახელმწიფო მოღვაწენი თავიანთ საჯარო გამოსვლებში იქაინიან, რომ „ინგლისური თეატრი მსოფლიოში უპირველესია“, მაგრამ ინგლისელთა სიამაყე თავიანთი თეატრების ამ განსაკუთრებული უპირატესობის თაობაზე როგორც არ შეესაბამება იმ აბსოლუტურ უფიცილობას, რასაც ისინი იჩენენ სხვა ქვეყნების, მაგალითად, საბჭოთა კავშირის, დასავლეთ გერმანიისა და თვით საფრანგეთის, თეატრალური ცხოვრების მიმართ.

ყველაზე პარადოქსალური ის არის — დასქენს კრიტიკოსი, — რომ თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის ბრიტანულ ცენტრს, ამ ერთადერთ ორგანიზაციას, რომელიც სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას ანხორციელებს, გამუდმებით უხდება თავისი არსებობისათვის ბრძოლა. თუ კონსერვატორული მთავრობა

ამ ცენტრს სახელმწიფო ფონდებს არ ვაშორებო, იგი სულ მალე შეწყვეტს არსებობას. თუ მართლაც დაიხურა ბრიტანული ცენტრი — „ეს ერთადერთი თეატრალური საელჩო“ — მაშინ ქვეყანა ერთიანი საერთაშორისო თეატრალური სისტემის გარეთ დარჩება. საზღვარგარეთ ეს აქცია შეიძლება ისე ახსნან, თითქოს ინგლისელები ისერიგად არიან ალტაცებულნი საკუთარი თეატრით, რომ აღარ აინტერესებთ, თუ რა ხდება სხვა ქვეყნების თეატრებში. ამგვარად, ჩატყდება ქვეყნებს შორის არსებული თეატრალური ხილი.

ინგლისური თეატრის შემდგომი განვითარება — მ. ბილინგტონის აზრით — გარკვეულადაა დამოკიდებული ორმხრივ, ცოცხალ საერთაშორისო ურთიერთობებზე. შემთხვევითი როდია, რომ ინგლისური დრამატურგიის აყვავება ემთხვევა იმ ათწლეულს (შუა სამოციანი წლებიდან — შუა სამოცდაათიან წლებამდე), როცა თეატრებს შორის არსებობდა საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობანი და ტარდებოდა ე. წ. „მსოფლიოს თეატრთა სეზონები“. თუ ახლა, განსაკუთრებული ეკონომიკური სიძნელეების ვითარებაში, ამგვარი რამ შეუძლებელია, ის მაინცაა მოსახერხებელი, რომ თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტმა შესძლოს თეატრალურ მოღვაწეთა და ინფორმაციათა გაცვლა. „ქვაწვია, ძუნწი, შეზღუდული ნაციის სახელი დაგვივარდება მსოფლიოში, თუ ამ საქმეს არ მოვუარეთო“, — დასკვნის კრიტიკოსი.

\* \* \*

დასავლეთ გერმანიის მსახიობთა 50% სამუშაოს ეძებს. უმუშევართა საერთო რიცხვი 5500 კაცს შეადგენს. სკენის მოღვაწეთა კავშირის ცნობით, უმუშევრობის ესოდენ მაღალი პროცენტი ქვეყნის არცერთ პროფესიულ ჯგუფში არ შეიმჩნევა. ამის მიზეზი თეატრების მიერ გატარებული მარტო „ეკონომიის რეჟიმი“ კი არ არის, არამედ, უპირველესად ის, რომ მსახიობის პროფესია არ სარგებლობს საკმარისი საზოგადოებრივი მოთხოვნილებით — ასეთია აესტრიული გაზეთის „ვინიერ ცაიტუნგის“ დასკვნა.



## ბუნება — სკულპტორი

არნოლდ გეგმპერი

საქართველოს ბუნება, განსაკუთრებით ტყე, განთქმულია იშვიათი სილამაზით, უნიკალური გიშებიტა და ასაკოვანი ხეებით. მაგრამ ვინც ჩვენი რესპუბლიკის მთასა და ბარს, განსაკუთრებით მშრალ, არიდულ რაიონებს კარგად იცნობს, დამეთანხმება: ჩვენში ქვა-ქვიშისაგან ნაგები „სკულპტურები“, თუ მათაა ეროზირებულ კალთებზე წარმოქმნილი ბუნების ფანტასტიკური „ნამუშევრები“ საკმაოდ უხეად გვხვდება.

უწინარესად, ამ მხრივ, მთაში მესხეთ-კავახეთი, ხოლო დაბლობში შირაკ-ელდარი (ვაშლივანის ნაკრძალი) და დავით-გარეჯის მიდამოები იქცევენ ყურადღებას. შეიძლება ამ ადგილებში ქვისაგან ნაქანდაკე ხეოა, ყვავილოა, ნაყოფოა მთელ ბაღს გადააწყედ.

ქვის უზარმაზარ სოკოთა მინდორში ამოკყო თავი. სხვაგან ნადირ-ფრინველთა ფანტასტიკურა ფიგურები მოგაჩერდებიან. ერთ-ერთი მათგანი განსაცვიფრებლად ჰგავს სპილოს, მეორე აწ გადაშენებული მამონტის სრული ორეულია. თითქოს ყველაფერი ცოცხალია, თითქოს სულ ახლახან გააქევა ისინი ყოვლისშემძლე ჯადოქარმა. ბუნების ამ უცნაურობათა კიდობანში არც ზღაპრის „პერსონაჟები“ უცხო ხილი: აგერ თავი წამოუყვია თვით ყველაზე ბოროტ ჯადოქარს, ბოროტი საქმენი აღუარულებია და უკუნეთში მიმალვას ჩქარობს ჭუჭა კუზიანი, სივრცეს დაეინებით გასცქერის ასმახი დევი. აქ კეთილსახიანი გოლიათებიც წამომართულან, სალამურაც თავგამოდებით



აკენესებს თავის განუყრელ სტრუმენტს... ერთი სიტყვით, მსგავსი ადგილები ღია მთიანეთში ბუნებრივ ექსპონატთა მთელს მუზეუმია.

საქართველოს მიწა-წყალზე ქერაგან ნაგებ სხვა იშვიათობებზე აც შეხედვით. წალენჯიხის რაიონში, მთა ყვირაზე არის ერთ-ერთი ასეთი უნიკუმი — მოქანავე ლოდი „ქვაქანცალია“. თერთმეტ-მეტრიანი კირქვის ეს ბლოკი თითქმის მიბჯენიათა ქანაობს. საკმარისია ძალუმად დაუბეროს ქარმა, რომ გგონია: ბუნების ეს მოქანავე საოცრება ავერ-ავერ დაეშობა. მაგრამ ჯერჯერობით „ქვაქანცალია“ ბუნების ძალების შემოტევასაც უძლებს და... ადამიანისასაც, დიხს, უგუნური ადამიანისასაც. საქმე ის არის, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ მავანთ და მავანთ, ბუნების ამ იშვიათი ძეგლისთვის ტრაქტორი გამოუბამთ და კვარცხლბეკიდან მისი გადმოგდება უცდიათ. რა მიზნითაო? — იკითხავს გაკვირებული მკითხველი. თურმე ნუ იტყვი, გულხარბს და გონებადახშულ განმამძიებლებს იქ დამალული ოქრო უძებნიათ...

თურმე, ბირმაშიაც დგას ქარზე მოქანავე ბუნების ანალოგიური იშვიათობა. ადგილობრივი ლეგენდა იუწყება, რომ ლოდის ქვეშ განისვენებს ბუდას სული. ზოგა იქაურობა ბუდას საძვალედაც მიანია. ბირმელთა კერპის ეს წმინდა სავანე საუცხოდაა დაცული და ხალხი მოწიწებით თაყვანსა სცემს...

ყვირას ქვა-მონოლითისაგან განსხვავებით საირმის გზის პირზე მდგომი უზარმაზარი კლდე-სვეტი საუკუნოდ დამკვიდრებულა კვარცხლბეკზე. კოლოსის ზედ წვერზე აი, უკვე რამდენი წელია მშვენიერი ნაძვი, ნეკერჩხალი, მოცივი და სხვა ხე-ბუჩქები ხარობენ. იშვიათი სანახაობებით განებზივებული ტურისტიც ვერ შეავლებს თვალს

გულგრილად ქვისა და ხეების ამ უჩვეულო შეგობრობას.


ასპინძის რაიონში, ოშორას ხეობის სათავეებში ბუნებას თავისი „ყაჩაღლი“ დაუყენებია. ქვის ეს უხარმავარი პირდაპირილი საოცრება თითქოსდა დედამიწიდან ამოზიდულაო, იმუქრება, მრისხანედ გასცქერის „თავის სამფლობელოს“.

პირიქითა ხეცსურეთში, მუცოს ხეობა საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი თვალწარმტაცი ადგილია. აქ თვალსაჩინოდაა გამოხატული მთის კალაებზე ბუნების დამანგრეველი ძალების შემოქმედება — ეროზია. ხეობა ალაგ-ალაგ ვიწროა და კანიონისებრი. ამ ვიწროებში ფეხოსანი თუ ცხენოსანი უეჭველად მიადგება ხოლმე უხარმავარ, მდოგვისფერ სვეტებად ჩამოქნილ, გამორეცხილ და გამომშრალ ქანებს. ზოგი სვეტი ეულად დგას. ზოგიც — ჩგუფურად. გამორეცხილ ქანთა კოლონებისა და სვეტების ამ „ტყეში“ სხვადასხვა „ჭიშის ხეები ხარობენ“. ზოგიერთებს წვერო მახათივით წაწვეთებით, სხვებს თავზე ბრტყელი ქვები — „კაპები“ აზოთ. ერთეული სვეტები წყალს ისე გამოურეცხავს და „წელში გამოუყვანია“, გეგონება ხელი რომ ჰყრა, ჩამოიქცევაო. ბუნებრივ მსგავს ქმნილებებს ხშირად შეხედვით დარიალის ხეობაში, სოფელ ვარდისუბნის მისადგომებთან.

ერთი სიტყვით, სადაც არ უნდა შეხვიო, თვალს ვერ მოწვევებუნების მსგავს იშვიათ ქმნილებებს. ქვის ეს ზღაპრული დიგურები — ბუნება — მოქანდაკის უნატიფესი ნამუშაოა. ბუნება — მოქანდაკე მათ აუჩქარებლად ვინ უწყის, რამდენი წლის განმავლობაში აჩუქრებდა.

თავის შედეგათა შესაქმნელად ბუნება იყენებს ყველაზე იუველოურულ ინსტრუმენტებს — ქვიშას,





ქარს, წყალში გახსნილ ქვიშაღებში დედაბუნების სახელოსნოში უკანასკნელ სიტყვას როდი ვერცხვავს ყინვა და პაპანაქება სიცხე-ხვატი.

მაინც როგორ ქმნის ბუნება თავის ამ ნამუშევრებს? ქვასა და ქვიშაში გაცოცხლებული ეს „ფლორა და ფაუნა“, თუ ზღაპრების ანალოგიური უჩვეულო პერსონაჟები დედამიწაზე ფართოდ გავრცელებული გეოლოგიური პროცესების შედეგია. მას გამოფიტვას უწოდებენ. დედამიწაზე მთის სიტყმის წარმოქმნისთანავე, უმაღლე იწყება მთის ქანების დაბრუნება ატმოსფეროში შემავალი წყლის ორთქლით, წვიმით, თოვლით... მათ ემატება სხვა კლიმატური ფაქტორებიც — დღე-ღამური ტემპერატურის მკვეთრი რყევადობა, ქარი. დროთა ერთობ ხანგრძლივ მონაკვეთში მთის ქანები თანდათანობით იშლებიან და სახეს იცვლიან. დაბოლოს, დაშლის ეს პროდუქტები ქარისა და წყლის დახმარებით, სხვა, ახალ ადგილზე იყრიან თავს. შემდეგ წნევა და ტემპერატურა ამკვირვებს მათ და ხელშეორედ დედაქანებად აქცევს. გაივლის დრო და მთათწარმოქმნელი ძალები ახლადფორმირებულ ქანებს ერთხელ კიდევ წამოსწევენ მიწის ან წყლის ზედაპირზე. ამით კვლავ იქმნება გამოფიტვისათვის ხელსაყრელი პირობები, ერთდროულად ბუნებას ხელშეორედ ეძლევა შესაძლებლობა თავისი უცნაური ფორმების გამოსაძერწად. დედამიწის ქერქის ზედა ფენების ამ წრებრუნვას მუდმივი ხასიათი აქვს, მაგრამ მიმდინარეობს უსაშველოდ ნელა, გეოლოგიური ქრონოლოგიით.

ანალოგიური პროცესები ყველაზე სწრაფ ბუნებრივ ვარჯიშში — უდაბნოებსა და მაღალმთიანეთშია გამოხატული.

# ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება

მხატვან ბერიძე, „ტაო-კლარჯეთის ძეგლების ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში“, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.



## ირაკლი ციციშვილი

აღრეფემოდალურ ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთეულს ეწოდებოდა ტაო-კლარჯეთის სამთავრო, ქართლის სამეფო, ან ქართველთა საკუროპალატო. ქართულ ისტორიულ წყაროებში იმ მხარეს ზემო ქართლსაც უწოდებდნენ და იგი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას — ისტორიულ სამცხეს და ვახუშტს (აწინდელი ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის, ბოგდანოვკის რაიონებს, თრიალეთისა და წალკის რაიონონაკეთს), აჭარას და, აგრეთვე, XVI საუკუნის ბოლოს თურქეთის მიერ მიტაცებულ პროვინციებს — ტაოს, კლარჯეთს, შავშეთს, ერუშეთს, არტაანს, კოლას, ოლთისს, ისპირსა და ბასიანს.

მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნება განსაზღვრავდა სამეფოს ეკონომიკურ სიძლიერეს და ამასთან დაკავშირებული კულტუ-

რის ყველა დარგის აღმავლობას, რამდენიმე საუკუნის მანძილზე ეს მხარე წარმოადგენდა შუასაუკუნეობრივი ქართული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უძლიერეს კერას, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა სავრთოდ ქართული ეროვნული ლიტერატურის, ხუროთმოძღვრების, დეკორატიული ქანდაკების, მონუმენტური ფერწერისა და მინიატურის ხელოვნების განვითარებაში.

ბუნებრივია, რომ ამ მხარის ძეგლები მკვლევართა ყურადღებას იპყრობდნენ. მათზე მოგვიჩირობს ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი, შემდეგ კი — გერმანელი ბოტანიკოსი კარლ კოხი, შარი ბროსე, ნ. სარვისიანი, გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, ა. პავლინოვი, ჩ. მაჩი და ვანაკუთრებით ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც მოახერხა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სამი ექსპედიციის ორგანიზაცია (1902 წ., 1907 წ. და 1917 წ.). არსებითად, ამ ექსპედიციათა მონაპოვარი ძირა-

თადი წყაროა ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესასწავლად.

ე. თაყაიშვილის უკანასკნელი ექსპედიციის შემდეგ, ორმოცი წლის მანძილზე ჩვენ არავითარი სარწმუნო ცნობა არ გავგაჩნია ამ ძეგლების შესახებ. მხოლოდ 1959 წელს ტაოს ძეგლებს ეწვივნენ ფრანგი მეცნიერები ნიკოლ და ეან მიშელ ტიერები, მას შემდეგ ისინი სისტემატურად სწავლობენ და აქვეყნებენ მასალებს ამ ძეგლების ირგვლივ. უკანასკნელ პერიოდში ტაო-კლარჯეთის ძეგლებმა მიიპყრეს ოქსფორდელი დავით უინფილდისა და ლოს-ანჯელესის პროფესორის ვახტანგ ჯობაძის ყურადღება. ისე რომ, ამჟამად გვაქვს ტაო-კლარჯეთის ძეგლებზე მეტნაკლებად სრული წარმოდგენა, ყოველ შემთხვევაში, მათი მდგომარეობა ცნობილია და საფუძვლიან შიშსაც იწვევს.

ჩვენმა კინოდოკუმენტალისტებმა გ. ასათიანმა და გ. პატარაიამ მოახერხეს ტაო-კლარჯეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლების გადაღება.

სუცილისტებისათვის ცნობილია, რომ 1946 წელს ნ. ტოკარსკიმ თავის წიგნში «Архитектура древней Армении», ერთი თავი დაუთმო ტაო-კლარჯეთის ძეგლებს, რომლებიც სრულიად უსაფუძვლოდ ჩამოაშორა ქართულ არქიტექტურას და მიაკუთვნა სომხეთს. ამ წიგნის გამო ახდომიკობმა ს. ჭანაშიამ გამოსცა ბროშურა «Об одном примере искажения исторической правды», — სადაც დამაჯერებლად დაასაბუთა ნ. ტოკარსკის დებულებათა ტენდენტურობა.

სამწუხაროდ, 1978 წელს კვლავ გამოიცა ასეთი ხასიათის შრომა. კერძოდ, ტ. მარტუჩიანი წიგნი — «Глубинная Армения», რომელმაც, ბუნებრივია, გამოიწვია გაკვირვება და აღშფოთებაც იმის გამო, რომ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ასეთი უმწეო, არაკომპეტენტური და არაკეთილსინდისიერი წიგნი გამოიცა. ტ. მარტუჩიანი ნებას აძლევს თავს სომხეთის მიაკუთვნოს ყველა მნიშვნელოვანი ქართული ძეგლი და მათ შორის ოშკი, ხახული, ბანა, პარხალი და სხვ. მას უგულვებელყოფილი აქვს ყოველგვარი ფაქტი, წყაროები, საბუთე-

თები იმისა, თუ ვინ ააშენა ძეგლები. ვინ იყენენ მათი ხუროთმოძღვრები, რა ენაზეა შეიქმნილი მრავალიცხოვანი წარწერეზა, რომელ მხატვრულ წრეს მიაკუთვნებიან ისინი და სხვა.

1981 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა ვახტანგ ბერიძის მონოგრაფია „ტაო-კლარჯეთის ძეგლების ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში“ — რუსულ და ფრანგულ ენებზე. ასეთი შრომის გამოქვეყნება როგორც ვხედავთ, დროულია. ამავე დროს, იგი თავისთავად მეტად საყურადღებო და სასარგებლო მეცნიერული შრომაა, სადაც შეჯამებულია მთელი ჩვენი ცოდნა ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესახებ.

ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების შესავლის შემდეგ ვ. ბერიძე იძლევა ამ მხარის მოკლე ისტორიულ მიმოხილვას. აქ დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ სამცხე-ჯავახეთი, შავშეთი და კლარჯეთი ძველთაგანვე შედიოდნენ აღმოსავლეთ-საქართველოს სამეფოს — იბერიის საზღვრებში. რაც შეეხება მომავალი ტაო-კლარჯეთის სამეფოს სამხრეთ საზოგარს, იგი ყოველთვის არ იყო სტაბილური. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი ჭიანჭერი გვამცნობს, რომ „არტანუჯი, ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი, ეს აღაშენა გორგასალმა მონასტერნი მერსა, შინდობისა და ახიზისა, ფრიად შვენიერნი, კუალად ქმნა ახახს ქუაბნი კულისა ვამოუკეთილნი ფრიად მაგარნი და შეუვალნი“. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კეთილი ადასტურებს, რომ „იბერიის გასწვრივ ცხოვრობენ იბერიის ქვეშევრდომნი მესხნი“. V-VII საუკუნეებში სპერში, ბასიანსა და სამხრეთ ტაოში ჩამოსახლდნენ ირანისა და არაბებისაგან შეკარვებული სომხები. ამ სომხური ფენის არსებობა, ცხადია, თავს იჩენს ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებებსა და წარწერებშიც.

VII და VIII სს. მიჯნაზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ცენტრალური რაიონების ჩაგვად, საკმაოდ დაზარალდა აზაბთა შემოსევების შედეგად. VIII ს. ბოლოს, როდესაც არაბთა მოძალაბა შემცირდა, ტაო-კლარ-

ჯეთში გაიშალა დიდი სამონასტრო მოძრაობა. ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ მოვლენას და, კერძოდ, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობას, ისევე, როგორც IX საუკუნეში აშოტ ბაგრატიონის მოღვაწეობას ქართველთა ახალი სამეფოს შექმნაში.

ამ ისტორიულ ფონზე იხატება ტაო-კლარჯეთის კულტურული ცხოვრება. კულტურული განვითარების მტკიცე ნიღაღას ქმნიდნენ მონასტრები, რომლებიც სამართლიანად არიან მიჩნეულნი კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობისა და შემოქმედების ცენტრებად. ტაო-კლარჯეთში სამონასტრო მოძრაობა განსაკუთრებით გაიშალა VIII ს. დამლევდნად, გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ამ დროს ჩნდება ისეთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრები, როგორც იყო: ოპიზა, შატბერდი, იშხანი, წყაროსთავი, ტბეთი, ოშკი, ბერთი, პარხალი, ბანა, ხანძთა.

როგორც აღნიშნავს ავტორი, შეუძლებელია მოვიხსენიოთ ყველა ის ნაწარმოები, რომლებიც შექმნილია ამ დროს ტაო-კლარჯეთში. საკმარისი იქნება მოვიგონოთ ზოგიერთი ფაქტი. გრიგოლ ხანძთელის გარდა, რომელიც ტაბრებისა და მონასტრების მშენებლობასთან ერთად ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც, აქ მოღვაწეობდნენ მიქელ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი, სერაპიონ ზარზმელი. გრიგოლ ხანძთელის მოწაფე არსენ საფარელი ქმნის „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობას“, კალიგრაფი მიქელ სოფრომ შატბერდელის დაკვეთით ასრულებს განთქმულ ჰადისის სახარებას (897 წ.), ტბეთის ეპისკოპოსი სტეფანე მტბევაი წერს „წმინდა გობრონის მარტვილობას“ (X ს.), კალიგრაფმა გაბრიელმა გადაწერა ჯრუჭის სახარება (936 წ.), გიორგი მერჩულე წერს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ (951 წ.), იოანე ბერის მიერ გადაწერილია პარხალის სახარება (973 წ.) და შატბერდის კრებული, სადაც მოთავსებულია „მოქცევაი ქართლისაი“ და „წმ. ნინოს ცხოვრება“, ოშკიში გადაწერილია უძველესი ქართული ბიბლია და იოანე მოსხის „სამოთხე“ ანუ ლიმონარი (977 წ.) და სხვა მრავალი. ამავე პერიოდში

მოღვაწეობდნენ ცნობილი ჰიმნოგრაფები მიქელ მოდრეკილი და იოანე ტბევაი.

ამგვარად, ტაო-კლარჯეთის მონასტრებში იქმნებოდა როგორც თარგმნილი, ასევე ორიგინალური ნაწარმოებები, მათ შორის ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა. ეს ნაწარმოებები შეადგენენ ქართული ლიტერატურის (IX-X სს). უმეტეს ნაწილს, და, ამასთანავე, აქ ვხვდებით ისეთ მარგალიტებს, რომლის მსგავსი მსოფლიო ჰაგიოგრაფიაშიც იშვიათია („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

სამცხე და ტაო ცნობილია ოქრომქანდაკებელთა სახელოსნოებითა და სკოლებით. აქაური წარმოშობისაა ყველაზე ადრეული ნიმუშები ჰედური ხელოვნებისა. ზარზმის ფერისცვალების ხატი (886), იშხანის, ბრეთისა და დავით კუროპალატის ჯვრები, საღოლაშენისა და შემოქმედის ფირფიტები, ლაკლაკის ცნობილი ხატი და სხვა მრავალი.

ტაო-კლარჯეთის მონასტრებთან არის დაკავშირებული X-XI საუკუნეების მონუმენტური ფერწერის ერთ-ერთი მოწინავე სკოლა (იშხანის, ოშკის, ტბეთის კედლის მხატვრობა), ქართული მინიატიურული ხელოვნების ადრეული ნიმუშები.

როგორც ავტორი მართებულად აღნიშნავს, ამ ნოყიერ ნიღაღაზე შემოქმედებითი აქტიურობა დიდხანს გრძელდება. საკმარისია მოვიგონოთ XII საუკუნის ტბეთისა და წყაროსთავის სახარებანი, ბექა და ბემქენ ოპიზარების საოცარი ოქრომქანდაკობა და, ბოლოს, თვით რუსთაველიც. ამგვარად, წიგნში მკვეთრად ვლინდება ტაო-კლარჯეთის ადგილი შუააუკუნეებში ქართული კულტურის საერთო განვითარებაში. საქმე იმაში როდია, დასძინდეს ავტორი, რომ აქ შეიქმნა მხატვრულად თავისთავად ღირებული ნაწარმოებები, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია. ეს პერიოდი დამატებით გონებრივი მოღვაწეობისა, ორი საუკუნის მანძილზე, გვესახება როგორც ეტაპი, რომელიც მოამზადდა ქართული კულტურის საერთო აყვავება XI-XII სს.

მიუხედავად დაძაბული, დაუნდობელი ბრძოლებისა სამთავროთა თუ ცალკეულ ფეოდალთა შორის, განვითარების ძირითად ხაზად გვევლინება მისწრაფება ეროვნული გაერთიანებისაკენ, ერთიანი ქართული მონარ-

ჭის შექმნისავენ. ამას ადასტურებს პოლიტიკურ მოღვაწეთა აქტიური და მიზანდასახული მოქმედება. ცხადია, ამისათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლა. აუცილებელი იყო იდეოლოგიური მომზადება, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება. ამიტომაც, ბიზანტიის ეკლესიის პრეტენზიების საპასუხოდ წამოიწია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხმა. შეიქმნა ქართული კალენდარი (იოანე-ზოსიმე, X ს.), გამოვლინდა საკუთარი განმანათლებელი (წმ. ნინო) და სხვა. ყველაფერში ვათვლისწინებულია თანამედროვე ეროვნული მიზნები და საჭიროებანი.

სრულიად ცხადია, რომ ტაო-კლარჯეთის მხატვრული კულტურის ორგანულსა და განუყოფელ ნაწილს შეადგენდა ხუროთმოძღვრება. რომელმაც ასევე შეასრულა უდიდესი როლი ქართული არქიტექტურის ისტორიულ განვითარებაში.

გუნებრივია, რომ მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი ხუროთმოძღვრების ძეგლების განხილვას ეთმობა.

VIII-X სს. ტაო-კლარჯეთის საკულტო ძეგლებში შეიმჩნევა საკმაოდ კრელი სურათი; ცალნაეიანი ეკლესიები, სამნაეიანი ბაზილიკები, სამეკლესიანი ბაზილიკები, გუმბათიანი ეკლესიები — ე. წ. თავისუფალი ჯვრის ტიპის (croix libre), ოთხ და ორ გუმბათქვეშა ბურჯებით. ტეტრაკონქისა და ტრიკონქის ვარიანტები, მრავალბსილიანი ეკლესიები. ვახტანგ ბერიძე დეტალურად, თანმიმდევრობით არჩევს ეკლესიის თითოეულ ტიპს და დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა, წარმოდგენილი ამ მრავალფეროვანი ნიმუშებით, ნამდვილად ასახავს საერთო ქართული არქიტექტურის განვითარების სურათს. აქ ვხედავთ შენობათა ტიპების იგივე განვითარებას. საკმარისია გადავხედოთ წიგნში მოცემული ძეგლების გეგმების ტაბულებს და შევადაროთ ისინი საქართველოს სხვა პროვინციების ძეგლებს, რომ დავრწმუნდეთ — ტაო-კლარჯეთის ძეგლები ორგანულად არიან ჩართულნი საერთო ქართულ სურათში.

ამავე დროს, სირიაში, ბიზანტიაში, მეზობელ სომხეთში აშკარად ვხედავთ იმ მკვეთრ

განსხვავებას, რომელიც არა შემთხვევითი, არამედ არსებითია და ეროვნული სტილის მატარებელი.

ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების ძეგლების განხილვა გვიჩვენებს, რომ მათ მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით აგრეთვე ქართული არქიტექტურის აყვავების მეორე პერიოდის (X-XII სს.) ეკლესიათა ფასადების დეკორატიული სისტემის ფორმირებაში. კერძოდ, თალების განაწილება სიმბოლურზე, თაისადის ზედა ხაზთან შეფარდებით, შუა თაღის ამადლება და, ამგვარად, ნაპირებიდან ცენტრისაკენ რიტმის ზრდა. სამთლიანი მოტივი, რომელიც ჯერ კიდევ წრომში ჩაისახა, გვხვდება ოპიზაში, ტბეთში, იზხანში, ოშკის ხუთთლიანი დეკორატიული სისტემა გრძელდება და ვითარდება საქართველოს სხვადასხვა პროვინციების დიდი კათედრალების ფასადებზე (ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავრო, სამთავისი, იკორთა, ნიკორწმინდა და სხვა).

ავტორი გულდასმით განიხილავს დეკორატიული მორთულობის ცალკეულ ელემენტებს — თაღების ლილვებს, ვერტიკალური ლილვების დაბოლოვებას ბურთულებით და სხვა, გვიჩვენებს ამ მოტივების ინტერპრეტაციას სხვა ქვეყნების (სომხეთი, რუსეთი, საბერძნეთი, რუმინეთი) არქიტექტურაში და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ქართული არქიტექტურის, ამ შემთხვევაში ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის თავისთავადობაში.

ტაო-კლარჯეთმა შემოგვინახა ფასადური რელიეფური ქანდაკების უმნიშვნელოვანესი ნიმუშები. ამასთანავე, აქ თავს იჩენს ფასადებზე რელიეფების განაწილების ქართული ტრადიციული პრინციპები, რომლებიც ვითარდება შემდგომში სხვა პროვინციებშიც.

ავტორი აღნიშნავს იმ ნიმუშებს, რომლებიც დამახასიათებელია ამ მხარის ძეგლებისათვის და არ გავრცელებულა საქართველოს სხვა კუთხეებში. ასეთებია — გრძელი დასავლეთის მკლავი გუმბათიან ტაძრებში (ოპიზა, ხახული, ოშკი, იზხანი), მრგვალი გუმბათის ყელი (ბობოსგირი, კიაგლის-ალთი, ზეგანი), დეკორატიული ტრომპები (დოლისყანა, ხახული, ოშკი, ზეგანი), ფერადოვანი თაღოვანი სოლები (დოლისყანა, ხახული, ოშკი), გუმბათის ყე-

ლის დამუშავება შიგნით დეკორატიული თა-  
ლდით (დოლის ყანა, ზევანი, იშხანი).

ცხადია, ბიზანტიისა და სომხეთის მეზობ-  
ლობა რამდენადმე თავს იჩინს ტაო-კლარჯე-  
თის არქიტექტურაში. ასე მაგალითად, სა-  
ერთოა სომხურ არქიტექტურასთან ისეთი  
თემები, როგორცაა: მრავალაბსიდაინი ეკ-  
ლესიები, ტეტრაკონქი მრგვალი გარშემოსა-  
ვლელით, ფასადებზე თლილი ქვის გამოყე-  
ნება, მრგვალი გუმბათის ყელი და ზოგიერ-  
თი დეკორატიული ელემენტი. მაგრამ ტაო-  
კლარჯეთისა და სომხეთის არქიტექტურის  
ძველების დიდ უმრავლესობას ახასიათებს  
აშკარად გამომჩატული ეროვნული ნიშნები,  
რაც ელინდება პროპორციებში, ფსადურ  
მორთულობის თვისებურ გამოყენებაში.  
შედგავდ მიღებულია სრულიად განსხვავე-  
ბული მხატვრული ეფექტი, გამომდინარე  
თითოეული არქიტექტურის არსიდან. ბო-  
ლოს, ტაო-კლარჯეთის საკულტო არქიტექ-  
ტურის ძირითად ხაზს წარმოადგენს ტაძრის  
ისეთი ტიპის ფორმირება, რომელიც სომხე-  
თისათვის მეორეხარისხოვანია, საქართვე-  
ლოსათვის კი ძირითადი (ხანძთა, ვალე, ხა-  
ხული, ოშკი, ბაგრატის ტაძარი. სვეტიცხო-  
ველი, ალავერდი, მეთანია).

კიდევ უფრო მკვეთრია განსხვავება ტაო-  
კლარჯეთის ძველებსა და ბიზანტიას შორის  
სამშენებლო მასალებით, ფსადური დამუ-  
შავების ხერხებით, პროპორციებით, მასშტა-  
ბით, საერთო მხატვრული ეფექტით. ასეთი  
სრული დამოუკიდებლობა ყურადსაღებია  
მით უფრო, რომ ტაო-კლარჯეთი უშუალოდ  
დაკავშირებული იყო ბიზანტიასთან და თა-  
ვისი არსებობის მანძილზე მის ვასალს (სა-  
ეპროპალატოს) წარმოადგენდა. ეს აიხსნება  
მხოლოდ ეროვნული ხუროთმოძღვრების  
ხანგრძლივი, ჩამოყალიბებული ტრადიციე-  
ბითა და პრინციპებით.

ალსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ საქართვე-  
ლოს გაერთიანებამდე ტაო-კლარჯეთსა და  
სხვა პროვინციებში, კახეთსა და ქართლში  
ბარალეულად აღმოცენდა ერთნაირი არქი-  
ტექტურული და დეკორატიული თემები. ეს  
ბუნებრივია, რადგან საქართველოს სხვადა-  
სხვა პროვინციებში ხუროთმოძღვრება აღ-  
მოცენდა და ვითარდება საერთო ნიადაგზე,

საერთო მრავალსაუკუნოვან სამშენებლო  
ტრადიციებზე. ამით აიხსნება ის სიახლოვე  
და ზოგჯერ არქიტექტურული და დეკორატი-  
ული ფორმებისა და მოტივების სრული თა-  
ხხვედრაც ტაო-კლარჯეთისა, იმერეთისა და  
ქართლის ძველებში.

წიგნში დამატებულად არის ნაჩვენები  
ტაო-კლარჯეთის ძველების ადგილი და მნიშ-  
ვნელობა ქართული არქიტექტურის განვითა-  
რებაში. ამ შრომას განსაკუთრებულ ღირსე-  
ბად უნდა ჩაითვალოს არქიტექტურის გან-  
ხილვა კულტურის სხვა დარგებთან მჭიდრო  
კავშირში, ისტორიულ მოვლენათა ფართო  
ფონზე.

196-203 გვერდებზე მოყვანილია ისტორი-  
ულ მოვლენათა, კულტურული ცხოვრებისა  
და მშენებლობის სინქრონული ტაბულები.  
ამ ტაბულების წყალობით კიდევ უფრო  
თვალსაჩინო ხდება ტაო-კლარჯეთის კულ-  
ტურის მთლიანობა და ხელოვნების ძველე-  
ბის ეროვნული კუთვნილება.

ასეთი თანმიმდევრული, დასაბუთებული  
მსჯელობის შედეგად, ჩვეულებრივი მოსწა-  
ვლევ კი შეიგნებს, რომ უგუნურებია არ  
იწამო ხუროთმოძღვრების ძველების კუთვ-  
ნილება გარკვეული ქვეყნისადმი, თუკი ამ-  
ას განსაზღვრავს ქვეყნის ისტორია, ენა, ლი-  
ტერატურა, ხელოვნების ყველა დარგი, უამ-  
რავი წარწერა ძველებზე, სადაც მოხსენე-  
ბულია როგორც ქტიტორები, ასევე მშენებ-  
ლები, მშენებლობის წარმოების პირობები  
ყველა დეტალით (ოშკის წარწერა).

ძირითად ტექსტს ერთვის ტაო-კლარჯეთის  
ძველების 46 დაწვრილებითი ანოტაცია, რაც  
აგრეთვე მეტად საჭიროა.

წიგნი უხვად არის ილუსტრირებული. გა-  
რდა ანაზომებისა (გვეგები, კრილები, ფსა-  
ადები) და შედარებითი ტაბულებისა, თან-  
დაართულია 131 ფოტოილუსტრაცია, რომე-  
ლთაგან ბევრი მანამდე გამოუქვეყნებლია.  
განსაკუთრებით ძვირფასია ბანას, კიაგმის-  
ალთას, პარხალის, იშხანის ფერადი სურათე-  
ბი, მათი თანამედროვე მდგომარეობის ჩვე-  
ნებით.

აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის შრომა უცი-  
ლობლად მნიშვნელოვანი მეცნიერული შე-  
ნაძენია.



აკაკი გეწაძე

# სიყვარულის ხაფანგი

ბრაზილიანია ორ ნაწილად

პიესა პრემიერებულია საქართველოს თეატრალური  
საზოგადოების მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. 1982  
წლის 27 სექტემბერს.

პიესაში მომხდებამ:

- ანდრო
- ია
- ბიძინა
- ფატი
- ზიტა
- ფარნა
- დუტუ
- ხანკა
- კოსტა
- მიხა
- კატო

ეს ამბავი არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მოხდა თბი-  
ლისში, მაგრამ... სხვა ქალაქშიც შეიძლება მომხდე-  
რიყო.

უფერული, ცარიელი სივრცე. სამარტოვანი ხეა  
მეა. ისმის ჩაქუჩის კაკუნი — სადღაც კუბოს აქედე-  
ბენ. მერმე სადღაც ზარი დარეკეს. ეს მაგვს ეკლესიის  
ზარის ხმასაც და მატარებლის გასვლის ნიშნსაც, გონ-  
საც გვაგონებს.

ბიძინა (ბარბატი შემოდის, ბოთლი ჩაუხუტე-  
ბია, მღერის მოთქმით, შემოათრია ხის გრძელი სკამი,  
ჩამოჯდა, ბოთლი მიიყუდა პირზე, შიგ ადარაფერია).  
არაბაბავ, ცარიელი ბოთლი უნდა გერქვას შენი (გა-  
დაღებდა დაუპირა, ვერ შეეღია). ესეც რომ მოვაშო-  
რო... (წინ დაიდგა, მოეფერა.) შენდა დამარჩი მეგობ-  
რად. (თანდათან მზიარული მუსიკით აივსო მიდამო,  
ერთგან მაგნიტოფონი ჩართეს, მეორეგან — რადიო,  
მესამეგან — ვილაც სიმღერას სწავლობს. ბიძინა ცალ-  
ცალკე გასძახის.) გააჩუმეთ, უგულოებო! არ გესმით?  
ადამიანს მარხავენ! რა გემდებნათ?! ადამიანი დაი-  
ღუპა, თქვენ კი... (ცლავ ისმის სიმღერა და უდარდე-  
ლი სიცილი-კისკისი.) გლოვის მაგივრად მზიარულობთ?  
უუჰ!.. (ბოთლის ტუორკნა დააპირა, ისევ ვერ შეეღია,  
ქვებს ისვრის. ისმის შუშის მსხვრევის ხმა.) ოღონდ  
ადამიანის ბედი ნუ დაიხსხვრევა და მინის ჩამსხვრევა  
არაფერია, მეშუშებს საქმე გავუჩინე. ერთი თუ დაზა-  
რალდა, მეორე მოიგებს. უბედურება ის არის, როცა  
ყველა ზარალდება... ადამიანი მოკვდა. მღერიან, ისევ  
მღერიან, ვერ გაიგეს, რა მოხდა და მღერიან. მაინც  
რა იყო ეს?! (ავანსცენაზე დადებულ ბოთლს ესაუბ-  
რება.) როცა ძალიან მიჭირდა, გაპირვებამზე ვმდერო-  
დი და გული მიხალვათებოდა, დღეს აღარაფერი  
მშველის. რაც მოხდა, მარტო ჩემი ბრალია ვითომ? შენ  
მაინც მომისმინე ბოლომდე და ერთად განეხაჯოთ, ვინ  
არის დამნაშავე... მგზავრებხავ ვუამბოთ, სხვენმაც  
გაგვასამართლონი ყველას თავისი ღმერთი უზის გულ-  
ში და იმ ღმერთის წინაშე აგოს პასუხი! (ბოთლჩაუ-  
ტებული მიბარბაძებს სიმღერით.)

ყველაფერი, ყველაფერი ამოგივა ყელში,

როცა შენი ბედ-იღბალი სხვას უჭირავს ხელში.

(შემობრუნდა ნიღბებით დახუნძლული და ავანსცე-  
ნაზე დადგა. ნიღბებში ორი გამოირჩევა — სიცილისა  
და ტირილისა. ბიძინა ხან სიცილის ნიღაბს ირგებს,  
ხან ტირილისას.) ვიდრე მოგაუყვებით, რა ამბავიც დატ-  
რიალდა, გაიციანთ ის ხალხი, ჩვენს ამბავში რომ ერი-  
(გორგოლაკებიანი საწოლით ზიტა შემოაგორებს ფა-  
ტის და იწყებს დიდი ცოცხით გვას. ზიტა ფატისაც  
და შემდგომ სხვენსაც პირში აყრის მტვერს.) ეს წი-  
ნაბერა გახლავთ. მარტოხელას ოროთახიანი ბინა აქვს  
მეოთხე სართულზე. კარგა ხანია ლოგინადაა ჩავარდ-  
ნილი და ეს შევზოვე ქალი დასტრიალებს თავს.

ფატი. ზიტა, გენაცხავე, ისე დაგავე, მტვერს  
პირში ნუ მაყრი!

ზიტა. ფატი ხაზეკია, პირი დაკეტოს, მთვერი არ  
ჩაგეყაროს. მე ვინავათი არ არის, ყველაგან ბევრი მუ-  
სორი რომ არის. (ფატის საწოლი გაავორა. მოდის ან-  
დრო, შემოხვდა ია. ერთმანეთს შეხედეს და ამოიოხ-  
რეს. შემობრუნებული ზიტა ქალ-ვაყსაც პირში აყრის  
მტვერს. ვილაც რადიოს რთავს და თოშავს. ისმის ნაწ-

ყვეტ-ნაწყვეტად: «არ გვაწყენს, ჩაუვეკირდეთ ხალხის  
სიბრძნეს: ბავშვებიანი სახლი პაზარია, უბავშვო —  
სამარყო. ერთი შვილი — ლობჯის ჩხიბი, ორი შვილი —



ვითომ შვილი, სამი შვილი — მართლა შვილი... დღეს კი მრავალშვილიანი ქართველი დედა სანთლით საქმე ბარია... მოწაფეთი შეფასებით რომ ვთქვათ, ერთოსანი და ოროსანი მოგვიმარაგლდა, ხოლო ხუთოსნებსა და ოთხოსნებს ვინღა ჩივის, სამოსნებიც ერთობ ცრტა გვეყავს... ეს ფრიად სამწუხარო ამბავია... განსაკუთრებით ჩვენსთანა მცერარცხოვანი ერთოსის... თქვენ მიომინეთ ვადაცემა — მრავალშვილიან დედებს დიდება! \* მოგვეწერეთ თქვენი აზრი!

**ანდრო.** ია, გესმის, გამრავლდითო! ჭერ ქალიც ვერ მომიყვანია და... როგორ გავმრავლდე?! ცოლ-შვილი ცეში ვაცხოვრო?

**ი. ა.** მე ის ვიცო, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, ანდრო!

**ანდრო.** მერედა, რა ვიღონოთ, ია? (დუმლილი მხრები აიჩჩრებს და თავიკანინდურლნი სხვადასხვა მხარეს წვიინდნ.)

**ბიძინა.** ანდრო ფეიქარ-ინეინერია, ია — ექთანი. კარგა ხანია ერთმანეთი უყვართ, მაგრამ... ვერ შეუღლდნენ. მოგვხსენებთა, სიყვარულს ვულისხმებინა არ ჰყოფნის, ოთხკედლიანი ბინაც სჭირდება. სიყვარული უპატრონო ძალღვივთ ქურა-ქურა ვერ იწანწალებს. ამ ორი აღმინის სიყვარულმა კი ჭერჭერობით ვულის გარდა სხვა ბინა ვერსად გაიჩინა და... ერთმანეთს სისწამრებშია და ეფერებინან.

**დუტუ** (გამორჩა). ძალიან მეცოდება ჩემი თავი, უკვე ხუთჯერ დაქვრივიდი ამ სამილდე წელიწადში და, ეჭამა უწყის, კიდევ რამდენჯერ დაქვრივდები. ეპ, გადბახს, უნდა გავუძლო! მთავარია სახუთი, დოკუმენტი!

**ბიძინა.** პასპორტით დიმიტრი გახლავთ, ისე კი ყველა დუტუს ეძახის. სახლმმართველია. ხუთჯერ რომ დაქვრივდა და კიდევ ბევრჯერ აპირებს დაქვრივებას, არცთუ ისე გაუხსნელი საიდუმლოა და, იმედია, გზადაგზა დავინახავთ.

**ხანკა** (შემოდის თემების რბევით, ჩაცმულ-დახურულია ველგარულად, ხან ლლინებს, ხან მუხუსუხისას აქნატუნებს და ჩანჩინს აქეთ-იქით აფურთხებს). მე თუ რამეს ვყიდი, ჩემსას ვყიდი, ზოგიერთივით სხვასს ხომ არა! ჰოპა! (ზიტამ მტკერი რომ შეაყარა, პანჩური უთავაზა.)

**ბიძინა.** ამ ქალის ნამდვილი სახელი არავინ იცის, ზოგი ჩარჩინებს ეძახის, ზოგი ხანკას, ზოგიც... ეშმაქმა უწყის — რას, რაო? ვინ არისო? განა არ ეტყობა? გე-თანხმებთ, ასეთი ჭურის ქალები ასე აშკარად დიდი ხანია თვალში აღარავის ეჩხიბებიან, პირიქით, თავი უწმინდეს ანგელუზებად უჭირავთ მუდამ გარკვეულ მომენტამდე. მაგრამ ხანკა თავისი ნამდვილი სახელის გარდა აღარაფერს მალავს, ყველა აშკარად ხედავს მის საქციელს. ამ მხრივ ერთობ გულწრფელია. (ხანკა ენას გამოუყოფს და გაშორდება.)

**ფარნა** (კოკობით მოათრევს შიშიე ჩინთას). მე ასე მეოწია, როგორადაც არ უნდა ვაუქირდეს ადამიანს, ადამიანობა არ უნდა დაკარგოს!

**ბიძინა.** ომის ინვალიდია. ფარნა! შვიდი შვილი ჰყავს და აქამდე ოთახნახებრთან ბინაში ცხოვრობს.

**კატო** (შემოდებება მისას). ყველას ქალაქისკენ უჭირავს თვალთ, ჩვენ, გენაცვალეთ, ვისზე ნაკლები ვართ! გამოადგი, ბიჭო, ფეხი!

**ბიძინა.** სოფელი დედა-შვილია — კატო და მისა.

**კოსტა.** კანონის სახელით გიბრძანებთ... მე ვინ ვარ დავარდევ? საჭიროა ყველგან წესრიგი, პატრონება და სამართალი!

**ბიძინა.** ხანკას არ იყოს, მილიციელ კოსტასაც ჩემი წარმოდგენა არ სჭირდება. ახლა კი, ნება მიბოძეთ, ქალბატონებო და მამონებო, ჩემი თავიც ვაგაცანოთ. ერთხანს არტიტს შეძახდნენ, ზოგი ნამდვილად, ზოგიც დაცივით. სცენაზე ხშირად გამოვდიოდი, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში — უხმოდ. მერმე მოთხრას: ან თეატრიდან მიბრძანდი, ან მხოლოდ მკვიდის როლს გათამაშებოთ, სცენაზე გაუნრთვლად უნდა იწვე ხოლმეო. თეატრში მკვირად ყოფნას, ცხოვრებაში ცოცხლად სიარული ვაჭიბინე. მოკლდე: ვიქცი უოეტრო მხახიანად. გული მაინც არ გავციტე, სანუფეშოდ მოვიშველიე შექსპირი, რომელმაც გვიანდერმას აღამიანებო, მიმოიხედეთ ირგვლივ, განა მთელი ქვეყნიერება, მთელი ჩვენი წუთისოფელი ფარდადაუხურავი თეატრი არ არისო! ეპ, ნუგეში, ნუგეშია და... ჩემი არტიტული ავან-ჩავანიდან ჩემვდე გამოკრძალი სინდებობა შემომჩრა, ცარიელი. (ირგებს სხვადასხვა ნიღბს. ხან იცინის, ხან ტირის, ერთით ბრძენს ჰგავს, მეორეთ სულელებს, ერთით ლამაზს, მეორეთი მხინჯი). ვინაიდან ერთმანეთს ასე თუ ისე ვაგვეცანიო, დავიწყით თვითონ ამბავიც, ჩვენ რომ გადავცხდა თავს. მოკვდა აღამიანი... მოდა, ერთად ვეძებოთ დამნაშავე, კეშმარიტებაც ერთად ვეძებოთ — ვინ არის მტყუან-მართალი. (ნიღბებს გონგვიით შემოკრავს და წავა სილდურით.)

**ხანამ ცოცხლობთ — ხორციც, სულიც ჩვენ გვეცემა ტალახით, მოვცდებით და — ჩვენს საფლავზე გაიხარებს ბალახი...**

**მუსიკალური აქცენტი.** ვილაც როტეს და თიშავს რადლოს. ერთხანს სცენა ცარიელია. შემოლასლასა ანდრო, მოწყვეთით ჩამოვდა სკამზე და თავიკანინდურლმა ხელები პირისახეზე მიიფარა.

**ხანკა** (შემოდის. აქეთ-იქით გაიხედავს, სკამის კიდეში ჩამოვდება და თანდათან მიუჩრდება ანდროს. განგებ კაბის კალას აიწყებს და ისწორებს წინდას). ჰოპა! შიკარინ ამინდია, გემრიელი და საამო... ნანატრი დედა. არ მოგწონს, ვეცაკო? (ვითომ ცას უყურებს, ნამდვილად კი თავის ხორცს ახარბებს. ანდრო ყურადღებას არ აქცევს. ხანკა ლლინებს, თან კვლავ წინდას ისწორებს). ასწე თავი, ცას ახედდი აო, ის უჭლა ღრუბელი ღმერთსა ჰგავს, არ ჰგავს? (ანდრო ზურგს შეაქცევს). ენა ხომ არ გტყავა, ვეცაკო? ან — ხომ არ გავიშეშედი? ხმა ამოიღე! ყრუ-მუნჯი ხარ? (ითიქოს თვითონაც ყრუ-მუნჯივით ხელების ექსტიტულაციით ელაპარაკება).

**ანდრო.** რა გნებავთ?  
**ხანკა.** არაფერია... დადლილმა აქ ჩამოვიხვეინე... საზოგადოებრივ სკამზე. (პაუზა). რატომ მოგვეყენია, კოსტა ბიჭო? შეყვარებულმა გილაღატა? ამ დალოცვილ მიწაზე იმდენი ანგელუზო დადის... გილაღატა, შენც უღალატე! ყველაფერი ანგარიშით არ არისო ჰოპა! (ანდრომ ხელი ჩაქნია). ცას ახედე-მეთოი! იქნებ ის ღრუბელიც არ არის, კუმშობრად ღმერთია. ვადმოგვეყურებს ციდან და იღიმება. იცო, რატომ? დედა-



მიწაზე ეს რამდენი უკუღმართობა ხდებოა. (პაუზა).  
 პოპა ამბობენ, მოსოფლიოში უკვე იმდენი ატომური და  
 ნეიტრონული ბომბია დამზადებული, შენადღეს რომ  
 აფეთქდეს, დედამიწა მთლიანად ფაფუ! საინის ბუშ-  
 ტივით გასკდებაო, მართალია? (დუმბილი). გამოტყუებ-  
 ბა ვილცა გივი არ რაღაცაზე გამოღმებული კაცი, და-  
 აჭერს თვის პატარა ღილაკს და პოპა.. უუუუ! იყო  
 და არა იყო რა საწყალი, ობოლი დედამიწა! ეშმაკმა  
 უწყის, იქნებ ერთი დღის სიცოცხლედ აღარ დაგვრ-  
 ჩინდა, პოდა, რაღას ვუფიქრობთ, ამ ერთ დღეში მოკს-  
 წროთ უვეფაფერო... წუთისოფელს სიცოცხლის უველა  
 სიაშტებლობა ერთბაშად წავართვათ. ვინემ თავლს  
 ვახელთ, გავიხართ, ჩემო დარდიანო კობტა ბიკო!..  
 (უტყბ). პოპა! ოცი მანეთი მახეხზე ვაყავტარად! (ან-  
 დრო შეუღღვრეს). შინ მიხვალდე, გინაცურად! აქვე  
 ვცხოვრობ, ახლო. თუ ვინმესი გერიდება, ისე შეგა-  
 პარებ შინ, ძებორციელი ვერ დაგლანდავს. (ტუჩებს  
 იღებავს).

ან დ რ ო. ხნელი ჭითი სიარული არ მჩვევია. მაგ  
 გათხიანილი მაჭებით ტყუილად მელამაჭები.

ხ ა ნ კ ა. ვაი, როგორ დაქინდა მამაკაცი მორტუ-  
 ნისტი ხარ?

ან დ რ ო. მოშორდი, ოხერო!.. მოშორდი-მეთქი!

ხ ა ნ კ ა. რატომ — ოხერო? მეგონა, მიცნობდი...

ან დ რ ო. გიცნობ. შენისიანები ჩინებდებო ორი  
 მილიონი ზღვაში გადაყარეს. არ მცალია შენცის, შე  
 აყოლდე!.. მაშინ, მე თვიორის! (გადის).

ხ ა ნ კ ა. პოპა! პაღუმავუ კრახავც მუჭინა! არ გინ-  
 და და, მოგაკედებს მომძალბებელი! იმდენი მუშტარი  
 მყავს... ისეც პოპა! (დინდენი მიმოღის).

კ ო ს ტ ა. ხანკა, შენ ისევე აქ დახტიალავ?

ხ ა ნ კ ა. პოპა! კობტა მილიციელს ვახლავარ!.. წეხი-  
 ერების ღმერთის თავდადებულ მოციქულს ჩემი მხურ-  
 ვალე და გემრიელი... საღამო! აქამდე ვერ გააგებ, ძიურ-  
 ფასო, რომ შე ჩემი სამოქმედო უბანია? უპ, როგორ  
 მიხარია შენი დანახვა ჩემი მილიცია, მე მიყავს!

კ ო ს ტ ა. კანონის სახელით ვიბრძანებ. იცოდე, მე  
 კანონის კაცი მქვია. რამდენჯერ გააფართობლო, ჩემ  
 სამორიგეო უბანში ფები აღარ შემოდგა-მეთქი!

ხ ა ნ კ ა. პოპა! ეს ბაღი და მიდამო არც შენი ეზოა,  
 არც შენი სახლი. მე რას მოთვალთვალე, გირჩენია  
 შენს კახა კოლს მიხედო, კუსოჩნიკო, სულ ერთია, მე  
 ვერაფერს გამომჩრები!

კ ო ს ტ ა. უპ, შენი!..

ხ ა ნ კ ა. რა ჩემი? რა გინდა ჩემი?

კ ო ს ტ ა. შენი არაფერიც არ მინდა. დამე აღარ  
 გუფონის, დღისითაც დაიწვე ნადირობა! მოგველი მე  
 შენი! (უსტყვის). შეაყოლდე! თუ კიდე დაგინაზე აქ, ჩაგ-  
 ვცამ გალაშო!

ხ ა ნ კ ა. ფებებაც ვერ მოშვამ ძირში! იქნებ გგო-  
 ნია, ხანკამ არ იცის, ერთი ბინა ცალკე რომ გავქვს და  
 საბოზოდ აქირავებ, თანაც სარფიანად. ჩემს დენას  
 მოეციე, თორემ დაგაკარგვივებ იმ ბინას!.. ისედაც ვარ  
 შენზე აღრენილი, შენი ღუქანი მე მუშტრებს მართ-  
 მევს... (კოსტა წიხლს აუქნევს). მეტი არაფერი იცი,  
 შე კაცობადაკარგული? (კოსტა უსტყვის). ვაი, მაგ  
 შენს დედულში კი ჩავადულდი! (დაეჭიანება კოსტას  
 და წაღლინდება).

კ ო ს ტ ა. მე კანონის კაცი მქვია!.. მოგველი მე შენ,  
 მოგველი!.. (მუქარით გასევა).

ან დ რ ო (შემობრუნდა). ჩემი გაკირვება მყოფის  
 ეს გათახსრებული ქალი კი... თუმცა, რას გააგებ, ვის-  
 რა ადარდებს. ემ, იგვიანებს! (ბოლოს ცაქუნდა)  
 ი ა (შემოდის. გაცვირვებით მიმოიხედავს). ვაი, არ  
 მოხულა?! ნუთუ?! ემ, მაგვიანდება!.. იქნებ ადამიანს  
 როგორ უწიარს, მე კი... (ვაბრუნებას აიბრებს).

ან დ რ ო. ია, აგერ ვარ! (შემოდის).

ი ა. გაიგე რამე?

ან დ რ ო. გაიგე. საუბედუროდ, გაიგე.

ი ა. რატომ საუბედუროდ? წელსაც არ გვაძლევდენ?

ან დ რ ო. არც გაისად, არც მერმისად.

ი ა. აკი ვაირდებოდნენ, დაწუნარდი, მალე მოგიწევს  
 სო?!

ან დ რ ო. მიარდებოდნენ... მეტი ტყუილი კი არ უთ-  
 ქვამს არავის! სამი წლის წინათ რიგით ოთხის მეშვიდე  
 ვიყავი, ახლა ხუთათას მეცამეტე ვარ, ხუთი ათას მე-  
 ცამეტე, ია, გესმის!

ი ა. ვერ იყავრ, შეცდომაა-თქო!

ან დ რ ო. დასაღვავი ხარგივით ვიბდავდე, თანაც ბურ-  
 თივით ავხტი და დავხტი — მოგვარახელეში გემულე-  
 ბით-მეთქი. არა, ნამდვილად შენი ბინის მძღების რი-  
 გიყო. წინ მივფიქვართ თუ უკან, ამხსნენით-მეთქი. ამიხ-  
 სნეს: რადე სიბები გავყავით, რაღაც შევარტეთო, გა-  
 ვამრავლეთ და ასე მოგიწიოა. ვერაფერი გავიგე-მეთქი,  
 ერთიც ვიბდავდე და გულშეუწებებული დავინარციე  
 იატაკზე. როცა მომასულიერეს, ერთმა დაცინვით და-  
 მიმეძღ: ნუ გეშინია, ვაეკაცო, სიბების შეერთება-გა-  
 ყოფა-გამრავლება წელსაც მოხდება და გაისად ათი  
 ათას მეოთხმეტე იქნებოა. მეორემ კი ჩამჭურჩულა-  
 ბიძიყო, მთავარიდან ხომ არ ჩამოჭურჩენილხარ, აქამდე  
 ვერ გაიგე, ამ ამბავში ხელს ჭეუჭი რომ ტრიალებსო?  
 იცი, რამდენი თანხა დამისახელეს? ისეც ვიყვირე: ამ-  
 დენი მე ვინ მომამავა, ჩემი პაკიოსანი შრომით მთელი  
 ოცდახუთი წელიწადი რომ ვაგროვო, ოროთახიანის  
 საფსკურსაც ვერ მოვარკვევ-მეთქი. ვერ მოვარკვევ  
 და უბინად დაბერდებო. აღარ ვიცი, რა წუაღს მივ-  
 ცე თავი, შენც ვაგაწამე, მეც ვაგაწამდი... გასოვს, რომ  
 გაიციან, ხუმრობით წაიბღერებდი ხოლმე... (თიქ-  
 მის მოქიქი). სახლი არა მაქვს, კარი არა მაქვს, რომ  
 წაგიყვანო, სად წაგიყვანო... და ორივე გულიანად ვი-  
 ცინოდით, უკვგონა, სიყვარულით ფრთებშესხმულდეს  
 ეს სიმღერა ხუმრობად დაგვრჩებოდა. ეპ, ამასაც თუ  
 სიცოცხლე მქვია! ლოკოინასაც აქვს თვინი ბინა, მე  
 კი ვერ ვდირისხ. უძველო ლოკოინა მჭობია ინენრის  
 დაქლომიან კაცს. მიწისმხობელი ბრმა თხენელაც მჭო-  
 ბია. მამალი მარცე მჭობია — ცოლის გვერდით სო-  
 რღში მანც ათევს დამებს... ჩვენ კი... ნუთუ სასჯელის  
 უღლად დაგვედო სიყვარული? ია, რა ვქნათ, ეგებ შენ  
 მანც მოიფიქრო რამე!

ი ა. შენც იცი, მე სამადლოდ ვარ შეხიწული შო-  
 რეულ ნათესავთან, შენ უარეს დღეში ხარ, არც ერთ  
 ჩვენს გულშემატკიარეს ისეთი ბინა არა მაქვს, ცალ-  
 ქმარი შეხიწიწოს...

ან დ რ ო. იქნებ გვექირავებინა?

ი ა. იცი, ახლა რა ღირს? თუ წინადანბივით ვიცხო-  
 ვრებთ, არც ვქამო, არც ვსვამო, არც ჩამცა-დახურვა  
 დავეჭირებო ადამ და ევსავით, ორივეს ჩამაგირი მა-  
 შინ თუ გაგვეწვდება ერთი პატარა ოთახის დასაქირა-  
 ვებლად.

ან დ რ ო. აბა, ასე როდემდე? მეშინია, ჩვენი თანა-

ან დ რ ო. აბა, ასე როდემდე? მეშინია, ჩვენი თანა-

ან დ რ ო. აბა, ასე როდემდე? მეშინია, ჩვენი თანა-

ან დ რ ო. აბა, ასე როდემდე? მეშინია, ჩვენი თანა-

ან დ რ ო. აბა, ასე როდემდე? მეშინია, ჩვენი თანა-

ან დ რ ო. აბა, ასე როდემდე? მეშინია, ჩვენი თანა-

ან დ რ ო. აბა, ასე როდემდე? მეშინია, ჩვენი თანა-

ან დ რ ო. აბა, ასე როდემდე? მეშინია, ჩვენი თანა-

ან დ რ ო. აბა, ასე როდემდე? მეშინია, ჩვენი თანა-

ან დ რ ო. აბა, ასე როდემდე? მეშინია, ჩვენი თანა-



კარა სიყვარული ბოლოს არ დაგვიშვავდეს... ეს სიყვარული არც ცაშია, არც მიწაზე, ხალაღი მიწინა და ცის-შუაა გამოკიდებული... ვერც მე გელევი, ვერც შენ გეთომობი... (ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და გაიხრინდნენ).

კოსტა (რომელიც ჭალავას აქამდე შორიდან ფარულად უთვალავალდებდა). აქ რას აკეთებთ, მტრედებო?

ანდრო (გაღიზიანებული). ვამოწმებთ... სიყვარულის გაჩნობის გამაჰლობას ვამოწმებთ... დაკაცო-ფილიდი?

კოსტა. ჩარიმია!

ანდრო. რა ჩარიმია?! ისეთი რა გკადრე?

კოსტა. ვიცი თქვენსთანების ამბავი, აქ რა სიყვარულის გამაჰლობასაც ამოწმებთ... ურთიერთ ჩაუსკვნილ-ჩაბლართულები. ჩარიმა, ამხანაგო მოქალაქე!

ანდრო. როდის აქეთ აღდევინებთ ხალხს ბაღში შემოსვლისთვის ჩარიმას?!

კოსტა. შემოსვლას განიჩა. მე კანონის გუშაგი ვარ. კანონის სახელით გიბრძანებს.. აქ რას აკეთებთ-მეთქი?

ანდრო. არაფერსაც არ ვაკეთებთ, ხომ ხედავ, ვდგავართ?!

კოსტა. ერთობ საეჭვოდ დგახართ — განმარტობით, მუუდროდ, მოფარებულში... უწმინდურად ხელიხელჩაკიდებულნი...

ანდრო. შენი საქმე არაა, როგორც ვდგავართ!

კოსტა. ამხანაგო მოქალაქე, რაც კვეყანაზე ხდებდა, ყველაფერი ჩემი საქმეა. მე პატრონების ფხიზელი გუშაგი ვარ... წესრიგის ტარდუბრელი დროში ვარ. ამ ქუდს ყველას როდი ანდობენ, ამ იარაღსაც დამხმარებდა უნდა.

ი. ბატონო მილიციელო, უწეო რა შეგვნიშნე, ასე რომ... ჩვენ... ჩვენ დიდი ხნის შეყვარებულები ვართ.

კოსტა. შეყვარებულები არა, იხვის ტომში თუ შეყვარებულები ხართ, ბაღში რას დაწაწაწადებთ, ვადით შენ და იქორწილეთ!

ანდრო. ბინა არა გვაქვს.

კოსტა. აბა, ხსენებთ აპირებთ აქნის დადგმას? ჭერ ბინა გეშუილა და მერე შეგვეყვარებით ერთმანეთი. მე, მაგალითად, ჭერ დავადგინე, ქალს ბინა და ქონება რომ ჰქონდა და მერე შევიყვარე. უბინაო სიყვარული ვის რა ჰქონდა უნდა! აბა, შეაყოლიეთ აქედან! შეყვარებულთა პაემანების ადგილი არა მაქვს მე აქ! ვერ გამაყურებთ, კოჭებში გეტყობათ, ვინცა ხართ! (უსტვენს).

ანდრო. ჩვენ ჩვენი პირ-ვარაში გვიხტვენს და, თუ კაცი ხარ, შენ მაინც დავაწანებ თავი!

კოსტა. არ ვიცი მე თქვენი პირ-ვარაში, გაპირებულებისთვის ცალკე კანონები არ იწერება. თქვენ აქ საეჭვოდ დგახართ.

ანდრო. რას გვეშარბი, ამხანაგო? ისედაც გულადრენილი ვარ, შენ კი ცეცხლზე წავთხ მისხამ, წუხენ-ლი ცუდი ხომ არაფერი დაგსიზმრებია? მე შენი.. (შეშინებული კოსტა განზე გადავა).

ი. ანდრო, დაშვიდდით! ისდა გვაკლია, მილიციელს ვუმტკიცოთ, ვინცა ვართ. ე, წავედი.

ანდრო. სად?

ი. უსაქმური ხომ არა ვარ...

ანდრო. სულ მიდიხარ?! გადაიწყვიტე იმედი!

ი. რას ამბობ, ანდრო?

ანდრო. ნუ მიმატოვებ ჭერ, უშენოდ მოვკვდები... ბი... ეგებ რამე გამოგვიჩინდეს...

ი. რა გეშინია, ბიჭო! შენი მიტოვებას... შენსა და აქამდე მიგატოვებდი, შინწოლიარე ავადმყოფს ნემსი უნდა გავუეთო.

ანდრო. როდის იყო, შენ შენ დადიოდი? ეგ ხომ ეკას ევალბა?

ი. ეკას ბიძა მოუყვდა სოფელში, წავიდა და ავადმყოფის მოვლა მე მოხოვა.

ანდრო. ვინ ავადმყოფია? ეგებ გინდა, ერთი ვილაღე მოარჩინო და მეორე დაავადმყოფო?

ი. როდის გახდი თევზანი, ანდრო? ვეღარ გცნობ. შენი შორეული ნათესავი თუ მოუყვარე რომ არის, არტისტი ბიძისა, მისი სახლის ახლო ცხოვრობს ერთი ვილაღე მარტობელა შინაბერა... (ფურცელს ჩახება). ფატი ნებიერიძე.

ანდრო. რა სჭირს?

ი. ჭერ თვალითაც არ მინახავს... რაკი ეკამ მოხოვა, ხომ არ გავაწილებ. ჩვენ დეიღით ვართ სამსახურში. წავედი! წავედი, ჩემო ანდრო, შინაბერა ფატისთან!

ანდრო. კიდევ როდის შეგხვდეთ ერთმანეთს და სად?

ი. არ ვიცი აღარაფერი. ვუშველი იმ შინაბერას და დავფიქრდები მერე. ე, თუ ასევე გაგრძელდა დიდხანს, მეც ალბათ შინაბერად ვიქცევი და თვითონ დამიკირდება შველა. (მიდის).

ანდრო. სიცოცხლე ჰქვია ამას? თავი ხომ არ უნდა მოვიკლა?

კოსტა (მოფერებით). ვაჟაკო, რატომ იწვალბე თავს, მე გასწავლი წამალს.

ანდრო. რის წამალს?

კოსტა. ერთი ოთახი ცალკე მაქვს, იზოლირებული, თანაც მუუდრო ადგილას, ასიანი ღირს ღღე-ღამე-ში. შეიყვანე ვინც გინდა და იზოლარე შენს ნებაზე გემრიელად. ხელს არავის შეგიშლის, არც გაგაშეშებს. გინდა? (ანდროს ხელი ჩაუქნის). გაქვია? ჩემო ძმაო, ახლა ყველაფერი გაძვირდა და... კაი, რაკი გიკირს, ხათროს ნახევარს გამოგართმევ. ა, მოელი დამით შენი იქნება უც ვასილები. ესეც გაქვია, კაცო? აბა, იწაწაწალე ბაღში და ეტებე ბუჩქებში!

ანდრო. რას გადამეიღე? ჩემს გაპირებას შენ ვერ უშუარნალებ, ვერა!.. ვერ გაიგე? მომშორდი! ახლაკ ქალთან ხომ არ ვდგავარ, მომშორდი-მეთქი, თორემ...!

კოსტა. ქალი თუ არ გინდა, აქ რას უცდი? ეს უფრო საეჭვოა, დიხა! მე ასი თვალის და ასი ყური მაქვს, ვერაფერს გამომაპარებ! (თითის ქნევით გამორდებდა. მერე იდგმალად გამოჩნდება ხოლმე და ანდროს უთვალავალბებს. ანდრო სასოწარკვეთილი ჩამოჭდა).

ბიძინა. (მოიმღერის, შეამჩნია ანდრო). ჩემს მოყვარებს ვენაცვალე, აქ რას უდგახარ, ბიჭო? (ანდრომ ამოიხარა). ჩემო კარგო ანდრიკო, რაზე მოგაწყენა, აწყო თუ არა გწვალობს, მომავალი შენია. მართლა რატომ მოგიწყენია?

ანდრო. მაქვს მიზეზი.

ბიძინა. შენს მოყვარე კაცთან არ გამოხილდება? (ანდრომ კვლავ ამოიხარა და ხელეში პირისახეზე მიიფარა). რა გატირებს, ვაჟაკო?

ანდრო. ჩემი უმწეობა. აღარ ღირს ჩემი სიცოცხ-

დღე უკვეღ წუთში ვიღაცა ფეხს მადგამს გულზე. გახსოვს, ბინის რიგში ოთხას მეშვიდე რომ ვიყავი? დღეს მომხატარს: ხუთათას მეცამეტე ხარო.

ბ ი ძ ი ნ ა. აუჰ, რა პროგრესულად წასულხარ წინ შენ, ჩემო ძმარო. თუ ასე იარე, მთელი ცა და დედამიწა მალე სულ შენი იქნება.

ან დ რ ო. ბიძინა, არ არის ეს ამბავი სახუმარო. ნუ გაიკვირებ, თუ მალე გაიგო, ანდრომ დაქანგული დაწით ვადავსა ვენებო.

ბ ი ძ ი ნ ა. ანდროს ვენაცვალე, ვენების გადაჭრა რა ეშმაკმა მოგაფიქრა. ისიც დაქანგული დაწით, შე დღერთადალო, ხომ მოგწამოღებდა სისხლი!

ან დ რ ო. აბა, რა ვქნა? რვა წელიწადია, დედაშვილის მულიშვილის ოჯახში ვარ სამადლოდ შეხიზნული, დღი ბინა მანც მკონდეს. თავის კულის მოქნევა ორ ოთახში ცხრა სული ცვხოვრობთ: ცოლ-ქმარი, მათი ოთხი შვილი, სამც ნათესავ-მოყვარე. ზოგი მაგიღის ქვეშ იძინებს, ზოგიც — მაგიდაზე. იქ ქალი რა სინდისით მივიყვანო? არადა, ვებრდები უცხოლოდ. თუ ბინის რიგში ასე უკან-უკან ვიწროივალე, ალბათ, ოცდახუთი წლის შენდგე მომცემენ, როცა ორმოცდაათუთმეტს გადავაბიჭებ. ბერბიპას ცოლი რადა ჰქირად მინდა? რომც წამომყვეს ვინცე, სახაბუდე კაცმა გავაჩინო შვილი? ეგებ ვიბრდაირ შვილიშვილიანი ბებია შევიტოო? ამის დედა პატარე, ყველა მატყუებს! ყელში ამოშვიდა ამდენი სიკრუე, მახჩრობს!

ბ ი ძ ი ნ ა. იუჟე! ამ პატარა ამბიდან დიდ ტრაგედიას ნუ შევქმნით. გაპერო, ბიჟო, მუთაქები, ვის უნახავ იმდენ ფულს, ყიდე ერთი პატარა ბინა და იცხოვრე გემრიელად.

ან დ რ ო. არ გცხენია, ბიძინა, შენც დამცინი?  
ბ ი ძ ი ნ ა. თუ ყოფა არ შეგძლია, იქირავე მიინც.

ან დ რ ო. ისეც დამცინი, ჩემი ჯამაგირი იმ სარდღასკა ვერ ვიპოვებ, გადასაყრედ ცარიელ ქილებს რომ ინახავენ ხელმოშვირად დასახლისები. ჩვენს ფაბრიკაში უბრალო მუშა ინჟინერზე სამჭერ მეტ ჯამაგირს იღებს. ჰა ჰქირად დავამოთავრე უმაღლესი, ახლა მუშად დაც აღარ ვპირავარ, თორემ ვინ მამაშადლი არ იკადრებდა. ბიძინა, მიჩიე რამე! მთელ ქალაქში შენზე ახლოებული არავინ მყავს. პოდა, ნანატრით გაშობჩინდი.

ბ ი ძ ი ნ ა. ანდროს ვენაცვალე, ქაჩაღმა რომ თმის წამალი იცოდეს, საკუთარ თავს მოუვლდამო. შეგახიზნებდი, მაგრამ, ღმრთი გინახავს, მეც ისეთ სოროში ცვხოვრობ, ცოლი მეორე შვილის გაჩენაზე ვერაფრით დავითანხმებ.

ან დ რ ო. შენც ხომ ვიპრდებოდნენ ახალ ბინას?  
ბ ი ძ ი ნ ა. მიპრდებოდნენ, სანამ ვმუშაობდი...

ან დ რ ო. თავი დაანებე?!  
ბ ი ძ ი ნ ა. ანდროს ვენაცვალე, სად გაგონილა, არტისტი თეატრისთვის თავი თავისით დაენებებოხს. არტისტი მსვენაზე ცოცხლობს ქვეშაობრად და ქვეშაობრად ბედნიერია, თუ სცენაზევე კვდება. არისტი არტისტი შემარქვეს. არადა, ცხოვრებაში სულ ერთხელ დავლიე არაყო, ამხანაგმა ხინჯალზე რომ დამპატივა. ეჰ, მერე გამონაცხადეს, შენ ცხოვრებაში უყვეთესი არტისტი ხარ, ვიდრე სცენაზეო და გამოამპინდირეს თეატრადან.

ან დ რ ო. როდის, როდის?  
ბ ი ძ ი ნ ა. სამ თვეზე მეტია. არ ვამხელდი, მეგონა, აღმუდგენდნენ. ფაჟუ! ანდროს ვენაცვალე, ტყუული

ყოფილა, შეცდომებზე სწავლობენო. მე უკვე ისინი შეცდომა დავუშვი, კარგა ხანია, ბრძენთა ბრძენი უნდა გამხდარიყავი, მაგრამ დღემდე კუა ვერ ვახსოვლობ, არა, შეცდომებს არ ვიშვორებ, ახალ-ახალს ვუშვებ, გაუთვალისწინებელ იაღლიშვრებს. შენც იცი, უბედურად პატიოსანია, წესიერი და კეთილი კაცი ვარ, სწორედ ეს მსლუავს. თეატრც ჩემმა სიკეთემ დამაქარგინა. არადა, სხვა ხმელთა არაფერი ვიცი, რა გავიკეთო? ადამიანი, რომელიც ცხოვრებაში არტისტია, იმევე უბედურე და სასაცილოა, როგორც დეკორაცია უკან მხრადან. პოდა, რა დაგებნარო, როცა თვითონაც ასე...

ან დ რ ო. ღმერთო, ერთი საუკუნით ან ადრე გაგვინე, ან — ვიანი!

ბ ი ძ ი ნ ა. შენსავით ბევრი ფიქრობს, ცუდ დროში დავიხადეო, სხვა საუკუნეში ეტყობ ვიცხოვრებდიო. ვინაიდან ასე ბევრს მკონია, უკუთა, ტყუილია. ადამიანს ყველა დროში უჭირავს, მაგრამ გაიჭირვებს ქნებს არ უხრიადა. გული გაიშავრე! მე როცა ძალიან მიჭირს, ვდღერი. სიმღერით ვაფრთხობ ყოველგვარ სევდს, მოშხა და უმიდობას... რა თქმა უნდა, ცხოვრების მოწყობის უნიჭობასაც... და სხვა უნიჭობასაც. (მღერის).

ან დ რ ო. გაჩუმდი, ბიძინა!  
ბ ი ძ ი ნ ა. (სიმღერითვე). ნუ გეშინია, ნუ გეშინია, ერთ ბედქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ!.. ანდროს ვენაცვალე, კაცი იმედით ცოცხლობს.

ან დ რ ო. როდემდე? ადამიანთან ერთად იმედიც ბერდება.  
ბ ი ძ ი ნ ა. ჩემი არ იყოს, უში ხარ, გამოცხობა გაქლია!

ფ ა რ ნ ა. (მოკლანობს გულმოსული ბურღუნით). ო, ის მამაშადლი! ეს მანც როგორ გამოიბედა? ეს რა მაკადრა იმ თავებმა?  
ბ ი ძ ი ნ ა. ბატონო ფარნაოზ, თქვენი სიღინჯე მამაშვიციერს შეშურდება, დღეს ასე ვინ გაგაბრაზათ?

ფ ა რ ნ ა. ამევსო მოთმინების ფილა, ჩემო კარგო მეზობლო! სტალინარდიდან ბერლინამდე მტერს „პაპალატუნსკი“ ვსიდე და ახე არ დავდლიდვარ, არც ვაწვამებულვარ. თითქმის ყოველ კვირას ვაკითხავ ბინის ამბავზე და არაფერი. ვუბუნები: რომ გაიძახით, ნაფროსტალ ხალხს მეტი პატივი ვცეთო, ეგაა თქვენი პატივისცემა-მეთქი! კაცი სამჭერ დავიჭერი ომში, მაშინდელი ორი „ასკოლა“ ახლაც ენენებში მიზის, ეს ფეხიც ომმა მომანერია-მეთქი. გაგიგონია, ვინ გიგდებს უფრს. ღმერთო ჩემო, რა უსაშველოდ იტყუბიან, ასე როგორ გამარჯვლდენ ქოსატყუილები! ერთმა გასულე-ქებულმა მჭისხლა გრაგოლა თავავამე, იციო, რა მომხალა? ომში ნამყოფი ხალხისთვის ჩვენ „ვენის აგონი“ და „ბრატსკია მიგოლა“ ვკავსხო. არ უბუნობა, ნამდვილად მოხარა. ეს რა მაკადრა, ცაცო?! თვითონ თურ-რე ომის დროს მამაშადლობით ყალბი ჯავანმე, იყოღ, ჯარისკაცობიდან თავი დაიშვრინა, მერე სარფიანი სკამიც იწოვა, მეჭრთამეობით გაზდიდრდა და ახლა ფეხებზე მკიდა ჩვენისთანა ხალხი. ვაი, ახლა რო თოფი მეჭირის, გიჩვენებ, შე გარწმარო, როგორ უნდა პატიოსანია ხალხის აბუნად აგდება! ეჰ, ყველაზე ცუდი მანც ის არის, ადამიანს რომ გაიძულდენ, არადაამიანური საქციელი ჩაიდინო! ბოდიში! (მიდის ბურღუნით). ვაი, ამათთვის ვიბრძოდი, კაცო? (ღონემიხილი ცალკე ჩამოქვდა). ასე გაბითურებული ცოლ-შვილის რა პირითლა ვერკენო? არადა, ვინაიდან სხვები არადაამი-



ანროსად შეცვლიან, მეც არაადამიანურობის გზას დავადგე? დემოტო, დაიწვას შენი სამართალი.. ეჰ, რომდემდე მეყოფა ჩემი ომგადახადილი პატიოსნება, თორემ კაი შეი!

ბიძინა (ახლლა შემინწნეს ფარნას ჩამუხელსა და მისკენ გაიქცევა). ძია ფარნა, ცუდად გახდი?

ფარნა. არაფერია, ცოტას ჩამოვიკვნივე და წავალ. ბიძინა. წამოგყვები, ძია ფარნა.

ფარნა. არაფერია-მეთქი, ბიჭო! ძალი კოკლოზით არ მოკვდება. ვფიქრობ, შენ მისკლისას ჩემიანებს რა ვუთხრა. არ მინდა სულ გავუტუტო გული. (პაუზა). გაიგე? ფატი ერთობ ცუდად უყოფილა.

ბიძინა. გავიგე, ლოგინიდან ვეღარ დგებო... ეჰ, მე რა დამხარება შემიძლია, თორემ ვინ მამაძალი დამიშურებს რამეს. საწყალი ქალი, რისთვის იჯახიბა ამდენი, რისთვის!

ფარნა. პო, ყველაფერი ძნელია. რას გავუტე ამ ობერ წითლისფელს: ერთს ოჯახის გარეხა კლავს, მეორეს — ოჯახის გაუჩენლობა, მავანს სიუფარული და მავანსაც უსიუფარულობა.

ანდრო. ბიძინა, წავიდე მე.

ბიძინა. მოცა, ანდრო, ასე გულამღვრეული სად მიღიბარ?! (ანდროსთან დაბრუნდა. ფარნა კვლავ ცალკე ზის ჩაფიქრებული. კოსტა ლანდად გამოჩნდება და ანდროს სკამის მიღმა ჩამიპდება). ანდრო, თვალი გაიმისწოვ, რას ამბობ, ბიჭო? (ანდრო თავჩაღუნული დგას). სულელურ ფიქრს ნუ აყუევები! (ფარნასკენ გახედება). ხედავ, ბიჭო, ყველა პატიოსან ადამიანს უჭირს.

ანდრო. ჩემსავით — არავის.

ბიძინა. ყველას თავისი ჭირი ჰგონია უსაშველო. იმ კეთილ, გამჩქე და პატიოსან კაცს შვიდი შვილი ჰყავს და ოცდასამ კვადრატულ მეტრიან ციქნა ბინაში ცხოვრობს — კასრში ჩაწყობილი თევზებივით არიან. უძლებენ.

ანდრო. იმას ცოლ-შვილი მაინც ჰყოლია, მე უცოლ-შვილოდ ვებრძობი და... საშველიც არსიდან მიჩანს. ვინ დამწყვეტა, ვინ — შე გვარამოსაწყვეტო?! (ამოიხიბება). ბიძინა! ამოიხიბე რა, პაუზა!

ბიძინა (შუბლზე მიიჩქვამს ხელს). გენიოსი ვარ და არავინ მიჩქვამს. არის, არის, არის!

ანდრო. ფეხბურთის კომენტატორივით რომ ამიყვირილი აქ, რა არის?!

ბიძინა. არის გენიალური იდეა. ეს რა კარგი ხაქმე მომავალა ჩემმა კეთილმა მეზობელმა! ბრძანული აზრი პირდაპირ ანგელოზივით მომთხრობდა. ჩემს ანდროს ვენაცვალე, ფატი ოუ გახოსცე?

ანდრო. აბა, ფატი?!

ბიძინა. ჩემი სახლის წინ რვასართულიანის მეოთხე სართულზე რომ ცხოვრობს ოროთახიანი შარტო მართო.

ანდრო. იმაზე ამბობ, ერთხელ შინაბერა ქალის დღეობაზე რომ შემართე საპურმარაილოდ და გემრიელად მაქვიეთ?

ბიძინა. კარგია! ამავს დამახსოვრება გუჯარებია. ანდრო. იმ ზღაპრულ პურ-მარაილს რა დამავაწყებს! მაშინ პირველად ვნახე, რომ შენ ბრწყინვალე თამადა უყოფილხარ — ყველა ერთნაირად მოხიბლეს, სტუდარიც და მასპინძელიც. არ გეწყინოს და, ვინატრე, ნეტავ სცენაზეც ასე ნიჭიერი იფოს-მეთქი.

ბიძინა. ანდროს ვენაცვალე, ნაღები არც შენ იკავი. მუქთა პურმარაილი ნასამოვინები ღამაზე, სადღერძმეღებდა იღვრებოდი. შენც ყველაზე-მეორე მოეწონე, იუბილარს კი განსაკუთრებით. მეორე დღეს, ნამცველობაზე, ფატიმ მადლობა მოთხრა: ის რა გემრიელი ბიჭი მასტურეო, სუფრა დამიმშვენა, რატომ დღესაც არ მომიყვანეო.

ანდრო. ეგ ძველი ამბავი რამ გაგახსენა, მოგაშვიდა?

ბიძინა. არა, კაცო, შმიშლი რა შუაშია! სამ თვეზე მეტია ის ფატი ლოგინად არის ჩავარდნილი, სიკვდილის პირზეა მიმდგარი საწყალი.

ანდრო. ფატი, ავადმყოფი ფატი... ალბათ, ია იმასთან წავიდა. რაა, ა სკორო? ექიმები რას ამბობენ?

ბიძინა. ჭერჭერობით ზუსტი დიაგნოზი ვერაფერს დაუხვია... ან — დაუხვია და არ უშხელს. პო, უფრო ასე: ის ობერი კბო ჰიპოს და არ უშხელენ.

ანდრო. მერტა, რა გენიალური იდეისთვის მოგავონდა კიბოიანი ქალი?

ბიძინა. არ გეხმის? შენი ბედნიერების იღუმალმა ზარმა დარეკა ციანად.

ანდრო. მე ბედნიერებს ცაში კი არა, მიწაზე ვეძებ.

ბიძინა. პოდა, მიწაზე იპოვი ზეცის დასტურით.

ანდრო. ზეცის დასტურით... აბა, მიხვდები! ანაზად ზეცის დასტურით მე სასწაულმოქმედ ადამიანად ვქცევი, უბრალო ინჟინერმა კიბოიანი ქალი მოარჩინა, ერთმა გადარწმუნებამ მსოფლიო სამედიცინო პრობლემა, მანწინე ნობელის პრემიას გავირტყამ და ერთბაშად მომეყრება ყველა სიეთე: უბრალო ბინა კი არა, მდიდრული სასახლე ცალკე, აგარაკები მთაში და ზღვაზე; ნაირფერი მსუბუქი მანქანები... ალბათ იმის იმედი გაქვს, რომ შე სასწაულით მოვარჩენ იმ შენს კიბოიან შინაბერას. მიხვდები?

ბიძინა. ვერაფერსაც ვერ მიხვდი, შე შტერო. ფატის მოარჩენა ვის რა ჯერად უნდა ახლა. კიბოიანი ვის მოუტრენა, რომ შენ იმარტო?! პირიქით, რაც უფრო მალე მიიბარებს ხულის მამაზეციტარს, მით უფრო მალე დაიშორდება მისი წამება და შენიც...

ანდრო. ვერაფერი გავიგე?! გარკვევით მოთხარი რას შექარავებში?

ბიძინა. გგონია, თვითონ კი მოლიანად გარკვეული მაქვს, რასაც ვგეგმავ? მაგრამ სხვა გზა რომ არ გვიჩანს? აი, ერთად ავწონ-დავწონოთ...

ანდრო. რა ავწონ-დავწონოთ?!

ბიძინა. გგონია, შენ ინატრე მამონ, რა ბედნიერი ვქნებოდები, ასეთი ბინა არაა მქონებელი.

ანდრო. მოვარალმა, ალბათ, ვინატრე, მერე?

ბიძინა. ფატიმ დიდი-დიდი, სამოიდე კვირალა იცოცხლოს...

ანდრო. ბიჭო? ცხადია რომ გაახვენებდა, შევამტარი და დღეუქული ბინის კარი და უსიკვდილოდ იქიდან ფეხი არ მოვიცვალე? ვერა, ძმაო, რამდენმა სცადა ასე და... კოვნი ნაცარში ჩაუვარდა, მხოლოდ ძარღვების დაწვეტა შეჩრა, მილიციის ძალით გამოაძანდურეს. ვერა! ნერვების აწევა არ მაძლია, კიდევ მივიბაძო? ინფარქტი დავირტყა? სულ გავიუბედურეოთა ვი? ვერა!

ბიძინა. მადროვე, სიტყვას ნუ მაცლი პირიდან, ნურც ხმას იმაღლებ, ჩემდა, არავინ გაგვიგონოს..

(კოსტას ლანდმა გაიყვლა). ზომ იცი, ჩვენს დროში ყველაფერს თვალში და უფრები გაუჩნდა. შენ, რაც შეიტძლება, მალე ხელი უნდა მოაწერო ფატისთან. ანდრო, სულ ეგ არის შენი გენიალური იდეა?.. სისულელე!

ბიძინა. ხსსულელე, რომელიც გენიალურ სიბრძნეს უტოლდება.

ანდრო (დამკინავად). კი, ყოველ გენიალურ ადამიანს რაღაც უცნაურობა სჭირს.

ბიძინა. ანდროს ვენაცვალე, არ არის ეს უცნაურობა, მამაშვიტისგან ჩაგონებული ღვთიური საქმეა, ფატისთან ხელს მოაწერ, გასვენებენ და მისი ბინა შენ დაგრჩება უფრიად და უღაგიდარაბოდ, მერე ითხოვე ის შენი ია და, იცხოვრე გემრიელად.

ანდრო. არ მომწონს. ყალიბ სიუვარულის თამაშზე ავაჯო ჩემი ბედნიერება?

ბიძინა. ბედნიერებას ერთი ფორმულა არა აქვს, ყველა ადამიანი თავისებურად ხდება ბედნიერი...

ანდრო. უბედურცი.

ბიძინა. პო, არც უბედურებას გააჩნია ერთი სტანდარტული ფორმულა, მაგრამ უბედურება მტრის ოჯახში იყოს, მე ახლა მხოლოდ შენს ბედნიერებაზე ვტრუნავ და... ჩემი სიცოცხლის გამართლებაზეც. ადამიანმა შენი სიცოცხლით ვილაკას სარგებელი უნდა მოუტანოს, სხვანაირად ამქვეყნად ჩალიტი არც ღირს. შენი ბედნიერების ზღვაში მეც თუ შევეფრე ორიოდ ვწვთო, შენ კარგად უფრინო მეც გავბედნიერდები. ასეთია ჭეშმარიტი სიკეთის ღრმადადამიანური ფორმულა, ჩემო მამიკო.

ანდრო. ვერა!.. მაგ შენს ღრმადადამიანურ ფორმულას მე ზეარაკად ვერ შევიწირები. არ მიინდა ასეთი ცოლი!..

ბიძინა. ხელისმწერა ცოლ-ქმრობას ყოველთვის არ ნიშნავს, ბინის დაპატრონების უფლებას კი იძლევა. ამას ეძახი შენ ზეარაკად შეწირვას?

ანდრო. ამგვარ საქციელს ადამიანის ზნედაცემლობის მყარალი სუცი უღის.

ბიძინა. ანდროს ვენაცვალე, ნამეტანი პატოსანი ხარ შენ, ჩემზე პატოსანი, ამტრომაც ვერ ივარგე ამ ცხოვრებაში.

ანდრო. მირჩენია ამ ჩემი პატოსანებით ამომძვრეს სული, ვიღრე...

ბიძინა. გეთანხმები, ეს ჩალიტი მთლად დამაწი ვერ არის, მაგრამ... რას ვიზამთ, ბედნიერების ღურჯი ფერინცილი თავისით არანდროს შემოგაფრინდება შენი. ყველა კეთილი საქმე რაღაც მსხვერპლს მოითხოვს, როცა ასე გიჭირს ბინის შოვნა, პატარა სულეტირ ხარკი კი უნდა გაიმეტო შესაწირავად...

ანდრო. მარტო სულიერი?

ბიძინა. აბა, სხვა რაღა?

ანდრო. აი, სიცოცხლე ხომ თანდათან გვიძვირდება, არანაკლებად ძვირდება სიკვდილიც.

ბიძინა. ახლა მე აღარ მესმის შენი?!

ანდრო. არ იცი, მიცვალებულის დამარხვა-გაპატრონება რა უფლება ჭირისუფალს? მით უმეტეს, ძნელია, როცა მხარში არავის გიდავას. თუ კარგად გიდავას გინდა დამარხო, საფლავის მიწა უნდა იყიდი.

ბიძინა. პო, ეგ მართალია: კარგა ხანია თურმე სასაფლაოზე კარგად გიდავს მამასისხლად შეიდიან.

ანდრო. სამოად ვვირგვინიც ხომ უნდა შევე-

ვთო: გავთოშიც სამგლოვიარო განცხადება ხომ უნდა გამოქვეყნდეს? გახვენებას კატაფალიკი და კტობენი ხომ სჭირდება? ქელეტი, ორმოცი და საწლავის გვერდები და გადავხალო? მერე საფლავიც ხომ უნდა გავუწყვეტო მარმარილოში? გაკვირდები. ამდენი ფული რომ მომდეს, რაღა იმ შინაბერას მივაღვე, ბარემ ოროთახიან ბინას ვიყიდი ერთქოლ.

ბიძინა. შენც ასე ფაროდ კი ნუ გაშლი ხელს! რა სავალდებულოა საფლავის მიწა მიწინდამიწინ კარგად გიდავს იყიდი? მიწა მიწა. ნურც სხვა რამეზე შეიწუხებ დიდად თავს.

ანდრო. ხალხის ამბავი ხომ იცი, გამოუჩნდება ფატის ვიკაც უვავი-ჩხვიკის-მამიდა და ერთ ამბავს დაბაწევს: ბინა ხელში მამამაღლობით ჩაგდო და ქალი უპატრონო ძალიდით გადაათარია. ეგებ ფატის სიკვდილიც დამაბარონ მე. მეც და... სწორედ ღვს ჩემმა საცოლემ ფატის ნემსების კეთება დაუწყო და... ხალხის თვალს რა გამოეპარება. ზოგი ამ ამბავსაც ბოროტად გამოიყენებს, ფატის სიკვდილს კიბოს კი არ დააბრალდეს, იტყვის: უსახლკარო შეუვარებულმა ბინის ხელში ჩასაგდებად საწულ ქალს ერთობლივი მზაკრული შეთქმულება მოუწვევს. შამიანი ნემსები უჩხვლავტეს და სიცოცხლეს ნაადრევად გამოასალმესო. საქვეყნოდ გავილანდები... ეგებ გაამძღვა არ ვეამარონ. ვერა, ვერც ჩემი სინდის-პატოსანებას ვუღალავტებ, ვერც მომავლად ადამიანს მოვატყუებ.

ბიძინა. კაცი კი არა, სამყაროს მერვე საოცრება ხარ, ჩვენი დროის სარადელქსი. პატოსანებაც გინდა, ქრთამის მიუცემლობაც გინდა, ბინის შოვნაც გინდა... ასე არ სწირავს ჩვენი დროის მღვდელი. ვერ დატრწუნდი, ასე რომ არაფერი გამოვლის? ცარიელი პატოსანებით ჩვენს დროში ვის გაუტანია ღელი?

ანდრო. აქამდე არავინ მომიტყუებია, არც ამერიდან ვაბრებ.

ბიძინა. პატოსანო შტერი, შენ რომ არავის ატყუებ, იმტრომაც გატყუებს შენ ყველა. ბოლოს ვინ რჩება მოგებული, შენ თუ ისინი?

ანდრო. ასეთ თუ ისე, უნდა შევეგუო ჩემს უიბლობას.

ბიძინა. ანდროს ვენაცვალე, უიბლო ადამიანი არ არსებობს. ყველა თვითონ ექმნის თავის ბედ-იბლოს.

ანდრო. ბიძინა, ეტყობა, შენ აქ ღვს ბოროტმა ქარმა გაღმოგადო. ღოთიანად მითხარი, მხარზე ნამდვილად რომელი დავფრინდა, ანგლოზი თუ ეშმაკი?

ბიძინა. ემ, არცერთი არ დამაფრინდა. ორივე, ბიჭო, ჩემშია — ანგლოზიც და ეშმაკიც. ასეთია ბიბლიური და ჩემებური დიალექტიკა: მე შენთვის ვტრუნავ, თორემ სხვა არ მჭირს? მეცოდები, შენ პატოსანო ვირო! შენს გაკვირებას რომ ვუფურებ, გულმოკლულს — ჩემი მავიწყდება. პოდა, მინდა, სასწრაფო დახმარებასავით მოგვეფელო, პატოსანი ვირის მძიმე სააღნე ჩამოგხხნა, ის სააღნე, ცხოვრებამ რომ აგკიდა. მა, დაქა ხელი! უილარ მერყეობ, მა!

ანდრო. ასე არა... დაფოქრდება... საცოლუაეც მოველავარაკები.

ბიძინა. ეს მიყვარს შენი, დაუფიქრებლად საქმას გაკეთება რომ არ გჩვევია. კეთილი, დაუფიქრდი. ადე! (ანდრომ გაკვირვებით შეხედა). რამ დაგაფრთხო, ბი-



ქო? გვიარ-გამოვიართ ერთად. სიართლისას თავი უფრო უკეთ ფიქრობს.

გადიან. კოსტა ახლად ამოყო თავი, მიმოიხედა და გასწია ფარნასკენ, კვლავ თავჩაქინდრული რომ ზის. კოსტა. ფარნას ვახლავარი სამამულო ომის სახელგანამბრძოლს! როგორაა საქმენი საგმირონი, ბატონო ფარნა?

ფარნა. სიმართლე გაძვირდა, სიცრუე გაიფადა. კოსტა. ეგ ჩვენ არ გვეხება. შენი ბიზის საქმე როგორაა-მეთქი?

ფარნა. როგორც იყო, კოსტაჯან. კოსტა. ვაჰ, კაცო, ერთობ გაწვალდებენ. მოდი, ერთ რამეს გასწავლა.

ფარნა. გამაწვალდებებს ქრთამი მივცე? გადასაყრელე ფულნი რომ მქონდეს, ქრთამს მაინც არავის მივცემ. წუწუებს უფრო ვერ გავაწუწუებ, მოკვდები და ქრთამს ვერავის მივცემ, ვერა!

კოსტა. მო, ის ობრება ერთობ ბევრს მოითხოვენ, გააძვირებს. საერთოდ, გამაწვალდებებს მოეშვი, ხომ ხედავ, ასე მაინც არაფერი გამოდის. თუ დამიგდებ უურს, მე უკეთეს გზას გასწავლი.

ფარნა. თუ თავგზიან სიტყვას მირჩევ, კი, ბატონო.

კოსტა. ხომ იცი, მე კანონის კაცს შეძახიან. შენს ახლო, რვასართულიანში რომ შენაბერა ფატი ცხოვრობს, მალე ფიშტი! მოდა, როგორც კი გამოსაყენებენ, გოჭებივით შეყარე შაგ შენი ბაღლები და აღარ გამოხვიდე.

ფარნა. რას ამბობ, კაცო, ეს როგორ შეიძლება?! კოსტა. მე დაგიდებდი დარაჯად, ხელს ვერავინ გახლებს უბეჩაროდ. მერე სხვაგანაც მოგეკვარება საქმეს და ბინა სადამოდ შენ დაგჩრება. მე კანონის კაცი ვარ. დაშარბებისთვის ბევრს არ გამოგართმევ, იმის ნახევარს დატყუებდი, სხვები რომ უკანონოდ იღებენ. დაქა ხელი!

ფარნა. ეჰ, კოსტა, კოსტა! აქამდე ფარნა ვერ გიცვინია! ჭერ ერთი, შენებური გასამრჩელოც ქრთამია და აკი გითხარა, მე ქრთამს არავის ვაძლევ-მეთქი. მგორავ, ეს არაადამიანური ამბავია და ღმერთმა მათხოვს ხულის წაწყმედა. ჭერ ადამიანი ცოცხალია, ერთმა ღმერთმა იცის, როდის მოკვდება და მე იმას მივუღარაჯდე; მე, ხაბუმი დალაფე სული, რომ შენი ბინა მოვინადირო-მეთქი? ჩემი სიკვდილი მირჩევნია ამგვარ სულმდაბლობას! ეჰ, ფატი, ფატი, შე საწყალო, კიდევ არგვი, არ უცხმის, რა უნაშურობასაც მირჩევენ!

კოსტა. მე კანონის კაცი მქვია, არაა ეს უნაშურობა!

ფარნა. მო, შენთვის, ალბათ, არაა. მე კი, ამას ცოცხალი თავით ვერ ჩავიდენ, ჩვენი სახლმშართველივით ნაშუსგარეცხილი ხომ არა ვარ! ის არ შეუძლებს სხვები რომ შეურაცხყოფას შეაყენებენ. ახლა ჩემს თავს თვითონაც მივაყენო შეურაცხყოფა? ასე 'ელში ჩაგდებული არც ბინა ბინდა, არც სხვა რამ. მე ჩემს გზას ვერ ვუღალატებ, უპატიოსნო კაცად ვერ მოკვდები, ვერც მოშალადღე, გაიფე, კოსტა მილიციელი!

კოსტა. მე სულითა და გულით შემოგთავაზე და... თუ შენ არ გინდა, იმ ბიზის იმდენი მუშტარი მყავს... მე კანონის კაცი მქვია, ყველა შენდობს! (პაუზა) შენ სულ არაფერი გაგვიგონია?

ფარნა. რადიოვი ვადმიოცვა ახალი ამბავი?

კოსტა. რადიო ფეხებზე მკიდა, ეგერ ღობი რომ საუბრობდა...

ფარნა. დღეს რა ყველა ჩემს შეურაცხყოფას გადასული?! სულმდაბლობას რატომ მახლავს, კანონის კაცი?

კოსტა. რა სულმდაბლობას?!

ფარნა. მამ სხვების ფარულად მიუყარადა ბა ჩანდა და დოზანა? მე ეგ სხვებისაც მეყარება.

კოსტა. არაფერი სულმდაბლობაც არაა ეს, ზოგჯერ, პირქვით, სიფხიშველცაა, მით უმეტეს, თუ კაცს სამსაურით ვივალბა. იცი, იმ ვებბატონებმა რა განიზრახეს?

ფარნა. არ მაინტერესებს.

კოსტა. რაზედაც შენ თავს იყავებ, ივენი უკვე ჩარხავენ. (ერთრულება).

ფარნა (გაოცებული უსმენს, წამოიძახებს ხოლმე). უუჰ? უუჰ! არ გადამბორო? კიდევ ფულუმი! დაუჭერებელია? ადამიანი ასე როგორ დადიემა?!

კოსტა. დადიემა თუ არ დადიემა, ასეა. შენ არ გინდა, სხვები ეპოტინებთან დაფიქრდი. თუ მოგეგუნებოს, მოშაკითხე. შხად ვარ გემსახურო! აკი გითხარა, ბევრს არ გამოგართმევ! გელოდები! ჩემი სიტყვა კანონია! (მიდის).

ფარნა. ნუ დამელოდები! მე ამგვარ სულმდაბლობას ვერც ჩემს თავს ვაპატიებ, ვერც სხვას. თუ იხინი მართლა აპირებენ ამგვარ უზენობას, პირველი მე შეეფუძი ხელს, ნუთუ მართალია? არ მჭერა! თუშეცა, იმდენად არაადამიანურად გვეტყვიან ხოლმე, ბოლოს ზოგს დაღატობს სინდის-ნამუსი და იძულებული ხდება, არაადამიანურობის გზას დაადგეს. რა საშინელებაა! ვი ჩვენს მოსწრებას! ფატი, საბარლო ფატი! ჭერ არ მომკვდარა და უკვე მარხავენ.. იქნებ მოხდეს სასწაული და მორჩეს, მაშინ?.. ფრთხილად, ადამიანებო, სულ ნუ გადაკვარდები! ეჰ.. (გასძახის). ბიძინა, პეი ბიძინა, შინ არ წამოხვი!

ბიძინა. (შემოდის ანდროსთან ერთად). ჭერ არა, ფარნა ბიძია. აგერ, მოყვარესთან პატარა საქმეს ვაგვარებ.

ფარნა. მე ხომ არაფერში გამოგადგები?

ბიძინა. გამაღობო, შინაური ამბავია.

ფარნა. მო, თუ შინაური ამბავია... ეჰ, ეტყობა, მართლაც, ცუდად არის საქმე, ვი ჩვენს შავ დღეს! კვამლისა და ნაცრის სუნი მცემს, კვამლისა და ნაცრის სუნი! შენ არ გცემს, არტიტო?

ბიძინა. არა, აქ არაფერი იწვის?!

ფარნა. მე კი მაინც მცემს კვამლისა და ნაცრის სუნი. ფრთხილად იყავით, ადამიანებო, ფრთხილად! (წალასლასდა).

ანდრო. ვერ გავიგე, რა გითხრა?

ბიძინა. ვერც მე გავიგე, რაღაც კვამლისა და ნაცრის სუნი მცემს... მე ვერაფერს ვგრძნობ?! შენ?

ანდრო. ვერც მე...

ბიძინა. საწყალი ომგადახილი კაცი! დაბერდა და წამდალუშე შავი ციციხი ეღანდება.

ფარნა (მოტირიალდა). მეღანდება, ხომ? ფრთხილად, ადამიანებო, ფრთხილად! (ისევ წალასლასდა. ანდრომ და ბიძინამ მხრები აიჩჩეს).

სურათი იცვლება. ზოტა შემოაგორებს გორგოლაქებიან რკინის საწოლს, ზედ შეწერადაფარებული ფატი წევს.



ფ ა ტ ი. ცოტაც, ზიტა ისე, რომ ფანჯრიდან ქუჩას გახედო ზოლმე.

ზ ი ტ ა. ასე, ხაზეკიან? მეათი მოგციო?

ფ ა ტ ი. ვეოვა, ჩემო ზიტა, გაიხარე, ფანჯარა გამოიხილა, მავრი აღარ მოცუნის, სული მებუთება. პო, აგრე, ღრიქოდ. ახლა სურათებიანი ჩაჩჩო გამოიტანე და აქ დამიღვი ტრილიაზე რომ ადლობი მიდევს, ისიც გამოიძღვინე. ემ, სურათებითა ვსულდგმულვო.

ზ ი ტ ა. (გამოიტანს ალბომს და ჩაჩჩოს, რომლის შესისქვემ რამდენიმე სურათია ჩატრული). ესენი ვან იყოს, შენი „უენიხები“?

ფ ა ტ ი. ემ, არცერთი არ იყო საქმრო, ყველა კი მიყვარდა.

ზ ი ტ ა. ვამ, ამდენი ერთად ხაყვარლად გქონდა?

ფ ა ტ ი. ხაყვარლად არა, მიყვარდა, ზიტა, მიყვარდა... შორიდან მიყვარდა, ასე ვთქვათ, დაუსწრებელი ხაყვარლად. ეს დეღას ვერბანქია, ამერიკელი ძველი არტისტი. ეს რომერტ ტელიორია, ესეც ადრინდელი არტისტი. ეს კი ალენ დელონია, ახალი არტისტი. შენ კინოსი არ დადიხარ?

ზ ი ტ ა. რატომ არ დადიხარ? მე კინო დავაგვოს, უბორკა გაკეთოს, ეს არტისტები არ ნახოს. ეს ლამაზი „ბარიზაქ“ არტისტი არის?

ფ ა ტ ი. (შწარე ღიმილით). ასეთი ვიყავი უმწველდლობისას.

ზ ი ტ ა. ვამ, დიდი კრასავია იყოს!

ფ ა ტ ი. სულ აღარ ვგავარ?

ზ ი ტ ა. ახლას კარგი არის, მაშინ უყეთესი იყოს. ეგეთი კრასავია რატომ არავინ გიქნა აი ის... თხოვება? თვალები დაუდგეს ბიჭებს! (სურათს აკვირდება და თავს სინანულით აქნევს). ვამ, ვამ, არავინ გინდოდეს?

ფ ა ტ ი. (თითქმის თავისთვის). მაშინ, დახაყ, ბევრი მიმელოდა, ვერჩეოდი მე უხედური... მეოცნებე ვიყავი. ვნატრობდი იდეალურ ვაქაცას, რომელსაც არც კეთილი ღიმილი უნდა ჰქონებოდა, არც სიტყვის მართი, თვალნაღადობით კი ზღაპარულ მეფისწულს მგვანებოდა ან ზღაპრის უმცროს ძმას. ვინც დეღლას ვერბანქს, რომერტ ტელიორს ან ალენ დელონს არ მგავდა, არავინ მომწონდა, ხოლო ვინც ამ არტისტებს მგავდა ოდნავ მაივნი, მე არავის მოვწონდი და... არ გამეხსენა ბედი, დავჩინ ასე შინაბერად... ჩემო ზიტული, შენს გარდა აღარავინ შეკარება, თითქოს კეთორკვანი ვიყო... ემ, უტოპურმა სიყვარულმა დამღუპა.

ზ ი ტ ა. ვაი, ვაი! სიყვარულმა უტოპური გაგაქოთა? წყალში დავაბრჩო? მერე უტოპლენი ვინ გადაგარჩინა?

ფ ა ტ ი. ემ, ზიტა, ზიტა, უწყლოდ დამახარო უტოპურმა სიყვარულმა, ახე-აც მახარობს... (ფანჯარაში სველიანად). აი, იმან გაიარა!

ზ ი ტ ა. ვინ? ჩენი ქუჩა ხარიელი არის?!

ფ ა ტ ი. მსუბუქი მანწანი გაიქროლა. დიდი ხანია მისი მანწანის მხახე კი ეცნობ. თვარამეტისა რომ შეტხარული, გაჟივებით ვუყვარდი, მე კი ცხვირი ავუბნავე: ეს ვინ გადამეკიდა, რომერტ ტელიორს ოდნავადაც არ მგავს-მეთქი. მოგბრაცებო, დამემუტრა. ერთხელაც მართლად გამომეკიდა მოსატყუებოდა... ემ, ვერ დამეწია, დავემალე, ნეტაც კი დავეპირე, მაშინ ჩემი ბედი სხვანაირად დატრიალდებოდა. დღეს საქვეყნოდ ცნობილი კაცია... გაიქროლა... ოთხი შვილი მყავს, ერთმანეთზე უყეთესები, უღლად ბიჭები, ორცი გო-

გო. მშვენიერი ოჯახი გაიჩინა, სიაშტებლობილ ცხოვრობს, არც სახელი აკლია, არც სახარავი. ემ, შე კი... ახლა ჩირკივით ვადივარ ლოგინში და ველოცებამსწლი ქელ-გაბრიელს.

ზ ი ტ ა. მიქიელი და გაბრიელი ვინ არის?

ფ ა ტ ი. სიკვდილის მოციქულია, ზიტა.

ზ ი ტ ა. დისტურმა გითხრას. მალე მოვკვდები? ნამუსი დაკარგოს? არ დაგინერა, რა გიჩირსო? არ დავადგინოს?

ფ ა ტ ი. ქრთამებით ინტიტუტდამთავრებული ზოგი ახლანდელი ექიმი სხვას რას იგებს წესიერად, რომ მე სწორი დიავოზი დამისჯოს? შემძლებენ ექიმები და ექიმებმა ადამიანებაც შემაძულეს. ემ, სიყვარულისთვის მოსული სიძულელით მივდივარ. ის მაინც გამაგებია, რითი ვკვდები? ეს უფრო მიკლავს გარდა. რა-დაც მქავს დედალამ და აქამდე ვერ შემეპას, თითქოს კიბოა და არც არის კიბო. თუ კიბო არ არის, ასე უსამველო რა ჰქირია? მე, თუ მოდიხარ, სიკვდილო, მოდი ხარემ!

ზ ი ტ ა. შენ აქ ერთი ხოლო არის... ჩემი თვალი რომ შენა გნახა, მოი სერხე კუშაბე ბოლო, ჩემი გული დარდი ჩამს. მე შენი დიდი სიყვარული არის... დიდი დოსით... ჩემი დედა და ატეცი ბევრი შვილი არის, შენი დამა არ არის. მე შენი დავიყო იყოს, დედა იყოს, ტოტოცა იყოს... აქ ჩემი „დედაცა“ გაშალოს და სულ შენთან ისხვროს, დღისით კარგად მოგაროს, ღამე თვალი არ დახუროს, ფხიწული გიკარაულოს... შენ მე აქ გამოკეთო ჩასერა და მე შენი მოვლა იყოს, დაგავოს, გაგრეხოს. ბაზარში სავიდეს, ახელი ვაგაქოთოს, ბევრი გიმდეროს, გამხიარულოს, ჩემი დედამა ბევრი შვილი არის, შენ მართკა არის... მე შენი პატრონი იყოს, მე სულ შენს დაიყო იყოს, დედა იყოს, ტოტოცა იყოს. ეხლავე ვაიქვს და „დედაცა“ მოიტანოს...

ფ ა ტ ი. ზიტა, მოიცა!

ზ ი ტ ა. ჭერ ბაზარში სავიდეს?

ფ ა ტ ი. არ მინდა შენი დამისთვია აქ, არც ამდენი შენი მოვლა-პატრონობა. როგორც აქამდე ვიყავი მართკა, მართკადე დავჩრებო. როცა მწადია, ფხიწე ადგომას ჩემთავე ვაბერებ, არ მინდა აქ შენი საწოლი!

ზ ი ტ ა. გინდა! მე უყეთ ისის, შენ რა გინდა! მე შენი დიდი სიყვარული არის, მე შენი სესტარა არის. უტოპრა ვაგაქოთოს, გაჩამოს, ბევრი გიმდეროს... მე დღესვე აქ გაშალოს ჩემი კობტა „დედაცა“ და სულ შენთან გისხვროს... (გარბის).

ფ ა ტ ი. ზიტა, დაბრუნდი... დაბრუნდი, ზიტა... წყალმა და მეწყერმა წაიღეს ყველაფერი, რად მიხლოდა ან ეს ბინა, ან სხვა რამე, თუ... თუ ასეთი შავი ბედი მელიდა! რამე ცოდვა რომ მქონდეს, ვიტყვი, ყველაფერი ცოდვის ბრალა-მეთქი. ერთხელ ჩრჩილს ვავადებდი გარეთ და შემომავკდა, სულ ესაა ჩემი ცოდვა: ამისთვის ვისჯები? რისთვის მშველი ქვეყანაზე ან რისთვის ვიცხოვრებ?

ჩართო ტრანზისტორი. ჭერ ისმის სიმღერა — „დამბორუნე გაზაფხული და პირველი სიყვარული“, მერე მე სხვა სიმღერებიც. ნაირნაირი განწყობილებების. ფატი ფურცლავს ალბომს. ეტყობა, იგი მისი განვლილი ცხოვრების სარკეა და ბევრ რამეს აღწენს, კარგსაც და ცუდსაც. ფანჯრის ჩარჩოში (იქნებ ვადიდებულ ალბომშიც) ცალ-ცალკე ჩნდებიან ისინი, ვინც ფატის ოდნავად მოსწონდა, ან ვისაც ფატიზე ექირა თვლი.

იგონება, რომ ეს არის გარდასულ ამბავთა მოგონება. ყველა მამაკაცს სხვადასხვა ნიღბით წარმოადგენს ბიძინა. შეიძლება პიკის სხვა გემრებიც შეეცვლონ ასევე ნიღბების მონაცვლოებით. ყველა მამაკაცს გამოჩინას ახლავს მუსიკალური თავისებური აქცენტები, ფაქტი იცვლის ხოლმე სხვის ქულით ან თავსაბურავით.

პირველი (წარბაჩილი ლამაზი ქაბუცი). ღაღ-ზე დიდი ბოდნო, ქალიშვილი, ასე გულცივად რატომ ჩამოარე ვერდიო, გენაცვალე? ერთი მაინც შემომხედ-დე! ქალიშვილიო!..

ფაქტი. რა გნებავთ. ვაბატონო?  
პირველი. ანჭარბითა სოფელი არავის მოუკამა. შეჩერდი! დანახვისთანავე შემოეყარდი. უოკვლადღე შვის ჩანჭერსი ბანაშო? ახე რამ გაგალამაზა?  
ფაქტი. არა ვარ მე ლამაზო... შენთვის არა ვარ ლამაზი.

პირველი. მზე რომ ჩაქრეს, ქვე გაანათებ სამყაროს. (წამლურებით). ცაზე მზეა, ქვეყანაზე შენა ხარ!. როცა შენ ილიმები, დღისით მზესა შუქი ემატება და ღამით ცაზე მებო ვარსკვლავი ჩნდება.

ფაქტი. ბიჭო, ცოცა სხვისთვისაც გამოიზოგე ქათინაურები, ერთბაშად შე ნუ მომაყარე ცერკვის მარცვლივით. ხომ იცი, ოდეს ტურფა გათავდეს...

პირველი (წამლურებით). მე გულს გაგიშლი მარასხავით, მოდი, გავტეხე შენი მგოსანი, შე — ეკლესია, სახვე ოცნებით, მუდამ ვიქნები შენზე მლოცველი. მოიცა, გოგო, დასო ჩანდაბაში ვარბობარ?

ფაქტი. მე ყველა ლაზღანდარას არ ვუჩერდები გზაზე.

პირველი. იცოდე, თუ გამექცევი, ჩემი გული შენ გამოგადევნება და მე უგულლოდ ადარჩები. უგულლოდ კოვის უცოცხლია, ვის გაუძლია. შემობრალე გენაცვალე, უგულლოდ ნუ დამტოვებ!

ფაქტი. ერთობ მაგრად შეგეყარებინარ უცებ.  
პირველი. უკვე ისიც მხეყარე ყველა, ვინც შენ ოდნავ მაინც გგავს.

ფაქტი. მაშინ იარე შარა-შარა და ვინც მე მგავს, ყველას გაუნაწილე ეგ შენი ანაზღაურე სიყვარულა.  
პირველი (წამლურებით). ამოდულდი მარგალიტო, ნაფობარში ჩადექ, წყალო, არც ისეთი ლამაზი ხარ, როგორც იპრანკები, ქალო! ჩემზე უკეთესს ტუუილად ეტებ, ვერ იპოვი! მოგიკვდეს შემხვეწებელი, შენზე თვალტანადი გოგონები კისერზე ავგაროზივთ მესივდიბან. (არხინი სტვენით გაუჩინარდა).

მეორე (ცხვირკეხიანი, მაგრამ სანდომიანი მამაკაცი). ფაქტი, დამიგდე უური, ფაქტი!

ფაქტი. მე, მოთხარი ბარემ, რა ვინდა?

მეორე. შენ მე... მე შენ... ის ის... მო, მოკლდე, მიყვარხარ, გო, მოკლდედაც და გრძალდაც... ხაზი წელიწადია მიყვარხარ და... მინდა, სიკვდილამდე მიყვარდე...

ფაქტი. ახერგე ნუ მიმეორებ, ვიცი.  
მეორე. მერე, რომ იცი...

ფაქტი. არაფერი. ვიცი, რომ გიყვარვარ, სიზმარცხადმი ჩემი ხატი რამ გიგდავ წინ და ლოცულობ ზედ. მაგარამ მე ეს სულად არ მანტერტებებს... ისლა მაკლია, შენისთანა ჩანჩურას წავყე.

მეორე. რატომ ვარ ჩანჩურა? ხელ-ფეხი მაკლია, კუთა-გონება თუ წყუათობა?

ფაქტი. ემ, ეს ვაჟაკი იმით დავიწუნე, ფეხსაცმლის ზონარი უშნად შეუკრავს, დაბდურა ან ფეხშიშორი ნება-მეთქი. ახლა იმ კაცზე კობტად არავინ ცხადის ცოლ-შვილიც ფაქინად და გემოვნებით ჩამოგვრეწეწეწე ზურული დაუდის. (გამოჩნდა მესამე). ეს კი იმით დავიწუნე, დანაჩანგლის წესიერად დავერა არ იცის, თავის მოსაქრელად მაგას როგორ წავუვები-მეთქი. დანაჩანგლის წესიერად ხმარების სწავლას რა უნდა, გოგო, ასე უბრალო რადაცისათვის მოხდენილ ვაჟაკს როგორ იწუნებო, მისაყვედურებს დობილბმა. ქვა აკვადე და თავი შევუშავე. იმ კაცმა ჩემზე უკეთესი გოგო მოჩანგლა, კი ოჯახი გაიჩინა და... ახლა ყველა წვეულებაში ისე უქირავს თავი, უცნობებს ჩვენი ჩამობრძანებულები ინგლისელი ლორდი მგონიათ. ეეაა! მესამე (წამლურებით). წუნთას რაიო, ერთი ჯამი ფხალიო, ისიც ღორმა შეუქამა, ვაი მისი ბრალო (გაუჩინარდა).

მეოთხე. ნება მიბოძეთ, ქალიშვილიო, ხელკავთ გაგაკოლო!

ფაქტი. დამოკლდე, დათვო, თათი! არ მქირდება შენი ხელმკლავი!

მეოთხე. დათვადაც მომნათლე?

ფაქტი. მე მოგნათლე? ნამდვილად იეღის თაფლით მოჭარლი ბანჯგვლიანი დათვი ხარ შენ!

მეოთხე. ფაქტიო, ყველას თუ ასე დაუკეტებ გულის კარი, იცოდე, ვერ გათხოვდები და ბოლოს ინანებ!

ფაქტი. ვინ მოგახსენა, რომ ყველას დაუკეტებ? მალე ჩამოვა ქარიდან ერთი კარგი ბიჭი და... (მეოთხე გაუჩინარდა. მის ადგილას გამოჩნდა ნაწარისკაცი ბიჭი). ქარისკაცო, დაბრუნდე!

მეოთხე. წელიწადზე მეტია.

ფაქტი. მერე, ერთხელ მაინც რატომ არ გამოიარე ჩვენქენე?!

მეოთხე. მოგვხსენება ახალი ოჯახის ამბავი, ერთბაშად ათასი საზრუნავი დამატედა თავს.

ფაქტი (ნაღვლიანად). ქალი მოიყვანე?

მეოთხე. შვილაც შემეძინა. ახლა აქნის მოსატანად მივდივარ.

ფაქტი. (ნაბალადევი ლიმილით). მომილოცავს... უველაფერი ერთად მომილოცავს, ქარიდან დაბრუნება, დაცოლშვილბანა..

მეოთხე. გამალოდ, ფაქტი! (უხერხული პაუზა). ბოდნო, მეჩქარება! კარგად შეყოლე! (გაუჩინარდა).

ფაქტი. ისიც კი არ შეიძება, შენ როგორ ხარო? მე სულდეს კი მეგონა, რაკი ერთხელ გამიღიმა, ქარიდან დაბრუნებისთანავე მომარდებოდა, დამავებდა ხელს და ბერი! გამაქანებდა შენი (გამოჩნდა მალაშუმბა, გრუზულიმანი ქაბუცი). ასე თვალმოუშორებლად რატომ მიუყრებ?

მეექვსე. გიყურებ!.. ხომ არაფერს გიშავებ, გიყურებ!

